ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

1

გილოცავთ ახალ წელს!

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

248

გამოცემის მეოცე წელი

1

იანვარი

1978

თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

პროზა, პოეზია

3. ნოდარ დუმბაძე — მარადისობის კანონი. რომანი
71. არჩილ სულაკაური — შემოდგომა. ლექსი
73. ზაურ გოლეგაძე — ლექსები
75. ოტია კაპანორია — გოგელელი. მოთხრობა

სიტყვა ახალგაზრდობას

105 მარიამ მეურმიშვილი — ლექსები
107. მარინე ფოცხვერაშვილი — ლექსები
108. ივდა არაბული — ლექსები
110. ლია ჭილლაძე — მოცინარი ტირიფები. ლექსი
110. თამაზ ბაძაღუა — ლექსები
111. ნანა ჩემი — ლექსები
112. ემზარ ბენდელიანი — ლექსები
114. ნინო ხარაზიშვილი — ლექსები
115. ლალი თოთაძე — ლექსები
116. ბეჟან ხარაზიშვილი — ხვედრი კოეტეთა. ლექსი
117 რუსუდან კაიშაური — პოეტი. ლექსი
117. მარინა ხმალაძე — სინანული. ლექსი
118. ვლადიმერ მარიიძე — ლექსები

121. ნი ბივი ძნელაძე ნი

მკითხველთა აზრით

123. რა მოხდა აბაშაში (მკითხველთა წერილები)

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

132. ჯანსუღ ღვინჯილია — ზოგიერიების გრძნობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში
146. იოსეფ გოცაძე — იჭალეგითი განმარტება
150. ალექსანდრე კალანდაძე — სიტყვა ეძლევა აგუ-ლი მელიმონაძეს

სატირა, იუმორი, პაროდია

159. გათუ მელია — ლექსები; განცხადება

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ბაგუა ამირეჯიბი,
გურამ გვეტრდეფილი,
ბივი გეგეჭკორი,
რისაგა გოლდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ ვენაგიდი,
იოსეფ ორჯონიკიძე,
ოტია კაპანორია,
(მთ. რედაქტორის მოადგილე)
გურამ შანგუნიძე,
ნუგზარ ფერეთელი,
ტარიელ ბანდარია,
რევაზ ჭეტეშილი.

ნოდარ დუმბაძე

მარადისობის კანონი

რომანი

1

ტკივილი მარჯვენა მხრიდან დაეწყო. უცებ გულის ფიცრისკენ დაიძრა და მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა. მერე თითქოს ვიღაცამ მკერდი გადაუხსნა, შიგ დაკორტნილი ხელი ჩაუყო და გული ყურძნის მტევანივით დაუწურა. წურავდა ნელა, დიდი მონდომებით: ერთი და ორი, ორი და სამი, სამი და ოთხი... ბოლოს ისე მოუჭირა ხელი, ისე დაწურა, სისხლის ნატამალიც აღარ დაეტოვა შიგ და ასე გამომშრალი და დაპყლეტილი მიაგდო სადღაც კუთხეში. გული გაჩერდა. არა, კი არ გაჩერდა, ჯერ ფანჯრის მინაზე შემსკდარ ბეღურასავით ჩავარდა ქვევით, აფართხალდა, გაიბრძოლა და შემდეგ გაჩერდა, მაგრამ გულის გაჩერება სიკვდილი არ ყოფილა, ეს ყოფილა უზომო შიშისაგან ფართოდ გაბერილი თვალები და დაუსრულებელი მოლოდინი იმისა, ამუშავდება თუ არა ისევ წყეული გული, ამუშავდება თუ არა?!

— გულის წყევლა არ შეიძლება, ბატონო, გულს მოფერება და სულის ბერვა უნდა, ცეცხლზე შემდგარ რძესავით.

— ჭირსა შიგან გამაგრება... — თქვა ექთანმა.

— ქალბატონო, რა დროს მხატვრული ლიტერატურაა, მიშველეთ!

— ნდია, ანალგინი, ახლავე დაგიყრ!დგბათ!

— ნასვამია, ექიმო!

— კარდიოგრამა. — ავადმყოფი გაკოჭეს.

— რა ხდება? — იკითხა ექიმმა.

— ძალიან ღრმაა, ბატონო, ამას რა აკრეფს?!

— ბტკივათ?

— ახ გამიყუჩეთ, ან მომკალით!

— ბრომიდოლი!

●

ხუთი წუთის შემდეგ:

— გაგიყუჩდათ?

— ავადმყოფმა თვალის გახელა დაიპირა, რათა დაენახა ამ გულუბრყვილო შეკითხვის პატრონი, მაგრამ ქუთოეთოიგეზე ტკივილის მძიმე და ცივი ფრტილი ეწყო.

— ძორფი! — თქვა გაწბილებულმა ექიმმა და ტელეფონს ეცა.

— მე ვარ, ანთელავა, მონიტორი გაანოავისუფლეთ და დეფიბრილატორი ბოიმზადეთ, სწრაფად!

— მომკალით! — ისევ ითხოვა ავადმყოფმა.

— ეზოტი! — ბრძანა ექიმმა.

ავადმყოფმა იგრძნო, როგორ დაადეს სახეზე სველი დოლბანდი, როგორ აიყვანეს ფრთხილად, ნავში ჩაწვინეს და ზღვაში შეაცურეს...

ზღვა ოდნავ ღელავდა და ნავი ზანტად ირწეოდა. უცებ მენავემ მკერდზე უზარმაზარი ბრტყელთავიანი ბლაგვი ლურსმანი დაადო და ნავის სკამზე დაიჯუდა, მუშტის ძლიერი დარტყმით.

— რატომ დამაჭედე, შე უღმერთო? — დიკვნესა ავადმყოფმა.

— რომ არ გადმოვარდე ნავიდან. — უპასუხა მენავემ.

და ახლა ხელ-ფეხი დაუჭედა ისეთივე ბრტყელთავა და ჟანგიანი ლურსმებით, მერე ადგა და ნავის კიჩოდან წყალში გადაეშვა.

— არ მიმატოვო, ძვირფასო, თორემ ამ ლურსმნებს ვინღა ამომაძრობს? — შესტირა მარტოდ დარჩენილმა და გაკვირვებულმა ავადმყოფმა მენავეს.

— იქ, იმ ნაპირზე ამოგიღებენ! — უპასუხა მენავემ და გაცურა. მისი ხმა შორიდან მოისმა. ახლა ნაპირიდან ესმოდა ავადმყოფს ყრუ შეძახილები, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, ემშვიდობებოდნენ, აფრთხილებდნენ, ამხნევებდნენ, ანუგეშებდნენ თუ მოთქვამდნენ...

ბოლოს ყველა ხმა მიწყნარდა, დადნა, დაიკარგა და დარჩა მხოლოდ უსაშველო ტკივილი, მოლოდინი, უსაზღვრო ზღვა და თვითონ, ნავზე მილურსმული და ყველასაგან მიტოვებული.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტოვებ მე! — თქვა ავ-

ადმყოფმა. თქვა და იმავე წამს მიწვდა, რომ ეს სიტყვები მას არ ეკუთვნოდა, ამიტომ არც ღმერთისაგან მათი გაგონების იმედი უნდა ჰქონოდა. ნავი კი ირწეოდა და ირწეოდა ზანტად ლურჯ ტალღებზე.

ზუსტად ათასი წლის შემდეგ ბიძგი და ამ ბიძგისაგან გამოწვეული აუტანელი ტკივილი იგრძნო ავადმყოფმა. ნავი მეორე ნაპირს მიადგა.

უამრავი ხალხი შემოეხვია ნავს:

— ეს რა უქნიათ, როგორ მიუსურსმავთ საწყაალ! — შეიბრალა ვიღაცამ და ნავი ნაპირზე ამოაჩოჩა.

— ამომაძვრეთ ლურსმნები, თორემ მოვკვდები! — ითხოვა ავადმყოფმა.

— იაშვილი სად არის? — იკითხა ერთ-ერთმა დამხვდურმა.

— აქ ვარ, ბატონო!

— ამოაძვრე ლურსმნები! — ბრძანა იმ დამხვდურმა.

— ძალიან ღრმადაა, ბატონო!

— მაშინ ყველამ ერთად ამოვაძროთ... აბა, ერთი, ორი და სამიი!!!

„ღმერთო, ხუთუ ვერ ამოაძროს-ენ?“ — გაიფიქრა ავადმყოფმა და ხელი შეაშველა დამხვდურებს.

—არ გაინძრე! — გააფრთხილა ავადმყოფი ერთმა დამხვდურმა, მერე ისევ თავის ამხანაგებს მიუბრუნდა,— აბა, კიდევ ერთხელ, ერთი, ორი და სა-ამიი!!!

კიდევ ათასი წელი გავიდა. კბილებით ექაჩებოდნენ ლურსმნებს დამხვდურები.

—ამოვიდა? — იკითხა უფროსმა.

— ამოვიდა! — თქვეს მისმა ქვეშევრდომებმა.

— რამდენზე?

— სამოცზე ამოვიდა, ბატონო!

— წწევას მოეშვით, ახლა გულს მიხედეთ!

— მაჯა ორმოცდაათია.

— მგონი გამოძვრა. — თქვა იმან, რომელიც მონიტორს უყურებდა.

— გადადგორდა!—თქვა ავადმყოფმა.

— რა გადადგორდა? — იკითხა გაკვირვებულმა ექიმმა და ავადმყოფს შიშველ მკერდზე ყურნი დაადო.

— ბორბალი გადაგორდა! — გაიმეორა ავადმყოფმა.

— საიდან? — ჰკითხა ექიმმა ათრთოლებული ხმით.

— აი, აქედან გადაგორდა, ბატონო, — თქვა ავადმყოფმა, მარცხენა მხარეს გულთან ხელი დაიდო და გაიღიმა. ექიმმა შეეხით ამოისუნთქა და ცივი ოფლით დაცვარული შუბლი მოწმინდა ავადმყოფს.

— მგონი გადავრჩით! — თქვა მერე და ახლა ცხელი ოფლით დაცვარული საკუთარი შუბლი მოიწმინდა.

— რა დროს ამის ინფარქტი იყო?! — იკითხა ვიღაცამ და აკანკალებული ხელებით პაპიროსი ამოიღო კოლოფიდან.

ავადმყოფმა ერთხელ კიდევ სცადა თვალის გახელა, რათა დაენახა ამ გულ უბრყვილო შეკითხვის პატრონი, მაგრამ ქუთუთოებზე რომ ტყვიის ფირფიტები ეწყო, იმაზე კიდევ თითო ფირფიტა დაემატებინა ვიღაცას.

...ალერე მოვიდა უჩვეულო, მაკურნებელი სიმთვრალე. საოცრად თბილი, მსუბუქი და ვარდისფერი. სატკივარი სადღაც გაქრა. მოვიდა მაკურნებელი სიმთვრალე და თან გაიყოლა ავადმყოფი, ოღონდ ზღვით კი არა, არამედ სულ სხვა გზით, უსაშველოდ ხვეული და დაქანებული კიბით. საოცარი ის იყო მხოლოდ, როდესაც ავადმყოფი ამ კიბეზე ეშვებოდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ზევით იწევდა და მაღლდებოდა თანდათან.

2

ეზოში კოჭლი ავეტიკა შემოვიდა ღიღინით. გადმოშვებულ შავ ხალათზე მაკრად შემოჭერილ ბაწარში ყავრისაგან გამოთლილი ბებუთი ჰქონდა გაჩრილი, უკან, მხარზე არღანგადაკიდებული ქალი მოსდევდა, ქალს კი—

ნოდარ ფუფუნაძე
მარადისობის ანონი

ფრანგული თეთრი ბალონკა, რომელსაც შუბლზე ჩამოშლილი ქოქეთია ბეწვიდან ფოლაქისოდენა და მუგუზლივით შავი თვალები ისე უპრიალებდა, გეგონებოდათ, ბუჩქებიდან შეშინებული ბარაკი იმზირებაო.

ბაბაიანცი და მისი მოხეტიალე თეატრი შუა ეზოში დაბანაკდა.

ბაბაიანცმა კმაყოფილი ღიმილით მოავლო თვალი ოთხსართულიანი სახლის აივნებზე სარეცხივით გადაფენილ დიასახლისებს. მარცხენა ხელით ყავრის ბებუთის ტარს დაეყრდნო ამაყად, ხოლო მარჯვენათი სალამი და ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ბანოვანებს და თავისი თეატრის რეპერტუარი გამოაცხადა:

— თბილისის პატივცემულო პუბლიკავ და არისტოკრატიავ! დღეს თქვენ ნახავთ საქართველოს პუბლიჩნი არტისტის, ივეტიკ ბაბაიანცის პალეკი ტეატრის ახალი ტრაგედიის „ოტელლოს“ თანამედროვე ვარიანტს. ასრულებენ:

ოტელო — ივეტიკ ბაბაიანცი.

დეზდემონა — მარია პაეღოვნა.

იაგო — ბალონკა ანუ სტელა.

ბილეთის ფასი აბაზი — Деньги вперед!

უვერტურას არღანზე უკრავს მარია.

— Начинай дура! — მარიამ არღნის სახელური დაატრიალა. არღანმა საამურად დაიკვნესა და ბაბაიანცმა დაიწყო:

ბეზუი მოდის ბაღდადიდან,
ბეზუი მოდის ბაღდადიდან,
ტანანა, ტანანა, ტანანა, ტანანა,
ტანანინა, ტანანინა, ჰეი!
ვინცა ხართ ლამაზი,
მეხროლეთ აბაზი,
ტანანინა, ტანანინა, ჰე!

აივნებიდან ხურდა ფულმა ხიმჯიალივით ითქრიალა და ბზრიალ-ბზრიალით აყოლარუნდა ქვიფენილზე.

ბავშვები ისე დაესივნენ ხურდას, როგორც დამშეული ბეღურები საკენკს.

— ჰა, ჯიბგირებო, არ მომპაროთ, ეი!

— ზოგი შავია, ძია ბაბაიანც!

— რაც შავია, გაახურე და შუბლზე დაიკარი, რაც თეთრია, მიატა!

— ამას რა ვუყო, რეშეატა!

— მოიტა, ჯიბეში გადაბრუნდება.

— ვა, რამდენია?!

— ნუ გეშინია, მამაშენის ჯამაგირზე მეტი არ იქნება!

— Мария, сука, достань деньги из лифчика!

ფულის ოგროვება დამთავრდა. ბაბაიანცმა ქამარი მოიშვა, ხურდა ფული შარვლის შიდა ჯიბეში ჩაიყარა, გულის ჯიბიდან რვად გაკეცილი გაზეთი ამოიღო, მიწაზე გაშალა, ცეცხლი წაუკიდა ასანთით, ცოტა ხანს აცადა, გაზეთი რომ მთლიანად დაიფერფლა, ის ფერფლი ხელისგულზე მოაგროვა, ზედ დაიფურთხა და მეორე ხელისგულით სრესი დაეწყო, მერე ორთავე ხელი სახეზე ჩამოისვა და პირწყალარდნილ ოტელოს დაემსგავსა.

— Стелла, выходи! — ბრძანა ოტელომ, ძაღლი ოტელოსკენ მიცუნცულდა, ოტელო დაიხარა და ყური პრიალა შავ დრუნჩთან მიუტანა, ძაღლმა ანუ იაგომ სამჯერ ჩაჰყეფა ყურში ოტელოს და უკანა თათებზე დადგა.

— ოჰ! — ამოიგმინა ოტელომ და მაყურებელს ახედა: — იაგო ამბობს, რომ ჩემი ცოლი დეზდემონა ყვარობს კასიოს!! — მერე შეწუხებული სახით ისევ დაიხარა ძაღლისკენ და ისევ მიაღო დრუნჩზე ყური. ძაღლმა კვლავ სამჯერ ჩაჰყეფა ყურში. ამჟამად უფრო გაავებითა და ხმამაღლა, ვიდრე პირველად.

ოტელო ჯერ გაშტერდა, ცოტა ხანს ასე იყო, რთული სიტუაცია შეაფასა და უცებ გიჟივით გადაიხარხარა.

— ხა, ხა, ხა, არა და არა, მამაძაღლო!

ვიდრე არ მომცემ რამე სპეუთს, ვერ დავიჯერებ!

სტელა გაიქცა, მარიას მოცეკვავე კინტოებით მოხატული ბაღდადური ცხვირსახოცი გამოართვა და ოტელოს მოურბენინა. ოტელომ ცხვირსახოცს დახედა და გაშრა.

— სწორედ ის არის, მე რომ კახპას ვიჩუქე შარშან, — თქვა განწირული ხმით ოტელომ და აკაციის ხეს სამჯერ მიუჩაჩქუნა თავი. დამფრთხალი ბეღურები ყივილ-ხივილით გადფთქიალდნენ მეორე აკაციაზე.

— Мария, выходи! — დაუძახა დეზდემონას ოტელომ.

დეზდემონამ არღანი აკაციას მიაყუდა და ოტელოს მიუახლოდდა თავდახრილი.

— დეზდემონავ, რა უყავ იგი ცხვირსახოცი, მე რომ გიჩუქე?! — ჰკითხა ოტელომ და გამომცდელი თვალით შეხედა.

— Ты чего придираешься, откуда мне знать, где твой платок, не бось сам потерял или сунул куда-то, а теперь меня терзаешь! — ეცა დეზდემონა.

— არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ, ტროცკისტ კასიოს ანაცვალე შენ ჩემი თავი?! — გაცოფდა ოტელო და ყელში სწვდა დეზდემონას.

— Полегче, дурак! — გაუშვებია ხელი დეზდემონამ და თვითონ გაწვა ფრთხილად წინასწარდაგებულ შალზე. ოტელომ ისევ გადაიხარხარა, მერე დაიჩოქა, მკერდზე ყური დაადო დეზდემონას და რომ დარწმუნდა, მკვდარიაო, თავში წაჰშინა ხელი. მერე ქამრიდან იშიშვლა ყავრის ბებუთი, ღილაში გაირბო თერმომეტრივით და გვერდზე მიუწვა დეზდემონას. იგიც დრო იხელთა, ფეხი აიშვირა და აკაციაზე მიყუდებულ არღანს მიაშარდა.

ტრაგედია დამთავრდა.

— ბრავო, ბაბაიანც! — გრიალებდნენ აივნები.

— ბრავო, ოტელო! — ზრიალებდნენ შუშაბანდები.

—ბრავო, მარია! — გრიალებდა მთელი შენობა.

— ბრავო, დეზდემონა! — კიოდნენ დიასახლისები.

— ბრავო, სტელა, ბრავო, იაგო! — კიოდნენ ბავშვები.

სასადილო ოთახში შუქი ენთო. ოთახში სამნი ლაპარაკობდნენ, ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, ისე, თითქოს ვიღაც მეოთხის გაღვიძების ეშინითო. კედლის საათმა ორჯერ ჩამოჰკრა. ღამის ორი საათი იყო.

— ცოტა მოუჩქარეთ, ქალბატონო, სხვაგანაც ვართ მისასვლელი. — თქვა მამაკაცმა გაპარული ხმით.

— ოლია, აბა შენ იცი, ბავშვი დედასთან წაიყვანე ხონში, — ქალი აკანკალებული ხელებით ჩემოდანში თეთრეულსა და თბილ საცვალს ალაგებდა, თან ოლიას შესაცქეროდა მუდარით სავსე თვალებით.

— ნუ გეშინია, ანიკო! — ოლია ტიროდა.

— ხვალვე!

— არ გინდათ, ქალბატონო ანიკო, ანდერძები და ეგეთი რამეები, აკი გითხარით, ქმრის თაობაზე ერთ-ორ შეკითხვას მოგცემენ და მორჩა. რაც უფრო ადრე წავალთ, მით უფრო ჩქარა დავბრუნდებით. — აჩქარებდა კაცი.

— ჩემი და ჩემი შვილის ცოდვა იყოს თქვენს კისერზე, — თქვა ქალმა და ჩემოდნის დახურვა დაიწყო. ხელები ისე უთრთოდა, ვერაფრით საკეტის ენა ჭრილში ვერ მოახვედრა. მაშინ კაცი მიეხმარა. ქალი განზე გადგა. კაცმა ჩემოდანი დახურა და ქალს მიაწოდა.

— ცოტა მოუჩქარეთ, გათენდა, ქალბატონო ანიკო!

— სადაური ქალბატონი ვარ, მე, თუ კიდევ ერთი წვეთი ადამიანის სისხლი შეგრჩენია, თქვი, სახლში არ დამხვდა-თქო, ხვალ კი დავიკარგები, დავდნები, ავვორთქლდები, ქვესკნელში ჩავძვრები... — ქალის ხმაში სულ პატარა, იმედიანი ბგერა გაჩნდა.

— ეგ არ გამოვა!—თქვა კაცმა.

— მაშინ ერთი წუთიც მაცალე, ბიჭს დავემშვიდობები, — სთხოვა ქალმა.

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

— უკვე მესამედ ემშვიდობები! — გაახსენა კაცმა.

ქალი საწოლი ოთახისაკენ წავიდა. მამაკაცი ზურგით აეფარა კარს. — მოვრჩით, ყველფერს თავისი წესი აქვს...

— ერთხელ კიდევ! — ხმის კანკალით გაუმეორა თხოვნა ქალმა.

— მოვრჩით! მოკლედ მოგრა კაცმა.

— ცოლ-შვილი არა გყავს, შე უღმერთო? — ჰკითხა იმედდაკარგული ხმით ქალმა.

— არცა მყავს და არც მეყოლება, თავისუფალი კაცი ვარ! — ცალუბად ჩაიცინა კაცმა.

— თავისუფალი კი არა, მონა ხარ, შე უბედურო, ცვედანი, ტაკიმასხარა, კომედიანტი და ნაძირალა. — იფეთქა ქალმა.

— ნაძირალა და მასხარა ვინ არის, აქ გაირკვევა, ახლა ფეხი გამოადგი, ვიდრე რამე მიკადრებია. — გაფითრდა კაცი.

— ჯერაც არაფერი გიკადრებია.

— სამშობლოს მოღალატეს სხვანაირად არ ექცევიან.

— შენ რა იცი, სამშობლო რაა, შე მაწანწალა!

— ეგ სიტყვები დაიმახსოვრე, დედაკაცო!

— მახსოვს.

კაცმა ქალს მკლავში მოჰკიდა ხელი და სადარშაზოს კარისაკენ წაიყვანა.

— ოლია! — თქვა ქალმა.

— ჩემთ ანიკო! — მერე დუმილი ჩამოვარდა და უცვე ორი ქალის თავშეუყავებელმა ქვითინმა ააკლო ოთახი.

— ანდრო, შენი ჩათლახი დედა ვატირე ჩემი აქ გამოგზავნისთვის! კბილები დაიღრეჭიალა კაცმა. — კარგი ახლა, მეც კაცი ვარ, ბოლოს და ბოლოს, — მიუბრუნდა ქალებს და ყელში მომდგარი ბურთი ძლივს გადაყლაპა ნერწყვით. — მორჩით!!!

ბავშვი კარის მძლავრმა გაჯახუნებამ გამოაღვიძა. იგი სწრაფად წამოჯდა ლოგინზე და დედის საწოლს გახედა. ლოგინი ცარიელი იყო.

— დედა! — დაიძახა ბავშვმა. ხმა არავინ გასცა.

— დედა! — გაიმეორა მან წყნარად და ხელი დედის საბნის ქვეშ შეაცურა. ლოგინი ჯერ კიდევ თბილი იყო.

შიში ფეხის ტერფებიდან დაიწყო, მუხლები გაიარა და მუცლის არეში შეძვრა, მერე ფილტვები შებოჭა და ბოლოს თვალებში ჩაბუდდა. ბავშვი საწოლიდან გადმოვიდა, გრძელი, კოჭებამდე თეთრი პერანგი ეცვა. ფეხშიშველი მივიდა სასადილო ოთახის კართან და ხელი ჰკრა.

სასადილო ოთახში, დაბალ ტახტზე ხელებში თავჩარგული დეიდა ოლია იჯდა და მხრები უთახთახებდა. ბავშვი მიუახლოვდა, მის წინ დადგა და ჩურჩულით ჰკითხა:

— დეიდა ოლია, ჩემი დედა სად არის? — ქალს თავი არ აუღია.

— დეიდა ოლია, სად არის ჩემი დედა? — გაუმეორა ბავშვმა კითხვა და მხარზე შეახო გამხდარი, ცივი და ოფლიანი ხელი.

— შენი დედა, ბაჩანა...— ქალს ხმა ჩაუწყდა.

—ჩემი დედა რა იქნა?!

ქალი წამოდგა, ბავშვი მკერდში ჩაიკრა და პირზე ხელი ააფარა, ეს შემზარავი კითხვა რომ არ გაეგონა. ქალს ბავშვის ხმა აღარ ესმოდა, მაგრამ ხელისგულზე ტუჩების მოძრაობით გრძნობდა, რომ ბავშვი დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავე კითხვას. ბავშვი გაცივდა და ოფლად გაიღვარა, ტუჩები აღარ მოძრაობდნენ.

— ღმერთო, ნუთუ ვერ ხედავ ამას და თუ ხედავ, სად ხარ?! — თქვა ქალმა და ბავშვის წინ მუხლებზე დაეშვა.

●

— თქვენს ბავშვს გულის მანკი აქვს და მწვავე ნევროზიც, — თქვა ექიმმა.

— სიიდან? — დაბნეულად იკითხა დეიდა ოლიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეძენილი მანკია, რამე მძიმე ტრავმა ხომ არ გადაუტანია?

— არა, ბატონო!

— რა ხნისაა?

— ცხრის.

—გასაკვირია პირდაპირ.

❸

მატარებელი მწვანე მუხლუხოსავით გაბობდა თბილისის სადგურიდან. დიდა ოლიამ ბაჩანას ტანზე გახადა, ლამის გრძელი პერანგი ჩაიცვა და ზედა საწოლზე დაწვინა. სასთუმლად ვეებერთელა ტყავის ჩემოდანი დაუდო და თვითონ ქვეეთი მოთავსდა, ფანჯარასთან.

— დაიძინე, — უთხრა დიდა ოლიამ. ბაჩანა კედლისკენ გადაბრუნდა. ვაგონი საერთო იყო, ხალხით გაჭედილი და აქოთებული.

—რა უნდა თქვა ძილის წინ, ბაჩანა? — შეახსენა დიდა ოლიამ.

— ძილი ნებისა, ბატონებო! — გაუღიმა ბაჩანამ მგზავრებს და ისევ კედლისკენ გადაბრუნდა.

— დედა, რა ზრდილობიანი ყოფილა ეს ბალანა, — გაუკვირდა ერთ მგზავრს, — აბა, ჩემები სულ მამაძაღლოს ეძახიან ერთმანეთს, ძილის წინ, მე რომ ვარ იქ, ისე. თქვენი შვილია, ქალბატონო? — ჰკითხა ოლიას.

— დიახ.

— ოხ, — მოუწონა მგზავრმა, — კი მაგრამ, რომ არ გგავთ სულ, მამას ჰგავს, ალბათ?

— დიახ.

— სწორი ყოფილა აბა, დედა ნახე, მამა ნახეო. — თქვა მგზავრმა.

— დიახ. — გაუღიმა დედა ოლიამ.

დდდმ—ddddm—ddddm.

ddddm—ddddm—ddddm... აგრუხუნდნენ ბორბლები ლიანდაგზე.

— აბა, შტორები ჩამოუშვით! — თავი შემოყო კუპეში გამცილებელმა.

— რა მოხდა? — იკითხა დედა ოლიამ.

— ზაჰესია! — აუხსნა ვიღაცამ.

— მერე რა?

—დიერსიის ეშინიათ, — განმარტა იმავე ხმამ.

— დიერსია, დიერსია, — გაიმეორა ძილ-ღვიძილში ბაჩანამ, ნეტავ რა არის დიერსია, რომ გვიდევეძებ, უეჭველად ვკითხავ დედა ოლიას, — გაიფიქრა ბაჩანამ, მერე სიფხიზლე გაუგორდა სადღაც ჭრელი ბურთივით და მატარებლის ბორბლების საამო დაგადუგში დაეკარგა.

...ლამით დედა მოვიდა, ფრთხილად გამოაცალა ბაჩანას სასთუმლიდან ჩემოდანი და ძალიან რბილი, ფაფუკი ბალიში დაუდო. ბაჩანა შეიშმუშნა. დედა ყოველთვის უსწორებდა სასთუმალს, ამიტომ თვალიც არ გაუხელია, პირიქით, საბანი თავზე წაიხურა.

— ბალიშზე დადე, შვილო, თავი, ბალიშზე, — ესმის ბაჩანას დედის ჩურჩული და მორჩილად სწევს თავს. — დაიძინე, გენაცვალე, დაიძინე. — ბაჩანამ ლოყაზე ხელის მოთათუნებაც კი ეკარძნა. ეხამუშა დედის ხელი, ცოტა უხეში მოეჩვენა, მაგრამ იქნებ მამაა და როგორც ყოველთვის, საჩუქარს უდებს ბალიშის ქვეშ...

—დდდმ, ddddm, ddddm... — მღერის მატარებელი.

სინავს ბაჩანას მშვიდი ძილით. სძინავს და ფერად სიზმარს ხედავს: პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში ვამწკრივებულ თეთრპერანგიან და ალისფერ ყელსახვევიან რაზმელებში დგას. გაუგონარი დღეა: ხოზე დიასი და დოლორეს იბარური ესპანელი რესპუბლიკელი ბავშვების ნაჩუქარ ფოჩიან ქუდებს ურიგებენ პიონერებს... დოლორეს იბარური შავგვრემანი, მაღალი და უსაშველოდ ლამაზი ქალი, ბასკი ბიჭის სახელით გადასცემს ბაჩანას ფოჩიან ქუდს.

— იყავ მზად! — ეუბნება დოლორეს იბარური.

ნოდარ დუმბაძე
ბარანდისობის კანონი

— ზზად ვარ! — ეუბნება ბაჩანა და სალამს აძლევს

— სალუტ! — პასუხობს დოლორესი შეკრული მუშტით, მერე ხელს უთათუნებს ლოყაზე და ეღიმის.

მატარებელი გიორგი გამოვარდა წიფის გვირაბიდან. მარელისის დაფეთებული მგზავრები კიბელით ვაგონში შუაში და შეუჩერებლად გაქანდა სადგურიისაკენ.

— ასე თუ იარა, ერთ საათში სამტრედიაში ვიქნებით, ბატონო! თქვა ხრიზწინანი ხმით წვირიანი დოლბანდით ყელშეხვეულმა მგზავრმა.

— იქაც რომ არ გაჩერდეს? — იკითხა შეშფოთებულმა დეიდა ოლიამ.

— რიღაც უბედური ვაგონი ჩაგვიგეს მცხეთაში, სამხედროები იდგნენ კიბეზე, წყალზე ვიყავი ჩასული და ჩემი თვალით დავინახე მაგენი მე. — თქვა კაცმა, რომელსაც ბაჩანას ზრდილობა გაუკვირდა.

მატარებელი კი კიბელით მიქროდა. ქუჩაში უპატრონოდ დაყრილ ბავშვებივით ტოვებდა წუთიან და ორწუთიან სადგურებს.

— მოეშზადეთ, ნახევარ საათში სამტრედია იქნება. გაჩერება სამი წუთი! — საწოლებზე გასაღების კაკუნით ჩამოიარა გამცილებელმა. — სამტრედია! — მოადგა იგი ბაჩანას კუპეს.

— ნამეტანი ჩქარია ღღეს თქვენი მატარებელი და ბილეთებზე ფულის დამატება ხომ არ მოგვიწევს? — იკითხა იმ მგზავრმა, ბაჩანას ზრდილობა რომ მოეწონა.

— მაგი სადგურის უფროსს ჰკითხე, რომ ჩახვალ, — დაუღრინა გამცილებელმა.

—დამხვდება თუ? — მოგონილი გულუბრყვილობით ჰკითხა მგზავრმა.

— თუ არ დაავიწყდა მთავრობას შეტკბობინება, დაგხვდება, ალბათ. — აგდებულად უპასუხა გამცილებელმა.

— გულმავიწყობაში ვერ დაემდურები ჩვენს მთავრობას, ცხრაას ხუთშვიდ ვუყარე კენჭი ილორის ჯვარის ეზოში გამართულ მიტინგზე, იგი ახლოვს მაგას.

— ნუ გადაგიკიდია ენა ბურჯინიგით მხარზე და ღმერთს მადლობა შესწირე, ყრუი რომ ვარ! — დაამადლა გამცილებელმა. მგზავრმა ენას მოუკლო, მატარებელმა — სვლას.

— ქალბატონო, თქვენ მგონი სამტრედიაში ჩადიხართ! — ხელი შეახო მუხლზე ჩათვლემილ დეიდა ოლიას ახალგაზრდა მგზავრმა. — ქალბატონო! — დეიდა ოლია შეკრთა და თვალი გაახილა.

— რა ბრძანეთ?

— მგონი სამტრედიაში აპირებდით ჩასვლას.

— დიახ.

— უკვე ჩავდივართ! — დეიდა ოლია გველნაკბენივით წამოხტა და ბაჩანას საწოლს მიაწყდა.

— ადექი, ბაჩანა, ჩავდივართ! — ბაჩანა შეიმშუშნა და საწოლზე წამოჯდა.

—დ-დმ, დ-დმ, დ-დმ, — მატარებელი ახლა ერთი მუხლის ჩაგდებით მლეროდა.

— მალე, ბაჩანა! — აჩქარებდა დეიდა ოლია და ხელჩანთას ამზადებდა, ბაჩანამ ხელი სასთუმლისკენ წაიღო და გაშტერდა...

— დეიდა ოლია, რა იქნა დედაჩემი?!.

— რას ამბობ, ბაჩანა? — ხმის კანკალით თქვა დეიდა ოლიამ და საფეთქლებზე წაივლო ხელი. გაკვირვებული მგზავრები ხან ბაჩანას უყურებდნენ, ხან მიტკალივით გათეთრებულ დეიდა ოლიას.

— დეიდა ოლია, ჩემოდანი დედამ წაიღო. სად არის ჩემი დედა?! — ოლიამ იგრძნო, რომ წინა ღამის ისტორია მეორდებოდა. განცვიფრებული, შიშველი ბავშვი საწოლიდან გადმოიყვანა, გულში ჩაიკრა, ხელი პირზე აიფარა და პირდაპირ იატაკზე დაუშვა.

— მიშველეთ, ხალხო! — თქვა მან. მატარებელი გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტრედიის სადგურის მორიგემ სამჯერ ჩამოჰკრა ზარს და როდესაც მეორე ლიანდაგზე ჩამომდგარმა მატარებელმა ზანტად ჩაიარა და სადგურს გასცდა, ხელი ზარის ენაზე გამობმული ბაწარზე შეაცივდა. მისი წინ, ცარიელ ბაქანზე ორი ადამიანი იდგა: ერთი თმაგაშლილი, უპალტოო, შეშლილი სახის ქალი და მეორე ფეზშიშველი, კოჭებამდე თეთრ პერანგში ჩაფართხუნებული, გაკვირვებული ბიჭი. ისინი ხელიხელჩაკიდებული იდგნენ და არ იძვროდნენ. დაბნეულმა მორიგემ ანგარიშმიუცემლად გამოქაჩა ბაწარი, მერე ისევ და ისევ და ღამის ჩამკვდარი სიჩუმე ზარის გაბმულმა ზრიალმა აავსო.

— დზინ, ნაუ... ნაუ, დზინ, დზინ ნაუ, დზინ, ნაუ...

— ზოსიმე, გადი და გააჩერე ის მღვდელი, ისევ მთვრალი მოეთრია სამორიგეოდ?! — უთხრა სადგურის უფროსმა თავის თანამშრეს და წითელქუდიანი თავი ფანჯარაში გამოყო.

ქალი და ბავშვი კვლავ ბაქანზე იდგნენ. ზარი კი გაბმულად რეკდა — დზინ, ნაუ, დზინ, ნაუ, დზინ, ნაუ, დზინ, დზინ, დზინ.

3

სიკვდილის ხელიდან გამოგლეჯილი ავადმყოფი იმ ცნობისმოყვარე ბავშვს ჰგავს, ცირკში რომ მიიყვანენ, სულ წინა რიგში დასვამენ და უცებ საოცრებებით სავსე ფარდის იქიდან, რომ ფრაკგაპრილებული, თმაგადალესილი, ანტერპრენიორი ლმობიერებდა და გამოაცხადებს.

— პატივცემულო მოქალაქენო, ცირკის ადმინისტრაცია უზომო ბოდიშს იხდის თქვენ წინაშე. ილუზიონისტის უეცარი ავადმყოფობის გამო სანახაობა არ შედგება!...

პალატა სამსაწოლიანი იყო. შიგ ერთმანეთში გაზავებული იოდოფორმის, სპირტის, ქაფურის, ახლად მორეცხილი ნესტიანი იატაკის და, რა თქმა უნდა, შარდის სუნი იდგა. სული. რომ არ შეხუთვოდა, ბაჩანამ ძალიან ფრთხილად მოძრაობით საბანი ცხვირზე წაიფარა, შემდეგ მარცხენა ხელი მარჯვენა ხელის მაჯისაკენ გაიპარა. გული დაახლოებით ისე ძვრედა, როგორც ბავშვობისას, დახუჭობანას თამაშის დროს, თვალდახუჭული და შუბლით კედელს მიყრდნობილი ბაჩანა რომ ითვლიდა ხოლმე: — ერთი, ერთნახევარი, ორი, ორნახევარი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, შვიდნახევარი, რვაააა-ნაა-ხეეე-ვა

ნთქავთ, — აუხსნა მეორე საწოლმა. ბაჩანა მიხედა, რომ პირველ საწოლს ბულიკა ერქვა, ახლა საჭირო იყო მეორე საწოლის ვინაობის გაგება.

— დრო! თქვა ბაჩანამ.

— მე მგონი ის დროა, მამაო, პირჯვარს იწერდეს და ღმერთს მადლობას სწირავდეს, — თქვა პირველმა საწოლმა. ბაჩანამ თვალი მეორე საწოლისაკენ გააპარა და ჯადარაშერეულ შავ წვერს მოჰკრა თვალი. „ეშღდელია,“ — გაიფიქრა ბაჩანამ და ისევ დრო იკითხა.

— დილის ცხრა საათია! — უპასუხა მეორე საწოლმა.

— საუკუნე ხომ არ გაინტერესებს, ბატონო? — ჰკითხა პირველმა საწოლმა.

ავადმყოფები ან მაშინ ხუმრობენ, როდესაც კვდებიან და საშველს ვერ ხედავენ, ან მაშინ, როდესაც უკვე ყოჩაღად არიან. ბაჩანას ახსოვდა, რომელი საუკუნე იყო, მაგრამ ახლა ამ ყოჩაღი ავადმყოფის სახე აინტერესებდა, რომლის საწოლი ბაჩანას საწოლის ფეხებში იდგა და ავადმყოფს მელოტი თავის კოტორის გარდა არაფერი არ უჩანდა. თეთრი, ჩაკეცილი ბალიშის ორი აცქვეტილი ყურე მის თავს ვირის ჩოჩორის თუ კურდღლის ფორმას აძლევდა. ბაჩანას უნებურად გაეღიმა და რომ მეზობელი არ გაენაწყენებინა, მაინც იკითხა:

— რომელი საუკუნეა?

— ეგ ძალიან შორიდან მოდის, აი, მამაო! — გაეხმიანა, პასუხის ნაცვლად. მეორე საწოლს ბულიკა, — მე ეგრე შორს არ წავსულვარ...

— შენ, ბიჭო, მარტო უკანა კედელზე გჭონდა ფიშვია, ამას ბაგრატის ტაძარივით ყველა კედელი დანგრეული ჰქონდა. — აუხსნა მეორე საწოლმა.

— რაღაი ეგრეა, თქვენთვის ახალი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის პირველი დღეა, პატივცემულო! — დაუდგინა თარიღი ბაჩანას პირველმა საწოლმა.

ბაჩანამ არაფერი უპასუხა, პალატას დაუწყო თვალიერება:

კარი, საწოლი, საწოლი, ორი დაბალი კარადა. ზედ დალაგებული ბაჭვნანი ქილებიანი,. უამრავი წამლებით, და ხელსახოცგადაფარებული ხილით. თეთრი კედლები, ერთი დიდი ფანჯარა და ერთიც საერთო მაგიდა, წყლიანი გრაფინითა და დამჭკნარი ვარდებით. № 2 საწოლის ქვეშ თეთრი გედივით ყელმოღერებული ღამის ქოთანი. № 1 საწოლის ქვეშ რა ხდებოდა, ბაჩანა ვერ ხედავდა. თვითონ ბაჩანა № 3 იყო. ასე დანომრა საწოლები. № 1 საწოლის ავადმყოფი თავისი მელოტი თავითა და ბალიშის აცქვეტილი ყურებით ახლა თეთრ ვირს უფრო ჰგავდა, ვიდრე კურდღელს. № 2 საწოლის ავადმყოფი კი საკმაოდ სიმპათიური ეჩვენა ბაჩანას, პროფილის მიხედვით, რომელსაც ბაჩანა ხედავდა, მას სწორი ცხვირი, გამხდარი, გამოკვეთილი ყვრიმალები და გამოკვეთილი ნიკაპი ჰქონდა, რომლებსაც ძალიან ხშირი, ჭადარაშერეული წვერი უმშვენებდა. — ნეტავ რომელი რიცხვია ან რომელი თვე. წელიც არ ახსოვდა ბაჩანას, რომელი წელი იყო. უამრავზე უამრავი შეკითხვა აწუხებდა ახლა ბაჩანას და რაღაი თვითონ არც ერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემის უნარი არ ჰქონდა, ახლა ყველა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას მის ოთახში, ლოგინზე გაკრული ორი უცნობი კაცისაგან ელოდა. ჯანდაბას, ყველა შეკითხვას არ ჩივის ბაჩანა, რამდენიმეზე ან ერთ შეკითხვაზე მაინც უპასუხონ ამ კეთილშობილმა ადამიანებმა.

— რომელი წელია? — იკითხა უცებ ბაჩანამ ანგარიშმიუცემლად და დაღლილი ჭუთუთოები მისით დაეხუჭა.

— ან გვაშაყირებს ან ბოდავს! — თქვა ბულიკამ.

— მაგას ყანგბადი აკლია და მეხსიერების ძაფი უწყდება. მეც ასე ვიყავი, — თქვა მეორე საწოლმა. — როგორმე ფანჯარა უნდა გავუღოთ.

ბაჩანამ იგრძნო, როგორ აიესო ოთახი კვლავ ვარდისფერი ნისლით და როგორ დაიშვა ისევ ხვეულ კიბეზე.

— თქვენ რა გქვიათ, პატივცემულო?

— მოესმა შორიდან ბაჩანას ბულიკას კითხვა და შეჩერდა.

— მე ბაჩანა მქვია, ბატონო, რამიშვილი! — უნდოდა ეპასუხა ბაჩანას, მაგრამ ისე შორს ეჩვენა შემკითხველი, მიხვდა, რომ ხმას ვერ მიაწვდენდა და ხელი ჩაიქნია. ყვირილის თავი არ ჰქონდა.

— იძინებს, აცალე! — მოესმა ახლა მეორე საწოლის ხმა ბაჩანას უფროს შორიდან.

— არ ვიძინებ, კიბეზე. ვეშვები და დამაბრუნეთ, თუ შეგიძლიათო, — უნდოდა ეთხოვა ბაჩანას მისთვის, მაგრამ ვარცისფერმა ნისლმა ისე დაათრო, ენას ვეღარ აბრუნებდა. ამიტომ სულ რომ არ დაჰკარგოდა ამ ადამიანების ხმა, კიბეზე ჩამოჯდა.

— დაიძინა! — თქვა ბულიკამ.

ბაჩანას არ ეძინა, ბაჩანას ყველაფერი ესმოდა.

●

ბულიკას საწოლის ქვემოდან ვირთხა გამოძვრა, დრუნჩი მაღლა ასწია, ჰაერი დაყნოსა და ულვაშები აიცმაკუნა.

— გამობრძანდა! — თქვა № 2 ავადმყოფმა.

— მარტოა თუ შემადგენლობით? — იკითხა ბულიკამ.

— ჯერ მარტოა. — უპასუხა № 2 ავადმყოფმა.

— ნახე, ეგ ჩვენი მწერალი ხომ არ მომკვდარა, მაგან მკვდრის სუნზე იცის გამოსვლა, — თქვა ბულიკამ და თავი ფრთხილად გადმოჰკო, რათა საკუთარი საწოლის ქვეშ ვირთხა დაენახა. საწოლი აკრიალდა, ვირთხამ ყურები ცქვიტა და სიოსა ეცა, მარტო კუდს შეასწრო თვალი ბულიკამ.

— წავიდა! — თქვა გულდაწყვეტილმა.

— ახლავე დაბრუნდება, — თქვა მეორე ავადმყოფმა, — კარადიდან ერთი ნატეხი შაქარი აიღო და შუა პალატაში გაადგორა. ახლავე გეახლებათ, შემადგენლობით, — დასძინა.

— მაინც გახედე, ის ჩვენი მწერალი ხომ არ მომკვდარა, — ისევ გამეორება ბულიკამ. მეორე ავადმყოფი ბაჩანას საწოლს დააკვირდა. ბაჩანა გულაღმა იწვა და ფესვსხო ხელები მკერდზე ჭქონდა დაკრეფილი.

— მუცელზე ზეწარი ადი-ჩამოდის, — თქვა მეორე ავადმყოფმა. — ქუთუთოებსაც ამოძრავებს.

— თუ ზეწარი ადი-ჩამოდის, ესე იგი, სუნთქამს, თუ სუნთქამს, ესე იგი, გული მუშაობს, თუ ქუთუთოებს ამოძრავებს, ესე იგი, არ ძინავს, თუ არ ძინავს, ესე იგი, ესმის, თუ ესმის, ესე იგი, ხმა უნდა ამაიღოს, თუ ხმას არ ამაიღებს, ესე იგი ამ ქვეყნისა არ არის, — დასასკვნა ბულიკამ. — პატივცემულო მწერალო, ცოცხალი ბრძანდებით?

ცოცხალი ვარ, აგერ შუა კიბეზე ვზივარ და გელოდებით, როდის ამოძიყვანთო, — უნდოდა ეოქვა ბაჩანას, მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრი იყო, ფიქრი კი ვერა და ვერ აღწევდა ბულიკას ყურამდე.

— ეგ თუ გამოძვრა, ღმერთს ვიწამებ. — მიუბრუნდა ბულიკა მეორე ავადმყოფს.

— გამოძვრა! — თქვა მეორე ავადმყოფმა, — შემადგენლობით მობრძანდება. — ვირთხა ამჟამად მეუღლისა და ორი წრუწუნას თანხლებით გამობრძანდა: ბულიკას გედვიით ყელმოღერებულ დამის ქოთანს საპატიო წრე დაარტყა და იატაკზე გაგორებულ შაქარს დაურიდებლად მიადგა. სოროში წაღებითაც კი არ შეუწუხებია თავი. ჯალაბს დაუძახა და იქვე დაუწყეს შაქარს ღრღნა რიგრიგობით.

— იცის ამ შობელძაღლმა, ადგომის თავი რომ არა გვაქვს, თორემ ეგრე უნამუსოდ ვეფხვიც არ მოგვექცეოდა. — სინანულით გადააქნია თავი ბულიკამ. — ვირთხამ შაქარს თავი მიანება, უკანა თათებზე დაჯდა და ბულიკას გახედა ცნობისმოყვარეობით.

— ესმის ყველაფერი ამ ვირიშვილს, — თქვა და ვირთხას თვალი აარიდა ბულიკამ.

ნოდარ ლეშგაძე
მარადისობის ანანენი

— მზამს რომ არს ერა რამ საიდუმლო,
უსასაოთა და უსულთო შორის
და უცხოელს სხვათა სიტყვათა,
არს მნიშვნელობა მათი საუბრისა... —

წაიკითხა გამოთქმით მეორე ავადმყოფმა.

— ეგ ვეფხისტყაოსანია? — ჰკითხა ბულიკამ.

— არა, ვეფხისტყაოსანი ეგ არის:

რა ესმოდათ მღერა ყრმისა
სმენად მხეცნი მოვიდიან.

გაახსენა მეორე ავადმყოფმა.

— კაცი ვარო, მაგან უნდა თქვას, უფასო შაქარს ჭამს, თანაც ლექსებს ვუკითხავთ. არც ინფარქტი აწუხებს, არც სტენოკარდია, არც ტახიკარდია, ნახე, რა გოჭივით არის დამრგვალებული.

— აქ კარგი პირობებია სამაგისოდ, — დაეთანხმა მეორე ავადმყოფი.

— ახლა ეგ რომ ვინმე უცხოელმა კორესპონდენტმა ნახოს, ხომ გაგვქმიავს „ბოლოდ ამერიკაში", საბჭოთა ავადმყოფებს ვირთხები უკანასკნელ შაქრის ნატეხს პირიდან გლეჯავენო, — შეუწუდა ბულიკა.

— თუ საკითხს სოციალურ და ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, თან ანტისანტარიას გამოვრიცხავთ, ობიექტურად და ლოგიკურად ვირთხა იქ ჩნდება, სადაც ჭარბი პროდუქტია. საერთოდ კი, ცოცი და ჩუმა რომ არ იცოდეს, დალოცვილმა, მაგიც ღვთის შვილია. — თქვა მეორე ავადმყოფმა.

— ახლა, შენ ისეგ ჩხუბი არ დამიწყო, უდმერთო ხარო და იმ შენ ღმერთს რა ვუთხარი, ვირთხა რომ გაიჩინა. ეგეთ სიქმეს რომ აკეთებ, თან ინსტრუქცია უნდა გამოაყოლო. ახა, რა არის ამ ქვეყანაზე ვირთხის დანიშნულება: მუზიკას უკრავს? — არა, ღვინოსა სვამს? — არა, ტუფლებს აპაჩინკებს? — არა, მღერის? — არა, ტოლმას აკეთებს? — არა, მაშ რას აკეთებს? შაქარს ხრავს, იატაკს ხრავს, ბიწას ხრავს, რკინას ხრავს, ხოლერას აჩენს, ჩუმას აჩენს, ცოფს აჩენს, მეტს რას აკეთებს, ჰო, ცურაცლავს. სულ ეგ არის შენი ღმერთის შემქმნილი? თფუ, მაგის ბინძური ღმერთ ვატირე! — გადაფურთხა ბულიკამ და კედლისაკენ გადაბრუნდა.

— ბრიყვო, ღმერთმა ვირთხა იმიტომ გააჩინა, რომ შენისთანა უმეცარისათვის ეჩვენებინა, აი, რა შემძლეაო, — აუხსნა მეორე ავადმყოფმა. — და თუ ენას კბილს არ დაჭერ, შეიძლება, სიკვდილის შემდეგ შენი სული ვირთხაში გადაასახლოს, — დაემუქრა.

— მაგისთვის ერთი ვირთხა არ ეყოფოდა დალოცვილს? — დაუბრალდა ხმა შეშინებულ ბულიკას.

— ახლა აიღე და შაქარი გადაუგდე, მე აღარა მაქვს, — გათამამდა მეორე ავადმყოფი.

— კამფეტი რომ გადავუგდო. «Раковая шейка» პრაშჩიკებს ხომ არ დააყრის? — იკითხა ზიზღით ბულიკამ და ისევ გადმობრუნდა. ვირთხებმა ადგილი შეინაცვლეს და ახლა მეორე ავადმყოფის განჯინასთან აცმაცუნებდნენ რაღაცის ნამცეცებს.

— ღვთის შვილია ყოველივე, ბუნებისმიერი და ამიტომ სრულ ჰარმონიაში უნდა ვიყოთ ერთმანეთთან. — დასძინა მეორე ავადმყოფმა. ვირთხები ახლა ბაჩანას კარადას მიადგნენ, მაგრამ ბაჩანა, როგორც ახალი ავადმყოფი, ჯერ არაპროდუქტიული გახლდათ, ამიტომ კვლავ მეორე ავადმყოფის კარადას ეწვევნენ და რაღაი იქაც არაფერი დახვდათ, კარადის ფეხს დაუწყეს ღრღნა გულისწამღებად.

— უჰ, თქვენი სინსილა გაწყდა! — იკივლა უცებ მეორე ავადმყოფმა და ისეთი სიძლიერით მოუქნია ფეხსაცმელი, რომ შეშინებულმა ბულიკამ გულზე იტაცა ხელი.

— ჰარმონიას ნუ დაარღვევ, მამაო! — უთხრა მან ირონიით და ენის ქვეშ ნიტროგლიცერინი ამოიღო.

— რაშია საქმე? — იკითხა ხმაურზე შემოსულმა ექთანმა.

— ქალბატონო ჟენია! — დაიწყო აღელვებულმა მეორე ავადმყოფმა, — ან სათაგური მოგვიტანეთ, ან თაგვის შა-

ქარი ან დაგვიცავით ამ საზიარო ცხოველებისაგან.

— რა გიქვთ მხედველობაში, ბატონო? — ჰკითხა გაკვირვებულმა ექთანმა.

— ცხადია, ვაჟაკაცურ ვაშველას „სათაგურს“ არ ბოხოვთ, ვირთხებისაგან დაგვიცავით, აუტანელია უკვე მათი ცქერა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, ოცდაათი წელია აქ ვმსახურობ და ჯერ არავითარი თაგვი არ შემხვედრია.

— ეგ თაგვი არ არის, ვირთხაა, — აუხსნა ბულიკამ.

— მით უმეტეს! — თქვა ექთანმა.

— გეუბნებით, ვირთხაა, ქალბატონო ქენია, — დაეინებით გაუმეორა მეორე ავადმყოფმა.

— ეს ვისია? — სიტყვა ბანზე აუგდო. ექთანმა და შუა ოთახში ამობრუნებული ფეხსაცმელი აიღო.

— ჩემი, ბატონო, ვირთხას ვესროლე, — აუხსნა მეორე ავადმყოფმა.

— აკი, არა კაც ჰკლაო, მამაო? — ჰკითხა ექთანმა.

— თქვენი დასაცინი არაფერი აქვს მაგ აღქმას, ქალბატონო ქენია და ისე, დროა, თქვენი ხნის ქალმა ვირთხა და კაცი გაარჩიოს ერთმანეთში. — იწყინა მეორე ავადმყოფმა.

— ჩემს ხნოვანებას თქვენ არავინ გეკითხებათ და მე ვირთხების ექთანი არ გახლავართ, თუ წამალი გნებავთ, მითხარით, თაგვის შაქარი და სათაგური კი საწყობის გამგეს მოკითხეთ. — გაკპასუდა ექთანი.

— ახლა, ჩვენ, ბატონო, მწერალი გვყავს პალატაში, მალე გონს მოვა ალბათ, ყველაფერს თავისი თვალით ნახავს და გაგეჩივით გაზეთში. — დაემუქრა ბულიკა. ექთანი ბაჩანასაკენ მიბრუნდა, მერე მივიდა, საწოლზე ჩამოუჯდა და მისი უსიცოცხლო მაჯა აიღო ხელში.

— ისე მაგის მტერი გაიჭიმა, როგორც ეგ ვინმეს გაზეთში გაეჭიმავს აწი. — თქვა ქენიამ და ამოიოხრა.

— ფანჯარა გაუღეთ, წეღან გონს მოვიდა და ჰაერი მოითხოვა, — გააჩერეთ მეორე ავადმყოფს.

ქენია სწრაფად წამოდგა და ორთავე სარკმელი გაფეთქა. ოთახში გრილი, მაცოცხლებელი, აკაციის სუნით გაჟღენთილი ჰაერი შემოვარდა. პალატა გაზაფხულით აივსო.

●

— ამოდი, ამოდი, ამოდი, — ჩაესმა კიბეზე მჯდომ ბაჩანას ვიღაცის ძალიან ნაცნობი ხმა. ბაჩანა ადგა და ვარდისფერ ბურუსს აჰყვა ზევით. კიბე აყვავებული აკაციებით გარშემორტყმულ მდელოზე ამოდიოდა. სისხლისფერი ყაყაჩოებით მოჩითულ მდელოზე ღრუბლივით თეთრი ფაფარგაშლილი კვიცი იდგა და ფლოქვს ისე სცემდა მიწაზე, თითქოს ხელს უქნევდა ბაჩანას.

— მოდი! — მოესმა ბაჩანას კვლავ, — მოდი და შემაჯექ! — ბაჩანა გადაევლო უბელო კვიცს და რომ არ გადმოვარდნილიყო, ფაფარში ჩარგო თავი და მკლავები ყელზე შემოაჭდო. კვიცი გაქანდა და მისი ფლოქვების თქარათქურზე მიხვდა ბაჩანა, რომ იგი დაუნალავი იყო. კვიცი თეთრ საყდართან შედგა და ათი ათასი სხვადასხვა ზომის ზარის ხმით დაიჭიხვინა. მაშინ საყდრის ორთავე კარი გაიღო და შიგნიდან მზე მარიამი გამობრძანდა, პატარა ბავშვით ხელში. „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“, — გაიფიქრა ბაჩანამ და მუხლებზე დაეშვა...

თვალი რომ გაახილა ბაჩანამ, თავზე თეთრ, სპეტაკ ხალათში გაჯეკილი ექთანი ადგა და მაჯას უსინჯავდა. ბაჩანა გრძნობდა, როგორ მიედინებოდა სისხლი ძარღვებში და როგორ უჭირდა იქ, სადღაც გულთან გავლა, მაგრამ არ ჩერდებოდა, საოცარი სიჯიუტით მაინც მიდიოდა და აწვებოდა კედლებს. სისხლი უკვე კი არ მიე-

---

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის ბანები

დინებოდა, კი არ მიიზლაზნებოდა მდორედ, არამედ ჩქეფდა საფეთქლებში და მაჯებში. ჩქეფდა ისე, რომ გულიც, მაჯებიც და საფეთქლებიც სტეიოდა ბაჩანას, მაგრამ ეს სულ სხვა, განსხვავებული ტკივილი იყო და ბაჩანა მიხვდა, რომ სადღაც წასული სიცოცხლე შემობრუნდა, ოთახის კარი შემოაღო, საწოლზე ჩამოუჯდა და მკერდზე შეახო ხელი. ბაჩანამ ყველაფერი ეს ჯერ იგრძნო, მერე გაიგონა და ბოლოს დაინახა.

— გამარჯობა! — უთხრა მან სიცოცხლეს და გაუღიმა.

— გამარჯობათ! აღმოხდა ექთანს და ორთავე ავადმყოფს.

მოულოდნელობა სიხარული და გაკვირვება, ყველაფერი ერთად იყო ამ გამარჯობაში.

— გამარჯობათ! — გაიმეორა ბაჩანამ და ახლა მათ გაუღიმა.

— დაბრუნდა, — თქვა ბულიკამ.

— დავბრუნდი! — თქვა ბაჩანამ.

— სად ბრძანდებოდით? — დაინტერესდა ბულიკა.

— ალბათ, ბეთლემში. — გაუცინა ბაჩანამ.

— ეუ, ეს ისევ იქ არის, — წაუხდა ხასიათი ბულიკას.

— არა, მართლა დავბრუნდი, — დაამშვიდა ბაჩანამ. — რამდენი დღეა, ქალბატონო, ასე რომ ვარ? — მიუბრუნდა ექთანს ბაჩანა.

— ერთი დღე და ერთი ღამე. — უპასუხა ექთანმა, თან სასთუმალი გაუსწორა.

— ვმადლობთ, ქალბატონო.

— თავს როგორა გრძნობთ, ბატონო?

ბაჩანა ჩაფიქრდა, უფრო სწორად, გაყუჩდა და საკუთარ სხეულში ჩაიხედა. გული ხანგამოშვებით უცემდა, მაგრამ ისე სუსტად აღარა. მას ესმოდა საკუთარი გულის ცემა. მერე ხელები და ფეხები გაატოკა, მხოლოდ ზეწრის შრიალი გაიგონა, საწოლიც ვერ იგრძნო სხეულის ქვეშ. რაღაც ჰაერში გამოკიდულის მსუბუქი, მაგრამ ინსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, [illegible]ბათ ეს არის უწონობის მდგომარეობა — გაიფიქრა ბაჩანამ.

— თავს როგორ გრძნობთ? — გაიმეორა კითხვა ექთანმა.

— კოსმონავტივით, — ისე უპასუხა ბაჩანამ, თითქოს მთელი მისი შეგნებული ცხოვრება კოსმოსში გაეტარებინოს.

— გული ხომ აღარ გტკივავთ? — ისევ ჰკითხა ექთანმა.

— ოდნავ, მაგრამ ეს სხვა ტკივილია, ის არ არის, მაშინ რომ...

— ვიცი, — შეაწყვეტინა ექთანმა.

— მე ახლა გეპარინს და პანტაპონს გავიკეთებთ. ახლა თქვენ ბევრი ძილი, სიმშვიდე და დასვენება გჭირდებათ, საღამოს პროფესორი გეახლებათ. ახლა კი დაისვენეთ, ბევრი არ ილაპარაკოთ და არ გაინძრეთ.

— სულ არ გავინძრე?

— სულ!

— რომ გავინძრე?

— ექთანი ჩაფიქრდა, თითქოს მას უნდა გადაწყვიტა განძრეულიყო თუ არა ავადმყოფი და ბოლოს წყნარად, მაგრამ შემზარავი სიმართლითა და შეუვალობით უთხრა:

— მოკვდებით, ბატონო! — ბაჩანამ ძლივს გადაგორა ნერწყვი გაშრალ ყელში. ექთანმა ორი ნემსი გაუკეთა და ნანებსაროზე სათბური დაადო. — თუ რამე დაგჭირდეთ, დამიძახეთ, თქვენ კი, — მიუბრუნდა დანარჩენ ავადმყოფებს, — სედუქსინი მიიღეთ და დაიძინეთ, სხვა პალატებშიც კი ნახულობენ რაღაც-რაღაცეებს, მაგრამ ქვეყანას კი არ ანგრევენ! — თქვა და გავიდა.

— ყველაფერს პროფესორს მოვახსენებ! — დაყრია ხმა ბულიკამ, მაგრამ ექთანს არ გაუგონია.

— ჩვენ აქ, ვიდრე თქვენ ამ ქვეყანას მობრუნდებოდით, ვირთხის თაობაზე გვქონდა კამათი, პატივცემულო, — აუხსნა ვითარება მეორე ავადმყოფმა.

— რომელი ვირთხის? — გაუკვირდა ბაჩანას.

— მალე გეახლებათ თავად და გაიცნობთ, ახლა კი, ვიდრე მოსულა, ერთმანეთი გავიცნოთ. მე ორთაჭალის სამების ეკლესიის მოძღვარი, მამა იორამ კანდელაკი გახლავართ, ეს კი ვაკელი მეჯოდანე, ავთანდილ ანუ ბულიკა გოგილაშვილი.

— ბულიკა რაღა არის? — იკითხა ბაჩანამ.

— ბავშვობაში ბულკის მაგვრად ბულიკას ვამბობდი და ზედმეტ სახელად შემარქვეს, თქვენც ეგრე დამიძახეთ, — აუხსნა ბულიკამ.

— ძალიან სასიამოვნო, მე ბაჩანა რამიშვილი გახლავართ, მწერალი.

— ეგ უკვე ვიცით, ინფარქტი რისგან მოგივიდათ?

— არ ვიცი, ღმერთმანი! — ამოიოხრა ბაჩანამ.

— ჰა, იმის ხომ არ ურტყამდით? — ჰკითხა ბულიკამ და ყელზე წკიპურტი გაირტყა ორჯერ, — ამბობენ, მწერლებს ძალიან უყვართო.

— არა, რას ბრძანებთ! — გაუღიმა ბაჩანამ.

— სულ არა? — გაუკვირდა ბულიკას.

— სულ, როგორ არა?! — ბულიკაზე უფრო გაუკვირდა ბაჩანას.

— მეც არა ვთქვი, თუ არა სვამს, როგორ წერს-მეთქი, მაინც რამდენს?

— ერთს, ორს, სამს, ოთხს.

— ჭიქას თუ?

— ბოთლს! — თქვა ბაჩანამ.

— კაცი თქვენ ყოფილხართ, — შეაწყვეტინა ბულიკამ. — ეხლა ცოტა ხანს კამპოტზე მოგიწევთ გადასვლა, აი.

— მე მგონი, ცოტა ხანს კი არა, სამუდამოდ! — თქვა მამა იორამმა.

— რას ამბობ, ეხლავე თავს მოვიკლავ! — შეიცხადა ბულიკამ.

— თავიდან რომ კამპოტი გესვა, ახლა აქ აღარ იქნებოდი, — უთხრა მამა იორამმა.

— შენ რომ კამპოტს სვამდი, ამიტომ არ გორაობ ჩემ გვერდით, არ ვიცოდი ნიშნის მოგებით გაუცინა ბულიკამ.

— ალბათ, ასე იქნება! — თქვა ბაჩანამ.

— ისე კი სწორია, ერთი თქვენსავით მწერალი, ნაცნობი მყავდა, ტუფლებს ვუკერებდი, თითონ ამბობდა, პოეტი ვარო, რამდენი მთვრალა მნახამდა, იმდენი ყავავით დამჩხაოდა:

„ნუ სვამ, ბულიკ ნაპიტოკებს,
სიბერეში დგებტოკებსო...

სიბერემდე ვინ გაცალა, ჯერ ოცდაათი წლისა ვარ, უკვე ინვალიდი, დამეჯერებინა მაინც, მაგრამ ეგეც, როგორც ყველა პოეტი, გიჟი მეგონა და ყურს არ ვუგდებდი, — ამოიოხრა ბულიკამ, — ღვინო კიდევ არაფერი, კარგი ქალივით ყოველდამე პაპიროსი მესიზმრება, მოკლედ, ამ ინფარქტის შემდეგ жизнь проходит мимо, რა!!.

— შიში იცის, ბატონო, ინფარქტმა, სძაგელი შიში, თქვენ ხომ არ გეშინიათ? — ჰკითხა ბაჩანას მამა იორამმა.

— კი, ძალიან შეშინია, ბატონო იორამ, პირდაპირ აყვანილი ვყავარ შიშს. — არ დაუმალა ბაჩანამ.

— ნუ გეშინიათ, ეგ ყველაფერი გაგვლის, ჯერ ნარკოზის ქვეშა ხართ, — აუხსნა ბულიკამ, — რამეტრუმეები ხომ არ გელანდებათ, ვილაცეებს ხომ არ ხედავთ?

ბაჩანა ჩაფიქრდა.

— ვხედავ, — თქვა ბოლოს.

— ეგეც იცის, ლაპარაკიც იცის ხმამაღალი, რაც საიდუმლო გაქვთ, ყველაფერს იტყვით, საყვარეი თუ გყავთ, ფრთხილად იყავით, ცოლთან იმის სახელი არ წამოგცდეთ, ეგეც იცის.

ბაჩანას გაეღიმა.

— გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ, ბატონო.

— საერთოდ, ჭკვიანმა კაცმა, — გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ნაგრძო ბულიკამ. — ისეთი საყვარელი უნდა ბაიჩინოს ხოლმე, რომელსაც მისი საკუთარი ცოლის სახელი ჰქვიან. აი, მე, მაგალითად, თქვენს მდგომარეობაში რომ ვიყავი, ესე იგი, კოსმონავტივით, სულ სვეტაჯანს, სვეტაჯანს ვიძახდი, ჩემი სიცოცხლე ხარ-მეთქი. ამ დროს ჩემი ცოლი სვეტა სასთუმალთან მეჯდა და სულ მუშტისოდენა ცრემლებსა ღვრიდა — ვაიმე. ბულიკაჯან, ეგ როგორ გვკვარებივარ და არ ვიცოდიო, მე კი არხეინად ვბოდავდი და სულ ჩემს საყვარელ სვეტაზე ვფიქრობდი. და თუ მამის სახელიც ერთნაირი აქვთ, გინდამც სამოთხეში გიცხოვრია, მიუხედავად ამისა, ერთი იაღლინი მაინც მომივიდა, მამა იორამია მოწმე. — თქვა ბულიკამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— რა იაღლინი? — დაინტერესდა ბაჩანა. — ერთხელაც, როცა ვბოდავდი თურმე ეგეთი რამე მითქვამს: — სვეტაჯანს, ხომ იცი, ხიდან ჩამოვარდნილი პირველი მსნალი ღორისაა-მეთქი, ეს იგი, ჩემს ცოლს ეგულისხმობდი ღორში, მაგრამ ნუ გეშინია, აქედან თუ ცოცხალი გამოვედი, უეჭველად შენ შეგირთავ ცოლად-მეთქი, — ეგ რომ ჩემმა ნამდვილმა ცოლმა სვეტამ გაიგონა, სულ თქვენი საწოლის რკინაზე ურტყა თავი, — მაშინ ცარიელი იყო, — ვაიმე, ჩვენი ჯვარისწერა აღარ ახსოვსო, ესე იგი, ურევსო... ის რა იცოდა, რომ ჭკუაზე სწორედ მაშინ ვიყავი, მაგას რომ ვამბობდი. — ბულიკამ უცებ საუბარი შეწყვეტა და ბაჩანას მიაშტერდა.

ბაჩანა თვალდახუჭული იწვა, სახეზე უზომო ნეტარება ეხატა და მშვიდად, ზომიერად სუნთქავდა.

— ვა, ეს რა კარგი ვინმეა, რა ჩქარა მიდი-მოდის. — მიუბრუნდა მამა იორამს განაწყენებული ბულიკა.

— აცალე, ეტყობა პანტაპონი მოერია და მიეძინა. — თქვა მოძღვარმა.

ვარდისფერ ნისლში გახვეული ბაჩანა კვლავ უსაშველოდ ხვეულა, ამბით ეშვებოდა სადღაც ქვევით, ... მაგრამ ამჯერად უფრო სასიამოვნოდ და ნათლად გრძნობდა, თუ როგორ მაღლდებოდა.

4

— ა, შენ ბიძია, მიმართვა, ჩოხატაურში გადი, რენტგენზე გაეშუქე და სურათიც გადაიღე, არ მომწონს შენი აპრიალებული თვალები და ალეწილი ღაწვები.

ბაჩანამ მიმართვა შუაში გაკეცა და შარვლის ჯიბეში ჩაიდო.

— რა მჭირს, ევგენი ბიძია? — ჰკითხა მშვიდად ექიმს.

— რამდენი ხანია, სიცხეებს როჭ გაძლევს?

— ერთი თვე იქნება.

— ოფლის დენაც გაქვს, ხომ?

— ხელისგულები მიოფლიანდება, ევგენი ბიძია, ღამღამობით კი სულ ოფლში ვცურავ. — თქვა ბაჩანამ და სველი ხელისგულები შარვლის ტოტებზე შეიხოცა.

— გახველებს?

— ხანდახან და ძაღლივით, — ცალ ყბად გაუღიმა ბაჩანამ.

— სისხლი ხომ არ შეგიმჩნევია ნახველში? — ექიმი თვალს არ აცილებდა ბაჩანას ჩაყვითლებულ ჩარბებს და შეფაკლულ ლოყებს.

— გასულ კვირას ამომყვა, სულ ცოტა, — თქვა ბაჩანამ და ფარჩხილზე აჩვენა, რამხელა იყო ის ამოყოლილი სისხლი.

— სად იყავი, შვილო, ამდენ ხანს?! — ხმა გაებზარა ექიმს.

— რა მჭირს, ევგენი ბიძია? — შიში შეეპარა ბაჩანას.

— სუფათს ენახავ და მერე გეტყვი. — შეყოყმანება ექიმი.

— რა ჰქვია ამ ავადმყოფობას?

— ინფილტრატი, უფრო გართულებულს — ბრონქიდენიტი.

— ქართულად რა ჰქვია, ევგენი ბიძია? — არ მოეშვა ბაჩანა.

ექიმმა არაფერი უპასუხა, მაგიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუჯდა და ქაღალდებში დაიწყო უაზროდ ქექვა.

— რაა მაგის წამალი? — შეეცადა კითხვა ბაჩანამ.

— პენიცილინი და სულფიდინი. — თავაუღებლად უპასუხა ექიმმა.

— იშოვება?

— ათი ათასი მანეთი ღირს, მაგი წამალი, თბილისში, ბაჩანა! — უთხრა ექიმმა და განცვიფრებულ ბიჭს თვალებში შეხედა.

— მერე სადაა ამდენი ფული?

ექიმმა მხრები აიჩეჩა და ზელები გაშალა უმწეოდ.

— კიდე რაა მაგის წამალი, ეკგენი ბიძია?

— კარაქი, რძე, ხორცი, თევზის ენრი, ხიზილალა, კვერცხი, შაქარი, თაფლი, სითბო და ბახმარო... ესაა მაგის წამალი. — ბაჩანას პირი გაუშარა, ყველაფერი, რაც ეკგენი ექიმმა ჩამოთვალა, წამალზე სამჯერ უფრო ძვირი ყოფ. იგი დიდხანს იდგა გაშტერებული ოთახში, მერე ჯიბიდან რენტგენის მიმართვა ამოიღო, ფრთხილად გაშალა, მაგიდაზე დაუდო და კარებისაკენ წავიდა.

— სად მიდიხარ, ბიჭო? — გაიჩერა ექიმმა.

— წავალ, ეკგენი ბიძია, მე თვითონ მივხედავ ჩემ სატკივარს, — თქვა ბაჩანამ დაკარგული ხმით.

— მოიცა, აფთიაქში შედი და გემატოგენი იყიდე, დღეში სამჯერ დალიე, თითო ჩაის კოეზი, უხდება მაგი, — ეკგენმ ჯიბიდან თუმანი აიღო და ბაჩანას გაუწოდა, ბაჩანამ ფული გამოართვა და რენტგენის მიმართვას დაუდო გვერდით.

— ფულს ბაბუაჩემი მომცემს, ეკგენი ბიძია, თქვენი დიდი მადლობელი ვარ. — ბაჩანამ საექიმო პუნქტის კარი გაიღო.

— მაშინ, ბაბუაშენ ლომკაცას უთხარი, მოვიდეს ჩემთან.

— ბაბუაჩემი ლომკაცა ავადაა, ვერ დადის, — იცრუა ბაჩანამ.

— მაშინ უთხარი, რომ... — ექიმს გული ყელში მოაწვა.

— რა ვუთხრა? — შეაშველა სიტყვა ბაჩანამ.

— უთხარი, რომ... — ექიმს ისევ ჩაუწყდა ხმა. მერე, როგორც იქნა, თავს მოერია. — არ შეშინდე, ბიძია, ჯერ არაა გვიანი, შენ ისეთი მაგარი ბიჭი ხარ, მაგი ავადმყოფობა ვერაფერს გიზამს...

— ბაბუაჩემ ლომკაცას რა ვუთხრა, ეკგენი ბიძია? — გაუმეორა ბაჩანამ კითხვა ექიმს.

— რა უთხრა და უთხარი, რომ გაყიდოს მაგ უბედურმა საცხოვრებელი სახლი, ეზო, კარი, ნალია, სული, ხორცი და პენიცილინი ვიშოვოს, გეყურება შენ?! — იფეთქა უცებ ექიმმა და ნიკაპი აუკანკალდა. მერე მივარდა ფულს და რენტგენის მიმართვას ნაკუწ-ნაკუწად აქცია და ჭერში აყარა. — კაცი ვარ ახლა მე და ექიმი მქვია, ბიჭო?! — ჰკითხა ბაჩანას სახეშეშლილმა. ბაჩანამ ვერ გაუძლო ექიმის ყურებას და საექიმო პუნქტის კარები გაიხურა.

❀

— აგრაფინა ბიცოლა, მომეცი ორი ბოთლი გემატოგენი, კვირას ატამს გავყიდი ჩოხატაურში და მოგართმევ ფულს, — სთხოვა ბაჩანამ პრავიზორ ქალს, ყველა რომ გავიდა აფთიაქიდან მერე.

— რად გინდა, ბიჭო გემატოგენი? — მაგას ჭლექიანები სვამენ, — გაუკვირდა პრავიზორ აგრაფინას. ბაჩანას ერუანტელმა დაუარა ტანში, ხელისგულებში ოფლმა გამოყოფა და მუხლები მოუღუნდა, ასე პირდაპირ და ხმამაღლა ამ შემზარავი ავადმყოფობის სახელი ჯერ მისთვის არავის ეთქვა.

— ბაბუაჩემ ლომკაცასთვის მჭირდება, ეკგენი ექიმმა ურჩია, სისუსტეს უხდებაო.

ნოდარ ფუფაკაძე
მარადისობის კანონი

— კი, შვილო, მოგცემ, მაგრამ რა ახხია ამის ფასი თქვენს ატამს? — ეშვი შეეპარა პრავიზორს.

— ძვირია?

— ცხრა მანეთი და სამოცი კაპიკი ლირს ბოთლი.

— მაშინ ერთი ბოთლი მომეცი და ფულს კვირას მოგაართმევ.

— რა მოგიყიდა, ბიჭო, რავა ბაიასავით გაყვითლდი? — ჰკითხა შეწუხებულმა აგრაფინამ და გემატოგენი გადასცა.

— ასე ვარ, მე, ყვიოელი ყოველთვის, არაფერი არ მომსვლია, — უპასუხა ბაჩანამ. გემატოგენი გამოართვა და შიგ აფთიაქში, რომ არ წაქცეულიყო. გარეთ გამოვიდა და აფთიაქის დამპალ კიბეზე ჩამოჯდა.

●

— გამარჯობა, გლახუნა ბიძია!

— გაგიმარჯოს, მაგრამ, რომ ვერ გიცანი? — თვალები მოუტეა ფერმის გამგემ.

— ბაჩანა ვარ მე, ლომკაცა რამიშვილის ბადიში.

— აუ, რა ვაქაცი მოსწრებიხარ! — გაუკვირდა გლახუნას. — რას შეება გაჭირვებული ლომკაცა, როგორაა?

— რა ქნას?!

— რაც მაგან ოქროსავით შვილები დაკარგა, კიდევ. როგორ უდგას სული ბიჩში, შენ რომლის ხარ?

— უფროსის.

— აკაკის ხარ ანა, მახარე?

— კი, აკაკისი ვარ.

— ო, რა მამა გყავდა, ბიჭო, შენ-ხელა რომ იყო, დათვი გამოყავდა უმანოდან შიშველი ხელით. რაო, რა დაგბარა ლომკაცამ, ისე ტყუილად არ მოხვიდოდი შენ.

— ფერმაში უნდა წამოყვანო, ამ ზაფხულს, გლახუნა ბიძია, მწყემსაო.

— პატარა ხარ, ბიძია შენ, ვერ გაუძლებ ჯერ თხის და უშობელის დევნას.

— ახლა არ თქვი, გლახუნა ბიძია, მამაშენს შენ ხელა დათვი გამოყავდა მოყავდა უმანოდანო?!

— მამაშენი ნაპატიები იყო, ბიჭო და შენ რას გავხარ, ქუდი რომ გესროლოს კაცმა, წაიქცევი. მაინც რამდენი წლის ხარ?

— თხუთმეტის!

— მერედა, გიშვებს ბებუაშენი ლომკაცა?

— შენ თუ ეტყვი თანხმობას, კი გამიშვებს.

— მაგას რაფერ ვეტყვი, ბიძია, არ იცის ლომკაცამ, როგორი სამუშაოა მთაში თუ რა?

— უნდა წამიყვანო, გლახუნა ბიძია.

— ვერა, ბიძია! — თავი გაიქნია გლახუნამ, — ბაჩანას ჭვედა ტუჩი გვერდზე გაექცა და თვალები ცრემლით აევსო.

— ნუ გამაწბილებ, გლახუნა ბიძია.

— რა გიჭირს ასეთი, ბიჭო, მთაში რომ გარბიხარ? — გაუკვირდა გლახუნას ბიჭის ასეთი დაინებული თხოვნა.

— ჭლექი მჭირს, გლახუნა ბიძია! — ბაჩანამ ცრემლი გადაყლაპა და, სელი ხელისგულებით მოისრესა თვალები.

— გაჩუმდი, ბიჭო, ვინ გაიგონა მასეთი ხუმრობა?! — გაუჯავრდა გლახუნა და პირზე ხელი მიაფარა.

— ევგენი ექიმმა მითხრა, ბევრი რძე გჭირდებაო, კარაქი გჭირდებაო, მთის ჰაერი გჭირდებაო, და მოერევი მაგ სატკივარს შენო...

— ვაი, მოგიკვდეს ჩემი თავი! — ამოიგმინა გლახუნა ქერქაძემ და ბაჩანას გახურებული თავი მკერდზე მიიკრა.

— 'რა ვქნა ახლა მე, რომ გამიცვდე იმ ტყე-ღრეში და თოვლ-ჭყაპში, რომ მომიკვდე, რა ვუთხრა ისედაც გაუბედურებულ ბებუაშენს, რა ვქნა, შენ მოგიკვდეს გლახუნა ბიძია, მთაში და ტყეში კი არა, შენ ახლა ბამბაში და ბუმბულში გჭირდება შენახვა და მოვლა მუმიასავით...

— არ გა ...ბილო, გლახუნა ბიძია!

— ამოოჯდა გული ბაჩანის და ორთავე ხელი წელზე შემოხვია გლახუნა ქერქაძეს პატარა ბავშვივით.

— არა, ბიძია, არა, შენ შემოგევლოს გლახუნას თავი, სიკვდილს გაუფრენებიხარ, უბეში გაგზრდი, ბიძია, თხის რძით გაგზრდი, მახარე, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, ნიავს არ გაგაკარებ, სუ, ბიძია, სუ, ისე გაგხდი ორ თვეში, სამწლიან ბუღას კისერს უკრიხავდე, გაჩერდი აწი, შე მამაძღლო, კი მოვერევით მაგ სტკივარს მე და შენ, ორი კაცი ერთად სიკვდილს კი არა, ღმერთს წაჩცევს თუ დაეტაკა, გაჩერდი აწი, მე შენ გეუბნები...

ბაჩანა დიდი ხანია გაჩერებული იყო და ალარ ტიროდა, მაგრამ ახლა გლახუნა ქერქაძე ტიროდა ბავშვივით და კაცი არ იყო მისი გამჩერებელი.

...

...

ოცდასამი სული ძროხა, ორი მოზვერი, ოცდაშვიდი თხა, სამი ცხენი და ერთი ტახი ჰყავდა 1943 წლის ზაფხულში მთაში გარეკილი ქეენობნის კოლმეურნეობას. ეს იყო მისი სანროცეცა და სარძევე საქონელი.

ბახმაროს გადმოლმა, ჩხაკოურას ფერდზე იდგა ფერმა. საკუთარ საქონელსაც ატანდნენ ხოლმე გლეხები მწყემსებს ფერმაში ზაფხულობით, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, უშობელსა და დეკეულს. ამა, გაგანია ომსა და შიმშილში სამი-ოთხი თვით მეწველ ძროხას ვინ შეელეოდა, ორი ძაღლი და სამი კაცი დარაჯობდა ასოცი კომლის ამ საცოდავ ავლა-დიდებას: ფერმის გამგე — გლახუნა ქერქაძე, სიპიტო გუდავაძე და ოინა ორაგველიძე. ბაჩანა მეოთხე იყო, მაგრამ მას კაცად არავინ თვლიდა.

ერთადერთი ტახი, რომელიც ფერმაში ერია, გლახუნა ქერქაძის საკუთრებას წარმოადგენდა სწორედ ამ ტახის ცოდვა ჰქონდათ დღეს მწყემსებს.

ორი წლის გათქვირული ტახი ბალიბურშიც არ იყო, რა დღე ელოდა და ახორის გვერდით გადაღვრილ ქვაბების ნარეცხსა და ნაგავში იჩიჩქნებოდა მოკლე დრუნჩით. ჯიშიანი და ღონიერი იყო მამაძაღლი. სადაც დრუნჩს დაჰკრავდა, ისეთი კვალი გაჰქონდა, გეგონებოდა, გუთნიანმა ტრაქტორმა გაიარაო. ვიღრე ტახი დედამიწას გულს აბრუნებდა და უზომო კმაყოფილებით ღრუტუნებდა, გლახუნა ქერქაძე ფარდულის სვეტზე ჩამოკიდებულ ლაგამის ღვედზე უმართავდა პირს სამართებელს.

— ცოდვაა, გლახუნა ბიძია, ნუ დაკოდავ! — უკანასკნელად სთხოვა ბაჩანამ.

— მაგას მაინც არაფერში არგია, ბიძია, მაგი ყვაჯები, მარტოკაკალა დათრიხინობს ამ ტყეში და რომ დავკოდავ, ჭამის მეტი საფიქრალი არარაფერი ექნება. ახლა რომ აქეს, საამდენ ხორცს შეისხამს ორ თვეში. — დაამშვიდა გლახუნამ ბაჩანა.

— გლახუნა, მარტოკაკალა სიპიტოც კი დათრიხინობს ამ ტყეში, მაგრამ მაგის გულისთვის არავის დაუკოდავს. — გამოექომაგა ღორს ოინა ორაგველიძე.

— ოინა უკიშო, დროზე რომ დაეკოდე პატროსს, ხომ არ გაგიჩნდებოდა ბიკტორა თავგასვიებული, ჩვიდმეტი წლის მუტრუკი ვაშლს და მსხალს რომ ვერ არჩევს ერთმანეთში? — გამოვიდა ფარდულიდან სახეაფაკლებული სიპიტო. — მე, რომ შენ ადგილზე ვიყო ვიყარაყუმბედი კი არა, ვთხოვდი გლახუნას და იმ ტახის ყვაჯებს აქეთ გადმოვიმაგინებიებდი.

— ღორის ნაგრამი სიპიტო, იგი ჩემი ბიბი, ვაშლს და მსხალს რომ ვერ არჩევს ერთმანეთში, ხიდანაა გადმო-

---

ნოდარ ფუფუნაძე
ბარაბანიშვილის ანონი

ვარდნილი და შენ რომ მიდღემი ფეხი არაფერზე დაგცდენია და ცხრა წელიწადი რომ იჯექი პირველ კლასში, რაფერ იყო მაგი? — გაახსენა სიპიტოს იონამ ბავშვობა.

— დაკოდე აწი, გლახუნა, მაგი უპატრონო ღორი, თორემ, ხომ ხედავ, რავა ჯანჯუხასავით ამოაორ ენა ძროხის ნაკელში, ამ შობელძღერმა. — სთხოვა სიპიტომ იონას.

— გლახუნა, თქვი ახლა შენ, ვინაა მტყუანი ჩვენ შორის?! — დაუძახა იონამ მოწმედ გლახუნას.

— ორივეს ძირში გაქვთ ენა მოსაკრელი და ამ ღორს რომ მოვრჩები, მოგხედავთ მერე. — შეარიგა გლახუნამ სიპიტო და იონა. მერე ღვედზე გამართულ სამართველს ცერა ფრჩხილზე გაესინჯა პირი და ფარდულთან მობეღრავე ტახს გახედა.

— გეყოფათ ახლა ლაზანდარობა და მიხედეთ იმ ტახს! — მიუბრუნდა გლახუნა იონას.

— ჩვენ ორი დავაკავებთ, გლახუნა, მაგ ტახს, ვერ ხედავ, მთა როდ გაბეღრა და გალმა გადის?! — შეიცხადა იონამ.

— მიდი, ბიჭო, მუცელზე მოფხანე! — ასწავლა გლახუნამ ბაჩანას. ბაჩანა ფარდულში შევიდა და ერთი პეშვი ყვითელი სიმინდი გამოიტანა.

— ღუტუ, ღუტუ! — დაუძახა. ტახმა დრუნჩი ასწია, პატარა თვალები მიაპყრო ბაჩანას და როდესაც მიწაზე დაფრილ სიმინდს მოკკრა თვალი, რორრიხითა და ყურების პარტყუნით გამოიქცა ბაჩანასკენ.

— რავა მისი ფეხით მორბის ეშაფოტზე მაგი უბედური? — შეეცოდა იონას და ბაწარი გაამზადა. სიპიტომ თბილი წყალი და ღადარი გამოიტანა ფარდულიდან. გლახუნამ სამართველი გაკეცა, ქამარში გაირჭო, კეხის ქეჩიდან ყაბის ძაფასხმული უშველებელი საწუღე მახათი ამოაქრო, გულზე დაიბნია - და მკლავების დაკაპიწება დაიწყო.

— რას უყურებ, ბიჭო, მოფხანე! — შეუძახა ბაჩანას.

ბაჩანამ ტახის წინ დაიჩოქა და მუცელი მოფხანა, ტახმა, ვიდრე მთლიანად არ მოხიკა სიმინდის კაკალი, ბაჩანასთვის ყურადღება არ მიუქცევია. სიმინდის ტკვერა რომ დამთავრა, უცებ გაიტრუნა, თვალები მოკუტა და უზენაესი სიამოვნებისაგან დაიკვნესა. ერთხანს ასე იდგა, მერე თითიქოს წინა პოპოკები მოკრეს. მუხლებზე დაეცა, გვერდზე გადაგორდა და უკანა ფეხები გაფშეკა.

— აუ, ორი კაკალი ყვითელი სიმინდისათვის რა ოქროსავით ორ კაკალს კარგავ, შე უბედურო! — შეიცხადა იონამ და უკანა ბარკალზე მარყუჟებიანი ბაწარი წამოაცვა. ღორს ყურიც არ გაუპარტყუნებია. იწვა თვალმინბაღული და სიამოვნებისაგან კრუსუნებდა. ბაჩანა ახლა ორივე ხელით ფხანდა მუცელს.

მერე კი გაიქაჩა ტახი, იონამ რომ მეორე ფეხიც გაუკოჭა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. სიპიტო მხედარივით აჯდა ზევიდან, იონა კი ისე ჩაფრენოდა ყურებში, მაჯებს თუ მოაჭრიდა ვინმე, თორემ ხელის გამშვები მაგი, არ იყო.

ბაჩანა განზე გადგა და გულის ფანცქალით ელოდა, რა მოხდებოდა. ღორი ჯერ მაინც თავშეკავებულად ჭყიოდა, რადგან გლახუნა თბილი წყლით ბანდა საპერანციო ადგილს.

— პირი ეიკარი, გლახუნა, ინფექცია არ შეეპრას! — ჭკუა დაარიგა სიპიტომ.

— ნუ აგიღესია ენა სამართველითვის, შენს საქმეს მიხედე, ვიწყებ! — გაიფრთხილა გლახუნამ სიპიტო და ღორს. სამართველი დაუსვა ყვაჯვის პარკზე. ერთი მაგარი შეიკვეცა ღორმა, მაგრამ გარეთ გამოვარდნილი ყვაჯი რომ მოქაჩა იონამ, ძარღვი რომ გადაუჭრა და გამოუსკენა, მერე ნაჭრილობევში ერთი მჯიღი ნაცარი რომ შეაყარა და ამ უდმერთოდ დიდი

მახათით ამოკერვა დაუწყო, მაშინ კი გაღელდა საცოდავი. მაღლა ცას და დაბლა დედამიწას ანგრევდა მისი გაწირული წივილ-კივილი.

— არ ჩამოიღო ცა მიწაზე, ამ შობელ-ძალმა?! — თქვა სიპატომ და რაც შეეძლო, ღონივრად მოუჭირა მუცელზე მუხლები.

— საინტერესოა, შენ რას იზამდი ამ დროს! — უთხრა ოფლში გაღვარულმა ირონამ.

— დაიწყე ხომ თავიდან?! — გაიფრთხილა სიპატომ.

— მაგი არა და მე რომ სტალინი ვიყო, — შეცვალა თემა ირონამ. — ომს რომ მოვიგებდი, მერე დავუძახებდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, გლახუნას და ზუსტად ასე დავაკოდებდი ჰიტლერს და მის ამხანაგებს, — თქვა ირონამ და ისე მოქაჩა ყურები გადარეულ ღორს, დრუნჩი მიწაში ჩაარგვევინა. გლახუნა მეორე ყვაჯზე გადავიდა.

— სხვისი არ ვიცი და ჰიტლერს, მგონი, დასაკოდი არაფერი ჰქონია, ცოლ-შვილი მაგას არ ყოლია თურმე და როგორც ხალხი ჩივა, არც უნდა თურმე... — გასცა სიპატომ რაიხსტაგის კანცელარიის საიდუმლოება.

— საერთოდ, კაციჭამიობა დაკოდილ ხალხს ხასიათში ჰქონია თურმე. აღა-მაჰმად-ხანი რომ იყო, თბილისი ქე რომ გადაწვა, იგიც დაკოდილი ყოფილა თურმე, — დაუმორჩა ირონამ, — გოგირდის აბანოები მოარჩენდა ეგონა და რომ აღარ მოუხდა, იმაზე გაბოროტებულს გადაუწვია თბილისი. — ახლა ზაპის კარვის საიდუმლოება გასცა ირონამ.

— გოგირდის წყალს რომ მაგი ამოყავდეს, ბიჭო, გაკეთდებოდა ეფროსინე სანიკიძე, მთლად ეზოში ამოუდის გოგირდის აბანო, — თქვა გლახუნამ, უკანასკნელი ნაკერი დაადო ღორს, ყაბის ძაფი სამართებლით მიაჭრა, სისხლიანი ხელის ზურგით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და წელის ათრევით წამოდგა.

— ჰე, გაუშვით ახლა ხელ [illegible] გასცა განკარგულება.

მწყემსებმა ხელი გაუშვეს ღორს და განზე გადგნენ.

ღორს ერთხანს არ სჯეროდა ჯოჯოხეთის დასასრული და ისევ განაგრძობდა გულისწამღებ ჭყვიტინს, მერე თავისუფლება რომ იგრძნო, უცებ წამოვარდა, ერთი შებანცალდა და კურტუმოს უხერხული ქნევით გაქანდა ტყისკენ.

— ჩვენ, რომ ადამიანები ვიყოთ, კი უნდა დაგვეძინებია არაყით ოპერაციის წინ. — თქვა ბაჩანამ და გლახუნას გამოშვერილ, სისხლიან ხელებზე თონგიდან თბილი წყალი დაუსხა.

— შენ მოგეცა მაგის ცოდვა, გლახუნა ქერქაძე, ახლა რომ ნეზნი ღორი შეხედეს მაგას ტყეში, ხომ მოეჭრა თავი?! — მიუბრუნდა გლახუნას სიპატო და ტყისკენ ძუნძულით მიმავალ ღორს გახედა სევდიანი თვალებით.

— გეყოფათ ახლა ყბაჩანგურობა, მოწველეთ ის გამხმარი საქონელი, თუ აქვთ რამე და გამორეკეთ გარეთ, — შეუტია გლახუნამ. — წადი, ბიჭო, შენ რომ მიჩერებიხარ იმ ღორს უკანალში და გენოიეს თხა გამოწველე დღეს, შენი თხის რძე აღარ დაილევა, ხვალ თიკანს ელოდება და ხსენია ახლა მაგის რძე. წვეთი არ დატოვო ქოთანში, ისე დალიე, თორემ დაგამხობ მაგ ქოთანს თავზე, რაღაცა მამაძაღლობას გატყობ ამ ბოლო ხანს, ძალიან გაუთამამდი ინ შენ სატკივარს. — გაუჯავრდა ბაჩანას გლახუნა. ბაჩანა უხმოდ წავიდა გენოიეს თხის მოსაწველად.

— ღმერთი ამ წელიწადს გაცოცხლებს, გლახუნა, ამ ბაღანას მადლით. შეხედე, როგორ შეისხა ფერი და ხორცი. აწი თუ გინდა, დათვს

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

დაჭიდე... — უთხრა. იონამ გლახუნას, ბაჩანა რომ თვალს მიეფარა.

გლახუნას თითქოს არ გაუგონიაო. ისე მოკიდა ხელი დერგს და წავიდა ძროხების მოსაწველად.

ერთი საათის შემდეგ ქვენობნის საკლმეურნეო ფერმის საქონელი ბღავილით, ღნავილითა და პეტელით შეეფინა მწვანეად აბიბინებულ ჩხაკურას მთის კალთას.

●

საღამოს ფერმაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერვასი ფაცაცი ამოვიდა. ბატალიონის ორი, ავტომატით შეიარაღებული კაცი ამოჰყვა. გრილი საღამო იყო, სადგომის წინ გაჩაღებულ კოცონს უსხდნენ ყველანი და ხმადაბლა მასლაათობდნენ. შეშა ფიქვისა და ნაძვის იყო, ამიტომ ჰაერში კვარისა და საკვეცლის საამო სუნი ტრიალებდა. ცეცხლზე შემდგარ ქვაბში თავდაყირა ჩამხობილი თიკანი იხარშებოდა. ძაღლები უმიზეზოდ დარბოდნენ და ყეფდნენ. თავს აწრუბდნენ მწყემსებს და ეოთგული სამსახურისათვის გასამრჯელოდ გემრიელ ძვალს ელოდებოდნენ.

—კიდევ რა ხდება ქვეყნიერ? — ჰკითხა გლახუნამ თავმჯდომარეს და ოთხად გაკეცილი გაზეთი დაუბრუნა.

— რას მეკითხები? — ახედა ცეცხლზე მიფიცხებულმა გერვასიმ და მუხლზე დადებულ მაუზერს ტარი მოუსინჯა.

— რაც ქონება დავტოვეთ სოფელში, შენ იმას არაფერს წაუმატებდი, ომის ამბავს მეკითხება, — ჩაერია ლაპარაკში იონა.

— ომის ამბავი ასეთია, გაიცა ფუტი გერმანიამ! — თქვა თავმჯდომარემ და ისევ მოსინჯა მაუზერის ტარი.

— გაწიე, კაცო, მაგი გოჭის ფეხი იქით, არ გაგივარდეს, თორემ ამოგიღესავ ღომით, — უთხა სიპატომ და გვერდზე გაიჩოჩა, — თქვი აწი, როგორ გაიცა ფუტი გერმანიამ! — თავმჯდომარემ მაუზერი მუხლიდან მოიხსნა და ჯირკზე ჩამოდო...

— არ იცი, რაფერ აციებენ ფუტს? — მიუბრუნდა იგი სიპიტოს. — სმოლენსკთან ჩეისვარა, კურსკთან ჩეისვარა, მოსკოვთან ჩეისვარა, — ჩამოთვალა თითებზე, — კიდე სად ჩეისვარა? — ჰკითხა საკუთარ თავს და რომ ვეღარ გაიხსენა, ხელი ჩაქნია, — საერთოდ ჩეისვარა, რუმინიას, ჩეხოსლოვაკიას და იტალიას ჯაბვით ძღვეს აკავებს...

— საით იქაჩებიან? — შეიცხადა სიპიტომ.

— იქით! — ხელით აჩვენა გერმანიისაკენ თავმჯდომარემ.

— იქით, კისერი უტეხიათ! — დამშვიდდა სიპიტო.

— მაინც, როდის გათავდებაო ეს ოხერი ომი, სტალინი არაფერს არ ჩიკი რადიოში?

— მალე გავიმარჯვებთო, კი თქვა, მაგრამ დრო არ დაუთქვამს, — გაუშალა გერვასიმ ხელები.

— დათქვამს, მერე, მაგის ნება არაა? — გაუკვირდა იონას.

— ჰიტლერთან ომი თქვენ ლორის კოდვა ხომ არ გგონიათ? — გაამართლა სტალინი გერვასიმ.

— არც ლორის კოდვაა მთლად იოლი საქმე, გერვასი! — დაიცვა საკუთარი პროფესია გლახუნამ.

— ჩვენ აქ, ამ დილით დადებითად გადაწყვეტეთ ერთი საკითხი, ამხანაგო გერვასი! — ოფიციალური ტონით უთხრა სიპიტომ.

— რა საკითხი? — დაინტერესდა თავმჯდომარე.

— ჰიტლერისა და მისი ამხანაგების დაკოდვას ვაპირებთ, ომი რომ გათავდება, მერე. — აუხსნა ბაჩანამ.

— ომის დამთავრებას რას უყურებთ თქვენ, ბიძია, თუ რამე სიკეთეს აპირებთ, ახლა ქენით, თორემ ომი რომ დამთავრდება, ეუკოვი დაგიომბთო თქვენ მაგას დასაკოდავად? — გაეცინა გერვასის.

სიპიტომ ქვაბი გადმოდგა ცეცხლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან და უკვე მოხარშული თიკანი ჭლიკით ამოათრია მდულარედან. დაფნის ფოთოლით და ხახვის სუნით შეზავებული ოხშივარი სახეში. ეცა ბაჩანას და თავბრე დაესვია.

— მოაჩოჩეთ, ბიჭებო, მაგი გუდა აქეთ! — დაავალა გერვასიმ ბატალიონის წევრებს და ღვინის ჩამოსასხმელად მოემზადა. გლახუნამ ჯამები ჩამოარიგა. ყველა რიგრიგობით მიდიოდა გერვასისთან და მორიდებით უშვერდა ჯამს ჩალამკალმის ყელიდან სამოდ მორაკრაკე იზაბელას. ბაჩანაც მიადგა ჯამით ხელში გერვასის. გერვასიმ გლახუნას გახედა, გლახუნამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. გერვასიმ ჩალამკალმის ტუჩს ცერი აიკილა და იზაბელა კრამაჩულოთ გადმობრძანდა ბაჩანას ჯამში. პირველად გერვასიმ შეახო ტუჩი ჯამს.

— დაილოცოს შენი ფესვი! — აღმოხდა კმაყოფილებით. ეს აღტაცება სადღეგრძელოდ ჩაეთვალა გერვასის.

— დაილოცოს! — თქვა ერთხმად ყველამ და თითქოს არასდროს ღვინო არ შეხვიაო, ისე ამოამშრალეს ჯამები. მეორეჯერ რომ ჩამორიგდა ღვინო და ბაჩანამაც რომ გაიშვერა ხელი, გერვასიმ გლახუნას გადახედა გლახუნამ ისევ დაუქნია თავი.

— ნამეტანს ხომ არ ვშვრებით, გლახუნა? — გაიფრთხილა გერვასიმ.

— სამს დალევ კიდევ! — თქვა გლახუნამ.

— შენ იცი, — დაჰყვა ფერმის გამგის ნებას თავმჯდომარე.

— ამ პირველი სასმისით ჩვენს პარტიას გაუმარჯოს, დიდი სტალინის მეთაურობით, — თქვა გერვასიმ და ჯამი პირში გადაიმხო.

— გაუმარჯოს! — ისევ ერთხმად თქვა ყველამ.

— ამ მეორე სასმისით ჩვენს მთავრობას გაუმარჯოს დიდი სტალინის მეთაურობით! — მიაყოლა სადღეგრძელს სადღეგრძელი თავმჯდომარემ. ეს სადღეგრძელოც ერთსულოვნად დაილია.

— ახლა ჩვენს წითელ არმიას გაუმარჯოს, დიდი სტალინის მეთაურობით; — თქვა ახალი სადღეგრძელი თავმჯდომარემ.

— ღმერთმა გაუმარჯოს!

— ღმერთმა დაგაბრამოს მაგისკენ ნასროლი ტყვია!

— სუყველა ცოცხალი დაგაბრუნოს გამჩენმა!

— მაგენის ტყვია არ აცდენოდეს მიზანს!

— ღმერთმა ხელი მოუმართოს!

— მშვიდობა ყოფილიყოს ქვეყანაზე!

ეს სადღეგრძელო რატომღაც ყველამ ცალ-ცალკე თქვა.

— ახლა კიდევ დიდი სტალინის მეთაურობით... — გერვასი! — შეაწყვეტინა თავმჯდომარეს სიტყვა იონამ. — მე კი გამოვაშტერდი უკვე და სანამ წავქცეულვარ, დაგვიალე ამ ბიჭის სადღეგრძელო. სტალინს და პარტიას ლოცვა-კურთხევა არ აკლია და ხვთის წყალობით უშენოდაც კარგად უძღვებიან თავის საქმეს.

— არაა მაგი, მართალი, იონა ორაგველიძე! — იწყინა თავმჯდომარემ. — ჩვენი ხელის შეწყობაც, რომ არ ჰქონდეს მთავრობას... — ონამ ისევ შეაწყვეტინა სიტყვა.

— შენი ხელისშეწყობა ისაა, ჩემო გერვასი, ასეთ ბაღლებს ჯამრთელს და ძვალმაგარს რომ დაუზრდი სახელმწიფოს.

— კი ხარ მაგაში მართალი, შენ ნუ მომიკვდები! — გატყდა თავმჯდომარე. — ამა შენ გაგიმარჯოს, ბაჩანა რამიშვილო! დღეიდან იწამე ღმერთი და ამ კაცის ფეხის ნაკვალევი კოცნე. აგერ რომ ზის, — უთხრა მან და მის გვერდით მჯდომ გლახუნა ქერქაძეს მხარზე დაადო ხელი. — შვილი ხარ ახლა შენ მაგისი, ფრონტზე რომ დაკარგა იმის მაგიერი. ამას ძეგლს არავინ დაუდგამს და ორდენს არავინ მისცემს. შენ უნდა იყო მაგის ძეგლიც და ორდენიც. თუ მიხვდები, რასაც თვალს მიუწევ და გა-

---

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის ანანი

დაავლებ ამ ქვეყანაზე, შენია ყველაფერი. მილიონობით კაცი რომ წვება ახლა ტყვიით გულგაგლეჯილი, თან არაფერი არ მიაქვთ, ყველაფერს შენ და შენს ტოლ ბიჭებს უტოვებენ. მიხედვა უნდა ამ ცრემლით ჩამქრალ კერიებს. ობლად დარჩენილ ბავშვებს, ქვრივებს და ოხრებს, გაუმარგლავ ყანას და უპატრონოდ დარჩენილ მიწას. ჩვენ კი ვიბრუნებთ ამ ნაპარტახალ ქვეყანას, მაგრამ მაგის ხელახლა აშენების ძალა და ღონე გვეყოფა თუ არა, კაციშვილმა არ იცის. შენ და შენისთანა ბიჭებმა უნდა აღორძინოს ყველაფერი. ერთი სათხოვარი გვაქვს თქვენთან, აბერ, ვისაც გვხედავ ყველას, ნაქალაქარს და ნასოფლარს ნუდარ დაარქმევთ ნურაფერს, დაივიწყეთ მაგის სახელები. თქვენს მერე რომ თაობა მოვა, თქვენი მონაყოლით თუ არა, ისე ომი რაა, არასდროს არ გაეგოს...

გერვასიმ მკლავები გაშალა და მთვარის გვირგვინდადგმულ მთებს შეაყარა თვალი.

— ამის მადლი და სილამაზე არ დაგვწყებოდეთ. ქვეყნის საყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიში ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია საღოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან. სხვა სიტყვა და სათხოვარი არა მაქვს მე, — თქვა გერვასიმ და ჯამი სასოებით მიიტანა პირთან.

— გერვასი ფაცაცია, სხვის ნალაპარაკევს თუ არ ჩივოდი და ყველაფერი, რაც ახლა შენი პირიდან ამოვიდა, შენი გადადუღებულია, აგი ხელი გამიხმეს, მეორედ თუ არ აგირჩიო თავმჯდომარედ! — აღტაცება ვერ დამალა ირონ ორაგველიძემ.

— კენჭის საყრელად არ ამოვსულვარ მე აქ! — უპასუხა გერვასიმ, — ისევ ეს ორი კაცი მახლავს ტყუილა ტუზარ-ლოდ.

— რაშია საქმე, გერვასი, დაპატიმრებას ხომ არ გვიპირებ? — გაიცინა სიპიტომ.

— მთლად გაცოფდა ის შობელძაღლი... — თქვა გერვასიმ.

— ვისზეა ლაპარაკი, გერვასი? — ჰკითხა გლახუნამ.

— ვისზეა და მანუჩარა კიკვაძეზე!

— რა გახდა მაგის დაგრილება, სამი წელი გავიდა, რაც ჯარიდან გამოიქცა და ველარ დაიჭირეთ? — მიუბრუნდა ირონ ბატალიონის წევრებს.

— ძნელია ტყეში კაცის დაჭერა! — იმართლა თავი ერთმა.

— ცუდად აღოდდა ამ ბოლო დროს, ყოველდღე იცვლის სადგომს, ადრე კიდევ ინახავდა ხალხი, შიშით თუ რიდით, სანამ სისხლში გაისვრიდა ხელს, ახლა აღარავინ აღარ იკარებს. სურებში აღარ მიესვლება, ორი უასაკო ბავშვი გაეპახა და სიფილისი დამართა, — თქვა ბატალიონის მეორე წევრმა. — ერთთის დედა ჭკუაზე გადავიდა საწყალი...

— სადაა მერე უდღეური მამამისი? — იკითხა სიპიტომ და მჯიღზე იკბინა.

— ჯარშია დაკარგული და რა ქნას?.. — ხელები გაშალა ბატალიონის წევრმა.

— აგია თქვენი პასუხი? — ცეცხლში შეასხა ღვინო სიპიტომ.

— ქვემო ჭალაში გაგვექცა ამას წინებზე, ერთი კვირის თავზე კი ენა მოჭრა უდანაშაულო ბინდოია ცქიფურაშვილს, შენ დამასმინეო. ამაღლებაში ოდა დაუწვა ქარცივაძის ქვრივს, სახლში რომ არ შეუშვა. ცოფიანი მგელივით მოსარიდებელი და საშიშია ახლა მაგი.

— მოკვდეს ჯნდა მაგი და თქვენ თუ არ შეგიძლიათ, მაშინ მოგვეცით მაგი იარაღი და ჩვენ ვიზამთ მაგ საქმეს, — თქვა გლახუნა ქერქაძემ და რატომღაც ბაჩანას შეხედა. ბაჩანამ თვალი გაუსწორა ცეცხლზე აპრიალებულ გლახუნას თვალებს და ტანში ერუანტელმა დაუარა.

— ნაბეღლავის ფერმაში გამოჩენილა ამას წინებზე, ორი სანაბე ყველი წაუღია, არაა გამორიცხული, თქვენთანაც რომ ამოვიდეს. თუ რამე გაქვთ სახელმწიფოსათვის ჩასაპარებელი, ხვალ ჩამოიტანეთ სოფელში... — თქვა გერვასიმ და ფეხზე წამოდგა.

— ახია თქვენზე, თოფები რომ ჩამოგვართვით! — თქვა სპეიტმა.

— მაგ საქმეს ვერ გავარჩევთ ჩვენ, ერთი, ოცი წელი ყველი და ორი თიკანი გამატანეთ, მეტს ვერ წავიღებთ ჩვენ, — დაავალა გერვასიმ გლახუნას. მერე ბატალიონის წევრებს მიუბრუნდა, — წასვლის დროა, ღილაზე სოფელში უნდა ვიყოთ... — თვითონ ცხენისკენ წავიდა.

— კი მაგრამ, მანუჩარა კიკვაძეს არაფერს უტოვებ, ყველაფერი შენ მიგაქვს? — ჰკითხა გესლიანად იონა ორაგველიძემ.

— იონა ენამყრალო, საბავშვო ბაღისათვის მიმაქვს მაგი ყველაფერი, შენი პირდაფჩენილი შვილიშვილი თინაიეც იმ საბავშვო ბაღში დატლიკინობს, როდის იყო, მე საკოლმეურნეო ქონებას რომ ვჭამდი?! — ეწყინა თავმჯდომარეს იონას უადგილო ხუმრობა.

— გეხუმრე, შე კაცო! — შერცხვა იონას, — ...ისე მაინცდამაინც ნუ გამოიდებ თავს, შენ წინ რომ თავმჯდომარე გვყავდა ისიც მასე ამბობდა, მერე ის თიკნები საბავშვო ბაღში კი არა, ჭის ეზოში დაპეტელობდნენ, — არ შეარჩინა სიტყვა მაინც.

— იონა, როგორ ვინატრო ახლა ყარაღობა, მაგი ენა რომ ამოგმწვადო! — ჩაიქნია ხელი თავმჯდომარემ და ცხენს უნაგირის მოსართავები მოუჭირა.

რაც თქვა, ყველაფერი გაუხაზირეს მწყემსებმა.

— ამადამ ცხენებს ჩამოვრეკავთ და დანარჩენს ხვალ ჩამოვიტანთ. — უთხრა გერვასის გლახუნამ.

— აბა, ფრთხილად იყავით და მშვიდობით! — თქვა გერვასიმ და ცხენზე შეჯდა.

— გერვასი! — გააჩერა გლახუნამ.

— რა იყო, გლახუნა? — მოაბრუნა ცხენი თავმჯდომარეა.

— დაგვიტოვე მაგი მაუზერი.

— მერე, მე რა ვქნა? — გაუკვირდა გერვასის.

— თქვენ მაგი ორი ავტომატიც გეყოფათ ერთ გზაზე, მაუზერს კი იმ კვირას ჩამოგიტან. — გერვასი შეყოყმანდა.

— არ უნდა მაგას ფიქრი, გადაწყვიტე აწი! — დაიჩარა გლახუნამ. გერვასიმ უხალისოდ ჩამოიხსნა მხარიღლივ გადაკიდებული მაუზერი და გლახუნას გადასცა.

— არ გჩუქნი იცოდე, უნდა დამიბრუნო. — დასძინა.

— ამის ხმას გაიგონებ შენ, გერვასი! — უთხრა გლახუნამ და მაუზერი ჩამოართვა, — წაიღე, ბიჭო, და ჩადეგი ხურჯინში. — მიუბრუნდა გლახუნა ბაჩანას. ბაჩანამ მაუზერი ჩამოართვა და ახორის სვეტზე ჩამოკიდებული ხურჯინის ცარიელ ფაფაში ჩაიყარა. გერვასიმ და ბატალიონის წევრებმა ცხენები შეაპარნეს, თავქვე დაეშვნენ და სამი მხედარი ღამის ნისლში შეცურდა.

ერთხანს გარკვეეთ ისმოდა ცხენთა ფლოქვების არეული თქარა-თქური, შემდეგ ისიც მიწყნარდა და ჩხაკოურას ფერდობზე მარტოდ დარჩენილი ოთხი მწყემსის ფიქრი, დარდი და წუხილი გაიყოლა ბარში.

— წადით ახლა ცხენები ჩამორეკეთ, — მიუბრუნდა გლახუნა მწყემსებს, — ამ ღილით ვნახე, ზოტის მხარეს არიან გადასული. ორი-სამი საათი დაგჭირდებათ, თუ კარგად ივლით. აგი ბიჭიც გაიყოლეთ, კვარი წაიღეთ თან! — სიპტო ფუდავაძეს მხარზე ბაწარი გადაიკიდა, ქამარში წალდი გაირჭო და კვარს ეეცლი მოუკიდა. გლახუნა ახორში შევიდა.

— არაა, გლახუნა, მაგი საქმე ასე საჩქარო, უთენიაზე წავიდოდით და ჩამოვრეკავდით იმ ცხენებს, საღ ვიხრაგუნოთ ახლა ამ წკვარამში და ფშკერ-

ნალში?! — გასძახა სიპიტომ ახორში შესულ გლახუნას.

— მე რაც გითხრით, იგი გააკეთეთ, სიპიტო გუდავაძე, არ უნდა მაგას. მიტინგობიან! — ახორიდან უპასუხა გლახუნამ.

— აგი ბაღანა არ გეცოდება მაინც? — სცადა სიპიტომ გლახუნას გულის აჩუყება.

— არაფერი არ უშიოს, შეაჩვიოს აწი მუხლი და თვალი ღამეს; — მწყემსები უხმოდ შეტრიალდნენ და ძუნძულით შეუდგნენ მთაში მიმავალ ბილიკს. ბაჩანა მგლის ლეკვივით აედევნა წინ წასულებს.

ახორში თავგანწირული ბღავილი გაისმა. ბაჩანას დოლია თხა თოკანს იგებდა.

●

გარიჟრაჟზე დაბრუნებულ მწყემსებს ელდა ეცათ. ტყეიით შუბლგახვრეტილი და კბილებდაკრეჭილი ძაღლები ჩამჭრალ ცეცხლთან ეყარნენ, ბოსლებში კი მშიერი და მოუწველავი საქონელი ბღაოდა. გლახუნა არსად არ ჩანდა. დაზაფრული მწყემსები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ გლახუნა ქერქაძის ალი და კვალი გამქრალიყო. ბაჩანას ორი თვის შემდეგ ისევ გამოჟონა ცივმა ოფლმა ხელისგულებში. სიპიტო გუდავაძეს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა დაება. ძუნკვიეთ დაიზმუვლა და პირდაპირ მიწაზე დაჯდა.

— მანუჩარა კიკვაძის ნახელავია! — თქვა ოინა ორაგველიძემ და უბელო ცხენს მოახტა.

— სად მიდიხარ? — ძლივს ამოღერღა სიპიტომ.

— მოსწრებაზეა ახლა საქმე! — უპასუხა ოინამ და ცხენი გიჟივით დაიქანა თავქვე.

ბაჩანა ახორის სვეტზე ჩამოკიდებულ ხოჯინს ეცა. მაუზერი ადგილზე იდო. ბაჩანას ხმა არ ამოუღია. მივიდა სიპიტოსთან, გვერდით მიუჯდა და ცივი ხელი მუხლზე დაადო.

— არ წახდე, ბიჭო! — უთხრა სიპიტომ და სველი შუბლი მოიწმინდა.

ბაჩანა გრძნობდა, როგორ უცახცახებდა სიპიტოს მუხლი მისი ხელის ქვეშ და მიხვდა, რომ სიპიტოს მასზე უფროსეშინოდა.

— ნუ გეშინია, სიპიტო ბიძია! — უთხრა მან სიპიტოს დაკარგული ხმით. სიპიტომ უნერხულად გაიღიმა და აცახცახებული მუხლი გაშალა.

— რავა ნუ მეშინია, ბიძია, — თქვა მან უცად და ტირილი დაიწყო.

●

ზურგზე ყველით სავსე გოდორმოკიდებული გლახუნა წინ მიდიოდა ბარბაკით. კვალში მანუჩარი კიკვაძე მიდიოდა, ფეხზე შეყენებული თოფით.

— აუჩქარე ფეხი, გლახუნა, ჩემთან არ გაგიკა მაგი სენთი! — ხელი ჰკრა მანუჩარამ. გლახუნამ ტუჩზე იკბინა.

...როგორ დაადგა თავზე ეს პირუტყვი, როგორ დაუხოცა ცხვირწინ შვილივით დაზრდილი ძაღლები, როგორ აკკიდა ამხელა ტვირთი, ან როგორ აიძულა გაპყოლოდა, ამის დარდი ჰკლავდა გლახუნას. სისხლმა შეაშინა, შეჩვენებულმა ძაღლის სისხლმა, სისხლის მეტი რა უნახავს გლახუნას, მაგრამ სხვაა თოფით დადენილი სისხლი, ვაი სირცხვილო, ვაი დედასა, გლახუნა! ანის მაუზერი რად უნდოდა, ხოჯინში წესანახავად? ვაი სირცხვილო, გლახუნა. როგორ ვერ მოასწრო ხოჯინთან მისვლა, მაგრამ გვერდით არ მოცილებია ხვადაგი, ანდა მაგას სროლას დაასწრებს კაცი? ვაი სირცხვილო... ბოდმა ცრემლი და სირცხვილი ახრჩობდა გლახუნას, — გასკდი, გულო! — ინატრა გლახუნამ, მაგრამ არ გასკდა. გული, გული გასკდა კი არა, ფეხი აუჩქარა გლახუნამ. ვაი სირცხვილო. გუბე შეხედა გლახუნას გზაში, სავსე მთვარე ჩანდა შიგ, ისე ჩანდა, გეგონებოდა დედამიწა ჩანგრეულა და ის მთვარე დედამიწის მეორე მხრიდან იმზირებაო. აი, ახლა ფეხს ჩადგამს გლახუნა ამ ორმოში და თავისი ტვირთით ჩაიქცევა, ჩაიმსხვრევა და ჩაიკარგება შიგ. გლახუნამ ფეხი ჩადგა ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოში იმ იმედით, რომ დედამიწის გულს ვიპოვდა... მაგრამ წაიფორხილა და პირდაპირ გუბეში ჩაჯდა მუხლმოკვეთილი.

— ადექი, შე ზანტაკო! — შეუტია მანუჩარა კიკვაძემ. გლახუნა წამოდგა და მანუჩარას თვალებში შეხედა.

— გლახუნა ქერქაძე, ხომ ხნავს ძალა აღმართს? — ჰკითხა მანუჩარამ და თეირი კბილები გამოაჩინა. — რაო, მაინც იმ თქვენმა თავმჯდომარეს და ინ ორმა ჩასვრილმა ბატალიონის წევრმა, ჩემ მოსაკლავად ამოვიდნენ? მერე და, იქ არ ვიყავი? სამიეე შაშვივით მეჯდა სამიზნეზე. თუ დიდი გული ჰქონდათ, ტყეში რატომ არ შემოვიდნენ, მაგრამ იცოდნენ, თავის დისკოებიანად რომ შევტეხილი იმ ავტომატებს უკანალში, — მანუჩარამ ისევ გამოაჩინა თეთრი კბილები და ხრინწიანი ხმით ჩაიხითხითა.

—განწირული კაცის სიცილია მაგი, შენ რომ იცინი, მანუჩარა კიკვაძე! — ხმა ამოიღო გლახუნამ.

—მაგაზე ომი რომ გათავდება მერე ვილაპარაკოთ, გლახუნა, ახლა ვოდორი მოიკიდე, ფეხი გამოადგი, წყალში და ტალახში წოლის დრო და საშუალებას მერეც მოგცემენ ბოლშევიკები, ოღბათ, წალტუბოში გაგაგზავნიან უფასო პუტოვკით, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დამსახურებისათვის.

—ომის შემდეგ, ზნედაცემულო მანუჩარა, მანამდე თუ არ ამოგხადეს სული, ჩოხატაურში რომ ყველაზე მაღალი ჭადარია, იმაზე ჩამოგიდგ ფეხით, ჩემი ხელით ავქნი ასო-ასოდ მაგ შენ სიფილისტით დამპალ მძორს და მარილს დავაყარი ზედ, — უთხრა გლახუნამ და სახეში შეაფურთხა. მანუჩარა გაშრა, მერე უცებ გაშლილი ხელი გაწნა გლახუნას ცხვირ-პირში და იგი მოწყვეტილი ჩაქმნა სახით გუბეში. ისევ რომ წამოდგა, სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა სახიდან.

—მომკალი, შე აჯილღას გაგდებულო, ვარ ვარ მე აქედან ფეხის მომცველი. — თქვა გლახუნამ და ისევ ჩაჯდა ტალახში.

—ტყეილა ფიქრობ მაგას, გლახუნა ბატონო, სანამ ადგილზე არ მიგატანინებ მაგ ყველს, არ გაღირსებ სიკვდილს, — გაიწბილა მანუჩარამ.

— ვის ებრძვი, მანუჩარა უდღეურო, თუ იცი?! — გაიფრთხილა გლახუნამ.

თქვენ გებრძვით, გლახუნაა ბატონო, ბოლშევიკებს. ოცდაორი წელია დაბოგინობთ მამაჩემის ნასახლარზე და მამულში .... გეყოთ აწი, ჩვენი დრო მოვიდა, — დაცინვით უპასუხა მანუჩარამ.

— ვინ ხართ, ბიჭო, თქვენ?

— მე და გერმანია.

— სადაა მერე გერმანია?

— მოვა, გლახუნა, მოვა და იმ ჭადარზე, შენ რომ მპირდები ჩამოკიდებას, თქვენ ჩამოგკიდებთ ყველს, წინ თქვენი რაიკომის მდივანს წაგიმძღვარებთ, წითელი დროშით ... ადექი ახლა!

—მკვდარს თუ წამიღებ აქედან არ ვიცი, მანუჩარა კიკვაძე, ცოცხალი თავით აღარ წამოგყვები, თავმოსაჭრელად და სირცხვილად ისიც მეყოფა, აქამდე რომ მოგყევი ... — მანუჩარა კიკვაძე მიხედა, რომ კიდევ ერთი კაცის ცოდვა უნდა აეკიდებია კისერზე.

— შეტრიალდი ახა და ილოცე, თუ იცი ლოცვა, მაინც ღვთის შვილი ხარ და ერთი ტალახიდან ვართ მოზელილი, — მისცა შეღავათი სიკვდილის წინ მანუჩარა კიკვაძემ გლახუნა ქერქაძეს. გლახუნამ მუხლებზე დაიჩოქა და ადაპყრო ცაში ხელები:

— ღმერთო მაღალო, ამ საღამოს შეგპირდი, რომ ჩემი ხელით მოკვდებოდა ეს ბინძური თესლის ნაყოფი, ახლა ისე შემიტრიალე ცხოვრება, ამის ტყვიით უნდა მომკალა, ნუ მიზამ მაგას, შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე და შენ წაიღე შენი ხელით, გამიხეთქე გუ-

---

ნოდარ დუმბაძე
ბარაბიზობის კანონი

ლი თუ ხარ სადმე და თუ გესმის ჩემი ... და თუ მე და ეს ხვადაგი, მართლა ერთი ტალახიდან ვართ მოზღელილი, მაშინ წაიღე შენი ნაბოძები სიცოცხლე, აღარ მარგია არაფერში...

ჩხაკოურას ტყეში სამი ტყვია გავარდა ზედიზედ. გლახუნა ისევ იმ გუბეში ჩაემხო სახით, წელან რომ მთვარე დაინახა შიგ დედამიწის მეორე მხრიდან მზირალი. და ვიდრე სიკვდილი მოვიდოდა, საოცარი სიცხადით იგრძნო, როგორ გაიხსნა დედამიწამ უბე და როგორ მიიღო თავის წიაღში, მერე როგორ შეკრა ნელ-ნელა პირი, როგორ ჩამოუსვა ქუთუთოებზე ვეებერთელა ხელისგული და როგორ დახურა ცა უსაშველოდ შავი ნაბადით.

●

სიპატო გუდავაძემ, იონა ორაგველიძემ, გერვასი ფაცაციამ და ორმა ბატალიონის წევრმა ჩამოასვენეს ნაშუადამევს გლახუნა ქერქაძე ფერმაში. არც ერთი სიტყვა არ თქმულა, არც ერთი წვეთი ცრემლი არ დაღვრილა. თვალდამშრალი და კრიჭამეკრული კაცები გთენებას ელოდნენ.

მხოლოდ გათენებისას შეამჩნია იონა ორაგველიძემ, რომ ბაჩანა ფერმიდან გამქრალიყო.

— მაგის დაკარგვა გვინდოდა ახლა?! — თქვა სასოწარკვეთილმა სიპატომ და ორთავე ხელი გამეტებით დაირტყა მუხლზე.

— ბაჩანა! — დაიძახა უცებ.

— ბაჩანა! — აჰყვა იონა ორაგველიძე და შემდეგ ოთხივე მხარეს დაირხა შეშფოთებული ძახილი:

— ბაჩანაააა, ბაჩანაააა, ბაჩანაააა!!!

ექო ერთი მთის ფერდიდან მეორე მთის ფერდს მიასკდა. მერე ხევში გადაინაცვლა, კლდე და ღრე მოიარა, ტყეში შევარდა და რომ ვეღარსად მიაგნო, ისევ ფერმის ეზოში მდგარ სახეშეშლილ, შეშფოთებულ და იმედგაცრუებულ კაცებს დაუბრუნდა.

●

მზე რომ ამოიწვერა, ტყიდან მნარზე ხურჯინგადაკიდებული ბიჭი გამოვიდა და წყაროს პირას ჩამოჯდა. დაცვეთილი ქალამნები გაიხადა, ერთხანს ხელში ატრიალა, მერე გვერდზე მოისროლა და დასიებული ფეხები ყინულიან წყალს შეუშვირა. პირიც დაიბანა ბიჭმა, მერე სველ ბალახზე წამოწვა გულღიმა, თავი ხურჯინზე ჩამოდო და ცაში აიხედა. ქორი საირაოზე გამოსულიყო და ლამაზად დატორტმანებდა ლილისფერ ცაზე.

— ახლა იქედან გადმომახედა?! — ინატრა ბიჭმა, — ალბათ, ხელისგულივით ჩანს ყველაფერი, — ბიჭმა თვალები დახუჭა და ასე იწვა დიდხანს გარინდებული. დაძინებული ეგონებოდა უცხოს.

დიდი დრო გავიდა. ბიჭი გულღმა იწვა თვალდახუჭული და არაფერზე არ ფიქრობდა.

უცებ კოდმეზე ღორღი ჩამოიშალა და ხრიალით დაეშვა ბილიკზე. ბიჭი სწრაფად წამოჯდა და მაღლა აიხედა. კოდმეზე წვერგაუპარსავი, მზისგან გარუჯული, ხმელი სახის ოდნავ წინ ყბაწამოწეული და მკვრივი აღნაგობის კაცი იდგა. ცალ ხელში თოფი ეჭირა, მეორეთი თხემლის ნოღაზე იყო მიყრდნობილი. ბიჭს გული ამოუვარდა ბუდიდან.

— ვინ ხარ, ბიჭო, შენ? — ჰკითხა კაცმა ზემოდან. ბიჭმა ენა ვერ მოაბრუნა პირში. — მუნჯი ხარ? — ჰკითხა კაცმა, ბიჭმა ხმა არ გასცა.

— ჩხაკოურელი ვარ მე! — ძლივს ამოღერღა ბიჭმა.

— სად მიდიხარ?

— ზოტში!

— ვისთან?

— ნათესავებთან.

— თათარი ხარ?

— კი, თათარი ვარ! — კაცი დაფიქრდა, პატარა ყოყმანის შემდეგ ჰკითხა და თან გამომცდელი მზერა მიაპყრო:

— თქვენ გადმოღმა რომ ქვენობნის

ფერმაა, იქ ხომ არ გამოგვიალი? — კაცი თვალს არ აცილებდა ბიჭს.

— შორია იგი ფერმა ჩვენგან, მე გადმოღმიდან წამოვედი, მოკლეზე, — უპასუხა ბიჭმა და გამხმარი ტუჩები აილოკა. — თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო? — ჰკითხა თავის მხრივ.

— ტყის მცველი ვარ, ქვენობნის ფერმაში მივდივარ; საქმე მაქვს მწყემსებთან, რა გაქვს მაგ ხურჯინში? — ბიჭს საქციელი წაუხდა, რადგან არ იცოდა, რა ჰქონდა ხურჯინში. ბიჭმა ხურჯინისაკენ წაიღო ხელი და მარჯვენა თვალში ჩააცურა. ხელში ნაქურჩელადაცობილი ბოთლი მოჰყვა. ამოიღო და მწვანეზე დადო.

— რაა, ბიჭო, მაგი? — ჰკითხა კაცმა.

— არაყია, ბატონო!

— არაყს სვამ, თითის სიგრძე ღლაპი?

— ცოტას! — გაუღიმა ბიჭმა და ახლა გვიმრის ფოთოლში გახვეული ერთი წველა თხის ყველი ამოაყოლა ხელს, მერე ნახევარი კვერი და ბოლოს მშრალად მოხარშული თიკნის ხორცი.

—წაგვიხემსია ალბა მე და შენ! — თქვა კაცმა და კოდმეზე დაეშვა.

— მობრძანდით: — მოიპატიჟა ბიჭმა და ხურჯინზე დაჯდა.

ალბა, ქვენობნის ფერმაზე არ გამოგვიალია? — ისევ ჰკითხა კაცმა, მწვანეზე გაშლილ პურმარილთან ფეხი მოიოთხა და თოფი კალთაზე დაიდო, გარდიგარდმო. ბიჭმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და ხელების ცახცახი რომ დაეშალა, ზედ დაჯდა ორთავე ხელს. კაცი თავაუღებლად შეუდგა ჭამას.

— გატეხე, ბიჭო, ლუკმა, მარტო ხომ არ ვჭამ! — მიუბრუნდა ბიჭს და არყის ბოთლი შეანჯღრია ხელში.

— ცოფიანია, ალბათ! — თქვა.

— კია ცოფიანი! — უპასუხა ბიჭმა. კაცმა ბოთლის ყელი ხელისგულით გაწმინდა და პირში გადაიმხო. უცებ ხველება აუვარდა.

— მოგიკვდა გამომხდელი! — თქვა პირგამოთუთქულმა და თავი მარცხენა ხელის იდაყვში ჩარგო სულის მოსათქმელად.

— ღმერთო, ახლა მომეცი ძალა და მერე მომკალი! — ინატრა ბიჭმა და ხელი ხურჯინის მარცხენა თვალში შეაცურა. მერე ადგა და ხელი გამართა. სული რომ მოთქვა, კაცმა ბიჭს ახედა და ქვედა ყბა ჩამოუვარდა. მის წინ საბეშეშლილი მაუზერგამართული ბიჭი იდგა.

— ადექი, მანუჩარა კიკვაძე! —უთხრა ბიჭმა და თვალი თვალში გაუყარა. მანუჩარა კიკვაძე ვერ ადგა.

— ადექი, მანუჩარა გათახსირებულო! — გაუმეორა ბიჭმა ხრიწიანი ხმით.

— ვინ ხარ, ბიჭო შენ და რისთვის მკლავ?! — ჰკითხა მანუჩარამ, ხმა რომ დაუბრუნდა.

— გლახუნა ვარ მე ქერქაძე — მანუჩარამ ისევ დაკარგა მეტყველება.

— გლახუნა ვარ მე ქერქაძე და ჩემი ხელიდან უნდა მოკვდე შენ! — გაიმეორა ბიჭმა და მაუზერის სიმძიმით დაბუქებულ ხელს მარცხენა ხელი შეაშველა. მანუჩარამ მუხლებზე დაიჩოქა და ოფლად გაღვარული თავი წყლიდან ამოსული კაცივით გააქნია.

— არ შეკდე, ბიჭო, არ შეიძლება შენი ხნის ბაღანეს ხელიდან კაცის სიკვდილი... — ხმა აუთრთოლდა მანუჩარას, — არ მესროლო, როგორ გინდა მერე მკვლელის სახელით დაღდასმულს სიცოცხლე და მიწაზე სიარული?..

— შენ, შენ როგორ ცხოვრობ და სუნთქავ ამ ქვეყანაზე?..

— ვინ გითხრა მერე, რომ ვცხოვრობ და ვსუნთქავ?

— მოკვდი მანუჩარა! — თქვა ბიჭმა და ხელები გამართა.

— რა გქვია, ბიჭო და ვინ მოგიყვანა ჩემდა სიკვდილად, მითხარი მაინც,... — შეევედრა მანუჩარა და ისე იკბინა ტუჩზე, სისხლმა გამოჟონა.

— გლახუნა ვარ მე ქერქაძე! — გაუმეორა ბიჭმა.

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

მანუჩარამ კვლავ ჰკითხა რაღაც, მაგრამ ბიჭს ალარაფერი ესმოდა. ყურეში უსაშველო გუგუნი ჩაუდგა, გული ბუდიდან ამოუვარდა, მის მკერდსა და საფეთქლებში უზარმაზარ რკინის ურობს ბაჯქონდათ დაგადუგი და ბიჭმა იგრძნო უცებ, რომ სმენასთან ერთად მხედველობასაც ჰკარგავდა, რადგან მისკენ ფორთხეით წამოსული მანუჩარას შუშლილი სახე ჯერ გაორდა, მერე გასამდა და ბოლოს კალასავით გალღვა. ბიჭმა მაუზერს ფეხი გამოუშალა... სროლის ხმა არ გაუგონია, არც ტყვიების რაოდენობა დაუთვლია. გრძნობდა მხოლოდ, როგორ უძაგძაგებდა ხელში მაუზერი, როგორ ამტვრევდა ორთავე მაჯას და როგორ ცდილობდა გასხლეტოდა ვერცხლის ტარზე შეცეებული ხელიდან. მერე, როდესაც მაუზერმა ძაგძაგი შესწყვიტა, ბიჭმა საშინელი სასუსტე იგრძნო. მკლავები ერთბაშად მოსწყდა და მაუზერმა მანუჩარა კიკვაძის დასახირებულ თავთან გადინა ზღართანი.

ბიჭმა მკვდარს ზურგი შეაქცია, მიწაზე დაეშვა, მუხლებში თავი ჩარგო და ტყეში დაკარგული მგლის ლეკვივით დაიწყო ყმოენი.

●

შუადამისას ლომკაცა რამიშვილმა გახელებული ბრახუნი გაიგონა კარზე. იგი საცცლების ამარა წამოდგა, ჭრაქი აანთო და კართან დადგა.

— რომელი ხარ?! — იკითხა ხმამაღლა.

— მე ვარ, ბაჩანა! — თქვა კარს იქით მდგარმა კაცმა.

— არ ხარ შენ, ბაჩანა! — შვილიშვილს ხმა ვერ იცნო და გულმა რეჩხი უყო ლომკაცას.

— მე ვარ, ბაბუა, გამიღე კარი! — გაიმეორა კაცმა. ლომკაცა რამიშვილმა ურდული ვასწია და კარი გააღო. ბარმაღში ფეხებდაგლეჯილი, ძხრეგზამყრილი და თავჩაქინდრული ბაჩანა იდგა.

— შემოდი! — უთხრა ლომკაცამ. ბაჩანა არ განძრეულა. მაშინ ლომკაცამ ხელი მოჰკიდა შვილიშვილს და ოთახში შეიყვანა. ჭრაქი მრგვალ მაგიდაზე დადგა, თვითონ კი სკამზე დაეშვა.

— რა გეპარა, ბაბუა? — ჰკითხა დაზაფრული ხმით.

— კაცი მოვკალი! — თქვა ბაჩანამ და ნიკაპი აუკანკალდა. ლომკაცა რამიშვილს სახე მოებრიცა და ხელი მარცხენა ძუძუზე დაიდო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და არავინ იცის, რამდენ ხანს გრძელდებოდა იგი.

— ხუთი წელიწადი ტყეელა გიკითხე ბაბუა, სახარეგა? — ჰკითხა ხმადაკარგულმა ლომკაცა რამიშვილმა, სახე რომ გაუსწორდა და ტკივილმა რომ გაუარა მარცხენა ძუძუსთან. შვილიშვილს ხმა არ ამოუღია, იდგა თავდახრილი და გაოფლილ ხელისგულებს იმშრალებდა შარვლის ტოტებზე.

— უდანაშაულო კაცი მოკალი? — დაარღვია დუმილი ისევ ლომკაცამ და პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეეკრა.

— გლახუნა ქერქაძის მკვლელი მოვკალი, ბაბუა! — ლომკაცას განცვიფრებისაგან თვალები გაუფართოვდა, წამოდგომა დაეპირა, მაგრამ მუხლებმა უღალატეს.

— მანუჩარა კიკვაძე მოკალი?! — — ჰკითხა ჩურჩულით.

— მანუჩარა! — ლომკაცამ თავს ძალა დაატანა, ადგა, კართან მივიდა და მოიხურა. მერე შვილიშვილს მიუახლოვდა და მისი ოფლად გაღვარული თავი მკერდზე მიიკრა.

— ნახა მაგი ამბავი ვინმემ, ბაბუა? ჰკითხა ყურში. შვილიშვილმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— ორი ღმერთი მყავდა, ბაბუა, შენ და გლახუნა, ერთი ღმერთი მომიკლა მანუჩარამ... — შვილიშვილმა თაკარა ხელი შეახო ბაბუას დაკოჟრილ და გაცეებულ ხელს.

— კარგად დაფიქრდი, ბაბუა, სხვისი დაღვრილი სისხლი არ დაიბრალო, მაგი ნამეტანი ძნელი საქმეა... — თქვა ფიქრში წასულმა ლომკაცამ და უცებ იგრძნო, როგორ გადმოიღვარა შვილი-

შვილის თაკარა ხელიდან მის ბებერ ძარღვებში მდუღარე სისხლი, როგორ აჩქეფდა, როგორ დაიარა მთელი სხეული, როგორ შეეარდა ცხელ ნაკადად ჯერ გულსა და შემდეგ საფეთქლებში. ლომკაცამ თვალებში ჩახედა შვილიშვილს, დიდხანს, დიდხანს უყურა. ეს არ იყო მისი თხუთმეტი წლის ავადმყოფი შვილიშვილი. პატარა ბავშვს ერთ ღამეში დაეტოვებინა მისი სხეული, სადღაც გამქრალიყო, დაკარგულიყო და მის ნაცვლად ახალი, სისხლით დადაღული, მაგრამ საოცრად ძლიერი სული ჩასახლებულიყო შიგ. ლომკაცამ ვერ გაუძლო შვილიშვილის აბრიალებული თვალების ცქერას, თვალი აარიდა და თავი დახარა. იგი უთქმელად მიხვდა, რას ეკითხებოდა შვილიშვილის თაკარა ხელი, რას ეკითხებოდნენ შვილიშვილის აბრიალებული თვალები და მიხვდა, რომ ახლა მხოლოდ მის პასუხზე იყო დამოკიდებული მისი ნაგრამის შემდგომი ცხოვრება.

— კი, ბაბუა, მოვკლავდი!!! — თქვა ლომკაცამ და ისევ ჩაიკრა მკერდში შვილიშვილი. ბაჩანა უცებ მოეშვა, მოდუნდა, ხელიდან დაუცურდა ბაბუას და იატაკზე დაჯდა.

— ღმერთო მაღალო, რაღა ამ პატარა ბავშვის სხეულში ჩასახლდი შურისძიებად. — თქვა ლომკაცამ და შვილიშვილის გვერდით დაეშვა იატაკზე.

...და როდესაც გარიჟრაჟზე სახეშეშლილმა სიპიტო გუდავაძემ ლომკაცას სახლის კარი შეაღო, ბაბუა და შვილიშვილი კვლავ იატაკზე ისხდნენ და ტიროდნენ. შვილიშვილი ხმამაღლა ტიროდა, ბაბუა კი ჩუმად, მხოლოდ ცრემლით.

5

როდესაც პროფესორი ანთელავა პალატაში შემოვიდა, პალატის ექიმისა და ექთანის თანხლებით, ბაჩანა თვალდახუჭული იწვა და საკუთარ გულისცემას უგდებდა ყურს. გული ახლა უფრო ღონივრად სცემდა. მეტი მონდომებით ჭარავდა სისხლს ძარღვებიდან და აწვდიდა ბაჩანას დაბინდულ გონებას. ბაჩანა ხედებოდა, რომ მისი გულის ცემა ხლი და გონება ნელ-ნელა ძალას იკრებდა. მან პროფესორის შემოსვლაც იგრძნო, მაგრამ იმდენად სასიამოვნო იყო მისთვის ქვეყნად მობრუნების განცდა, რომ თავი მოიძძინარა.

— გამარჯობათ! — თქვა პროფესორმა.

— პატივცემულ პროფესორს ჩვენი სალამი! — წამოიწია ლოგინზე ბულიკა.

— იცოცხლეთ, ბატონო! — მიესალმა მამა იორამი.

— როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა ორთავეს ერთად პროფესორმა და მათი ავადმყოფობის ისტორიებს გადახედა გულდასმით. — მალე რეაბილიტაციაში გადაგიყვანთ! — თქვა კმაყოფილმა და ისტორიები ლოგინის თავებზე ჩამოკიდა.

— მე რეაბილიტაციაზე უფრო ამინისტია მაწყობს, პატივცემულო პროფესორო, თავს კარგადა ვგრძნობ, თუ გამიშვებთ, დღესვე წავალ. სამი დღეა საპირფარეშოში ჩემი ფეხით დავდივარ. — სთხოვა ბულიკამ და თავისი ჯანმრთელობის სადემონსტრაციოდ შიშველი ფეხები გადმოყო საწოლიდან.

— მე ხომ გაგაფრთხილეთ, ჯერ არ გაუშვათ-მეთქი. — მიუბრუნდა პროფესორი პალატის ექიმს.

— ხომ ვერ დავაბამ, ბატონო? — ხელები გაშალა პალატის ექიმმა.

— უნდა დაიბაბათ, თქვენი ადგომა ჯერ არ შეიძლება, რა, ღამის ქოთანს ვერ შეეგუეთ? — ჰკითხა ბულიკას და ხელის მსუბუქი წაკვრით ლოგინზე გადაიქცია.

— რას ამბობთ, ბატონო, შევეჩვიე კი არა, მაგას რომ ცოტა სითბო მისცა, ჩემი ცოლისაკენ არც გავიხედავდი, მაგრამ აქ ძალიან პატივცემულ საზოგადოებას ვაწუხებ...

— არა უშავს! — დაამშვიდა პროფესორმა.

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

— ეგეც არ იყოს, ნამუსი მაწუხებს, ჩემი ავადყოფობის გამო, ალბათ ნახევარი ვაკე უკვე ფეხშიშველი დადის...

— თქვენ გინდათ, რომ მთელმა ვაკემ იაროს ფეხშიშველა? — შეუქო ხელობა პროფესორმა.

— ბოდიში პატივცემულო, მოვრჩი ბაზარს, — მიხვდა ბუღლაკა ექიმის ორაზროვან სიტყვებს და თითქოს მთელი ვაკე, მართლაც, მის გამოჯანმრთელების მომლოდინე ყოფილიყოს, ისე ფრთხილად დადო თავი სასთუმალზე და გაიტრუნა.

— კათალიკოსმა დამირეკა დღეს, თქვენი ჯანმრთელობა იკითხა, მამაო იორამ, რა გადაეცეს? — მეუბრუნდა პროფესორი ორთაქალის სამების ეკლესიის მოძღვარს ღიმილით.

— შენი ლოცვით და კეთილშვილი არ ღებულობს-თქო მაცხოვარი, ისე გადაეცით, ბატონო! — თქვა კათალიკოსის ყურადღებით გულაჩუყებულმა მოძღვარმა და თვალები ცრემლით აევსო.

— გამოდის, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვყოფილვართ! — განგებ იწყინა პროფესორმა.

— თქვენ, ექიმებს, ჯოჯოხეთის კარი გაბარიათ, კათალიკოსს კი სამოთხისა, ბატონო პროფესორო! — თავი იმართლა მამა იორამმა და პირჯვარი გამოისახა.

— საიქიოს ერთი კარი აქვს, მამაო და სწორედ ის კარი გვაბარია ექიმებს. ჯოჯოხეთი და სამოთხე ეს უკვე ქვეგაყოფილებებია და სად გაგანაწილებს მაცხოვარი, მისი საქმეა. ჩვენი საქმეა საიქიოს კარი დროზე ადრე არ გაგიღოთ. — უპასუხა პროფესორმა.

მამა იორამმა უხერხულად ჩაახველა და გაჩუმდა.

— Все спит? — იკითხა პროფესორმა და ბაჩანას მაჯა აიღო ხელში.

— ოცდათხი საათია სძინავს, ბატონო! — უპასუხა პალატის ექიმმა.

— რაც მეტს იძინებს, უკეთესია. — თქვა ექიმმა და ბაჩანას სასთუმალთან ჩამოკიდებული ავადყოფობის ისტორია ჩამოიღო. — როეს და ქოლესტერინს დაუკლია. — თქვა კმაყოფილმა. — ექსტრა სისტოლები მაინც ვერ ვერას აძლევთ?

— ეთალდინმა ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა, — უპასუხა პალატის ექიმმა.

— ტკივილი?

— სუსტი.

— პერიოდულობა?

— თუ ღვიძავს, ნახევარ საათში ერთხელ.

— პანტაპონი არ შეუწყვიტოთ. პროფესორმა მკერდზე ზეწარი გადახადა ბაჩანას ძალიან ფრთხილად და მარცხენა ძუძუს ზემოთ დააკვირდა დაკენტებით. დიდხანს უყურა, ბოლოს შვებით ამოისუნთქა.

— რა ბედნიერებაა, ანევრიზმა რომ არ განუვითარდა. — ბაჩანამ თვალი გაახილა.

— გამარჯობათ, ბატონო პროფესორო! — თქვა მან.

— თქვენ არ გძინავთ? — გაუკვირდა ექიმს და ექთანის მოწოდებულ სკამზე ჩამოჯდა.

— საერთოდ, არ მძინავს, ბატონო ნოდარ.

— როგორ?

— ცხადი ძილი მაქვს, ექიმო, სიზმრებს ვხედავ.

— მაინც როგორ სიზმრებს ხედავთ?

— ხან ცუდს, ხანაც კარგს.

— ეცადეთ, ძილის წინ კარგ რამეზე იფიქროთ, მაშინ სიზმარიც კარგი გექნებათ. — ასწავლა ექიმმა.

— როგორ ფიქრობთ, ბატონო პროფესორო, გადავრჩი? — ჰკითხა ბაჩანამ.

— მე სწორედ მავის საკითხავად მოვედი თქვენთან! — უპასუხა ექიმმა.

ბაჩანა დაიბნა.

— მე, მე მგონი... მე მგონი უკეთ ვარ...

— მაშინ, იმედი უნდა ვიქონიოთ, — თქვა პროფესორმა და გადახდილ მკერდზე ფონენდოსკოპი დაადო.

— რას შვრება, ექიმო? — ჰკითხა ბაჩანამ შემკრთალი ხმით.

— რაც მთავარია, მესმის, გუშინ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმოდა, — თქვა პროფესორმა და წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

— თუ გადავრჩი, თქვენს ორ ოქროს ბიუსტს შევუქვეთავ, — უეცრად ღიმილით ბაჩანამ.

— ორი რად გინდათ?

— ერთს თქვენ მოგართმევთ, მეორეს საწერ მაგიდაზე დავიდგამ და ვიოლაცებ.

— გოგილაშვილი თქვენზე პრაქტიკულია, მხოლოდ ერთ ოქროს ბიუსტს შემპირდა, — გაიცინა ექიმმა.

—...და ორი ბრილიანტის საყურეც, თქვენი ცოლისათვის, თან მთელი სიცოცხლე ტუფლების უფასო რემონტი! — დაუმატა ბულიკამ.

— აგამენა ღმერთმა, ახლა წავალ, ცოლს გავაფრთხილებ, ყურის ბიბილოები გაიხვრიტოს. თქვენ რას მპირდებით, მამაო იორამ?

— თქვენ სიგრძე სანთელს და ლოცვა-კურთხევას.

— არ დაგავიწყდეთ, ინფარქტმა გულმავიწყობა იცის. სხვა რამე ხომ არ გაწუხებთ? — თქვა მოვალეობის მოხდის მიზნით პროფესორმა.

— ვირთხაზე გვინდოდა რამე გვეთქვა, მაგრამ დღეს თქვენი მოსვლით ისე გაგვახარეთ, ვითომც არა გვყოლია... — თქვა ბულიკამ და ექთანისაკენ გააპარა თვალი.

— რა ვირთხა? — იკითხა განცვიფრებულმა პროფესორმა.

— ქრონიკული ალკოჰოლიზმისაგან ელანდება, ჰატიცემული პროფესორო, — თვალები გადმოქარა მოულოდნელობისაგან დამფრთხალმა ექთანმა.

— კარგი, მე ბელაია გარიაჩკა მაქვს და მელანდება, ამას?!! — ხელი გაიშვირა მღვდლისაკენ შეურაცხყოფილმა ბულიკამ.

— ღვთის წინაშე, კი არაფერს აშავებს... გამოვა, შაქარს დაკვნეტს... — დაიწყო სიტყვების ღეჭვა მოძღვარმა.

— ახლავე სანინსპექტორს დაუძახეთ! — გასცა განკარგულება ექიმმა.

— თაგვის შაქარზეა წასული, ბატონო! — მოახსენა პალატის ექიმმა.

— თაგვის შაქარი რა ოხრობაა, что это, в республиканской больнице столько мышей развелось, что у них даже свой рацион?! — გაგიგდა პროფესორი.

— თაგვის შაქარი საწამლავია, ბატონო! — აუხსნა პალატის ექიმმა.

— მიშიაკი! — უთარგმნა ექთანმა.

— Какой позор, безобразие! თქვა პროფესორმა და დაუმშვიდობებლად გავიდა პალატიდან.

— არ უნდა მეთქვა? — იკითხა შეწუხებულმა ბულიკამ.

— გინდა თქვი, გინდა არა, ფაქტი სახეზეა, ცოტაც მოეცადა, თავისი თვალით ნახავდა. — თქვა მამა იორამმა და ბულიკას საწოლის ქვემოდან გამომძვრალ ვირთხას შაქარი გადაუგდო.

ერთი საათის შემდეგ პალატაში საავადმყოფოს მთავარი ექიმი, სამწეო ნაწილის გამგე, სანინსპექციის უფროსი, ორი სანიტარი, პალატის ექიმი და ექთანი ენენა შემოლაგდნენ.

— სად არის ვირთხა? — იკითხა მკაცრად სანინსპექციის უფროსმა.

— აქ არის! — უპასუხა ბულიკამ და მარჯვენა თვალის ქვედა ქუთუთო ჩამოიქაჩა თითით.

— პროვოკატორობთ, არა? — მიუბრუნდა ბულიკას სამნეო ნაწილის გამგე.

— მაშ, ეს შაქარი მე დავკვნეტე? — ჰკითხა ბულიკამ და შუა ოთახში გაგორებულ დახრულ შაქრის კვნეტზე მიუთითა. სანიტრები საწოლების ქვეშ შეეკვეხნენ და თაგვის შაქრით ამოავსეს ოთახის ყველა კუნჭული.

— ცოტა ძველი კია ეგ თაგვის შაქარი, მაგრამ არა უშავს, ხვალამდე ვაცალოთ და თუ არ იმოქმედა, ხვალ კატას მოგიყვანთ, — დაამშვიდა ავადმყოფი სანინსპექციის უფროსმა. მერე სანიტრებს მიუბრუნდა.

— ცოტა ჩეშს კაბინეტშიც შეიტანეთ, იქაც გამოუხრავთ კარადა.

ნოდარ ფუფაკაძე
მარადისობის კანონი

ვიდევ რას უჩვენით?! — მიუბრუნდა ავადმყოფებს.

— ამერიკას სამხრეთ კორეიდან ჯარები რატომ არ გაჰყავს? — იჩივლა ბულიკამ.

— Сиксот, анонимщик! — უპასუხა სანინსპექციის უფროსმა და კარი გაიჯახუნა.

— ხაესოტი და ანონიმშჩიკი მამაშენია, შენ თვითონ კი — კრისი, მიაყოლა ბულიკამ ზურგში.

●

ცოტა ხნის შემდეგ პალატაში ქენია შემოვიდა გახაზირებული ნემსით. ბაჩანას მიუახლოვდა და ბარძაყზე ზეწარი გადახადა.

— ზოგიერთ ავადმყოფს პანტაპონი ენაზე უნდა გაუკეთო, ბევრი რომ არ ლტლეკინოს! — თქვა თავისთვის.

— თუ ჩემზე ამბობ, ქენია, მაგისთვის მე სხვა ადგილი მაქვს. — მიასწავლა ბულიკამ.

ქენიამ არაფერი არ უპასუხა. ბაჩანას ფეხის კუნთში ნემსი გაუკეთა, ნანემსარი დაუზილა და უხმოდ გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შემობრუნდა.

— ბატონო ბაჩანა, ვიღაც ყაცია თქვენს სანახავად მოსული.

— ვინ ვარო?

— ახლო ნათესავი ვარო!

— თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მოვიდეს, — უთხრა ბაჩანამ.

ქენია გავიდა და ვიღაც დაბალი, მოკლეხელებიანი, ქერა და ჭორფლიანი ყაცი შემოიყვანა.

— მხოლოდ ხუთი წუთი! — გაფრთხილა ქენიამ შემოყვანილი.

— თვალის დახამხამება! — უპასუხა შემოყვანილმა და ბაჩანას საწოლთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა მიუპატიჟებლად.

— გამარჯობათ, პატივცემულო ბაჩანა! — მიესალმა უცნობი და მზრუნველად დაადო ხელი მუხლზე.

— გაგიმარჯოთ! — უპასუხა დაბნეულმა ბაჩანამ.

— ვერ მიცანით, ხომ? — ჰკითხა უცნობმა. ბაჩანამ მახსოვრობა დაძაბა, მაგრამ ვერ იცნო ქერა ყაცი.

— ვერც ახლა? — ჰკითხა უცნობმა და პროფილით დაჯდა. ბაჩანამ უხერხულად გაიღიმა.

— იქნებ როგორმე გამახსენოთ თავი. — სთხოვა.

— სოხუმი, ჩერნიავკა, ვენეციის ხიდი, მეცამეტე სკოლა. დიდა თქვენები მარო, ნინა, თამარა, დიდაშვილები ნელი, ზულეიკა, დოდო, კოკა... — ჩამოთვალა უცხომ ითვებზე.

— თქვენი თავი გამახსენეთ, ბატონო, თორემ ჩემი დიდაშვილები და დიდები ისედაც მახსოვს. — შეწუხდა ბაჩანა.

— მე ნუგზარი ვარ, დარახველიძე, არ გახსოვთ, თქვენმა დიდა ნინამ რომ მონათლა ჩემი და და ლუიზა რომ დაარქვა...

— მომკალით, არ მახსოვს, — შერცხვა ბაჩანას.

— იმის შემდეგ სულ ჰქვია და ჰქვია ჩემს დას ლუიზა.

— ძალიან სასიამოვნოა — თქვა ბაჩანამ და ახლა ლუიზას გახსენება დაიწყო და ვერსად რომ ვერ მიაგნო, ხელი ჩაიქნია გუნებაში.

— ჰოდა, იმის ძმა ვარ მე, ნუგზარ დარახველიძე. — გაანათა წყვდიადით მოცული გაუგებრობა უცნობმა.

— რა გნებავთ, ბატონო ნუგზარ? — ჰკითხა ბაჩანამ.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ბაჩანა? შეწუხებულია მთელი ერი...

— აბა, როგორ ვიქნები?! — ამოიოხრა ბაჩანამ.

— მშვენივრად გამოიყურებით, ღმერთმა კარგად გამყოფოთ, ფერი კარგი გაქვთ და... ცოტა ხორცი კი დაგაკლდათ, ყაცმა რომ თქვას, მაგრამ ამას წინათ ტელევიზორში განახეთ, ჩვენმა აქტივმა ძალიან ბევრი ვიცინეთ, რასაა რომ არ იტყვის თქვენი ენა, განსაკუთრებით ანტიპოდებს რომ ეხებოდით, ჰოდა, ცოტა მოკეთებული მეჩვენეთ მაშინ, თფუ, თფუ, თვალი არ გეცეთ

და, მოყვარეს რომ გაუხარდება და ბტერს რომ ეწყინება, ისე გამოიყურებით, ყოველ შემთხვევაში, ასე არ სჯობია? — ისევ მოუთათუნა მუხლზე ხელი უცნობმა.

— თქვენ როგორ ბრძანდებით, თქვენი და ლუიზა... — ჰკითხა ზრდილობისათვის ბაჩანამ.

— ძალიან ცუდად, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ცუდად. — ოფლი მოიწმინდა შუბლიდან ნუგზარ დარახველიძემ.

— რა გჯერთ? — შეწუხდა ბაჩანა.

— ამათთან კი მეუხერხულება ცოტა... — თქვა დარახველიძემ და ბულიკასა და იორამს გადახედა.

— ამათ ადგომის უფლება არა აქვთ მე მით უმეტეს, თუ რამე გაქვთ სათქმელი, ამათ თანდასწრებით მოგიწევთ თქმა. — აუხსნა მდგომარეობა ბაჩანამ.

— ჩვენი თავი შემოგვევლოს! — თქვა ბულიკამ, ზეწარი თავზე წაიფარა და ქედლისაკენ გადაბრუნდა. მამა იორამმაც იგივე გააკეთა. ნუგზარ დარახველიძე ერთხანს იშმუშნებოდა, მერე, როგორც იქნა, გადაწყვიტა...

— ისეთი არაფერია, ბატონო ბაჩანა, ერთი თქვენი ლამაზი ხელის მოწერა და...

— თუ დროზე არ მეტყვით, პანტაპონი მაქვს გაკეთებული და დამეძინება. — გაიფრთხილა ბაჩანამ. დარახველიძემ ერთხელ კიდევ გახედა ბულიკას და მოძღვარს, ყურს ხომ არ გვიდგებენო, მერე დაიწყო.

— კი იცით, თქვენ რესპუბლიკაში როგორი დაძაბული მდგომარეობაა. იქ ოპერა დაწვეს. აქ უნივერმაღი, ბომბი ისროლეს თქვენთან, ჩვენთან და ქუთაისში... იმან თავი მოიკლაო, ამან ვენები გადაიჭრაო, ძალიან ნერვიული ატმოსფეროა რესპუბლიკაში ამ კადრების შერჩევის საკითხთან დაკავშირებით და ხორციც არ იშოვება ბაზარში... მაინცდამაინც...

— ყველის საკითხი როგორაა? — გაუღიმა ბაჩანამ.

— თქვენ ხუმრობთ, ბატონო ბაჩანა, მაგი თქვენი პროფესიაა, მაგრამ ამ ხორცს და ყველს ძროხა იძლევა — [illegible] ვეს...

— რამე ახალი ჯიში გამოიყვანეთ თუ? — სერიოზულად ჰკითხა ბაჩანამ. დარახველიძემ ერთხანს უყურა ბაჩანას, ხომ არ დამცინისო, მაგრამ ბაჩანას წარბიც არ შეუხრია, ისე გაუსწორა თვალი.

— მე სულ სხვა საკითხზე გეახელით!

— ცეცხლგამძლე ოპერის და უნივერმაღის პროექტი რომ არ გაქვთ და არ გიმტკიცებენ? — შეუნაცვლა კითხვა ბაჩანამ. დარახველიძეს ისევ გამოეთნა ოფლმა შუბლზე, მერე ისევ გაიხედა ავადმყოფებისაკენ, ხომ არ მიყურებენო და ჯიბიდან ორი კონვერტი ამოაცურა.

— აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან უნდა მიგვეგზავნოთ, ბატონო ბაჩანა, ან სოხუმის რაიკომის მდივანთან უნდა მიგვიწეროთო წერილი.

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?! — გაუკვირდა ბაჩანას.

— ჰუმანური მწერალი თქვენ ხართ, ბატონო, დეპუტატი და ცეკას წევრი თქვენ ხართ, აბა სხვასთან ვისთან უნდა მივიდე? — ბაჩანაზე უფრო გაუკვირდა დარახველიძეს.

— თქვენ სად მუშაობთ? — ჰკითხა უცებ ბაჩანამ.

— მე აფხაზეთის თამბაქოს დამზადების უფროსი ვარ.

— კი მაგრამ, რა უნდა მიგიწეროთ ან აფხაზეთის ხელმძღვანელთან ან რაიკომის მდივანთან?

— მთელი ქალაქი იმას ლაპარაკობს, პურს არ ტეხნო უერთმანეთოდ, ერთად სწავლობდნენ სკოლაშიო...

— თქვენ ჩემთან ვინ გამოგაგზავნათ?

— ვისაც მაგისთვის კარგი უნდა... ეს ერთი კონვერტი თქვენია, მეორე კი ვინც თქვენ გაგიხარდებათ, იმისაა... — თქვა დარახველიძემ და კონვერტები სასთუმალს ამოუდო ბაჩანას.

ნოდარ დუმბაძე

მარადისობის კანონი

— თქვენ რა, მოგხსნეს?

— ჩემი მოხსნა ისე ადვილი არ არის, ბატონო ბაჩანა, მაგრამ პატარა ხელის წაკვრა ყველას სჭირდება... იმასაც, ვინც მე ხელს მკრავს ახლა... — პანტაპოშმა მოქმედება დაიწყო, ბაჩანას ქუთუთოები დაუმძიმდა, შეკითხვების თავი აღარ ჰქონდა, ერჩია ყური ეგდო ცოდან ჩამოვარდნილი ნათესავისთვის.

— მაინც რა მოხდა? — ჰკითხა ბაჩანამ და თვალები მილულა. დარახველიძე მიხვდა, რომ ოქროს დროს ფლანგავდა და ლაპარაკს მოუჩქარა.

— როგორ, რა მოხდა, ბატონო ბაჩანა? რევიზია გამომიგზავნა... — პალატაში ყენია ექთანმა შემოყო თავი.

— სხვათა შორის, ოცი წუთი უკვე გავიდა! — თქვა დარახველიძის გასაგონად.

— იყოს, ქალბატონო ყენია, კარგ ამბავს მიყვება, — სთხოვა ბაჩანამ.

— ...რევიზია გამომიგზავნა... — გააგრძელა გაწყვეტილი სიტყვა დარახველიძემ, — ...ოცი წელია უკვე მაგ დარგში ვბუშაობ და ჯერ ჩემთვის არავის გაუბედავს, ჯერ ხუმრობდა მეგონა, მერე გავიხედე და მართლა არ მამოწმებენ?!

— რაო რევიზიამ? — ჩაურთო კითხვა ბაჩანამ.

— რაო და, რაც პაპაროსი მოწეული ოფიციალეთში და საქართველოში სულ ბიჩოკ-ბიჩოკ ინგარიშა შობელძალმა. მერე ისიც თქვეს, ამ წელს სამას ტონა თუთუნში ასი ტონა ხმელი ბალახი გაგირევიათო... კაბინეტიდან ცხვირი რომ არ გამოუყვიათ გარეთ, ისიც არ ეცის, რომ ის თუთუნი სოფელში მოყავთ, მინდორში და ცოტა ბალახი გაერევა, აბა რას იზამს? მერე და ეს ბალახი კაცს კლავს თუ რაშია საქმე? სად არის აქ მავნებლობა? რაც გაჩნდა ძროხა, იმის შემდეგ სულ ბალახს არ ჭამს მაგი? აქამე აბა ძროხას თუთუნი?... მავნებლობა ისაა, ნიკოტინს რომ აქვსო ნებენ ხალხს და კლავენ, თქვენი არ იყოს, ეს არაფერი კიდევ, ახლა ის ბალახი თუთუნის ფასში გადაყავთ და მილიონები გროვდებაო... ბალახი ერთი ტონა თუმანი ღირს და მაგი რომ თუთუნში გადაიყვანო, სად წაგიყვანს? თუ მაინცდამაინც უნდათ, მის ფასში იანგარიშონ. ამას ის მიუმატეთ კიდევ, რომ სველ თუთუნს ყიდითო და ორი იმდენი გამოვიდა...

— სულ რამდენი მილიონია? — დაინტერესდა ბაჩანა.

— გაფლანგვა თუ გასაღება? — ჰკითხა დარახველიძემ.

— ორივე!

— ბევრი მილიონია ძალიან.

— მაინც?

— რომ გითხრათ, შეგეშინდებათ, — არ გაამხილა დარახველიძემ შემოსავალი.

— კიდევ რაო კომისიამ?

— ახლა სახლში მომადგნენ და სახლის შემოწმება დამიწყეს. ორსართულიანი სახლი რატომ გაქვსო, თვითონ რომ ჰკითხო ჩვენს მთავრობას, დღე და ღამე კარგი კომპოზიტორივით ნოტებს უგზავნის ამერიკას, ჩემს შინაურ საქმეებში ნუ ერევიო და თვითონ მთლად სახლში შემომივარდნენ. ორი სართული რა არის? სართულს ნორმა ორმეტრნახევარია. ჩემი პირველი სართული კი ორი მეტრი და ორმოცდარვა სანტიმეტრია...

— ორ სანტიმეტრს რა მნიშვნელობა აქვს? — გაეცინა ბაჩანას.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ბაჩანა, ორი სანტიმეტრია ტყვია და კამეჩს აქცევს მაგი, ორი სანტიმეტრი არ იყო ის ტყვია, გვარს არ დავასახელებ და ერთი რაიკომის მდივანი რომ გააგორა შარშან? მაგას ნუ ეტყვით თქვენს მეგობარს, ისე გამახსენდა, სიტყვაზე... ახლა ზევით რვა ოთახი დამითვალეს. ქართველი კაცი ისე რომ დაწვრილმანდება, ზალას ოთახად ჩაგითვლის, იმას რა უნდა ელაპარაკო, კიდევ კარგი, ლოჯი და საბილიარდო რომ არ მითვალეს. მაგაზეც მადლობელი ვარ... ბატონო ბაჩანა, კრისტალი ვარ და ნუ გამწირავს, თქვენი სიტყვა კანონია მაგისთვის. ორი სიტყვა... ჩემი გაფუჭება, თქვენი შეურაცხყოფაცაა.

— ჩემი რატომ? — თვალი გაახელა ბაჩანამ.

— როგორ? ჩემი ახლო ნათესავი რომ ხართ ახლა თქვენ და ვინმემ გაგაფუჭოთ, ჩემი შეურაცხყოფა არ იქნება მაგი? — შეიცხადა დარახველიძემ, — ბაჩანამ ისევ გადაავლო გონების თვალი თავის ნათესობას და დარახველიძის მსგავსი რომ ვერაფერი იპოვა, გულზე მოეშვა.

— თუმანზე კაცს იეჭრს მაგი მამაძაღლი და ჩემს ადგილს მილიონად ყიდის? — გაცხარდა უცებ დარახველიძე.

— რამდენად? — გაუკვირდა ბაჩანას.

— ნახევარ მილიონად! — დაუკლო დარახველიძემ.

— ასეთს რას შოულობთ?

— მე რას ვშოულობ, ბატონო ბაჩანა, ნახევარი მაგის ამხანაგებს მიაქვთ, ანგელოზებივით რომ ნაბავენ თვალებს რაიკომის ბიუროზე. გაუჩხრიკეთ ერთი ჯიბეები და ნახავთ, თუ არ ექნება მაგენის ფულს ნიკოტინის სუნი, ტყვილია მაგი, ფულს სუნი არ აქვსო, ისეთი სუნი აქვს, ბალიშის ქვეშ რომ ამოიდო მაგი, მაინც ექნება სუნი... — ბაჩანამ ბალიშის ქვეშ შეიყო ხელი და კონვერტები მოსინჯა. დარახველიძემ თვალი აარიდა.

— რომ მოვრჩები, მერე ვილაპარაკოთ! — თქვა ბაჩანამ.

— თქვენ რა მოგარჩენთ?! — წამოცდა დარახველიძეს. — ასე მალე რა მოგარჩენთ, ბატონო ბაჩანა, ზეგ დილით კი ბიუროზე გადის ჩემი საკითხი, შეიძლება, პირდაპირ ბიუროზე ამიყვანონ. ნუ კრავთ წიხლს მირონს, ბატონო ბაჩანა... — დარახველიძეს ისევ გამოყონა ოფლმა შუბლზე, — ორი სიტყვა თქვენი ხელმოწერილი... — ბაჩანამ კონვერტები ამოიღო სასთუმლის ქვეშიდან და მკერდზე დაიწყო.

— რამდენია აქ? — ჰკითხა უცებ. დარახველიძეს თვალებში მზე ჩაუდგა.

— მილიონ ნახევარი! — თქვა ხმის კანკალით, — წილის გარეშე!

ბაჩანა ძალიან დიდხანს ფიქრობდა. დარახველიძე სკამზე აწრიალდა.

— ბატონო ნუგზარ, აი აქ ჩემი სასწოლის ქვეშ ღამის ქოთანია, ძალიან გამიჭირდა, თუ არ შეწუხდებით, მომაწოდეთ, — სთხოვა ფიქრის შემდეგ ბაჩანამ, — დარახველიძე შეყოყმანდა, — ნუ გეშინიათ. სუფთაა, — უთხრა ბაჩანამ, — დარახველიძე მორჩილად დაიხარა, ღამის ქოთანი გამოიღო საწოლის ქვეშიდან და ბაჩანას მიაწოდა. ბაჩანამ ღამის ქოთანს მოღერებულ ყელში მოჰკიდა დასუსტებული მარჯვენა.

— ახლა ცოტა უკან დაიწიეთ. — სთხოვა დარახველიძეს. დარახველიძემ სკამიანად დაიჩრა უკან. ბაჩანამ თვალით მოზომა მანძილი მასა და დარახველიძეს შორის, მერე, რაც ძალა და ღონე გააჩნდა, მოიქნია ღამის ქოთანი და თავში ჩაუშვა დარახველიძეს. ღამის ქოთანი მარილივით დაიმსხვრა დარახველიძის თავზე. თვითონ დარახველიძეს კი უცებ თვალები დაებინდა, სახეზე გაწცივფრებული ღიმილი გამოეხატა, სკამიდან დაცურდა და უცებ გულღმა გაიშხლართა იატაკზე.

— ცარიელი იყო? — იკითხა ბულიკამ.

— ცარიელი იყო! — უპასუხა ბაჩანამ.

* — აფსუს! — თქვა მამა იორამმა და ექთან ყენიას დაუძახა.

6.

შვიდი დღე და ღამე მიაბიჯებდა ბაჩანა მზით დამწვარ უდაბნოში, პირველი ორი დღე ფეხით იარა, შემდეგ მუხლებით იხოხა, მეხუთე დღემდე. დანარჩენი ორი დღე კი მუცელზე ფორთხა. და როდესაც დაუძლურებული, ტუჩებდამსკდარი და გამოფიტული დაემხო ყვითელ სილაში სახით, იგრძნო სიკვდილის მოახლოება. გულღმა გადმოტრიალდა, ჩაშქრალი თვალებით ახედა ულმობელ მზეს და მის სიცოცხლეში პირველად უთხრა საყვედური.

ნოდარ დუმბაძე
მარადიზოების კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაისთვის გამიმეტე ასე?! — და უცებ ადამიანის სხეული აეფარა მზეს და მისი ჩრდილი დაეცა სარეზე ბაჩანას.

— ვინ ხარ შენ? — ჰკითხა ბაჩანამ. პირველ, ცისფერთვალება, მასავით ფეხშიშველ ახალგაზრდას და თვალებში შეხედა. იგი ვერ მიხვდა, მზე იდგა ახალგაზრდის უკან თუ ნათელი ადგა თავზე.

— მე ვარ, უფალი შენი და ღმერთი შენი! — უპასუხა ახალგაზრდამ.

— თუ შენ ხარ უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი, დამიდასტურე რაიმეთი. — უთხრა ბაჩანამ.

— და განა დგომა ჩემი შენ წინაშე დასტური არ არის მაგისა? — თქვა ახალგაზრდამ.

— არა, შენა ხარ ჰალუცინაცია მწყურვალისა უდაბნოში. — უპასუხა ბაჩანამ და დაეხნებით დააკვირდა. დიდხანს ელოდა მის გაქრობას, ის კი იდგა მშვიდი, მოდიმარი, სათნო და საოცრად ახლობელი. მაშინ მიფორთხდა მასთან ბაჩანა და ფრთხილად შეახო ხელი შიშველ ფეხზე. იმ ადგილას, სადაც აპკგადაკრული ნალურსმნალი ჭრილობა ფერმკრთალ ყაყაჩოსავით უღვიოდა ახალგაზრდას.

— ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენით. — გაუღიმა ახალგაზრდამ.

— მე ურწმუნო ვარ, ამიტომ არ მჯერა ახლა იმისა, რასაც ვხედავ და ვრძნობ. ეს ყველაფერი ძალიან შორსაა ჩემგან. მომიახლოვე ყველაფერი ეს და ამიხსენი ზოგი რამ, თქვი, იყავი თუ არა შენ ქვეყნად და თუ იყავი, რისთვის განერიდე ადამიანს? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ადამიანებმა თავად განმარიდეს მე, მაგრამ მე არ მიმიტოვებია ადამიანი. — თქვა მშვიდად ახალგაზრდამ.

— დამიდასტურე რაიმეთი? — ისევ სთხოვა ბაჩანამ.

— განა ჩემი დგომა შენ წინაშე დასტური არ არის მაგისა? — გაუმეორა ახალგაზრდამ. ბაჩანამ არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ ხელი შეახო კვლავ შიშველ ფეხზე.

— და თუ უფალი ხარ შენ, თქვი, რას წარმოადგენ შენ?

— მე ვარ რწმენა, იმედი, ძლიერება, სათნოება, ნიჭი სიყვარულისა და თავისუფლება. — თქვა ახალგაზრდამ.

— მაშ, როგორღა გაგყიდა იუდამ ოცდათა ვერცხლად?! — ჰკითხა განცვიფრებულმა ბაჩანამ.

— იუდას უფალი არ გაუყიდია, იგი თავად მიეყიდა ფარისეველთ ოცდათა ვერცხლად. ეს იყო ფასი მისი და იგი იყიდეს ამ ფასად. ფული, რომელიც გედო შენ სასთუმალს, არ იყო ფასი შენი და ამიტომ არ გაიყიდე შენ დღეს... და რადგან არ გაიყიდე დღეს, ხვალ და ზეგ შემოგთავაზებენ შენს ნამდვილ ფასს.

— და თუ მაინც არ მივეყიდე?

— მაშინ შენ ამაღლდები და აღსრულდება ის, რისთვისაც ვეწამე მე ამ ქვეყანაზე.

— იცოდი თუ არა, რომ იუდა გაგყიდდა?

— იცოდა სატანამ. ღვთაება არ აცდუნებს კაცს, ღვთაება სცდის მას. სატანამ აცდუნა იუდა, როდესაც ოცდაათ ვერცხლად იყიდა იგი, ხოლო მე გამოვცადე იგი, როდესაც ბაღარი მივეცი ხელში.

— დაწყევლილი არის თუ არა იუდა შენგან?

— არა!

— რატომ?

— იუდამ იხსნა თერთმეტი კაცის სული წაწყმედისაგან.

— მაშ რატომ არ ახსნი იუდას საუკუნოდ დასმულ დაღს?

— იმიტომ, რომ იუდა იყო სატანისმიერი და არა ღვთისმიერი.

— მაშინ გამოდის, რომ სატანამ გძლია შენ.

— ასე იქნებოდა მაშინ, იუდას რომ თავი არ მოეკლა.

— გჯეროდა თუ არა, როდესაც გო-

ლგოათზე მიდიოდი, რომ ჯვარს გაცვამდნენ ადამიანები?

— არა!

— რისი იმედი გქონდა?!

— ხალხის!

— განა ხალხმა არ გაგიცვალა შენ ავაზაკში?!

— ხალხმა!

— გამოდის, რომ აქაც სატანამ გძლია შენ!

— არა, რადგან ეს არ იყო ცდუნება, ეს იყო გამოცდა.

— და ხალხმა ვერ გაუძლო ამ გამოცდას?

— ვერა!

— რატომ?

— ხალხი სასწაულს ელოდა ჩემგან, და იმიტომ გამცვალა ავაზაკში, ავაზაკისაგან კი არაფერს ელოდა ხალხი... ეს იყო მეორე, ნაადრევი გამოცდა ადამის ძისა ჩემ მიერ და შეცდომა ჩემი.

— პირველი როდისღა იყო?

— როდესაც ადამიანს სამოთხეში მივეცი ბინა და აგარაკი. არა სხვისი ნებით, არამედ იფლით თავისით, სისხლით თავისით და რწმენით თავისით უნდა მოვიდეს კაცი სამოთხეში.

— მაშ როდისღა დაიჯერე, რომ ჯვარცმა შენი და აღსრულება გარდუვალი იყო.

— როდესაც ჯვარცმულმა ჩემ წინაშე მდგომარენი ვიხილე, დედაი ჩემი და მოწაფე იგი რომელი მიყვარდა და ვრქვი დედასა ჩემსა: — დედაკაცო, აჰა, ძე შენი! და მერმე მოწაფესა მას ვრქვი: — აჰა, დედაი შენი! და იგი დარჩა დედაჩემთან ვიარცა კაცი ჩემ მაგიერი, ხოლო დედაჩემი მასთან, ვითარცა სული წმიდა, სული ღვთაებრივი!..

— რა არის ნება ღვთისა?

— წამოდექ! — ბაჩანა წამოდგა.

— თქვი, რომ აღარა გკლავს წყურვილი, უფალო!

— აღარა მკლავს წყურვილი უფალო! — გაიმეორა ბაჩანამ და გაქრა წყურვილი უსაშველო.

— თქვი, რომ აღარა გწყავს მზე იგი უფალოდ! — თქვა ბაჩანამ და განელდა თპკარა, მზისა და იქცა მაცოცხლებელ სითბოდ.

— თქვი, რომ გრძნობ სიცოცხლეს და ღვთაებას.

— ვგრძნობ სიცოცხლეს... — თქვა ბაჩანამ და არ თქვა ღვთაება, — რადგან კვლავ ჰალუცინაცია ეგონა ყველაფერი.

და მაშინ უთხრა ახალგაზრდამ.

— ინატრე!

— „რამ შამქნა ადამიანად,

რატომ არ მოველ წვიმადა!“ ინატრა ბაჩანამ ვაკას ნატვრა. და ბაჩანა უცებ მოვიდა წვიმად...

მოვიდა ბაჩანა წვიმად და აღმოცენდა გადამწვარ უდაბნოში ბალახნი ლორთქო, მწვანე და რძიანი...

მოვიდა ბაჩანა წვიმად და აღმოცენდა გადამწვარ უდაბნოში ყვავილი ლამაზი, ფერადოვანი და სურნელოვანი...

მოვიდა ბაჩანა წვიმად და ამოსცა გადამწვარ უდაბნოში დედამიწის გულიდან წყარო, გრილი, ანკარა და მაცოცხლებელი...

მოვიდა ბაჩანა წვიმად და აიღგა ფეხი სიცოცხლემ გადამწვარ უდაბნოში და იქცა ოაზისად უდაბნო იგი.

მოვიდა ბაჩანა წვიმად და აღმოცენდა თავად, ოაზისად ქცეულ გადამწვარ შუა უდაბნოში, ფესვებით დედამიწას შემოსალტულ და თავით ცას მიბჯენილ ვეებერთელა მკლავგაშლილ მუხად... და მოფრინდა ქვეყნის ყოველ მხრიდან ფრინველი უამრავი, ათასნაირი და ყველა მგალობელი ღასხდა ბაჩანას ღონივად გაშლილ ტოტებზე, დაიბუდა, იბარტყა და აივსო ქვეყნიერება სიცოცხლის დიდი საგალობელით... მაშინ დაეშვა მუხლებზე

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ბაჩანა, თაყვანი სცა ახალგაზრდ!, და უთხრა:

— გიხილე და გიწამე.

და რქუა მას იესო:

— რამეთუ მიხილე და გრწამ; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ჰპრწმუნე.

7.

ბაჩანამ თვალები გაახილა. ბულიკა ფეხმორთხმული იჯდა საწოლზე. ზურგს უკან ბალიში ამოედო, კედელს მიყრდნობოდა და ყურს უგდებდა მამა იორამს, რომელიც გაზეთს, ალილუიასავით, გაბმით კითხულობდა.

„ახლოლდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი განეხორციელებინა პარტიასა და მთავრობას ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: უფასო სწავლება, უფასო დასვენება, უფასო აქმობა...“ — რაც მართალია, მართალია! — დასძინა წაკითხულს მამა იორამმა და ბულიკას გახედა.

— ვაა, ვინც მოვიდა გაუმარჯოს! — გაუხარდა ბულიკას გაღვიძებული ბაჩანა რომ დაინახა.

— თავს როგორ გრძნობთ, ბატონო ბაჩანა? — მოიკითხა მამა იორამმა და გაზეთი გვერდზე გადადო.

— ისე, როგორც ახალგაზრდა ადამი სამოთხეში ევას გაჩენამდე.

— ობლად ხომ არ გრძნობთ თავს?

— პირიქით, მთელი სამოთხე მარტო ჩემი მგონია! — გაუღიმა ბაჩანამ.

— თქვენ ვინა ყოფილხართ, ბატონო ბაჩანა, ეგეთი ნოკაუტი არც მინახავს, სამასი დავითვალე, თვალი არ გაუხელია, — უთხრა აღტაცებულმა ბულიკამ.

— ვის? — ჰკითხა ბაჩანამ.

— კაცი აღსარების გარეშე საიქიოს კინაღამ გაუყენეთ. ბატონო ბაჩანა, და ახლა კითხულობთ, ვისო? — ჰკითხა გაკვირვებულმა მღდელმა.

— მერე, თქვენ აქ არ იყავით, მამაო? თქვა ბაჩანამ და გულზე ხელაცამ მოუჭირა. პანტაპონის მოქმედებისაგან ბურუსში წასულს, არც კი ახსოვდა დარახველიძესთან მომდგარი ინციდენტი, ახლა კი როდესაც გაახსენეს, სხეულში უსიამოო ირუანტელმა დაუარა.

— გულახდილად რომ გითხრათ, არც კი მახსოვს კარგად, რა მოხდა, — თქვა მან და შუბლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა.

— ნუ გეშინიათ, ბატონო ბაჩანა, არც ჩვენ არაფერი არ გვახსოვს, მე მეძინა, მამა იორამი კი ლოცულობდა, ასე არ იყო, მამაო? — ჰკითხა ბულიკამ მოძღვარს.

— სწორედ ასე იყო! — დაუმოწმა მამა იორამმა.

— ასე რომ მოწმეებად არ გამოვდგებით. — დასძინა ბულიკამ.

— მაინც რა მოხდა? — გულწრფელად იკითხა ბაჩანამ.

— ესე იგი, ღამის ქოთანი რომ თავზე დაიფშვნა და ის კაცი დაკურდა, ყენია შემოვარდა. ვიდრე აზრზე მოიყვანდა, ცოტა იმანაც სცემა, თან ქაფურს უკეთებდა, თან იოდს უსვამდა თავზე, მერე უცებ წამოხტა და გინება დაიწყო.

— რაო?

— ეცოტავაო, მაშ, თავიდან რატომ აიღოვო... — მოუყვა ბულიკა.

— ის მე ვიყავი ბაწალაშვილი

რომ რესტორან იმერეთის დირექტორად დაენიშნე და ნახევარი მილიონი ჩაიზიკაჟნიკეო?..

— რაო? — გაუკვირდა ბაჩანას.

— ჩაიზიკაჟნიკაო, აიღოვო, რა? — აუხსნა ბულიკამ.

ბაჩანას გაეცინა.

— რა გაცინებთ, ზუსტად ეგრე თქვა.

— მაგაზე არ ვიცინი, ბაწალაშვილის დანიშვნაში მართლა დავეხმარე ჩემს თანამშრომელს, ნათესავიაო, ისე მითხრა.

— ჰოო! — გააგრძელა ბულიკამ.

— გამოდის, ვიღაცას მართლა აუღია ქრთამი, ბატონო ბაჩანა? — ჰკითხა მამა იორამმა.

— გამოდის! — თავი დაუქნია ბაჩანამ.

— ერთი ასეთი დამპალი ამხანაგი მეცა მყავს, — თქვა ბულიკამ, — ობოლი ძმაშვილი მომიწყო სავაჭრო ტექნიკუმში. მეუბნება: ათას ხუთასი მანეთი დირექტორს უნდა მივცეო, ათასი — პარტკომსო, სამასი — პროფკომსო და ორასიც მეო, ფეხის ქირაო. ავიღე და მივეცი, რა მექნა, ჩემი ძმაშვილის ამბავი ჩემზე კარგად ვინ იცის? ამას წინათ ვკითხე, ორმოცდათხუთმეტს რომ ერთი ხუთიანი გამოვაკლოთ, რამდენი დარჩებამეთქი და ხუთიო, მიპასუხა.

— სწორად უთქვამს! — გაეცინა ბაჩანას.

— ჰოდა, ეს სწორად უთქვამს, სამი ათასი მანეთი დამიჯდა, — ამოიოხრა ბულიკამ, — წაიღო და წავიდა.

— ოოგატყუა? — ჰკითხა მამა იორამმა.

— არა, მოწყობით კი მომიწყო, მაგრამ ფული წაიღო.

— აბა, რას ერჩი? — დამშვიდდა მამა იორამი.

— როგორ, რას ვერჩი, დეკემბერში იმ სავაჭრო ტექნიკუმის დირექტორი მიბარებს და მეკითხება: — მოქალაქე გოგილაშვილო, თქვენ მოქალაქე ღვალაძეს სამი ათასი მანეთი თუ მიეცითო? როგორ დავმალავდი, — მძვეცი-მეთქი. ეგ რომ ვუთხარი, მაგიდაზე ხელი დაარტყა და რუსულად შეიგინა — Ты смотри, какой мерзавец — ო! თქვა.

— შენზე თქვა? — ჰკითხა შეწუხებულმა მოძღვარმა.

— ჩემზე რატომ? იმ ჩემს დამპალ მეგობარ ღვალაძეზე თქვა.

— გასვარა ხომ პატიოსანი კაცი?!

— აღშფოთდა მღვდელი.

— გასვარა ანა, იბვის ტოლმა, — შენ სავაჭრო ტექნიკუმი იმ ხომ არ გგონია, ვაკეში ქართულ პურს რომ აცხობენ, იქ რომ ტექნიკუმია, აი ის, სტუდენტები რომ დდე და დამე ტრუბაში იყურებიანო...

— ტოპოგრაფიული! — შეეშველა ბაჩანა.

— ჰო, ტოპოგრაფიული ტექნიკუმი ხომ არ გგონიაო, — გააგრძელა ბულიკამ. — ეხლა დეკემბერია, იანვარში სამი ათასი მანეთი მომიტანე, თორემ იმ შენ კრეტინ ძმისშვილს, უნომრო ფულივით, უკან დაგიბრუნებო.

— ამას ვინ გეუბნება? — გაოცდა მოძღვარი.

— ვინ და, სავაჭრო ტექნიკუმის დირექტორი! — ნიშნის მოგებით უპასუხა ბულიკამ.

— მერე?

— მერე, მე და ჩემმა სვეტამ ვითათბირეთ, ვითათბირეთ და ბოლოს

ნოდარ ფუბაკაძე
მარადისობის კანონი

სვეტამ მითხრა, — ბარემ ერთი მაგდენიც დავუმატოთ და იქნებ ვაჭრობის მინისტრად მოვაწყოთო...

— დირექტორიც ყაჩაღი გამოდგა?

— ჰკითხა ბაჩანამ და ლოგინში აწრიალდა.

— ყაჩაღი გამოდგა, ბატონო ბაჩანა... თუ ღმის ქოთანი გნებავთ, სანამ ახალს მოგიტანენ, ჩემი იხმარეთ, — შესთავაზა ბულიკამ, აწრიალებული ბაჩანა რომ დაინახა.

— გმადლობთ! — უპასუხა ბაჩანამ, — ისე შევიშმუშნე, დამეთვალა მაინც ის ფული, იქნებ ამელო, ჰა? — ჰკითხა ბულიკას.

— აბა, რა ვიცი, ისე, ფული მურტალი რამეა... — თქვა ფიქრში წასულმა ბულიკამ.

— ოცდაათმა ვერცხლმა დაალპო კაცობრიობა! — წამოიძახა მამა იორამმა, — ოცდაათმა ვერცხლმა!

— მე, ბატონო ბაჩანა, სიფათზე რომ ადამიანებს სცნობენ, იმას რა ჰქვია? — ჰკითხა ბულიკამ.

— ფიზიონომისტები!

— ჰო, ფიზიონომისტი ვარ, ოღონდ ქვემოდან. ფეხსაცმელზე ვატყობ კაცს, რა ჩამოსხმაც არის... აი, ის ნაბიჭვარი რომ მოვიდა თქვენთან, ფეხსაცმელზე შეგხედე თუ არა, იმ წუთში მივხვდი, რომ ნაბიჭვარი იყო.

— როგორ? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ჯერ ერთი, ლაკის ფეხსაცმელი ეცვა...

— მაგის გამო, მე ეგ კაცი პროფესორი მეგონა. — შეაწყვეტინა მამა იორამმა.

— ...რომ შემოვიდა, — განაგრძო ბულიკამ, — ფეხსაცმლის პირი შარვალზე შეიწმინდა, ერთიც და მეორეც, პროფესორი ამას არ იზამს, — ნიშნის მოგებით განედა მოძღვარს, — მერე მეორეც, როდესაც ფეხსაცმლის პირი შარვალზე აუსვა-ჩამოუსვა, ლანჩა დავინახე, წინ იყო გაცვეთილი, ქუსლი კი სულ ახალი ჰქონდა. ესე იგი, ტუფლი საგარეოა და უფროსებთან იცვამს მხოლოდ, ისიც მიღებაზე, წინ კი იმიტომ არის გაცვეთილი, რომ ცდილობს, ფეხის წვერებზე იაროს... ეგ, სიდამპლის პირველი ნიშანი. ახლა მეორე; როდესაც დაჯდა, ფეხსაცმელებიდან ქუსლები ამოაცურა, ესე იგი, ტუფლი უჭერს. ახლა, ის ვთქვათ, რად უნდა, რომ ტუფლი უჭერდეს? იმიტომ, რომ შეწუხებული სიფათი ჰქონდეს, აქაოდა, ვიტანჯებიო, ეგეც სიდამპლის მეორე ნიშანი. მესამე და მთავარი — ფეხსაცმლის ქუსლი ჩვეულებრივ ქუსლზე სამი-ოთხი სანტიმეტრით მაღალი ჰქონდა. ესე იგი, რაც არი, იმაზე მაღალი უნდა გამოჩნდეს, რატომ? თავის ტოლ კაცებში ყოფნა არ ეკასება, უფრო მაღლა უნდა იდგეს. ესეც სიდამპლის კიდევ ერთი დასტური. მეტი რა? ჰო, მთავარია, ოღონდ ეს უკვე ფეხსაცმელს აღარ ეხება, კაცი რომ ღმის ქოთანს თავზე დაგამხობს და იმ კაცს ყელს არ გამოკვამ, დამპალი ხარ, მა რა ჩემი ფეხები ხარ?.. — დაამთავრა ბულიკამ დარბეულიძის დახასიათება.

— მაშ, შენი აზრით, კარგი კაცი ვინ არის? — ჰკითხა ბულიკას მის მჯელობაში დაეჭვებულმა მამა იორამმა.

— ყველაზე წესიერ კაცს ფეხსაცმელი ორთავე ფეხზე, გარეთ, ესე იგი მარჯვნივ და მარცხნივ აქვს გაცვეთილი ოდნავ, თან ერთი ნომრით დიდი აცვია, რატომ? იმიტომ რომ თავისუფლად იაროს, მაზოლი არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩნდეს და არწყინად იყოს. კიდევ ერთი, თუ კაცს ფეხსაცმელის ქუსლი ჩაკეცილი ან ჩაჭყლეტილი აქვს ან ძალიან ღარიბია და სხვისი გამონაცვალი აცვია, ან ძალიან ჩათლახია და ჩლარტიანი.

— ბავშვებზე რას იტყვი? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ბავშვები ძალიან ბევრს მოძრაობენ, ძვალი გამაგრებული არ აქვთ, კოჭი მისით მიუდ-მოუდით, ამიტომ ძნელი შესატყობია...

— შენ თვითონ როგორ ცვითავ ფეხსაცმელს? — ჰკითხა მოულოდნელად მამა იორამმა. ბულიკა ასეთ შეკითხვას არ ელოდა და დაბნეულად იკითხა:

— მეე?

— ჰო, შენ! — ბულიკა გადაიხარა, საწოლის ქვემოდან საკმაოდ ქუსლჩაჭყლეტილი ფეხსაცმელი გამოაძრო და გაკვირვებულმა შეატრიალა ხელში.

— მეც კარგი ოხერი ვყოფილვარ! — თქვა ბოლოს უკმაყოფილომ და ფეხსაცმელი საწოლის ქვეშ მოისროლა გამეტებით.

სამთავეს სიცილი აუტყდა.

— ბატონო იორამ, ქრისტე თუ გინახავთ სიზმარში? — ჰკითხა უცებ ბაჩანამ ჩაბჟირებულ მღვდელს. მღვდელმა გაკვირვებისაგან პირი დააღო. დიდხანს უყურა ბაჩანას და ბოლოს ენის ბორძიკით თქვა:

— ბატონო ბაჩანა, ღმერთის დასიზმრება არ არსებობს, ღმერთის ხილვა, ოგივე გამოცხადებაა. მე ჯერ ასეთი ბედნიერება არ მღირსებია.

— არც ხმა გსმენია მისი?

— ეგ ხომ ოგივე გამოცხადებაა?

— მაშ რაღას ემსახურებით?

— სწორედ იმას, რომ მივუახლოვდე, ხმა მესმას მისი და ნათელი ვიხილოთ მისი ...

— მაშინ მე და თქვენ პროფესიების გაცვლა მოგვიწევს, მამაო, — უთხრა ბაჩანამ.

— რაშია საქმე?— დადარაჯებული ხმით ჰკითხა იორამმა.

— ერთი საათის წინ გამომეცხადა.

— ვინ?

— მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე...

— იორამს ენა გაუშრა პირში.

— ქრისტეს ერთ-ერთი მცნებაა:— არ იცრუო! — გააფრთხილა მან, ხმის კანკალით ბაჩანა.

— ეგ კაცი ვეუბნება, ვნახეო, შენ გინდ დაიჯერე, გინდ არა! — ჩაერია საუბარში ბულიკა და მამა იორამს ხელით ანიშნა, ნუ უშლი, ილაპარაკოსო.

— მერე რაო? — ჰკითხა სულწასულმა ბულიკამ, ბაჩანამ რომ პასუხი დაიგვიანა.

— მკვრივითით აღმადგინა, უდაბნოში წვიმად მომიყვანა, უდაბნო ოაზისად აქცია. მე მძლავრ მუხად იმ ოაზისში და, სიცოცხლის საგალობელი მაძღურა...

— ღმერთი ჩემი, უფალი ჩემი! — აღმოხდა მამა იორამს.

— ურწმუნო თომას ეს სიტყვები ეც აღმომხდა, მამაო, ყველაფერი რომ ჩემი თვალით ვიხილე — გაუღიმა ბაჩანამ.

— და არ იწამე?! — სასთუმალზე წამოიწია მოძღვარი.

— სიზმარში კი ჩავუვარდი მუხლებში, მაგრამ თვალი რომ გავახილე და ისევ თქვენ და ბულიკა დაგინახეთ, რაღაც ეკვმა შემიპყრო.

— ნუთუ ვერ გრძნობ ამაღლებას?! — გაფითრდა იორამი.

ნოდარ ლუმბაძე
მარადისობის კანონი

— ბატონო იორამ, თქვენი რელიგია ძალიან მისტიკურია, მიწას მოწყვეტილა, რეალურობა აკლია, ხელშესახები არ არის, აი, ცოტა რამ მაინც რომ დამრჩენოდა ხელშესახები იმ სიზმრიდან...

— ცოდვილო, მკვდარი დაგბრუნა, ამაზე რეალური რაღა გინდა?— განცვიფრდა მღვდელი.

— მიზანი ვერ გავიგე ჩემი გაცოცხლებისა, მამაო, მხოლოდ იმისათვის, რომ ხვალ ყველაფერი თავიდან განმეორდეს? ნუთუ იმისათვის, რომ ხვალ ისევ უნდა მოვკვდე, ეს ხომ გარდაუვალია? — თქვა ბაჩანამ.

— დრო! — იყვირა მოძღვარმა.

— რა დრო? გაუკვირდა ბაჩანას.

— დრო, ყამი, რომ გაგიგრძელდა არსებობისა?

— განა სულ ერთი არ არის ჩემთვის, როდის მოვკვდები, რაკი უნდა მოვკვდე?

— ეგ შენთვის, სხვისთვის არ არის სულ ერთი, — თქვა მოძღვარმა.

— ვისთვის?

— იმისათვის, ვისი სიცოცხლეც შენზეა დამოკიდებული: აი, სწორედ ის დრო დაგიბრუნა მაცხოვარმა.

— ამ შემთხვევაში, დროს არაფერი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი უსაკო კაცი გარდაიცვალა, მაგრამ სიცოცხლე გაგრძელებულა ქვეყანაზე.

— როგორ თუ დროს არ აქვს მნიშვნელობა! — გადაირია მამა იორამი, — მაშ, სულმნათი რუსთაველი, რომ აკანში მომკვდარიყო?

— სხვა მოვიდოდა!

— როდის?

— ოდესმე!

— ოდესმე, ოდესმე და მაგას განა დრო არ სჭირდება? რა იქნებოდა დრო, რუსთაველიდან დღემდე, იგი რომ არ ყოფილიყო?....

— ხომ იყო დრო, როდესაც რუსთაველი არ იყო? — თქვა ბაჩანამ.

— ეს იყო დრო, როდესაც ღმერთი არ იყო ჩვენთან! — მამა იორამს პირი გაუშრა და ქილიდან რძე მოსვა.

— დრო არის ღმერთი, დრო! თქვენ, კომუნისტებს ღმერთი რომ არ გწამთ, ამიტომ არ იცით დროის ფასი და ფლანგავთ, როგორც გინდათ. იწამეთ დრო! თაყვანი ეცით დროს, რადგან დრო არის ღმერთი! და თუ გინდათ შექმნათ რამე ახალი რწმენა და რელიგია, დაიწყეთ დროიდან. სხვანაირად არაფერი არ გამოგიგვათ ....

— აკი სიტყვაა ღმერთიო, ბატონო იორამ!— გაუსწორა მღვდელს ბაჩანამ.

— სიტყვა, საქმე და დრო ანუ ყამი, ეს არის განუყოფელი სამება! — თქვა მამა იორამმა სასოებით.

— თუ მართლა ეგ არის ღმერთი, მაგას ჩვენც ვიღიარებთ, კომუნისტები, მამაო, დროსაც ვაფასებთ, საქმესაც და სიტყვასაც არანაკლებ სხვათა შორის, ვიდრე ეკლესია, — თქვა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ბაჩანამ.

— ტყუილია ეგ, იმდენი მედდე-მეხვალიე, თქვენ რომ გყავთ ჯერ ადამის მოდგმას არ მოსწრებია! — გაეცინა მოძღვარს.

— მედდე-მეხვალიე თქვენ რომ გყავთ, მამაო, იმდენი ვის მოსწრებია, თვითონ მაცხოვარიც კი ცხონებას სიკვდილის შემდეგ ჰპირდება ხალხს. — უთხრა ნიშნის მოგებით ბაჩანამ.

— ცხონება სულის განძია აუწონელი და მის მოპოვებას მთელი სიცოცხლე უნდა. — განუმარტა მღვდელმა.

— კაცის მოპოვებულს ღვთის წყალობას ეძახით, მამაო, კაცის წვალება უყვარს თქვენს რელიგიას, ზომაზე მეტ მსხვერპლს თხოვთ ადამიანებს...

— სულის წაწყმედაა თქვენი სიტყვები, ბატონო ბაჩანა! — ეწყინა მოძღვარს, — ჩვენი რელიგიის ძირითადი კანონია, გასცეს და არა მიიღო, ემსახურო და არა იბატონო.

— ეგ ყველაფერი ლამაზი სიტყვებია, მამაო, სიბნელე, რელიგიური ფანატიზმი, დოგმატიზმი, ჯვაროსნული ომები, ინკვიზიცია... და ყველაფერი ეს მაცხოვრის სახელით... — თითებზე ჩამოთვალა ბაჩანამ ეკლესიის ცოდვები.

— მე არ ვამტკიცებ იმას, თითქოს ჩვენმა რელიგიამ სრულყოფას მიაღწია... — შეყოყმანდა მღვდელი.

— ყოჩაღ, მამაო, პირველად მესმის მღვდლისაგან ასეთი სიტყვები, რა ჰქვია ამას, როგორ ითვლება თქვენთან ასეთი აზრი, მემარცხენეობად თუ მემარჯვენეობად?! — გულიანად გაეცინა ბაჩანას.

— ქრისტიანულ რელიგიაში მემარცხენეობა და მემარჯვენეობა არ არსებობს, არც ცენტრი, არსებობს მხოლოდ ზენიტი, — თქვა მამა იორამმა და ჭერში აღაპყრო თვალები.

— მერედა, სად არის ეგ ზენიტი? — ჰკითხა ბაჩანამ და მანაც აიხედა ჭერში.

— სინათლეში და, როდესაც ადამიანი ფეხს შედგამს სინათლეში, სძლევს ყოველგვარ შეზღუდულობას და იქცევა თავისუფლებად. ეს ყველაფერი სულის სრულყოფას მიჰყვება, ამიტომ ადამიანის გარდაცვალება ღმერთთან მიახლოებაა... — თქვა მოძღვარმა და გულზე ხელები დაიკრიფა.

— ძალიან კი ეხვეწებოდი ექიმებს, გალურჯებული რომ მიგიყვანეს, მიშველეთო? — ჩაერია ლაპარაკში ბულიკა.

— სიკვდილის შიში ღმერთთან მიახლოების შიშია! — თქვა მღვდელმა, ისე რომ ბულიკასკენ არც კი გაუხედავს.

— ეგ რაღაც ვერ გამოგივიდა, მამაო, ინფარქტიც მაგის შიშით ხომ არ მოგსულა? — ჰკითხა ბულიკამ და ბაჩანას თვალი ჩაუკრა. მღვდელმა ისევ მოსვა რძე ქილიდან და ბულიკას ისეთი თვალით გადახედა, ბაჩანას გულწრფელად შეეცოდა მეჯღანე.

— ვაი, შე უბედურო, შენი რელიგია კუჭიდან იწყება და საპირფარეშოში მთავრდება. რა გეშველება, რომ ასეთ ურწმუნოს ჯოჯოხეთშიც არ მიგიღებენ.

— შენი დაბასიათებით თუ წავედი, რა თქმა უნდა, არ მიმიღებენ, ისე, ორთავე შენთვის დამითმია, სამოთხეც და ჯოჯოხეთიც. მე ჯერ კომუნიზმი უნდა ვნახო რა არის... — გაეცინა ბულიკას. — ბატონო ბაჩანა, კომუნისტების სამოთხე ეგ არის, უპარტიო კი ვარ, მაგრამ თქვენი პროტექციით ხომ მიმიღებენ?

— მობრძანდი, ბულიკ! — მიიპატიჟა ბაჩანამ მეჯღანე კომუნიზმში, — შენ კი არა, ჩვენ ისეთი კეთილი ხალხი ვართ, მამა იორამსაც მივიღებთ.

— მაგ სამოთხის იმიტაციაში თქვენ მიბრძანდით, მე ჩემი სულის აღსრულებას დაველოდები, — არ მიიღო მიპატიჟებმა მამა იორამმა. — თქვენი ზენიტი ძალიან მიწიერია, ნეტავ ამ კომუნიზმს, რომ მიაღწევთ, იმის იქით რაღა გექნებათ.

— რომ მივალთ, გამოჩნდება, მამაო! — უპასუხა ბაჩანამ.

— რომ არ გამოჩნდეს? — ჰკითხა ნიშნის მოგებით იორამმა.

— იორამ ბატონო, რამდენი წლისაა თქვენი რელიგია? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ბაჩანამ.

— ორი ათასის! — ამაყად უპასუხა

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

მღვდელმა. ბაჩანას გულწრფელად გაეცინა.

— ჩემი რელიგია, ბატონო იორამ, ჯერ ისი წლისაც არ არის, და იმდენი მორწმუნე ჰყავს, რომ თქვენს რელიგიას არც კი დასიზმრებია. დალოცვილო, ორი ათასი წლისა ხარ და ისი წლის ბაბუკს რომ მეკიბრები, არ გრცხვენია? ცოტა უკან მოიხედე, ჩვენც რომ ორი ათასი წლისანი გავხდებით, მერე მოგვხედე იმ თქვენი ზენიტიდან და ვნახოთ, ვინ უფრო მაღალი აღმოჩნდება. — თქვა ბაჩანამ.

— ხალხთან, რომელთაც ქვეყანაზე არაფერი არ სწამთ, ძნელია კამათი, — თქვა მამა იორამმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

— რას აძლევს, მამაო, თქვენი რელიგია ხალხს? არ მრეშვა, ბაჩანა.

— სულიერ საზრდოს! — თქვა ზურგშექცევით მოძღვარმა, — თქვენი? — შეუბრუნა უცებ კითხვა.

— ჩვენი ორთაგვეს, ოღონდ ჯერ მატერიალურს, მერე — სულიერს, ზენიტისაკენ მიმავალ კაცს საგზლად ჰური, ყველი, კარაქი, ჯარტოფილი, პომიდორი და ხორცი სჭირდება, მამაო!

— მერე და სად არის ხორცი? — გადმოტრიალდა უცებ მღვდელი.

— ეგ ხომ კამათი არ არის, მამაო, ხორცი დღეს არ არის, ხვალ იქნება.

— ჩვენი რელიგია ჭამას და ხორცს წარმოებას არ უკრძალავს ხალხს და მე ცოტა უხერხულადაც მიმაჩნია, რომ ნიკოლოზის დროს ხალხს მეტი ხორცი ჭმორდა, ვიდრე დღეს. — თქვა მღვდელმა.

— ნიკოლოზის დროს მსოფლიო ნახევარი მილიარდი იყო, მამაო, ახლა კი ოთხი მილიარდია, — უთხრა ბაჩანამ.

— აფსუს, რა ტყუილუბრალოდ დავნებეთ ადამიანებმა ერთმანეთის ჭამას თავი?! ახლა, ხორციც ბლომად გვექნებოდა და ხალხიც ნაკლები. — ოქვა ბოდა! — თქვა ბულიკამ.

— აი, ისეთ ცინიკოსებად აქცია ხალხი თქვენმა რელიგიამ! — თქვა მამა იორამმა და ბულიკასაკენ გაიშვირა ხელი. ბულიკას რაღაცის თქმა უნდოდა სიპასუხოდ, პირიც კი გაიღო სათქმელად, მაგრამ სასწრაფოდ დახუჭა, მისი საწოლის ქვეშიდან ვირთხა გამობრძანდა თავისი ჯალაბით და შუა პალატაში დაცუცქდა.

— ესეც შენი თაგვის შაქარი! — თქვა ბულიკამ.

ბაჩანამ პირველად დაინახა ვირთხა და ზიზღის ნაცვლად, რატომღაც უცნაურმი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ვირთხამ ყველა ავადმყოფის კარადებს ჩამოუარა, თითქოს საჭმელს ეძებსო და როდესაც ვერაფერს მიაგნო, სათითაოდ ახედა ავადმყოფებს, მაგრამ, როდესაც ბულიკამ შაქარი გადაუგდო, ზედაც არ შეხედა.

— რაღაც ამბავია, ან შიმშილობა აქვს გამოცხადებული ან ნასაუზმევია, — თქვა მამა იორამმა.

— ქენიის დავუძახოთ, ის კრეტინი სანეპიდსადგურის უფროსი მოიყვანოს, თავისი თვალით ნახოს, რა გოჭიც დაგვიდის პალატაში. — თქვა ბულიკამ.

ვირთხამ ისევ ჩამოიარა ყველა კარადა, მერე ჯალაბთან მივიდა, თათებზე დასკუპდა და წინა თათების სასაციცო მოძრაობითა და ულვაშების ცმაცუნით, რაღაც უთხრა დედა-ვირთხას. დედა-ვირთხა და ორი წრუწუნა ერთხანს ყურადღებით უსმენდნენ ოჯახის უფროსს, შემდეგ დედამ წრუწუნები ისევ ბულიკას საწოლის ქვეშ შეიყვანა, როგორც ჩანს, ხვრელში გაისტუმრა და თავად რამდენიმე წამში მეუღლესთან დაბრუ-

ნდა, ახლა გაცხარებული საუბარი ცოლ-ქმარს შორის გაიმართა.

— ეტყობა, რაღაც ოჯახური უსიამოვნება აქვთ და ბავშვები არ უნდათ დაისწრონ. — გაეცინა ბულიკას.

უცებ დამფრთხალი მამალი ვირთხა გვერდზე გახტა, მერე ადგილს მოსწყდა და თავბრუდამხვევი სისწრაფით რამდენიმე წრე დაარტყა პალატაში. მერე კვლავ ცენტრში მოირბინა, დედალი ვირთხის წინ გაჩერდა და დაეინებით მიაჩერდა. მძიმედ სუნთქავდა. ახლა დედალი ვირთხა მოსწყდა ადგილს და რამდენიმე წრე მანაც დაარტყა პალატაში. და უცებ მამალი ვირთხის წინ გაქანდა მოხუსხულივით. ასე იდგნენ ვირთხები ერთმანეთის პირდაპირ დიდხანს.

ბაჩანას შემზარავმა წინათგრძნობამ გაუელვა თავში და გული აუფართხალდა. ბულიკას საწოლის ქვეშიდან კვლავ გამოძვრა ორი წრეუწენა და მშობლებს მიუახლოდდა. მშობლები ადგილიდან არ დაძრულან. იდგნენ ასე ერთმანეთის პირდაპირ და მოსისხლე მტრებივით უმზერდნენ ერთმანეთს. მაშინ წრეუწენები მივიდნენ და პატარა ღინგებით შეეხნენ ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს. და როდესაც მშობლებმა ყურადღება არ მიაქციეს, წინ დაუსკუპდნენ და ახლა თათებით დაუწყეს გამალებული ფხაკუნი ტანზე. უცებ ორთავე ვირთხა მოსწყდა ადგილს და ივივე სიმშიგით დაიწყეს სირბილი პალატაში, ოღონდ ახლა არეულად, ხან განჯინებს მიასკდებოდნენ, ხან კარს, ხანაც საწოლის ფეხს. რამდენჯერმე ერთმანეთსაც შეასკდნენ და გადაყირავდნენ, მაგრამ კვლავ წამოხტნენ და სირბილი განაგრძეს.

— ხომ არ გაცოფდნენ, რაღაც უბედურებაა მაგით თავზე, — თქვა მამა იორამმა და პირჯვარი გამოისახა. — ბულიკ, თუ ღმერთი გწამს, დაუძახე ჟენიას, — სთხოვა მოძღვარმა, მაგრამ ბულიკა გაფითრებული იჯდა საწოლზე და თვალს არ აშორებდა გადარეულ ვირთხებს.

— თაგვის შაქარი აქვთ ნაჭამი... წყალს ეძებენ, მაგრამ ახლა წყალი უფრო მოუწყრაფავთ სიცოცხლესა. — თქვა ბაჩანამ.

— რძე? — იკითხა შეშფოთებული ხმით იორამმა.

— დაუდგი, მამაო! — უთხრა ბაჩანამ და როდესაც მამა იორამმა აკანკალებული ხელით რძე დასხა ფინჯანზე და იატაზე დადგა, უკვე გვიანი იყო. ვირთხები ვეღარაფერს ხედავდნენ.

— გასაკვირია, პირდაპირ, პატარები უფრო ყოჩაღად არიან, — თქვა ბაჩანამ და თითქოს მის გასამტყუნებლად, ერთი წრეუწენა მოცელილივით გაგორდა გვერდზე და უკანა ფეხები ააფართხალა, მას მეორეც მიჰყვა.

— ამის ყურება მე არ შემიძლია! — თქვა ბულიკამ, ნიტროგლიცერინი ამოიღო ენის ქვეშ და თვალებზე ხელი აიფარა.

— ღმერთო, შეგვინდე! — აღმოხდა მღვდელს... და თითქოს იგრძნეს უბედურებაო, ორთავე ვირთხა უცებ ჭონს მოვარ, ბარბაცით მივიდნენ შუა პალატაში და წრეუწენების წინ დადგნენ მუხლმოკეცვითილები.

— ენენა! — იჭიყვლა ბაჩანამ და საწოლზე წამოჯდა ენებურად. ვირთხებმა თავები ასწიეს ბაჩანას ბღავილზე და ბაჩანამ მათ ქინძისთავივით პატარა, შემინებულ თვალებში იმხელა ტკივილი, ვანცვიფრება და სასოწარკვეთა ამოიკითხა, გული გაუჩერდა.

— ენენა! — იყვირა მან ისევ და ზურგით გადავარდა ბალიშზე.

— ბატონო ბაჩანა, ბატონო ბაჩანა!— მამა იორამს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა დაება, — ბულიკ, მიხედე იმ კაცს! — იყვირა უცებ, მაგრამ ბულიკა ბალიშზე იყო თავით ჩაძხობილი და არაფერი ესმოდა.

— ჰეი, ვინ არის მანდ, გვიშველეთ! — იკივლა მამა იორამმა და წამოდგომა დაიპირა, მაგრამ გულში ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს შუბი

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუყარესო და საშინელი კვნესა აღმოხდა...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შუა პალატაში, იატაკზე უსულო ვირთხები ეყარნენ. თითოეული ავადმყოფის სასთუმალთან კი ფეხმორთხმული სიკვდილი იჯდა და შემზარავი თვალებით იმზირებოდა მათ სულში.

არც ერთს არ გაუგონია, როგორ გაიღო პალატის კარი, როგორ შემოვარდნენ შიგ დამფრთხალი ექთანი ქენია და პალატის ექიმი.

მხოლოდ ბულიკამ გაიგონა ჯერ ქენიას უკმაყოფილო ხმა:

— მოისვენეთ?! — და შემდეგ პალატის ექიმის უზომოდ შეშინებული განკარგულება:

— სასწრაფოდ, სამთავეს პანტაპონი!

8.

ოზურგეთის რკინიგზის სადგურში იპოვა ლასაია ბასილიამ თამარა. გოგოს პირდაპირ სკამზე ეძინა და თავქვეშ პატარა აბგა ჰქონდა ამოდებული. ლასა რომ გვერდით მიუჯდა, გოგომ გაიღვიძა. უზარმაზარ მშიერი ცისფერი თვალები ჰქონდა, მიტკალივით თეთრი სახე, აბურცული ლამაზი, წითელი ტუჩები და ჩალასავით ყვითელი თმა ეყარა მკვრივ და ჯიშიან მკერდზე. რომ წამოდგა, ლასაიამ მზერა ააყოლა მის ლერწამივით აზიდულ ტანს და საჭიელი წაუხდა.

იმ დღიდან ლასაია ბასილიას სასადილოში ახალი მიმტანი გაჩნდა. მთელი სოფლის კაცები ღამე და ღამე სასადილოში ეყარნენ, გამობრიყვებამდე სვამდნენ ლასაიას მეგავ იზაბელას და ვიდრე ცოლები და მშობლები არ წაათრევდნენ სასადილოდან, ვერაფერი ძალა ვერ აიგლეჯდა სკამიდან გონებადაკარგულ მოქეიფეებს.

— თამარა, შენი გამჩენის ჭირიმე, ათი ბოთლი კიდევ!..

— თამარა, ვინ დაგხატა, შე ეშჩვენებულო ასე ღვთიშობელივით!..

— რად მინდა, ქალო, ხურდა, მარტო შენი ყურება ღირს მილიონი!..

— თამარა, რატომ მანგრევიან ოჯახს, გამიცინე ერთი და გამომისვი ჭეშმარიტად საიეს დანა ყელში!..

— ლასაია, არ დაგასახლა, ბიჭო, ამ გოგომ, თორემ ვინ იყო შენს აქოთებულ სასადილოში შემომსვლელი!..

— რა გენაღვლება, ლასაია, ყიდე აწი ძაღლის ხორცი, ამის ხაორით ქვას შეკვეშ, ქვას!

— ერთი მაკოცე, თამარა და მისროლე მერე სუფსაში!..

— ნახე, ბიჭო, კისერში არ ეწყება თეძოები?!.

— ვინ გაგაჩერა, ქალო, ოც წელიწადს გაუთხოვარი, იმისი სულელი ოჯახი დაინგრა!..

* * * * * * * * * * * *

— ახლავე, ბიჭო!..

— რა ვიცი, ბიჭო!..

— ბეერია მაგი, არ მჭირდება მე, შენი ფული!..

— შენი ცოლი ჩემზე ლამაზია, ბიჭო!..

— მერე გაკოცებ, რომ გამოფხიზლდები, ბიჭო!..

— სხვა მიყვარს, ბიჭო, სხვა!..

— გამიშვი, ბიჭო, ხელი, ლასა, მომაცილე აგი მთვრალი კაცი!..

— დედაჩემს ვგავარ, სხვას ვის უნდა ვგავდე, ბიჭო?!..

— ლასა, დაკეტე აწი სასადილო!..

●

ბაჩანა სასადილოში შევიდა და კუთხის მაგიდასთან დაჯდა. გარეთ მიწას ბელი ასდიოდა. სასადილოში იატაკი ახალმორეცხილი იყო და ამიტომ გრილოდა. ლასაია სამზარეულოში იყო გასული, ოზშივარავარდნილ ქვაბთან ტრიალებდა. თამარა დახლთან იდგა. ბაჩანასაკენ ზურგშექცევით და დახლს სელი ტოლოთი წმენდდა.

სასადილო ჯერ ცარიელი იყო, მაგრამ ერთ-ორ საათში პირამდე ავსებოდა. ბაჩანამ იცოდა ეს და ამიტომ ადრე შევიდა სასადილოში. ყურადღება რომ არავინ მიაქცია, ჩაახველა. თამარა უცებ შემოტრიალდა. ბაჩანას გული ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდან ამოუვარდა. ახლა ნამდვილად ჩაახველა და თავი ჩაღუნა. თამარამ თეფში და დანა-ჩანგალი აიღო დახლიდან და ბაჩანასაკენ წავიდა. თავჩაღუნული ბაჩანა მხოლოდ თამარას უსაშველოდ გძელ და ლამაზ ფითებს ხედავდა; ცხელი წყლისაგან ოდნავ შეშუპებულს და შეწითლებულს. იგი ფრთხილად აწყობდა მოტანილ ჭურჭელს სუფრაზე და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული თვალებით უცქერდა თავჩაღუნულ ბაჩანას. იგი მას პირველად ხედავდა სასადილოში.

— რას მიირთმევთ? — ჰკითხა მან ბაჩანას და დოინჯი შემოირტყა ცალი ხელით. ბაჩანამ თავი ასწია, თამარა თეთრად მოჭიქულ, ყელმოღერებულ სურას ჭგავდა.

— პურს! — თქვა ბაჩანამ და ნერწყვი ძლივს გადაიტანა გამშრალ ყელში. თამარას გაეცინა.

— მარტო პურს?

— ყველსაც!

— ხორცს არ მიირთმევთ?

— არა.

— ღვინოს?

— გამოცდა მაქვს ხვალ, არ შეიძლება, — თქვა ბაჩანამ.

— რა გამოცდა?

— ფიზიკის!

— რომელ კლასში ხართ?

— წელს ვამთავრებ.

— ჰოოო! — გაგრძელეს თამარამ, — ხარჩოს არ შეჭამ?

— ხარჩოს ფული არა მაქვს, — ბაჩანა გაწითლდა.

თამარი გატრიალდა, ერთ წუთში ისევ დაბრუნდა. მაგიდაზე პური, ყველი, მწვანილი, ხარჩო და ერთი ჭიქა ღვინო დადგა.

— ერთი ჭიქა შეიძლება! — ბაჩანამ შეშინებულმა გადახედა სუფრას.

— ახლავე მიანგარიშე, თუ შეიძლება! — სთხოვა.

— ათი ათასი მანეთი! — გაუცინა თამარამ და წინ დაუჯდა.

— რა გქვია?

— ბაჩანა!

— რა გვარი ხარ?

— რამიშვილი!

— მე თამარა მქვია!

— ვიცი! — ბაჩანამ ჭიქა აიღო.

— პირველად გხედავ, ამდენ ხანს რატომ არ მოდიოდი? — გაუღიმა თამარამ. ბაჩანას ისევ მოეჯინა გული ყელში და ისე მოსვა ღვინო, თითქოს გულს უკან ჩაბრუნებას უპირებსო.

— არ დადიან ჩემი ხნის ბიჭები სასადილოში! — უპასუხა.

— ახლა რატომ შემოდი?

— მშია ახლა! — თქვა ბაჩანამ და ღვინო მოსვა ისევ.

— მეკვეი? — ჰკითხა თამარამ და ისე აპრიხა ცხვირი, თითქოს ის ღვინო თვითონ მოესვას.

— კარგად იყავი! — უთხრა ბაჩანამ და ჭიქა გამოსცალა, — მიანგარიშე!— უთხრა, ჭიქა რომ დადგა.

— ფიზიკას რომ ჩააბარებ, მერე მოდი და გიანგარიშებ.

— თამარა! — დაუძახა სამზარეულოდან ლასამ.

— მოვდივარ! — გასძახა თამარამ და წამოდგა, — ახლავე მოვალ! — დაუბარა ბაჩანას და როდესაც მიბრუნდა, სახტად დარჩა. ბაჩანა სასადილოში აღარ იყო. მაგიდაზე ყველაფერი ხელუხლებელი იდგა.

●

— გამარჯობა! — უთხრა თამარამ და ბაჩანას მაგიდას მიუჯდა.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ბაჩანამ.

— ჩაბარე?

— კი, ჩავაბარე!

— რა მიიღე?

— სამი, — ბაჩანამ ცალყბად გაიღიმა, — ისიც ბაბუაჩემ ლომკაცას ხათრით, — მერე ჯიბიდან ხუთი მანეთი ამოიღო და მაგიდაზე დადო, — ეს გუშინდელი სადილისაა. — თამარას ფულისკენ არც გაუხედავს.

— კიდევ რამდენი გამოცდა დაგრჩა?

ნოდარ დუმბაძე
ბარალიზმის კანონი

— თამარა, მაგ ღლაპს რომ გადაყევი, მოგვეხედე აქეთ! — დაუძახა დუტუია ცენტერაძეს. იგი ოთხი ამხანაგის თანხლებით იჯდა მაგიდასთან და შუა ქეიფში იყო შესული. თამარამ ყურადღება არ მიაქცია დუტუია ცენტერაძის ძახილს და ისევ ბაჩანას მიუბრუნდა.

— კიდევ რამდენი გამოცდა გაქვს?

— ერთი.

— როდის?

— ზეგ.

— ზეგაც მოდი.

— ხვალაც მოვალ.

— მოდი. ახლა რა მოგიტანო?

— თამარა, დედის ძუძუს ანებებს კაცი თავს და ეს ბიჭი რა გახდა ასეთი, რომ ვერ მოწყდა? — დაუძახა ისევ დუტუმ. თამარა ადგა და დუტუს მაგიდასთან მივიდა.

— კიდევ რა გინდათ, ბატონო?!

— რა უნდა მინდოდეს, ქალო? შენს საყურებლად ვარ მოსული და იტრიალე აქ, ახლოს, შენს მშობელს ვენაცვალე მე.

— არა მცალია მე თქვენს ახლოს სატრიალებლად, თუ რამე გინდა, დამავალე.

— კიდევ ათი ბოთლი მომიტანე და დამოჯექი აგერ, გვერდით, დაგლოცო მინდა, — მკლავზე ხელი წაატანა დუტუმ. თამარამ ხელი გააშვებინა და დახლთან მივიდა.

— ლასა, მომეცი ათი ბოთლი ღვინო, — ლასამ ბოთლები ამოალაგა მაგიდაზე. დუტუ ადგა და დახლთან მივიდა. შეზარხოშებული იყო, თვალები უბრიალებდა. მილიციელი იყო დუტუია ცენტერაძე, დაბალი, ჯიჯგვი, ლონიერი და მკლავებგრძელი. გვერდზე ნაგანი ეკიდა, ნახევრად შიშველ ბუღეში გარეშობილი და რომ დადიოდა, ქვეყანა მისი ეგონა. დახლთან მისულმა წელზე მოხვია ხელი თამარას.

— დაანებე, დუტუია თავი მაგ გოგოს და შენს სუფრას მიხედე. — უთხრა ლასაიამ.

— იგი ქალი არაფერს არ ჩივა და შენ ვინ გკითხავს მეზობლის ძალისხმევა ... კეი თუ არა? — ჰკითხა დუტუმ და ... ვსი ბოთლი სათამამობივით ამოიჩარა თითებშუა. — ამას, მე კი არა, შენ უნდა აკეთებდე, — დაუმატა საყვედურით და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

— ვინც ამ ქალს თვალს დაადგამს, იმის კუბოს დავდგამ მიქელგაბრიელის ეზოში. — თქვა ყველას გასაგონად და დაჯდა, თამარამ დანარჩენი ოთხი ბოთლი მიუტანა და მაგიდაზე დაუდგა. დუტუმ ხელი მოკკიდა და გვერდით დაისვა.

— დაჯექი, ქალო, შენი სადღეგრძელო მინდა ვთქვა! — მერე წამოდგა ჭიქით ხელში და ლასაიას მიმართა: — ლასაია ბასილია, ამ სადეღოფლო ქალს თეფშებს რომ არეკხვიან და ათრაქვიან, ღმერთის არ გრცხვენია? გამატანე სახლში და ოქროს ტახტზე დავსვამ თამარ დედოფალივით.

— ერთი შენი ცოლი თალიკო გიზის ოქროს ტახტზე და მეორეს მაგას მიუსვამ. ხე რომ არ გიდგას ეზოში და სხვის ხეზე რომ იბუდრებს შენი ქათამი, იმას მიხედო გირჩევნია, შე მაიხოვარო! — უთხრა ლასამ, სასადილოში აუწერელი ხარხარი ატყდა.

— ლასაია, ენას მოუკელი, ფეხი არ დაიდგა ზედ! — გააფრთხილა დუტუმ და ნაგანის ტარზე ხელი ჩამოიდო.

ბაჩანა ადგა და კარებისკენ წავიდა.

— მოიცა, ბიჭო, შენ! — გააჩერა დუტუმ, — რას დაეთრევი ამ სასადილოში, გაიხედ-გამოიხედე, ვინაა აქ შენი ტოლი?!

— საქმელისთვის შემოვედი მე, — უთხრა ბაჩანამ.

— კი ვიცი მე, რისთვისაც შემოდი. ა, გამომართვი აგი, დალიე და გადი გარეთ! — დუტუმ ღვინით სავსე ჭიქა და მოხარშული ქათმის ბარკალი მიაწოდა ბაჩანას. ბაჩანამ ჭიქა და ხორცი ჩამოართვა და ისევ მაგიდაზე დაუბრუნა.

— არ ვსვამ მე.

— წადი აბა!

— შენი საქმე არაა, წავალ მე თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა! — უპასუხა ბაჩანამ და სახეზე ცეცხლი წაეკიდა. დუტუმ ხელი გამოწია, ყურზე რომ ფეიერო ბაჩანასათვის, მაგრამ ბაჩანამ თავი გასწია და დუტუს ხელი ჰაერში დარჩა გაშვერილი.

— დუტუ ცენტრაძე, მთვრალი ხარ შენ! — უთხრა გაფიორებულმა ბაჩანამ და კარისაკენ წავიდა.

— ვისია ეს ნაბიჭვარი?! — იკითხა გაწბილებულმა დუტუმ.

— ლომკაცა რამიშვილის შვილიშვილია მაგი! — უთხრა გვერდით მჯდომმა უშანგი კალანდაძემ. დუტუ ცენტრაძემ ქვედა ტუჩზე იკბინა.

— შენმა მილიციის უფროსმა რომ ორდენი მიიღო მანუჩარა კიკვაძის მოკვლაში, მგონი მაგის ნახელავია, დუტუ ია და დაანებე თავი, — ყურში უთხრა უშანგი კალანდაძემ.

— ტყვილია მაგი. ეს ოპერაციაში შეც ვლებულობდი მონაწილეობას, — კბილებში გასცრა დუტუმ და სახეზე ალფურება გადაკკრა, — გველის წიწილია მაგი და ტროიკასტის შვილი, ტყვილა კი არ გაუეუეთ მაგის გვარი ოცდაჩვიდმეტში...

— რას ერჩი ახლა, დუტუ, მაგ ბიღანს, არაფერი დაუშავებია, მოვიდა, არაფერი უქამია და მიდის თავისი გზით, ქალმა კი არ უნდა გადაგრიოს, შე კაცო... — უთხრა ათანასე ლორიამ.

— ქალია აგი, შე მამაძაღლო? ქალი კი არა, ლმერთია, დაუჩოქე და ილოცე ზედ! — დაჰკრა დაფთვის ტორი დუტუმ მხარზე ათანასეს და დაიბარბაცა. სასადილოში სიჩუმე ჩამოვარდა, ატმოსფერო საოცრად დაიძაბა.

— დუტუია მილიციონერო, გამოუშვი მაგი ქალი ჩვენკენაც, ობლიგაციაში ხომ არ მოგიგია, ჩვენც შეგვარებე პატარა ხელი. — სცადა დაძაბული მდგომარეობის შერბილება მეზობელი სუფრიდან მამუკა იაშვილმა.

— დღეს გაპატიებ, მამუკა იაშვილო, მაგ ლაზღანდარობის და ხვალიდან შენი ბუდიდან არ დავინახო ამ სასადილოში! — დაემუქრა დუტუ.

— ასე მაგარი თუ ხარ, წადი ჯარში და დაგვაყენე საშველი, ოთხი წელიწადია, რომ ატკვირიებ ჩვენს თავს ჭიტლერს, — გაეცინა მამუკას.

— მერე ან წესრიგს ვინ დაამყარებს?! — ჰკითხა დუტუამ, — ვინ მიხედავს შენისთანა დეზერტირებს?!

— დუტუია მამაძაღალო, მე ვარ დეზერტირი, შენხელა ნაღმის ნამსხვრევი რომ მაქვს გულში გარჭობილი?! — გაიღვიძა გაგლეჯილი მკერდი მამუკამ, — რა გეჭირს შენი მოსაკვლელი, შე მარილ დეზერტირო, ვინაა ამ სოფელში შენდენ წესრიგს რომ არღვევს?! — მამუკამ ბოთლი აიღო და დუტუია მილიციელისაკენ წავიდა, დუტუმ ნაგანი ამოიღო ბუდიდან და გვერდზე გადგა.

ბაჩანა სასადილოდან გავიდა.

●

თამარას სასადილოში გამოჩენის სანში თვის თავზე სოფელში ჭორი დაირხა, აღოდა, აგოდა, ამოძრავდა, ფრთა შეისხა, გაშალა, გაფრინდა და გაზაფხულს მერცხალივით ყველა ოდის ბინსა და ფანჯარას მიფრინდა. ჩაის პლანტაციაში, თუთუნში, ხილში, ყანაში, ვეენახში, ბიღნაში, მარანში, ბაზარში, კანტორაში, აბანოში, სპპარიკმახეროში, კლუბში, სამკითხველოში, ყველგან ამაზე იყო ლაპარაკი.

— დაუკლავთ იმ დღეს ერთმანეთი ლასაიეს სასადილოში მამუკა იაშვილს და დუტუია ცენტრაძეს იმ შარახვეტია გოგოს გულისთვის...

— ცოლი უცემია დუტუია უპატრონოს და მელექედურში გაუგზავნია მამამისთან...

— აჯილდა ჩამოგვისახლა ლასაიამ, ამბობენ, ორსულადაა ლასაიესგანო, ისე საეჭვოდაა მოკეთებული...

— ლასაიესგან კი არა, დუტუია მილიციონერისგან ელოდებათ...

— მამუკა იაშვილისთვისაც დაუწყია თვალების კუსვა, მაგრამ თმით უთრევია კლუბში მის ცოლს, დარეკვანან...

ნოდარ ფეფნაძე
მარადიზოგის კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას ჰიტლერიც ვერ იზამდა, ისე აგვრია სოფელი და გადაკიდა ყაძახები ერთმანეთს...

— გაწყდა ნეტავი ქალი გურიაში და მაგაზე დადგა ქვეყანა?!

— გაწყდა უძახე შენ და თორნიკე კინწურაშვილს დანა მიუცია ჭიაში არდალიონა ღვალაძისთვის იმ ღამეს, თურმე...

— რას აკეთებს მერე ამ დროს დუტია მილიციონერი?..

— რას აკეთებს და თვითონ უზის პირველ საყვარლად...

— იმ ბიესაც რომ აურია კვალი თურმე?. .

— რომელს?

— ლომაცაა რამიშვილის ბადიშს, ბაჩანას, მარტო მაგისთვისაა მე ... ძალთხავ, დასაჭერი, მცირეწლოვანი ბავშვის გარყვნის მცდელობისათვის... იმ დღეს ვნახე სასაღილოდან გამოდიოდა, გამობღლებული ჰქონდა თვალები...

●

ზოსიმე ხინთიბიძის სახლში იდგა მდგმურად თამარა. საერთო აივანზე, მარჯვენა მხარეს, პატარა ოთახი ეკავა. გვერდიდან ფანჯარა ჰქონდა და სოფლის შუკას უყურებდა ის ფანჯარა. სოფელს ეძინა. ბაჩანამ ძალიან ფრთხილად დაკაკუნა მინაზე. ფანჯარის ხალათმოსხმული თამარა მოადგა, უზომოდ შეშინებული, ფაროდ გახელილი თვალებით. ბაჩანა რომ დაინახა, ტუჩი მოიკვნიტა და ლოყაზე შემოიკრა ხელი, მერე ძალიან ფრთხილად გაიღო სარკმელი და ჩურჩულით ჰკითხა საქციელწამხდარ ბაჩანას:

—შენც, ბიჭო?!

— შემომიშვი! — სთხოვა ბაჩანამ.

— შენ მაკლდი და შენც მოდი?! — თამარას ნიკაპი აუკანკალდა.

— შემომიშვი, — გაუმეორა თხოვნა ბაჩანამ.

— ნუ გაერევი, ბაჩანა, ამ სიჩინებურეში, წადი სახლში, რა გინდათ ჩემგან. რატომ მომჭერით თავი მთელ სოფელში, რა დაგიშავეთ, გეყოფათ აწი, თამარამ ტირილი დაიწყო.

ბაჩანა ფანჯარაში გადაძვრა, თამარას გვერდი აუარა და პატარა მაგიდას მიუჯდა. თამარამ ჭიქაში აანთო და ბაჩანას პირდაპირ სკამზე დაეშვა.

— რა გინდა, ბიჭო? — ჰკითხა ვედრებით. ბაჩანა ხმას არ იღებდა. — რაზე მოხვედი? — გაუმეორა კითხვა.

— მართალია, რასაც სოფელი ამბობს? — ჰკითხა ბაჩანამ და აორთოლებული ხელით ჭიქას მომწვარი ფითილი მოაცალა.

— რას ამბობს, ბაჩანა, სოფელი?— თქვა თამარამ და თავი სინანულით დაიქნია.

— ათას სიბინძურეს ამბობს სოფელი...

— გჯერა მერე შენ მაგის, ბაჩანა?... — ბაჩანამ მხრები აიწურა.

— მე მოვედი იმისათვის, რომ... — ბაჩანას ხმა ჩაუწყდა.

— რისთვის მოხვედი, ბიჭო?

— მე იმისთვის მოვედი, რომ...

— არ თქვა, ბაჩანა, რისთვის მოხვედი, შენ მეგულები ამ სოფელში ერთი ნათელი სეტი და ნუ იტყვი მაგას...— ბაჩანამ ცრემლი და ნერწყვი ერთად გადაყლაპა.

— ადექი, ჩაიცვი და წამომყევი! — თქვა უცებ ბაჩანამ.

— სად? — გაუკვირდა თამარას.

— არ ვიცი, ადექი და წამომყევი...

— სად მიგყავარ, ბიჭო? —

— უნდა წახვიდე შენ ამ სოფლიდან...

— ასე მოჯაყული და შერცხვენილი?..

— ადექი შენ, მაგათ ჭარტო ქალად უნდებახარ, მე კი...

— შენ რაღად გინდებვარ, ბაჩანა?..

— ადექი და წამომყევი, რომ გეუბნები, ჩაიწყვე, რაც გაქვს ტანსაცმელი ჩემოდანში და წამოდი... — ბაჩანამ თვითონ ვერ იცნო თავისი ხმა, იმდენი ლითონი გარეოდა შიგ, თამარა მონუსხულივით წამოდგა, საწოლის ქვეშიდან ჩემოდანი გამოათრია და ტანსაცმლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩალაგება დაიწყო შიგ. ბაჩანა ადგა და კარი გაიღო, აივანზე გავიდა. ზოსიმე ხინთიბიძის კარს მიადგა და მუშტი დაჰკრა ზედ რამდენიმეჯერ.

— რომელი ხარ?! — გაისმა შიგნიდან ზოსიმეს შეშინებული ხმა.

— მე ვარ, ბაჩანა, ლომკაცა რამიშვილის ბაღიში!

— კარი შეგეშალა, ბიძია! — გამოსძახა ოთახიდან ზოსიმემ.

— არ შემშლია, ზოსიმე ბიძია, გამოდით ერთი წუთით შენ და მარო ბიცოლა გარეთ.

— მთვრალი თუ ხარ, ბიძია, წადი სახლში! — გაუჯავრდა შიგნიდან ზოსიმე.

— გამოდით ერთი წუთით, არ ვარ მე მთვრალი! — შეეეედრა ბაჩანა, ზოსიმემ კარი გააღო და ნიფხავ-პერანგ ამარა გამოვიდა აივანზე. ზურგს უკან მარო ედგა შეშინებული.

— მიმყავს აგი ქალი, ზოსიმე ბიძია, მე და მინდა იცოდეთ შენ და მარო ბიცოლამ... — თქვა ბაჩანამ.

— ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს ამაზე მაღვიძებდი? წაიყვანე სადაც გინდა, ჩემი ვალი მაგას არ აქვს და არაფერი, ბინის ქირა წინდაწინ აქვს გადახდილი...

— მითხარი, ზოსიმე ბიძია, ან მამუკა იაშვილი, ან დუტუიე ცენტერაძე, ან ლასაიე ბასილია, ან თორნიკე კინწურაშვილი თუ გინახავს ამ ქალის ოთახიდან გამოსული?

— რას გადამეკიდე, ბიჭო, ამ შუაღამეს, მაგის ყარაული ვარ მე?

— თქვი, ზოსიმე ბიძია, მართალი კაცი ხარ შენ! — გაუმეორა თხოვნა ბაჩანამ. ზოსიმემ კეფა მოიფხანა უხერხულად.

— ცოდვას ვერ ვიტყვი... არ მინახავს. იყო დუტუიე ცენტერაძე სამი გზობა, მთვრალი, კარი კინაღამ ჩამოუღო, მაგრამ არ შეუშვა სახლში, ორი გზობა თორნიკე კინწურაშვილი იყო, ისიც მთვრალი, მაგრამ, არც იგი შეუშვა... შენ პირველი კაცი ხარ, მაგის ოთახიდან ღამე გამოსული... — თქვა ზოსიმემ და კარებში ჩემოდნით მდგარ თამარას თვალებში შეხედა.

— რატომ გათათხეს აბა აგი გოგო ასე? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ჩვენი პირიდან მაგის ძეირი არ ამოსულა, ბაჩანა ბიცოლა, და სადაც კი მიგვიწვდა ხმა, კი ვთქვეთ მაგი, მაგრამ ვინ დაგიჯერა?.. — იმარილა თავი მარომ.

— წამოდი! — უთხრა ბაჩანამ თამარას და ჩემოდანი ჩამოართვა.

— სად მიგყავს, ნენა, ამ შუაღამეში, დაგეცადათ დილამდე, საგზალს გამოგიწყობდით...

— ამაზე მეტი საგზალი, რაც თქვენ თქვით ახლა, ამის არ სჭირდება — უთხრა ბაჩანამ, — კარგად იყავით, მადლობელი ვარ თქვენი. — დაიყოლა.

— ბაბუაშენმა ლომკაცამ თუ იცის მაგი ამბავი, რასაც შენ ახლა ჩადიხარ? — ჰკითხა ზოსიმეს ეზოში ჩასულ ბაჩანას.

— იცის! — მოკლედ უპასუხა ბაჩანამ. ხელი მოჰკიდა თამარას და სოფლის შარაზე გაიყვანა.

●

სოფლის შარა უხმოდ გაიარეს. ოზურგეთისაკენ მიმავალ დიდ შარას რომ დაადგნენ, ბაჩანამ ჩემოდანი დადგა, გზის პირას ჩამოჯდა და თუთუნი გაახვია. თამარა გვერდით მიეჯდა.

— დამიტოვე ცოტა! — უთხრა დიდი ხნის დუმილის შემდეგ. ბაჩანამ გადასცა ნამწვი, თამარამ ჩამოართვა და ხარბად გაბოლა.

ნასაკირალის აღმართს რომ მიადგნენ, ბაჩანამ ისევ შეისვენა და ისევ გაახვია თუთუნი, ამჯერად თამარასაც გაუხვია.

— თქვი რამე. — სთხოვა თამარამ. ბაჩანამ უბეში ჩაიყო ხელი, ცხვირსახოცში გახვეული რაღაც ამოიღო და კალთაში ჩაუდო თამარას.

— რა არის? — ჰკითხა თამარამ.

— მაგი ჩემს შრომადღეებზე მიღე-

ბული ავანსია, ექვსასი მანეთი, ცოტა ხანს გეყოფა. ერთი ბათმანი სიმინდის ფასია... — ბაჩანას ხმა უთრთოდა, თამარამ ცხვირსახოცი გახსნა, ფულს დახედა, ისევ შეკრა და უბეში ჩაუდო ბაჩანას. მერე საკუთარ კალთაში ჩარგო თავი და გულამოსკნელი ტირილი დაიწყო. ბაჩანა არც აწყნარებდა, არც ამშვიდებდა. იჯდა და ელოდა, როდის იკერეს ბედი თამარა გულს ტირილით და როდესაც შეატყო, რომ თამარა ადარ ჩერდებოდა, დაიწყო:

— ტირილი კარგია, მე როდესაც რამე მტკივა, ან რამე მეწყინება და გული გამიქვავდება, ტყეში გავრბივარ ნადირივით, დავწვები ხის ძირში და ვტირი ხმამაღლა, მთელი დღე ვტირი, ვიდრე ცრემლები არ გამითავდება და გული არ გამილღვება... მერე კარგად ვარ... შენც იტირე და გული გაგილღვება, არ შეიძლება, არ გაგილღვეს... სხვანაირად მოკვდება კაცი... შენ არაფერი არ უნდა გეწყინოს, უსაშველოდ ლამაზი ხარ, გოგო, და რა ხალხის ბრალია... ერთმანეთის ჯიბრზე დაკმაბა სოფელში კაცებმა ერთმანეთი... ძალლებმა იციან ასე... სამი თვეა თვალი არ მომიხუჭავს... ნამეტანი ლამაზი ხარ, გოგო და ნამეტანი ალერსიანი თვალები გაქვს, რამ გაგაჩინა ასეთი... ვინც გიყურებს, ყველას გონია, მე მიცინის და მეალერსება, სხვაზე უფროო. მეც მასე მომივიდა ალბათ... ვიცი მე, რომ ტყვილია მაგი... ტყვილია, მაგრამ ნამეტანი მიყვარხარ, სხვისთვისაც არ მემეტები და რა ვქნა... მოკვდები მე... — თამარა ადარ ტირიოდა, იგი განცვიფრებული უგდებდა ყურს ქადაგად დაკარგნილ ბაჩანას... — ჩვიდმეტი წლის ვხდები ახლა მე... ჩვიდმეტი წელი არაა ბევრი, მაგრამ არც ცოტაა, ვიცი მე, შენ ისე მიყურებ როგორც ბაღანას... მაგრამ შენ არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს, უსაშველოდ ლამაზი ხარ, გოგო და რა ვქნა... გამომართვი ეს ფული, არ მომიპარავს მაგი მე, ლომკაცამ მომცა, ბაბუაჩემმა... შენთვის მომცა, დიდი კაცია ბაბუაჩემი ლომკაცა, ნამეტანი დიდი კაცი, იმან გამომგზავნა შენთან, დადმასწავლა, როგორ მოვქცეულიყავი ... იმან მითხრა, წაიყვანე სოფლიდანო... შენ რომ შეგძლებოდა ჩემი სიყვარული... მაგრამ ნამეტანი ლამაზი ხარ, გოგო შენ და არ ვიცი, მე რა გეშველება... ჰატარა ვარ მე ჯერ, შენ რომ მოგიაიარო და გიპატრონო... ნამეტანი მიყვარხარ, გოგო, სამი თვეა თეთრად ვათენებ... ბაჩანას ხმა ჩაუწყდა, მერე თავი ჩაუდო თამარას კალთაში და ზუსტად ისე აყმუვლდა, როგორც მაშინ, ჯხაკოურას ტყეში, დაკარგული მგლის ლეკვივით.

თამარამ გული ჩაიკრა ბაჩანას თავი და რომ მისი ყმეილი დაეოკებინა ტუჩებით, მკერდზე მიიკრა... და ბაჩანამ იგრძნო უცებ, როგორ დაუწყო გულმა ლღვობა, როგორ გათბა გული, გახურდა და ბოლოს ცეცხლი წაეკიდა. იგი უნებურად დაეწაფა თამარას გადეღილ მკერდს და მხურვალედ დატკაცნა, შემდეგ ორთავე ხელი მოხვია წელზე და ყელს ემთხვია, შემდეგ — ლრყებს. ბაჩანამ თბილი და მლაშე ცრემლის გემო შეიგრძნო, თამარა ჩუმად ტიროდა.

— შენ ჩემო მზეო და სიხარულო... შენ ჩემო დაო და ძმაო... შენ ჩემო მამავ და მშობელო... შენ ჩემო ტკივილო და მწუხარებავ... შენ ჩემო შვილო და სიობლეე... შენ ჩემო სიკვდილო და სიცოცხლეე... შენ ჩემო ბიჭო და საყვარელო... შენ ჩემო სიმდიდრეე და სიღარიბეე... საიდან მოხვედი, ბიჭო, საიდან გაჩნდი, რამ მოგიყვანა ჩემს ცხოვრებაში... — ჩურჩულებდა თამარა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა ლოყებზე. მერე მათმა ტუჩებმა მონახეს ერთმანეთი, ბაგეები დადუმდნენ და ახლა გულებმა დაიწყეს ერთმანეთთან ლაპარაკი. უზარმაზარი ვერცხლის ზარები გუგუნებდნენ მათ გახურებულ მკერდში. ერთი დიდი, მეორე ოდნავ პატარა და ისე ხმაშეწყობილად, ისე დიდებულად რომ ორთავეს ლოცვა უნდოდა, მხოლოდ ლოცვა და სხვა არაფერი.

— ღმერთო ძლიერო, ღმერთო მაღალო, შეაერთე ჩვენი სული და ხორცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთ ვეებერთელა, დაუშრეტელ სიცოცხლად აქცია... ღმერთო ძლიერო და ყოვლის გამკითხველო, მომეცი სისხლი მისი და მიეცი მას სისხლი ჩემი... გვიხსენი ცოდოსაგან და მიიღე ჩვენგან სიცოცხლე ჩვენი...

— ბაჩანა, ჩემო მზეო და სიხარულო, საიდან გაჩნდი, ბიჭო, საიდან მოდი ჩემს ცხოვრებაში, ნუ იზამ მაგას, ჩემო ბედნიერებავ და უბედურებავ, ჩემო... ქალწული ვარ მე...

— ღმერთო ძლიერო, მომეცი ძალა და ნებისყოფა, ნუ დამბინდავ გონებას, მიშველე, ღმერთო...

●

ისინი ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ შარაზე. ტყეში ფრინველი იღიღბდა და დილის საგალობლისათვის ემზადებოდა. გაღმა-გამოღმა სოფლებში ძალები ყეფდნენ. ვიღაც ადრე გადვიძებული გლეხი ყანაში გადასულ, აწყვეტილ სქონელს უყიჟინებდა. ცას ლილისფერი შეეპარა. ტოლების მთებზე გაწოლილ ქთქთალი ღრუბელს ალისფერმა დაჭკრა. ნასაკირალზე გათენდა.

ბაჩანამ ჩემოდანი დადგა თამარას ფეხებთან და თავი ჩაიუნა.

— წადი ახლა შენ! — უთხრა დაკარგული ხმით. თამარამ დიდხანს უყურა ბაჩანას. მერე ძალიან მშვიდად ჰკითხა.

—როგორ უნდა ვიცხოვროთ ახლა მე და შენ? — ბაჩანამ მხრები აიწურა.

— რას იტყვი, სოფელში რომ დაბრუნდები? — ბაჩანამ ისევ აიჩეჩა მხრები.

— წადი ახლა შენ და... — ბაჩანამ ვეღარ გააგრძელა სიტყვა.

— არ დამივიწყო, ბიჭო! — ბაჩანამ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— არ არის ამ წუთში სულიერი ქვეყანაზე, ბაჩანა, შენზე უფრო რომ მიყვარდეს!.. — თამარას ტუჩები უთრთოდა.

— არ გათხოვდე, გოგო, მე მალე გავიზრდები... — ბაჩანა ისევ ატირდა. თამარა მიუახლოვდა ბაჩანას, მის წინ მუხლებზე დაეშვა და ორთავე ხელი დაუკოცნა.

— ამაზე მეტი რაღა უნდა გაიზარდო, ბიჭო?... — ჩურჩულით თქვა მან და მუხლზე მოხვია ხელი. ბაჩანამ ფრთხილად გაინთავისუფლა თავი თამარას ხელებისაგან, უკან დაიხია, შეტრიალდა და წავიდა.

დაახლოებით ნახევარი ვერსი ჭქონდა გავლილი ბაჩანას, უკან რომ მოიხედა. თამარა შარაზე იჯდა ისე, როგორც დატოვა ბაჩანამ და მისკენ იცქირებოდა.

... და ბაჩანა განცვიფრდა უცებ. ასეთი შორი მანძილიდან მან საოცარი სიცხადით დაინახა თამარას ცრემლით სავსე ცისფერი თვალები.

●

შუადღეზე შეაღო ბაჩანამ სასადილოს კარი. ყველა მაგიდა დაკავებული იყო. დარბაზში აუწერელი ხმაური იდგა. ლასაია ყიტრს და ჰამიდორს ჭრიდა დახლზე. ბაჩანა რომ დაინახა, დანა ხელში შეაცივდა. ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა უცებ სასადილოში, გეგონებოდათ, სიკვდილმა შემოაღო კარი. ყველას სახეზე განცვიფრება, სიხარული, შიში და უზარმაზარი კითხვა ჭქონდა გამოხატული, მაგრამ სიჩუმის დარღვევას ვერავინ ბედავდა.

— ავერ არაა?! — თქვა ბოლოს ლასაიამ და ისე ამოისუნთქა, თითქოს ერთი საპალნე ტვირთი ჩამოხსნესო. ამის თქმა და სასადილოს გაცოცხლება ერთი იქნა. ისევ აუწერელი ხმაური ატყდა და ამ ხმაურში ტყვიასავით გავარდა დუტუია ცენტერაძის დამცინავი ხმა:

— უნიფხვო სიძეს გაუმარჯოს! — ბაჩანამ ყურადღება არ მიაქცია დუტუიას სიტყვას, მივიდა იმ მაგიდასთან, რომელსაც თორნიკე კინწურაშვილი უჯდა და მის პირდაპირ დადგა.

— რა უყავი, ბიჭო, ქალი, ბაბუაშენ

ლომკაცას ხომ არ მიუყვანე? — გაეცალზღანდარა შექეიფიანებული თორნიკე.

— თორნიკე კინწურაშვილო, უთხარი ამ ხალხს, იყო თუ არა უპატიოსნო ის ქალი! — ჰკითხა ბაჩანამ საქვეყნოდ.

— მაგი მე რა ვიცი, აგერ ჰკითხე ლასაიას, მაგის მუთაქა და ბალიში მაგი იყო... — აიქნია ხელი თორნიკემ და უნაიროდ გაიცინა.

— ლასა ბიძია, მართალს ამბობს ეს კაცი? — მიუბრუნდა ბაჩანა ლასას.

— დღევანდელი დღე არ დამიღამდეს და ამ დანამ გაიაროს ჩემს გულში, თუ რამე მეკადრებინოს და უბატონოდ ხმა გამეცეს იმ გოგოსთვის! — თქვა ლასაიამ და დანა ისე დაარჭო დახლზე, შუამდე ჩაიყვანა. ბაჩანა ისევ თორნიკეს მიუბრუნდა.

— ადექი, თორნიკე კინწურაშვილო და, თუ ვაჟკაცი ხარ, თქვი, რამდენჯერ ხარ იმ ქალთან ნამყოფი, თქვი, ნუ დამალავ, მაინც ვერ გიგიონებს თამარა, შორსაა ახლა აქედან წასული... — ბაჩანას ხმა აუთრთოლდა და ხელები გაუცივდა.

— ვინ აგდიხარ, ბიჭო შენ, ანგარიში რომ გაბარო მე? — იფეთქა უცებ თორნიკეემ.

— ის მაინც უთხარი ამ ხალხს, რამდენჯერ გამოგაგდო სახლიდან თამარამ, — შეაგდო ნამუსზე ბაჩანამ თორნიკე.

— არავის არ გამოუგდივარ მე, ჩემით წამოვედი, ღვინომ რომ გამიარა, ეგერაა ზოსიმე და ეკითხოთ. — გატყდა ბოლოს და ბოლოს თორნიკე და თავი ჩაღუნა.

— მამუკა იაშვილო, შენ მართალი კაცი ხარ და თქვი, რატომ მიუხტა შენი ცოლი დარეჯანი თამარას? — მიუბრუნდა ბაჩანა მამუკა იაშვილს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში უხმოდ იჯდა მაგიდასთან და ტუჩებს იკვნეტდა.

— არაფრის გულისთვის, ბიძია, დუტუიე ცენტერაძის ცოლმა გაახელა და მიუხტა! — თქვა ცოცხალმკვდარმა მამუკამ.

— ჩემი ცოლი სასადილოში სახსენებელი არაა, ვირიშვილო მამუკა! — თქვა დუტუია ცენტერაძემ. მამუკა წამოდგა და პასუხის მიცემა დააპირა, მაგრამ ბაჩანამ არ აცალა.

— ადექით ახლა და თქვით, რომელი იყავით იმ ქალთან! — იკითხა ბაჩანამ და დუტუია ცენტერაძეს დაუშტერდა. დუტუია ცენტერაძე წამოდგა. წამოდგა უფრო იმისათვის, რომ კინწისკვრით გაეგდო სასადილოდან, სასწორ-ათამართლის გამრიგებელი ეს ლაწირაკი, მაგრამ ბაჩანამ მისი წამოდგომა საკუთარი შეკითხვის პასუხად მიიჩნია და ლასაიას დახლზე დარჭობილ დანას შეავლო ტარზე ხელი.

— ტყუილა დგები ფეხზე, დუტუია დამპალო, სამჯერ ეგდე თამარასთან და სამჯერ გამოგაბუნძული გარეთ. ამპარტავანი და თავგასული კაცი ხარ შენ, დუტუია ცენტერაძე, თავის მოსაწონებლად მოჯაყე ის გოგო სოფელში... მართალს ვამბობ, ზოსიმე ბიძია? — ჰკითხა ბაჩანამ სასადილოს კუთხეში მკლავებდაღლილავებულ და იმ სასადილოს კედელივით გათეთრებულ ზოსიმეს.

— მართალს ამბობ, ხვთის წინაშე! — თქვა ზოსიმემ.

— შენ რა იცი, ზოსიმე უდღეურო, ჩექმას მხდიდი დაწოლის წინ თუ ლეიბად მეგე? — ჰკითხა დუტუიამ და შზამინად გაიცინა.

— მართალს ამბობს, ხვთის წინაშე! — გაიმეორა ზოსიმემ.

— ბინძური კაცი ხარ შენ, დუტუია ცენტერაძე! — უთხრა ბაჩანამ და ისეთი ძალა და შვება იგრძნო, როგორც არასდროს ადრე.

— დაგკბილავ, შე ლაწირაკო, ნახე, როგორი მიტინგი მომიწყო ამ სასადილოში და როგორ გვასხამს ლაფს თავზე?!. მე სახელმწიფოს და ძალაუფლების წარმომადგენელი ვარ აქ თუ შენი მაიმენი?! — დუტუიამ ნაგაზზე დაიდო ხელი და ბაჩანასკენ წამოვიდა.

— მაიმუნი ხარ, დუტუია ცენტერაძე

და მაგი ნაგანი შეიტენე ერთ ადგილას, მაგის მე არ მეშინოდეს! — თქვა ბაჩანამ და თვითონაც წავიდა დუტუიისკენ. ლასაია ბასილაია დახლიდან გამოვარდა და წელში ეცა დუტუიას.

— აბა მე გეტყვით, ხალხო! — გაჩერდა უცებ ბაჩანა, — მე ვიყავი წუხელ თამარასთან, ქალიშვილია ის გოგო და ქალიშვილად წავიდა აქედან. ჩემს დედას ეეფიცებით, ასე იყო მაგი! — ... და უცებ სასადილოში საშინელი ღაწანი გაისმა. ყველასათვის მოულოდნელად დუტუია ცენტერაძემ იატაკზე გაადინა ბრახვანი და გულაღმა გაიშხლართა. მას თავზე მამუკა იაშვილი ადგა და ძლიერი დარტყმისაგან დაპუქებულ ხელზე სულს იბერავდა. ნერე ის დაბუკებული ხელი ლოკაზე ბოუთათუნა ბაჩანას.

— კარგი ბიჭი ხარ შენ, ბიძია, წადი ახლა სახლში, აწი მე მოვუვლი ამას...

ბაჩანამ სასადილოს კარი გაიხურა და ქუჩაში გავიდა.

9.

ოცდამეორე დღეს პროფესორმა ბაჩანას გადაბრუნების უფლება მისცა. ახლა იგი გვერდზე იწვა იდაყვზე დაყრდნობილი და ორთავე მეზობელს მთელი მათი ბრწყინვალებით აღიქვამდა. სამკურნალო ფიზკულტურაც კი დაუნიშნეს ბაჩანას, მთელი მისი ფიზკულტურა ორ კვირას ხელების მუშტებად შეკვრითა და გაშლით განისაზღვრებოდა, ხოლო, როდესაც წამოჯდომის უფლებაც მისცეს, ანუ გადაბრუნებიდან მეოცე დღეს, პალატის კარი გაიღო და შიგ ისეთი ლამაზი გოგონა შემოვიდა, ბულიკას მაწვნის ქილა გაუფარდა ხელიდან და მთელი საუზმე კალთაში ჩაეღვარა. ხოლო, როდესაც ეს ყორნისფერთმიანი და მწვანე თვალებიანი ანგელოზი ბაჩანას ლოგინზე ჩამოჯდა, მამა ირამმა პირველი გამოისახა და აღმოხდა:

— ახლაც არ ირწმუნებთ ღმერთს, ბატონო ბაჩანა?

— ვიწამებ, მამაო, თუ ეს სიზმარი არ არის. — უპასუხა ქალის სილამაზით და სითამამით გაკვირვებულმა ბაჩანამ.

— გაუშვი სიზმარი იყოს, ოღონდ ჩემს ლოგინზე დაჯდეს! — თქვა ბულიკამ და მხოლოდ თქმის შემდეგ მიხვდა, რომ კოვზი პირში ჰქონდა.

— თქვენთანაც მოვალ! — თქვა კეკლუცად გოგონამ.

— მობრძანდით, ქალბატონო, გელოდებით! — მიიპატიჟა ბულიკამ.

— გამარჯობათ, ბატონებო, მე ქეთევანი მქვია, ანდრონიკაშვილი ვარ გვარად და სამკურნალო მედიცინის მთავარი ინსტრუქტორი გახლავართ თქვენს საავადმყოფოში. — გააცნო მან თავი ავადმყოფებს.

— მერე ჩვენს ექიმებს ჭკუა არა აქვთ, პანტაკონებით, პერსანტინებით და ინტენსაინებით რომ დაგვილურჯეს საჯდომები?! პალატაში თქვენისთანა ქალის ერთი შემოსვლა, ათს თუ არა, ხუთ ნემსს მაინც უდრის! — იყვირა ბულიკამ. ქალიშვილს კმაყოფილმა ღიმილმა გადაუარა სახეზე.

— ბატონო ბაჩანა, ხედავთ, იღიმება, აბა ერთი ხელი მოჰკიდეთ, თუ არ გაქრა, ესე იგი, ნამდვილია. — სთხოვა ბულიკამ.

— თქვენის ნებართვით, ქალბატონო! — თქვა ბაჩანამ და ქალიშვილს ხელი შეახო ლამაზ თითებზე, — გაიხარე, ბულიკ, ნამდვილია! — თქვა ბაჩანამ, მაგრამ ქალიშვილის თბილი ხელიდან თავისი აღარ აუღია. გოგონამ ფრთხილად გამოაცურა თითები ბაჩანას ხელისგულიდან და მაჯაზე მოკიდა ხელი.

— ჩემი დღევანდელი მაჯა ზუსტ ცნობებს ვერ მოგაწვდით, ქალბატონო, ცოტა რომ დამშვიდდება, მერე გამოსინჯეთ, — სთხოვა ბაჩანამ და ქალიშვილის ხელი აფრიალებულ გულზე დაიდო, — აბა, ნახეთ?

სამკურნალო მედიცინის მთავარმა

ინსტრუქტორმა ხელი აიღო ბაჩანას გაღებილი მკერდიდან და ზედ ნიკარასავით პატარა, ლამაზი, ვარდისფერი ყური დააღო.

— მკლავი, ექიმო? — ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა ბაჩანამ. და ისე გახედა მამა იორამს, თითქოს აღსარებას სთხოვდა. მღვდელმა უიმედოდ გაშალა ხელი და აპარპალებული თვალებით ჭერს ახედა, აქოდა, მე რა გიშველოო. ქალიშვილმა ცოტა ხნის შემდეგ ყური მოაცილა ბაჩანას მკერდს და ძალიან სერიოზულად თქვა:

— ტკივილებს ისევ გრძნობთ გულის არეში?

— აღარა, ქალბატონო, მაჯის ამოვარდნაც არ მქონია თქვენს შემოძრძანებამდე. ახლა ყველაფერი თავიდან დამეწყო. — ამოოხრა ბაჩანამ.

— ნეტავი ვიცოდე, ამ საავადმყოფოში ყველა ავადმყოფს ერთნაირი ტექსტი ვინ დაგირიგათ?! — თქვა ქალთანაურებისკენ თავმობეზრებულმა ექიმმა და მანაც ამოოხრა.

— ყველა ასე ეეუბნებათ? — ჰკითხა გაწბილებულმა ბაჩანამ.

— დიახ და თქვენ, როგორც აწერალს, მეტი ორიგინალობა გმართებთ! — ნიშნის მოგებით უპასუხა ქალიშვილმა.

— მეტი ორიგინალობა რაღა ბნებავთ, ქალბატონო, მკვდარი ვარ და გელაპარაკებით. — განწირული ხმით თქვა ბაჩანამ. ექიმს ახლა მართლაც გულიანად გაეცინა.

— ეს მართლაც ორიგინალური იყო... ახლა კი საქმეს შევუდგეთ! — თქვა ინსტრუქტორმა და ბაჩანა ფრთხილად წამოაჯინა ლოგინზე.

— ხათხა ოიოა გაგიგიათ? — ჰკითხა მან უცებ ბაჩანას. ბაჩანა დაიბნა.

— ახალგაზრდობაში წამიკითხავს, თუ არ ვცდები, ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება უნდა იყოს, ვარჯიშის მეშვეობით ნებისყოფის, სულისა და სხეულის სრულყოფის მიღწევის შესახებ, კარგად აღარ მახსოვს...

— დიახ! — დაეთანხმა ინსტრუქტორი, — მაგრამ ჩვენ ჯერ ხათხა ოიოას უმარტივეს ფიზიკურ მოძრაობებს დავეუფლებით, ხოლო თქვენი სულიერი ნებისყოფის სრულყოფაზე, აქედან რომ გახვალთ, თქვენ თვითონ იზრუნეთ...

— კი ბატონო! — მორჩილად თქვა ბაჩანამ.

— ლოტოსი ხომ გაგიგიათ, თუ არ გაგიგიათ, ნანახი ვექნებათ, აი ბუდა რომ ზის ფეხმორთხმული, ის ჯდომა გახლავთ ლოტოსი. — აუხსნა ინსტრუქტორმა.

— დიახ!

— აბა, ეცადოთ! — ექიმმა ხალათის სახელოები დაიკაპიწა და ბაჩანას საბანი გადახადა. ბაჩანა უხერხულად შეიშმუშნა და ნახევრად შიშველ ადგილებზე ხელის დაფარება სცადა. ექიმს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, — ესე იგი, — დაიწყო მან, — ვიღებთ მარჯვენა ფეხის ტერფს და ვდებთ მარცხენა ფეხის ბარძაყზე, — ბაჩანამ მორჩილად გააკეთა ის, რაც ინსტრუქტორმა უბრძანა და უცებ მიხვდა, თუ რაირიგად გამხდარიყო ავადმყოფობის პერიოდში, რადგან ამ მოძრაობას, ახლა რომ გააკეთა ექიმის ბრძანებით, ადრე ვერავითარი ძალა ვერ გააკეთებინებდა, თუნდაც სიკვდილის მუქარით. გაუხარდა, რაღაცნაირი შვება და მისთვის სრულიად მოულოდნელი სიმსუბუქე იგრძნო...

— მშვენიერია! — თქვა ქმაყოფილმა ექიმმა, — ახლა ვიღებთ მარცხენა ფეხის ტერფს და ქვემოდან გამოტარების საშუალებით ვიდებთ სად? მარჯვენა ფეხის?..

— ბარძაყზეეე! — დაამთავრა საბავშვო ბაღის ბეჯით მოსწავლესავით ბაჩანამ ინსტრუქტორის დაწყებული კითხვა-წინადადება. მერე ნაკარნახევი ფეხის ტერფი სადღაც შუა გზაში გაეკვეხა. ღვიძლის არეში აუტანელი ტკივილი იგრძნო და შუბლზე ცივმა ოფლმა გამოყინა.

— ძალას ნუ დაკარგავთ! — გააფრთხილა ექიმმა, ბაჩანას ოფლით დაცვარულ შუბლს რომ შეხედა. ბაჩანამ სა-

სწრაფოდ გაშალა ორთავე ფეხი და შვებით ამოისუნთქა.

— გეტკინოთ? — ჰკითხა ექიმმა.

— დიახ! — დაიმორცხვა ბაჩანამ.

— არა უშავს, მიეჩვევით, — დაამშვიდა ექიმმა, — ახლა დაწექით და სხეული მოადუნეთ, — ბაჩანა ბალიშზე გადაესვენა და სხეული მოადუნა. ექიმმა ყველა კუნთი მოუსინჯა და უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი.

— უფრო, უფრო მოადუნეთ, სულ მოადუნეთ, ყველა კუნთი მოადუნეთ, მიიღეთ მკვდრის პოზა...

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, მკვდრის პოზიდან ძლივს გამოიყვანეს ეს კაცი და ეხლა თქვენ გინდათ, უკან დაბრუნოთ? — შეიცხადა ბულიკამ.

— ინდოეთი და ხათხა ოიგა კარგია, შვილო, მაგრამ რამე ქრისტიანული არ იცით? — ჰკითხა მამა იორამმა.

— ქრისტიანული თუ გინდათ, ლოცვაა, ბატონო, და მარტო ლოცვით კაცი არ რჩება. — უპასუხა ცოტა არ იყოს განაწყენებულმა ინსტრუქტორმა.

— მაშ, პირჯვრის წერა ფიზკულტურა არ არის? — იკითხა ბულიკამ, — ნახეთ, როგორა ჰგავს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს... — თქვა მან და ორივე ხელით რამდენიმეჯერ გამოსახა პირჯვარი.

— როგორ დაგწყევლო, შე ანტიქრისტე, როდესაც ყოველგვარი წყეველის გარეშე, შენი ფეხით ადგეხარ ჯოჯოხეთის გზას! — თქვა მამა იორამმა და ყელსაკენ გადაბრუნდა. ექიმი წამოდგა და ბულიკას საწოლს მიუახლოვდა.

— დაბრძანდი!.., — გაუსწორა საწოლზე თავის გვერდით ადგილი ბულიკამ.

— არა უშავს, ფეხზე ვიდგები! — უთხრა ინსტრუქტორმა და ბულიკას მაჯა აიღო ხელში, — თქვენ უკეთესი მაჯა გაქვთ, ხომ არ ვცადოთ, აბა, სინჯეთ.

— მე, ქალბატონო ქეთევან, ეგ ლოტოსი წელან ვცადე, ბატონი ბაჩანა რომ მკვდრის პოზაში გაყავდათ და არ გამომივიდა, ასე რომ ბუდასავით ვერ დავჯდები, ეხლა კი თუ მაგ ლამაზ ყურს გულზე არ დამადებთ, ისე როგორც ბატონ ბაჩანას, მაშინ ჭიკვერ ქმარს მოვკლავ და ციხეში დავჯდები. ეგ ჩემთვის ლოტოსზე ადვილი საქმეა. — თქვა ბულიკამ და მკერდი გაიღელა.

— ასეთი ლაზღანდარა პალატა მე ჯერ არ შემხვედრია, არაფერი თქვენ ავადმყოფებს არ გიგავთ, ხვალ ექთანს გამოგიგზავნით და იმასთან ივარჯიშებთ.

— ოღონდ ისევ თქვენ მოდით, ექიმო, ხვალ და ლოტოსზე კი არა, გახურებულ ტაფაზე დავჯდები. — დაპირდა ბულიკა. ექიმმა კარი ხმაურით გაიხურა, — აკი ნამდვილიაო? — ამოიოხრა ბულიკამ.

— სიზმარი ყოფილა! — თქვა ბაჩანამ.

— ნეტავ არ ვაგლეჯებოდა. — ინატრა ბულიკამ.

— მე მაგ ქალის თვალებში სატანა დავინახე! — გადმობრუნდა ბაჩანასკენ და ბულიკასკენ მოძღვარი, — ნამდვილად დავინახე სატანა, იცინოდა! — დაუმატა და ისევ გადაბრუნდა.

●

სამკურნალო ფიზკულტურის მთავარი ინსტრუქტორი ხუთი წუთის გასული არც იყო, პალატაში ექთანი ენინა რომ შემოვიდა. ლანგარზე სამი პრიალა შრიცი ეწყო, ქათქათა ბამბაზე გაჭებივით ერთმანეთის გვერდით მიწყობილი და რაღაც უცნაურად იღიმებოდა.

— კარდიოლოგიური სალამი! — თქვა მან და ლანგარი საერთო მაგიდაზე დადო.

— საქართველოს გულის კარდიოგრამას, ენინჩკას გაუმარჯოს! — მიესალმა ბულიკა.

— რაღაც კარგი ამბავი მოგაქვს, ენინჩკა, ისე გიეუეუნებს თვალები. — უთხრა ბაჩანამ.

— სენსაციაა! — თქვა ენინჩკამ და

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ხალათის ჯიბეში ჩაკეცილ გაზეთზე დაირტყა ხელი.

— არიქა, გვიშველე, უდაბნოსა შინა მყოფთ! — სასოებით გაიშვირა ხელები ქენიასაკენ მამა იორამმა.

— ჯერ ნემსი, შემდეგ სენსაცია! — კატეგორიულად თქვა ქენიამ და ხალათის მკლავები დაიკოტავა. — აბა, გადაბრუნდით! — სამთავენი ერთად გადაბრუნდნენ, საბნები გადიხადეს და საჯდომები გაიშიშვლეს, ქენიამ ბაჩანა-საგან დაიწყო.

— ვაჰ, დედა თქვენსა, ყოვებო!.. — გამოთქმით წაიკითხა ბაჩანამ და ნანემსარზე ხელი იტაცა.

— ქალბატონო ქენია, სავალდებულოა ყუნწამდე ჩაყვანა? — ჰკითხა მამა იორამმა და ბალიშის ყურით, ცრემლიანი თვალები მოიწმინდა.

— მაპატიეთ, ცოტა ხელი გამექცა.— მოუბოდიშა ქენიამ.

— რაღა ჩემზე გაგირბის, ქრისტიანო, ხელი, ცოტა უიმერთო და ურჯულოა ამ პალატაში? — უსაყვედურა მოძღვარმა.

— მოთმინებითა შენითა, მამაო! — დაამშვიდა ქენიამ და ბულიკას მიადგა.

— ჯერ ნემსი მაჩვენე და მერე! — შეეკამა ბულიკა. ქენიამ ნემსი აჩვენა.

— ხალხო? — შეიცხადა ბულიკამ.— ეს თუ ნემსია, სადგისი რაღაა?!

— გადაბრუნდი, მომკალი ყოველდღე შენთან ვაკრობამ! — გაუჯავრდა ქენია.

— გადაბრუნდი კარგია, თუ ბიჭი ხარ, შენ გადაბრუნდი და მე დაგარჭობ მაგ საღგისს! — შესთავაზა საწოლი ბულიკამ.

— ნელ-ნელა სთქვი, არ დაგახველოს! — უპასუხა ქენიამ და ნემსისთვის გახაზირებული ადგილი სპირტიანი ბამბით დაუზილა.

— სულ რომ გულზე გასკდე, არ დავიკენესებ; — თქვა ბულიკამ და ბალიშს უკბინა. ქენიამ შუბივით დაარჭო ნემსი.

— მორჩი? — ჰკითხა ბულიკამ, ქენიამ რომ ნემსი ამოაძრო და კვლავ დაუზილა ნანემსარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვრჩი! — დაამშვიდა ქენიამ.

— ჩემი კრეტინი დედა ვატირე, ვისზე ნაკლები ვიყავი, მესწავლა რა საქმიმოზე! — მაინც დაიკვნესა ბულიკამ. ქენიამ ლანგარი აიღო და კარი გააღო.

— სენსაცია? — იყვირა მღვდელმა. ქენიამ გაზეთი აიღო და საწოლზე დაუგდო მამა იორამს, მოძღვარი გაზეთს ეცა და სათვალის ძებნა დაიწყო... ქენია გავიდა. მღვდელმა სათვალე რომ ვერ იპოვა, ბაჩანამ თავისი გადაუგდო.

— ჩემიც პლუს სამია, მამაო. წაიკითხე!

— აგაშენა ღმერთმა! — თქვა მამა იორამმა და რატომღაც გაზეთის მეოთხე გვერდს დააცქერა.

— ჩვენს დინამოს წაუგია ერევნის არარატთან! — თქვა მამა იორამმა.

— ეგ არის ქენიას სენსაცია? ეგ ხომ შარშანაც ვიცოდი, რომ წაადგებენენ, — თქვა ბულიკამ და ხელი ჩაიქნია.

— ანგარიში? — იკითხა ბაჩანამ.

— ორით ნოლი — უპასუხა მღვდელმა და სათვალე მოიძრო.

— ეგ ერევნის არარატი გამაგიჟებს, მთელი წელიწადი იმისათვის ვარჯიშობს, რომ ჩვენ მოვვიგოს, სხვებთან წაგება ფეხებზე ჰკიდია, — შუბლზე შემოირტყა ხელი ბულიკამ.

— არადა, ჩვენებიც რომ მანდრაკეთ ეთამაშებიან, — წამოცდა მოძღვარს.

— საღოლ, მამაო, ეგ მანდრაკი საიდან ისწავლე?! — გაუკვირდა ბულიკას.

— „მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვია, ვვილნი სოფლისა... — დაიმოწმა ბარათაშვილი მოძღვარმა.

— მე რომ მთავრობა ვიყო, არა?... ავიღებდი და ერთ გუნდს სულაც თბილისელი სომხებისაგან შევკრავდი, ხომ იცით, თბილისელი სომხები რა ჯიგრიანები არიან, არარატს სულ დედას უტირებდნენ. — წავიდა ოცნებაში ბულიკა.

— სხვა გვერდები ნახე, მამაო, ბულიკას თქმის არ იყოს, ეგ რა სენსა-

ციაა? — უთხრა ბაჩანამ, მამა ირამმა გაზეთი შეატრიალ-შემოატრიალა, პირველ გვერდს დაავირდა და გაშტერდა.

— არ მჯერა! — თქვა მან და გაზეთი სათვალეებიანად გადაუგდო ბაჩანას.

— რა არ გჯერა, მამაო? — გაუკვირდა ბაჩანას და სათვალე გაიკეთა სასწრაფოდ.

— Не может быть! — თქვა ბაჩანამ, გაზეთს რომ დახედა.

— Что не может быть ომია? — იკითხა შემინებულმა ბულიკამ.

— ტყემალაძე მოუხსნიათ! — თქვა ბაჩანამ და ისევ ვაზეთს დააშტერდა, — მდაა! — დააყოლა თქმულს, სტატია რომ ჩაათვალიერა.

— ეგ რომელი ტყემალაძე, ცეკაში რომ მუშაობდა? — ბულიკას თვალები შუბლზე აუვიდა.

— ის! — უპასუხა ბაჩანამ ისე, რომ გაზეთიდან თვი არ აუღია.

— ყველაზე დიდი განყოფილების გამგე? — ისევ იკითხა ბულიკამ.

— ყველაზე დიდი განყოფილების გამგე! — დაუდასტურა ბაჩანამ.

— ვაა! — გააგრძელა ბულიკამ და თავი გადაიქნია აქეთ-იქით.

— ეხლა მაგის ხალხს ისე დააცურებენ, როგორც ბალეტ ნა ლდუ!

— მართალი გითხრათ, არ მეგონა! — თქვა ბაჩანამ, სტატია რომ ჩაიკითხა და გაზეთი გვერდზე გადადო.

— მე კიდევ არ მჯერა! — თქვა მამა ირამმა, — გუშინ ქვეყანას აზანზარებდა, დღეს კი მოხსნეს, ჩემთვის გაუგებარია.

— მოხსნეს თუ გაანთავისუფლეს? — იკითხა ბულიკამ.

— გოგილაშვილო, რა მნიშვნელობა აქვს, მოხსნეს თუ გაანთავისუფლეს, მთავარია, იყო კაცი და აღარ არი კაცი...

— მნიშვნელობა როგორ არა აქვს, ამხანაგო, — მიუბრუნდა მღვდელს ბულიკა, — განთავისუფლებაა, როდესაც გიჭირს და განთავისუფლებენ, მაგალითად, აფრიკა, უჭირს და ვანთავისუფლებთ. ეხლა ავიღოთ მოხსნა, მოხსნა რა არის? მოხსნაა, როდესაც მაგრად ზიხარ კრესლოში და ბოლტივით მოგაძრობენ, ან ლურსმანივით ამოგაძრობენ იმ კრესლოდან, გასაგებია? — განმარტა განთავისუფლებისა და მოხსნის არსი ბულიკამ.

— აქ წერია, რომ გაანთავისუფლეს! — თქვა ბაჩანამ და გაზეთს გაშლილი ხელი დაადო.

— ესე იგი, უჭირდა და უშველეს, ანუ გაანთავისუფლეს: — თქვა ბულიკამ.

— გაანთავისუფლეს და მისი საქმე პროკურატურას გადასცესო... — დაუმატა ბაჩანამ.

— რათა, კაცო? — გაიკვირვა ბულიკამ.

— რესპუბლიკაში კადრების არასწორი შერჩევისათვის, კორუპციის და მექრთამეობის მიმართ წაყრუებისათვის, სახალხო მეურნეობის მოშლისათვის, პროტექციონიზმისათვის, მშრომელთა საჩივრების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებისათვის...

— მოიცა, მოიცა, ეგ ყველაფერი მარტო ტყემალაძეს დაბრალდა? — შეაწყვეტინა ბულიკამ ბაჩანას.

— ჯერჯერობით ასეა!

— საღოლ, ძმაო, ერთი კაცის პიროვნებაზე მაგრად უმოწვავია, მერედა, ამდენ ხანს სად ვიყავითო?

— შენ თვითონ სად იყავი? — ჰკითხა მღვდელმა.

— მე მეკითხები? — გაშტერდა ბულიკა.

— ჰო, შენ გეკითხები, შენ ხარ მუშათა კლასი, ჩაქუჩი და ნამგალი შენ ხარ და გეკითხები, სად იყავი მაშინ, ეგ კაცი რომ ასეთ საქმეებს ჩადიოდა.

— ჯერ ერთი, მე მუშათა კლასი არა ვარ, პოლიტიკურად უვიცო მამაო, მე ვარ წვრილი ხელოსანი, მერეც, მეორე, მე იმ დროს, ტყემალაძის კარზე სიარუ-

ლით გაცვეთილ თქვენს ტუფლებს ვაპაჩინკებდი...

— ეგ მე არ მეხება! — ხელი დაიბანა მამა იორამმა, — მე ჩემი კათალიოსი მყავს, ეგ თქვენი კათალიოსი იყო.

— რაიკომის მდივნებს რომ შვილებს უნათლავ ეკლესიაში და მაყუთს ლუნავ, ეგ როგორ არის? — ჰკითხა ბულიკამ.

— ეგ საქმე ჩვენ სულის ცხონებად გვეთვლება, ბრიყვო, ნეტავ ყველა კომუნისტი მომანათლინა და საიქიოში მამაზეციერის გვერდით დამსვამენ მთავარანგელოზები, — უპასუხა მოგდელმა, საქციელწამსდარ ბულიკას.

— კარგი, შენ მოგდელი ხარ და არ გეხება, თქვენ სადღა იყავით, ბატონო ბაჩანა? — გადაიტანა იერიში ბაჩანაზე ბულიკამ. ბაჩანა მოულოდნელობისაგან დაიბნა.

— ვინ ჩვენ? — ისე ჰკითხა, თითქოს შეკითხვა ვერ გაიგო.

— თქვენ, მწყრალებ!

— ჩვენ, ჩვენ... ჩვენ სად ვიყავით? — ბაჩანას მახსოვრობა გადეკეტა, ნუთუ მართლა არაფერს ვაკეთებდით? ჰკითხა თავის თავს და იმ წუთში ვერაფერი გაიხსენა სასიკეთო, — ჩვენ, ჩემო ბულიკ, შენთან ვიჯექით ყველანი და იმ გაცვეთილ ფეხსაცმელებს ვაპაჩინკებდით. — თქვა მან სინანულით.

—მეც მანდა ვარ! — გაუხარდა ბულიკას, — ახლა ის მითხარი მაგ კაცს რას უზამენ?

ალბათ დასჯიან!—მხრები აიწურა ბაჩანამ.

— რისთვის?

— წეღან არ გითხარი?

გამოდის რომ, არაფერი არ იცოდა, ტყემალზე იჯდა და ისე მართავდა თავის განყოფილებას? — იკითხა ისევ ბულიკამ.

— ეგრე გამოდის! — თქვა ბაჩანამ.

— გამოდის თუ ეგრეა? — არ მოეშვა ბულიკა.

— ეგრეა! — დაუქნია თავი ბაჩანამ.

— ეხლა მე მისმინეთ; თუ ეგრეა, მე მაგას მოეხსნიდი კი არა, ქუჩის სიგელს მივცემდი, კარგ ორდენსაც მივცემდი, კარგ პენსიასაც დავუნიშნავდი, ძალიან დიდ მადლობას ვეტყოდი, ხელსაც ვაწერდი ჩამოვართმევდი, აქეთ-იქით ლოყაზეც მაგრად ვაკოცებდი და ისე გავუშვებდი...

— რა დამსახურებისათვის? — გულწრფელად გაუკვირდა ბაჩანას.

— როგორ თუ რა დამსახურებისათვის?! — წამოჯდა ოლგინზე ბულიკა, — აი თქვენ; მწყრალი რომ ბრძანდებით და რედაქტორი, ბაჩანა რამიშვილი, ჩრდილოეთით არ იკით ხაა არის ხერინანად, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი, კიდეც უარესი, თქვენს სიცოცხლეში თვალით არ გინახიათ არც ზღვა, არც ოკეანე და არც პარახოდი. უცებ ვეძახიან და გეუბნებიან, ამხ. რამიშვილო, აი, თქვენ პარახოდი, მისი აფეა-დიდება, თქვენ გნიშნავთ ამ პარახოდის კაპიტნად და ეს პარახოდი ოდესის პორტიდან არხანგელსკში მიიყვანეო. თქვენც აიღეთ და ეს პარახოდი ოდესიდან არხანგელსკში წაიყვანეთ. მიგაყავთ და მიდიხართ, მიგაყავთ და მიდიხართ... გზაში ხან იქით მიასკდით, ხან აქეთ მოასკდით, მგზავრებსაც აქა-იქ გული აერიათ, ბოლოს ეს პარახოდი, მინგრეულ-მონგრეული არხანგელსკში მაინც მიიყვანეთ, ეხლა მე. გეკითხებით, ამ დარგში კრეტინი რომ იყავით, ანუ კაპიტნად რომ არ ვარგოდით და ეს პარახოდი სულაც რომ არ ჩაძირეთ, ორდენი არ გეკუთვნით? — გეკუთვნით! — თვითონვე გასცა თავის შეკითხვას ჰასუხი ბულიკამ. ბაჩანას სიცილი აუვარდა, — ერთი ჰკითხე, მამაო იორამ, რა აცინებს! — მიუბრუნდა მოგდელს ბულიკა.

— მართალი ხარ, ჩემო ბულიკ, მაგრამ იმ კაცს კაპიტნად რომ ნიშნავდნენ, ხომ უნდა ეთქვა, კაპიტნობა არ ვიცი, თავი დამანებეთო? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ვინ იცის, იქნებ თქვა კიდეეც, მაგრამ, ალბათ, უთხრეს, შენ მიდი, კაცო, და ჩვენ აქ არა ვართ, ყველანი მოგეხმარებითო, იმანაც აიღო და იკისრა. ეგეც რომ არ იყოს, კაპიტნობაზე უარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ვეფხვაძე

„1917 წელი“



ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია ახობაძე „სიმღერა საქართველოზე“

ზოთა შანიძე



„მხატვრის პორტრეტი“

ანზორ ჩაგელიშვილი

„? ნოემბერი ჩვენს ქუჩაზე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ჯიბუტი „ჯანყი გურიაში“

თემურ გოცაძე „ხწრაფეა“

თქმა ძალიან ძნელია. მით უმეტეს, მაგის წინ რომ კაცი იყო, არც ის გახლდათ ადმირალი ნელსონი. მწერლობაში რა, ეგრე არ არის? — შეუბრუნა კითხვა ბულიკამ.

— საუბედურად, ხშირად ეგრეა! — დაეთანხმა ბაჩანა.

— ესე იგი, რა გამოდის?

— ყველამ თავის საქმეს უნდა მოუაროს და ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც იცის. აკი უწერია სულნნათ რუსთაველს:

> მუშა მიწყივ მუშაკობდეს,
> მეომარი გულოვნობდესო!

— გამოთქმით ღაღადჯყო მამა იორამმა.

— ბატონო იორამ, გაიკრიჭეთ ეგ წვერი და ეზიარეთ ჩვენს მოძღვრებას, თქვენგან მშვენიერი კომუნისტი დადგებოდა, — ღიმილით ურჩია ბაჩანამ.

— რომელი მოძღვრება, ღორმუცელობის და უტნარობის აპოთეოზი — კომუნიზმი?! — შეიცხადა მეფდელმა, —მარტო მიწიერი სწრაფვები, კუჭის ამოვსება და სულის უარყოფა?!

— არ გცოდნია შენ, მამაო, რა არის კომუნიზმი. კომუნიზმი სწორედ ის არის, რაც წეღან წაიკითხე. ის ბედნიერი ჟამი, როდესაც ადამიანს საშუალება მიეცემა მხოლოდ ის აკეთოს, რისი გაკეთებაც მას შეუძლია, აკეთოს ის, რაც მის სულიერ და გონებრივ შესაძლებლობებს შეესატყვისება და გამოხატავს, რაც სულიერ და ზნეობრივ ბედნიერებას მოუტანს. ჩვენ რომ ვკითხულობთ, მამაო, კომუნისტები იმ თქვენს სახარებას, ხანდახან თქვენც წაიკითხეთ ჩვენი სახარება, იმ თქვენს ღმერთს ვეფიცებით, არ გაწყენთ. რაც შეეხება საკმელსა და ადამიანის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვას, ჩვენ კომუნისტებს ყოველივე ეს იმიტომ გვეპირდება, რათა ადამიანი უზრუნველყოფილი იყოს მატერიალურად, სხვა რამისთვის არ გაიხარჯოს, არ გაისარჯოს. აკეთოს ის, რაც მისი ნიჭიერებისა და სულიერი სწრაფვის შესაბამისია, ჭეშმარიტად სუფევდეს მშვიდობა, თავისუფალი შრომა და არა ქიშპი და სისხლის ღვრა. აი ეს არის, მამაო, ჩვენი მოძღვრება და ჩვენი რელიგია, ეს არის ჩვენი ღმერთი, მიწიდან აღმოცენებული და არა ცაში გამოკიდებული! — დაამთავრა ბაჩანამ თავისი სიტყვა და კედლისაკენ გადაბრუნდა, რომ მღელვარება დაეფარა.

— ღმერთმა კარგი ყოფნი გისმინოთ, ბატონო ბაჩანა! — ვეღარ გაუბედა შეკამთეტა მეფდელმა და თვითონაც კედლისკენ გადაბრუნდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, ვეღარ მოითმინა და მაინც თქვა.

— ისე რომ იცოდეთ, ბატონო ბაჩანა, არც თქვენ იქნებოდით ცუდი მღდელი.

●

საღამოს ბულიკასთან მისი მეუღლე სვეტა მოვიდა, უამრავი ხორაგით დატვირთული. ყველას მიესალმა, ყველას თავ-თავისი წილი ძღვენი მიართვა, შემდეგ ბულიკას ფეხებთან სამანი გადაკეცა და მორიდებით ჩამოჯდა საწოლზე.

— როგორ ხარ, ეზიზ? — ჰკითხა ამაყსა და სიხარულისაგან გაბადრულ ბულიკას.

— ისე ვარ, როგორც მამალი ლომი! — უპასუხა ბულიკამ. ნათქვამის დასადასტურებლად მოხარშულ ქათამს უზარმაზარი ბარკალი აახლიჩა, პირში გამოისვა და გაძარცული ძვალი ცოლს გადასცა.

— არ დაიხრჩო, ოხერო! — შეეშინდა სვეტას.

— არხეინად იყავი! — დაამშვიდა ბულიკამ და ქათამს მეორე ბარკალი მოგლიჯა, — როგორი ცოლი მყავს, ბატონო ბაჩანა? — ჰკითხა გამოტენილი პირით.

— ძალიან ლამაზი, — უპასუხა ბაჩანამ ღიმილით.

— ეგეთი ლამაზი სომეხი ქალი გინახავთ?

ნოდარ დუმბაძე
ცარაღისოვის კანონი

— ძალიან იშვიათად.

— ეგ ერთი იყო და მე წამოვიყვანე.

— შენ ვინ დგიკავებდა ქალს, — ირონიულად გაუცინა მამა იორამმა.

— ეგ რა არის, თქვენ საყვარელი ნახეთ! — მიუბრუნდა მამა იორამს ბულიკა და მერე ეს ხუმრობა რომ არ სწყენოდა, სვეტას თვალი ჩაუკრა.

— ნეტამაც მაგ გულის კარგად ყოფნით ეგ ენა გაგიხმებოდეს და თვალი დაეფსებოდეს, — დალოცა სვეტამ.

— ბავშვები სად არიან, რატომ თავის მამასთან არ მოვიდნენ?! — იკითხა ეშმაკურად მოგონებული სიბრაზით ბულიკამ, ლუკმა რომ გადაყლაპა.

— ბავშვები სად იქნებიან, აკთანდილჯან, ხომ იცი, დღეს შაბათია, ნესტანი ინგლისურზეა, ტარიელი კი — ფორტეპიანოზე... — ბულიკამ სიამაყით გადახედა ბაჩანასა და მამა იორამს.

— გოგო მეზრდება, ბატონო იორამ, Министр иностранных дел, სომხური იცის? — იცის; ქართული იცის? —თავისთავად; ინგლისურს სწავლობს? —სწავლობს; სკოლაში ფრანგულს ასწავლიან? — ასწავლიან; ცოტა ქართულიც იცის, ჩვენი მეეზოვის, ფიზულას გოგოსაგან, - გვანცასაგან სწავლობს, — ჩამოთვალა თითებზე ბულიკამ, — ეხლა მითხარით, რომელმა ჩვენმა მინისტრმა იცის ამდენი ენა?! — შენ რას იტყვი, მამაო? — მიუბრუნდა მამა იორამს.

— ღმერთმა გაგიზარდოს! — დალოცა მოძღვარმა.

— ეგ გოგო, ბიჭი? ბიჭი ნამდვილი პაგანინი მეზრდება.

— პაგანინი სკრიპკაზე უკრავდა, აზიზ, ჩვენი ბიჭი კი პიანინოზეა, — გაუსწორა ქმრის უმეცრებით შეწუხებულმა ცოლმა.

— ნუ მასწავლი, შენზე კარგად ვიცი, მაგრამ ისიც ხომ იცი, რომ პაგანინის დიდიხანია ვარ, ავიღებ და გაისად ვიოლონჩელზე გადავიყვან, სულაც ფულის საქმე არ არის? მერე რაღას იტყვი? — გაუჯავრდა ცოლს ბულიკა.

— შენ როგორც იტყვი, აზიზ, ისე იქნება, ოღონდ ნუ ნერვიულობ! — დაეთანხმა ცოლი. — პროფესორმა მითხრა, ამ კვირაში ფეზზე დავაყენებთ და მეორე კვირაში სახლში გაგატანთ თუ დაგიჯერა და თვითონაც ხელი თუ შეგვიწყოო...

— მეტი რა ხელის შეწყობა უნდა, დალოცვილს, ყველა წამალს ესვამ, ყველა ნემსს ვიკეთებ, ნახე საჯდომი რას მიგავს, — წამოიხადა საბანი და ცოლს დალურჯებული უკანალი აჩვენა.

— რა ვქნა, ბატონო, სახლშიც ასეთი უზრდელია, აპატიეთ, თქვენი ჭირიმე, — სთხოვა დარცხვენილმა სვეტამ ბაჩანას და მამა იორამს.

— რა პატიება უნდა, ქალბატონო, ჩვენც მაგ დღეში ვართ! — დაამშვიდა ბაჩანამ.

— გარდა მაგისა, ჩემო სვეტა, პროფესორმა არ იცის და სიარული უკვე დიდი ხანია შემიძლია, — გააგრძელა ბულიკამ დაწყებული საუბარი. შიშველი ფეხები ლოგინიდან იატაკზე გადმოალაგა, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, — აჰა! — დააყოლა.

— კიდევ რა გავაკეთო? — იკითხა ბულიკამ და პალატაში მიიხედ-მოიხედა, — აბა, ადექი! — უთხრა გაკვირვებულ სვეტას. სვეტა ადგა, ბულიკა წელში ეცა.

— არ ქნა, არ ქნა! — უყვირა განწირული ხმით მამა იორამმა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ბულიკამ ჰაერში აიტაცა ცოლი და ყელზე აკოცა. სვეტამ მოულოდნელობისაგან შეჰკივლა, თან სირცხვილისაგან ალმურმა დაუფარა სახე. ბულიკამ კიდევ რამდენიმეჯერ შეათამაშა ცოლი ჰაერში და მერე თავის ადგილზე დასვა.

— აჰა, ხომ ხედავ, რა კარგად ვარ, ერთი კვირა კი არა, ხვალ შარვალი მომიტანე და მაგათ დაუკითხავად წამოვალ, მეყო ლოგინში კოტრიალი!—თქვა ბულიკამ და საწოლზე ჩამოჯდა, ძძიმედ სუნთქავდა, მაგრამ სახეზე უზომო კმაყოფილება ეხატა. ამდენი წოლის შემდეგ თავად არ ელოდა ასეთ ეფექტს.

— ეგ რა ჰქენი, ბრიყვო? — ჰკითხა სინანულით, შეწუხებულმა მდვდელმა. ბულიკამ მაჯა გაისიჯჯა, ერთხანს გალურსული იჯდა, მერე კმაყოფილმა გაიღიმა და თქვა:

— მორჩა, გათავდა ჩემი ინფარქტი, სიცოცხლეს გაუმარჯოს! — მერე ორთავე ხელი გაშალა და ცოლი ისევ ჩაიკრა გულში.

— კარგი, კაცო, ეგ ხალხი ნუ გადაარიე! — გაუჯავრდა ცოლი. თავი გაინთავისუფლა ქმრის ხელიდან და თმის სწორება დაიწყო, ბაჩანა და მამა იორამი კედლისკენ გადაბრუნდნენ.

— სვეტა, რაღაც ზომაზე მეტად ძმიმე მეჩვენე, აი, ამ ჩემს ავადმყოფობაში რამე ხომ არ გიეშმაკია, ჰა, ხომ იცი ჩემი ამბავი! — ბულიკამ განგებ შეეჭიუხნა შუბლი და ცოლს თითით დაემუქრა, თან თვალი ჩაუკრა, არ გეწყინოსო.

— ღმერთო, რატომ მე ყურებს არ გამიხმობ და ამ სალახანის კი ენას. — ხელები გაასავსავა სვეტამ. ბულიკამ ხმამაღლა გადაიხარხარა, მერე ბაჩანასა და მამა იორამს მიუბრუნდა:

— გადმობრუნდით, ბატონებო, კომედია დამთავრებულია!

10.

მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე ესვენა და ძმიმედ სუნთქავდა. სასთუმლად მარად თოვლიანი მყინვარწვერი ედო. შვიდფეროვანი ცისარტყელით შუბლწაკრულს, ღონემიხდილი მკლავები სარეცლის ორთავე მხარეს გადაეყარა და თავზე სამად სამი ჭირისუფალი ადგა — ბაჩანა, მამა იორამი და ბულიკა. მზე სულს ღაფავდა.

სარეცლის წინ მუხლმოყრილი ჭირისუფალი ცაში ხელებაპყრობილი ევედრებოდა სულთმობრძავ მზეთუს.

— მზეო, ნუ დაგეტოვებ, არ ვარდაიცვალო, მზეო დიდებულო! — მათ თვალთაგან ჩამოდენილი ცრემლები აქაფებულ მდინარეებად იღვრებოდნენ კავკასიონის ქედიდან, ამერ-იმერ და ლრიალითა და ქუხილით ეშვებოდნენ ქვეგით. ქვეგით კი ნისლსა და ბურუსში გახვეული დედამიწა ბრუნავდა.

მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე იწვა და ვეღარ დგებოდა. იგი დილით ამობრძანდა კავკასიონზე, ფეხისწვერებზე აიწია და ის-ის იყო უნდა გაფრენილიყო ცის ლაჟვარდში, რომ მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო. მზემ ჯერ ცალ მუხლზე დაიჩოქა, მერე მეორეზე. გულშეღონებულმა თავი მყინვარის მიასვენა და ასე დარჩა, კავკასიონის ვეებერთელა თეთრ სარეცელზე გამოტილი.

მთელი კაცობრიობა მისჩერებოდა სულთმობრძავ მზეს. შავი სათვალეებითა და გამურული შუშებით. იგი როგორც ყველა მომაკვდავი სიკვდილის წინ, ათასგზის დამშვენებულიყო, გათვალწარმტაცებულიყო, ნათელით ავსილიყო და ამ აგონიაში მისი ცქერა ჩვეულებრივი თვალით თითქმის შეუძლებელი იყო. ადამიანები იდგნენ ქალაქის ქუჩებში, ხიდებზე, მინდვრებში, შუკებში. სახლის სახურავებზე. ბავშვები ხის ტოტებზე შემსხდარიყვნენ დედის მომლოდინე ბარტყებივით და პირდაბჩენილები უცქერდნენ, როგორ კვდებოდა მზე.

— მზეო, ნუ მიგვატოვებ! — გმინავდა კაცობრიობა, მაგრამ მისი ხმა ვერ აღწევდა მზემდე. მზეს არ ესმოდა, რას სთხოვდნენ ადამიანები, იგი მხოლოდ მათ გამოწვდილ ხელებსა და შეშინებულ თვალებს ხედავდა.

— რა უნდათ? — ჰკითხა ჭირისუფალს თვალებდაბინდულმა მზემ.

— ნუ მიგვატოვებო, გევედრებიან! — უპასუხა ქვითინით ბაჩანამ.

— გვიანია... — თქვა მზემ და ცალი თვალი ჩაუქრა.

— არ დაგვღუპო, სიცოცხლ! მომნიშებელო! — ჩაუვარდა მუხლებში. მამა იორამი.

— მაინც რა მოგდის, მზეო, რა გტკივა, გვითხარი. — ჰკითხა ტირილით ბულიკამ.

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

— დედამიწა მტკივა, — თქვა მზემ,— დედამიწა!

— მერდა, დედამიწის ტკივილიცა და სიცოცხლეც შენ ხელთ არ არი, დალოცვილო? — უთხრა მამა იორამმა. მზეს ოდნავ გაეღიმა და უსიცოცხლო ხელი ჩკერდზე დაიდო.

— დედამიწა ჩემი გულია, მე დიდი ხანია უკვე ვკვდები, ჩემ გარშემო ყველა ალანტება, ჩემი სხეულის უჯრედი და სხეულის შემადგენელი ნაწილი, მკვდარია უკვე უთვალავი საუკუნეა. მხოლოდ დედამიწა სუნთქავს ჩემში, ერთადერთი ნაწილი ჩემი სხეულისა სუნთქავს, ცოცხლობს და მაცოცხლებს. ნუთუ თქვენ, ადამიანები, ამდენი საუკუნე რომ მომჩერებიხართ და თაყვანს მცემთ, ვერ ხედავთ ამას, ვერ გრძნობთ ამას და ვერ ხვდებით ამას?! — გაუკვირდა მზეს.

— მაშ, შენ თვითონ ვინღა ხარ და რა ხარ, მზეო? — ჰკითხა განცვიფრებულმა ბაჩანამ.

— მე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა აალებული და მოგიზგიზე სული ვარ. ჩემი სიცოცხლე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა სულით საზრდოობს... უკვე რამდენი ხანია დედამიწაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით, დედამიწაზე დაიშრიტა წყარო ჩემი მაცოცხლებელი სიყვარულისა, დადგა ჟამი ჩემი გარდაცვლებისა. გაიცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე როგორმე, თუ შეგიძლიათ. მე ამ აღვსდგები კვლავ მკვდრეთით... მე გევედრებით თქვენ, ადამიანებს, მე — მზე. დამიბრუნეთ სიცოცხლე ჩემი, დედამიწაზე სიყვარულად აღმოცენებული... დამიბრუნეთ სიყვარული და მე კვლავ დაგიბრუნდებით თქვენ... — მზემ სუნთქვას მოუხშირა, ახლა იგი ძლივსღა ფეთქავდა და მხოლოდ ცალი თვალით გადმოსცქეროდა ქვეყნიერებას.

— მზეო, ნუ მიგვატოვებ, გემუდარებით, ჩვენ ვვეყვარება ერთმანეთი და სიყვარულით გარდავიცვლებით აწ და მარადის, ოდონდ, ახლა ნუ მიგვატოვებ, მზეო... ჩვენ წავალთ ახლა, იქითა-ნდილი, მამა იორამი და მე, ჩვენ წავალთ შენი სახელით, მოვივლით მთელ კაცობრიობას და ვთხოვთ, რომ სიყვარული დაგიბრუნონ... მე ვიცი, მზეო, კაცობრიობა შეისმენს შენს თხოვნას, დაივიწყებს სიძულვილს და ხელმეორედ დაიწყებს სიყვარულის თესვას. ოღონდ შენ თესლი და საგზალი გაგვატანე, მზეო!.. — სთხოვა თავზარდაცემულმა ბაჩანამ, — მაშინ მზემ თავისი მხურვალე ხელი თაგზე დაადო ბაჩანას და ბაჩანამ იგრძნო, როგორ გადმოიღვარა მის ძარღვებში მზის მხურვალება, როგორ აივსო უზომო სიყვარულით და როგორ გადმოსახლდა მომაკვდავი მზე მის სხეულში. — მზემ უკანასკნელად გაიბრძოლა და მეორე თვალიც ჩაუქრა. და უცებ მოხდა ყველასათვის მოულოდნელი რამ, ბულიკა წამოდგა ფეხზე, მკერდზე დაემხო ჯერ ისევ თბილ მზეს ქვითინით და სთხოვა.

— წამიყვანე თან, მზეო, მე არ შეძლია უშენოდ სიცოცხლე. მიმიღე შენს წიაღში, როგორც სიყვარული და წამიყვანე... გემუდარები, მზეო. — და შეძრწუნებულმა ბაჩანამ და მამა იორამმა დაინახეს, როგორ გალღვა ბულიკა მომაკვდავი მზის მკერდზე, როგორ დაიღვარა სხივებად და როგორ შეეცურდა მზესთან ერთად ცისარტყელის შვიდფეროვან შარავანდედში.

ოცი საუკუნე ქრისტემდე და ოცი საუკუნე ქრისტეს აქეთ დაატარებდნენ გარდაცვლილ მზეს — ცისარტყელას, ბაჩანა და მამა იორამი ქვეყნიერებაზე და მდუდარე ცრემლით ევედრებოდნენ კაცობრიობას სიყვარულსა და სათნოებას, რათა გარდაცვლილი მზე დაებრუნებინათ დაობლებული ცის კაბადონისათვის და სინათლე დედამიწისათვის. ქუდმოხდილი კაცობრიობა დუმილით მიაცილებდა საკუთარ სიცოცხლეს მზეთა სასაფლაოზე, რადგან დედამიწაზე არ აღმოჩნდა მისი სამყოფელი და განსასვენებელი... და ბოლოს, როდესაც ბაჩანამ და მამა იორამმა ვერცხლის სარეცელზე დასვენებული მზე

მიიტანეს მზეთა სასაფლაოზე და მისთვის გამზადებულ, თეთრი ღრუბლის უკიდეგანო და უსასრულო აკლდამაში შეაცურეს, ჩამქრალ ცის კამადონზე ორი შავი დისკო გამოისახა, ერთი დიდი, ვეებერთელა, მეორე კი ძალიან პატარა, მის ჩრდილს ამოფარებული. უმზეოდ დარჩენილი კაცობრიობა განცვიფრებული შესცქეროდა ჩამქრალი მზის სამეფოში დაბადებულ ორ შავ დისკოს... ბაჩანამ ერთში გარდაცვლილი მზე იცნო, მეორეში კი მის მკერდზე სიყვარულად გამღვალი ბულიკა. იცნო და მწარედ აქვითინდა...

— ადამიანებო, შეიყვარეთ ერთმანეთი! — იკივლა მან განწირული ხმით და ყინულივით ცივ დედამიწაზე დაეშხო.

ბაჩანას არ ახსოვს, რამდენ ხანს იწვა ასე, მაგრამ როდესაც ბეჭებზე ძალიან შორეული, მაგრამ საოცრად მშობლიური სითბო იგრძნო, გულაღმა გადმობრუნდა და ცრემლით დაბინდული თვალებით ახედა ზეცას. შავი დისკო მუქი სპილენძისფერი გამხდარიყო, იგი თანდათანობით ხურდებოდა, წითლდებოდა, ვარვარდებოდა, ყვითლდებოდა და ნათდებოდა. მის შესაბამისად იქცეოდა პატარა დისკოც და როდესაც დიდმა დისკომ უკიდურეს სივარვარეს მიაღწია, კვლავ მზედ იქცა და თავზე შარავანდედი დადგა, მაშინ პატარა დისკო ცას მოსწყდა, როგორც ბედის ვარსკვლავი და დედამიწაზე დაეშვა... დედამიწაზე გათენდა. მზე კვლავ იდგა კავკასიის თავზე გაფითრებული, ნაავადმყოფარი, მაგრამ ცოცხალი. მზე სუნთქავდა, მზეს კვლავ უცემდა გული.

— დიდება შენ, სიყვარულის და სიცოცხლის მომნიჭებელო მზეო, დიდება შენ, სიცოცხლეო! — ღაღადყო ბაჩანამ და მზისკენ გაიშვირა ორთავე ხელი... — ბაჩანა ტიროდა და იცინოდა...

●

— ბატონო ბაჩანა, ბატონო ბაჩანა, გაიღვიძეთ, — ანჯღრევდა ბაჩანას შეშინებული მარა ორამი. ბაჩანამ ცრემლიანი თვალები გაახილა, ერთხანს გაოგნებული იწვა, მერე გონს მოეგო და ლოგინზე წამოჯდა. გული საშინლად უცემდა. პალატაში გარიყრაკი შემოპარულიყო, მაგრამ ოდნავ ბნელოდა მაინც.

— რა მოგივიდათ, ბატონო ბაჩანა, მთელი ღამე პორგავთ, ხან ტირით, ხან იცინთ, რამე ხომ არ ნახეთ ცუდი სიზმარში? — ბაჩანამ ლოყებზე ღვარად ჩამოდენილი ცრემლი პერანგის სახელოთი მოიწმინდა და უაზროდ გაიღიმა. მამა ორამი თავის საწოლს დაუბრუნდა და დაწვა.

— საოცარი სიზმარი ვნახე, ბატონო ორამ, ისეთი სიზმარი კოპერნიკს შეშურდებოდა...

— ასეთი რა ნახეთ, ბატონო ბაჩანა? — ჰკითხა მამა ორამმა და სასთუმალი გაისწორა.

— მზის გამდაცვლება.

— რა ბრძანეთ? — მამა ორამს ეგონა, მომეყურაო.

— მზე გადრაიცვალა, მამაო, მზე და თუ იცით, ვინ იყო მისი ჭირისუფალი?

— ვინ? — ჰკითხა ორამმა.

— მე, თქვენ და ბულიკა, სხვა არავინ...

. . . . . .

მთელი საათი უგდებდა ყურს მამა ორამი ბაჩანას. არც ერთი სიტყვა არ დაუძრავს, არც ერთი შეკითხვა არ მიუცია მამა ორამს, მხოლოდ მაშინ გამოისახა პირჯვარი, რამდენიმეჯერ, როცა ბაჩანამ მზის პირით დაილაპარაკა. ბოლოს თავქვეშ ამოიდო ხელები და გარინდული, ფართოდ გახელილი თვალებით ჭერს მიაშტერდა.

— ღვთიური სიზმარი გინახავთ, ბატონო ბაჩანა. — თქვა ბოლოს.

— ეს უკვე მერეედ. — თავი დაუქნია დასტურის ნიშნად ბაჩანამ. მამა ორამი ისევ დუმდა... უცებ წამოიჭრა საწოლიდან და ბულიკას საწოლს მიუახლოვდა ფეხაკრეფით. ბულიკა თვალდაღა იწვა. საოცრად ფერმკრთალი და მშვიდი სახე ჰქონდა.

ნოდარ ფუფუკაძე
მარადისობის კანონი

— ავთანდილ! — თქვა წყნარად მამა იორამმა. ბაჩანას გაუკვირდა, არც მას, არც მამა იორამს ბულიკასათვის იმის შემდეგ, რაც ბულიკამ სთხოვა ავთანდილი არ დამიძახოთო, ასე არ მიუმართავთ, რაში დასჭირდა ახლა მღვდელს ბულიკასადმი ასე მიმართვა მისთვის გაუგებარი იყო.

— ავთანდილ! — აუწია ხმას მამა იორამმა.

— ნუ გაიღვიძებთ, ბატონო იორამ, მაგის ცალკე მოვუყვები. — უთხრა ბაჩანამ.

— ავთანდილ, ბიჭო! — ხელი შეახო მამა იორამმა.

— რა მაგრად სძინავს! — თქვა ბაჩანამ.

— სძინავს, ბატონო ბაჩანა, მაგრად სძინავს და თქვენც გადაბრუნდით და დაიძინეთ.

— აწი რაღა დამაძინებს, მამაო?

— გადაბრუნდით კედლისკენ, მე თქვენ გეუბნებით, გადაბრუნდით! — უკან მოუხედავად უბრძანა მღვდელმა, მერე ათრთოლებული ხელი თვალებზე დააფარა ბულიკას და ფრთხილად ჩამოუსვა ცივ სახეზე.

— რა მოხდა, მამაო! — დაკარგული ხმით კითხა ბაჩანამ და საშინელმა ეჭვმა საფეთქლები აუწვა.

— სიზმარი აგიხდათ, ბატონო ბაჩანა, მზე გარდაიცვალა! — თქვა მღვდელმა და პალატის კარი გაიღო... — ბაჩანამ თავზე საბანი გადაიფარა, პირქვე დაეგმხო და რომ არ ებდავლა, ბალიშის ყური ჩაიჩარა პირში...

* * * * * * * * * * * *

— საოცარია პირდაპირ, თვალღიად დარჩენილი მიცვალებული ფანჯრებგაფეთქილ და პატრონის მიერ მიტოვებულ სახლსა ჰგავს... — თქვა მამა იორამმა, როდესაც ბულიკა პალატიდან გაიყვანეს.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ სულაკაური

შემოდგომა

(ვარიაციები)

1.

გადაუდებლად წვიმს და მივდივარ,
ჩემი საგზალი მიმაქვს დასავლით.
წვიმისთვის ხელი ჩამიკიდია,
ქუჩაში მიმყავს უმცროს დასაგით.

ფრთხილად ვსტეპი გუბიდან გუბეს,
ის კი ტყაპუნით მიდის გუბეში.
მომჩერებია ძველი უბანი
სველი და ცივი,
როგორც გომბეშო.

მე საგზალივით სინესტე მიმაქვს
და,
როგორც მძევალს,
სინესტეს ვტოვებ...
ღრუბელი ვთხოვე და მომცა წვიმა,
დამსეტყვა,
წვიმა როდესაც ვთხოვე.

2.

ხმელი ფოთლები წახვეტა ქარმა,
ღრუბლებით ვხურავ მთების დარაბებს,
თითქოს ვარ,
თითქოს კიდეც არა ვარ
ან ჩემი ყოფა არ ჰგავს არაფერს.

ბროლის ჭიქაში ჩაწურა ქარვა,
მაჩვენა,
რაიც დღემდე არ ჩანდა.
არც მე დამინდო წყეულმა ქარმა,
სულ გადამრია და ამამჩატა.

ფიქრებდაწყვეტილს არა მაქვს მოცლა,
არვინ მიცდის და მაინც ვიჩქარი.
ნიავი ვთხოვე და ქარი მომცა,
ქარი ვთხოვე და მომცა გრიგალი.

3.

შემოდგომის მზე ათრობს ყვავილებს
და მიაქვს ბოლო ნექტარი ფუტკარს.
ფიქრი,
რომელიც გულში გავიღე,
მინდა ხმამაღლა მდინარეს ვუთხრა:

რა სიჩუმეა!
ღმერთო ძლიერო,
მომეცი ძალა,
რომ ავიტანო
დუმილით სავსე სიცარიელე,
მკვდრის მზე და ვერცხლის ფერი მიდამო!

მე ჩემ თასს მაინც ბოლომდე დავცლი,
საწუთროების აზრიც ეგ არის...
ყვავილი ვთხოვე და მომცა ანწლი,
დაფნა ვთხოვე და მომცა ეკალი.

4.

შემოდგომის მზემ დაადნო ქარვა
მწოლარეს მკერდზე გადამაღვარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქომიტოს მთიდან მოსულმა ქარმა
ჩამომიტანა თოვლის ჭაღარა.

ვწევარ მინდორში,
მძინავს თუ მღვიძავს,
მე ვსუნთქავ ცისა და მიწის მადლით
და მეჩვენება:
თავად ვარ მიწა
და ისიც,
ვინც ამ მიწაზე დადის.

მესმის ფესვების ჩუმი ხმაური
და ნეტარების რული მერევა.
მიწა ვთხოვე და მომცა მამული —
უზენაესი ბედნიერება!

5.

მე საგზალივით სინესტე მიმაქვს
და,
როგორც მძევალს,
სინესტეს ვტოვებ...
ღრუბელი ვთხოვე და მომცა წვიმა,
დამსვეტყვა,
წვიმა როდესაც ვთხოვე

ფიქრებდაწყნილს არა მაქვს მოცლა,
არვინ მიიდის და მაინც ვიჩქარი.
ნიავი ვთხოვე და ქარი მომცა,
ქარი ვთხოვე, და მომცა გრიგალი.

მე ჩემ თასს მაინც ბოლომდე დავცლი,
საწუთროების აზრიც ეგ არის...
ყვავილი ვთხოვე და მომცა ანწლი.
დაფნა ვთხოვე, და მომცა ეკალი.

მესმის ფესვების ჩუმი ხმაური
და ნეტარების რული მერევა.
მიწა ვთხოვე და მომცა მამული —
უზენაესი ბედნიერება!

6.

რაკი ეგრეა,
არ დავმშვიდდები,
არ მოგასვენებ,
არ მოგეშვები,
მე ვარ ნატეხი შენი დიდების,
შენს გულში გადის ჩემი ფესვები!

ო, შემოდგომის მამულო ჩემო,
შენა ხარ ჩემი ხატიც და ფიციც,
მაბრუებს შენი ფერი და გემო,
გემო პურისა და ფერი მიწის!

თუმც ავადა ვარ შენი სახადით,
არ დამაფარო ღრუბლის საბანი:
სულ შენი ვალი უნდა ვიხადო,
სულ უნდა ვზიდო შენი ჭაპანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ ბოლქვაძე

●

უკვდავების ავტორო! —
ცრემლით, სისხლით ნატბორო! —
შოთას წიგნის პატრონო! —
საქართველოვ, ბატონო! —
გამარჯვებამ დაგთოვოს,
გაგათბოს, გაგათენოს! —
საქართველოვ, ბატონო! —
ბატონო საქართველოვ!

მ ცხ ე თ ა

მცხეთა — ღმერთის ლექსი —
სამარეა თავღია
და შიგ უძველესი
საქართველო მარხია!..

ჩაძირულა დროში
გემი — სვეტიცხოველი —
ჩემი ჩუმი ლოცვის,
ჩემი სევდის მქსოველი!..

ისტორიის სიზმრებად
ბინადრობენ მცხეთაში
ზემზიური ნისლები
ჯვრის, არმაზის, ზედაზნის!..

უვლის, ფიცავს, იცავს,
ბებერ ხელებს აფარებს
წამებული მიწა
მარადწმინდა საფლავებს!

სხვა დარდები ბორკავენ
ახალ მემატიანეს!..
და მცხეთის მზის ბორბალი
ტრიალებს და ტრიალებს!..

ღამე ღამეს უთევს
ჯვრის მონასტრის ნაღვერდალს
და დარაჯობს უთქმელ
მცხეთის ზეცას — ნაღმერთალს!..

ღმერთო, ყველა ქართველს
ფიქრი აუცხადე,
ხელი მოუმართე,
გული გაუმცხეთე!..

●

ვკვდები!.. ვალი არ მრჩება, —
ერის გარდა, — არვისი!..
სად მივდივარ?! რა ხდება?! —
არაფერი არ ვიცი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა ანა კალანდაძის „რჩეულზე“

ზეცისაკენ გამახედა,
დამაფიქრა, გამაოცა, —
ქალმა — ხატმა, ქალმა — ღმერთმა,
ქალმა — ლექსმა, ქალმა — ლოცვამ!..

ხმა საპარიზან

ირონიული

თუმც აქაც მაწვიმს, მათოვს, —
უკეთესად ვარ უფრო!
ნეკროლოგისთვის გმადლობთ,
ამხანაგების ჯგუფო!

სოფლად, ღელის გაღმა,
სასაფლაოს ახლოს,
მიტოვებულია
ხის პატარა სახლი!..

ერთადერთი ჩიტი
ჯდება გამხმარ ხეზე,
ნაღვლიანად გალობს
და დედაჩემს ეძებს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია ჯაჯანორია

გოგელენი

დავითაშვილის ქუჩა ჯერ კიდევ თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, ჯერ კიდევ გამოჰქონდათ საღამოხანს ქუჩის პირას სკამი და მაგიდა, ნარდი და ჭორი... ღია ფანჯრებიდან ისმოდა, როგორ აწვალებდა ვიღაც კლავიშებს და გამების მომაბეზრებელი თანმიმდევრობა ქუჩის მელოდიას რეფრენივით თან სდევდა.

მერე სულ ისე, როგორც ოდესღაც წაკითხულ წიგნში: სოლოლაკის ქედის ფერდობს ბეჭბრტყელი ვაჟკაცი ჩამოპყავა სიმღერით — „შენ არზრუმის ცისკარი ხარ, გულნარა...“

ბატონი დავითი და ბუჩუკური მიყვებოდნენ ქუჩას. ბუჩუკურს ნესტორები დაებერა ჰაერის სიუხვისა და ფენაფენად მიმდინარე ნაკადთა სიმრავლისაგან. იგი მისდევდა დავითს ოდნავ ჩამორჩენილი, ასე ნახევარი კორპუსით (როგორც დიდი რეგატის გადმოცემისას ამბობენ) და ეს „ნახევარი კორპუსი“ იყო მარად არსებული მანძილი ბუჩუკურსა და დავითს შორის.

* * *

იმ დღეს მეგობრის ოჯახში იყო მიწვეული ბატონი დავითი, მისთვის გამართეს წვეულება; იცოდა ეს და შეეცდებოდა, მათი იმედი არ გაეცრუებინა: იგი ჩინებულად ფლობდა ამ ხელოვნებას და საკუთარი მაღალი მოწოდების განუყრელ ნაწილად მიაჩნდა.

„ჯერ კიდევ არსებობს ხალხი, მწერლის გაცნობა რომ სურს“, — ფიქროობდა მშვიდი კმაყოფილებით აღვსილი და წინასწარ იცოდა, როგორ შეეიდოდა დარბაზში, რას იტყოდა, როგორ აღმართავდა ხელს მისასალმებლად, პირველად დაიძაბებოდა, ან სკამს წამოედებოდა, ან იქვე, კართან მიდგმული მაგიდიდან ნიკარის საფერფლეს გადმოაგდებდა... ოღონდ, მხოლოდ პირველ წუთებში. მერე გათავისუფლდებოდა, ჩვეულ სითამამეს დაიბრუნებდა, გალაღდებოდა.

...იმ დღესაც ასე იყო, სანამ იმ ბიჭის თვალებს არ წააწყდა.

უცნაური თვალები ქონდა ბიჭს — ნაირფერი, ბურუსიანი.

„მოულოდნელი თვალები აქვს“, — გაიფიქრა დავითმა; თუმცა არ იყო დარწმუნებული, შეიძლებოდა კი თვალისთვის „მოულოდნელის“ შერქმევა. მაგრამ ჭაბუკის გამოხედვა გამოწვეული ხელიდან მოებჯინა მაკერდზე და შეაფერხა, ნაბიჯი აურია.

მას კი დინჯი სიარული უყვარდა, მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდური მსვლელობა ღრმაზზროვანი საუბრის ფერად მინდორზე.

ავეირდებოდა დავითი ჭაბუკს. ყურს არ უგდებდა (ჭაბუკი არც არას ამბობდა), უცქეროდა ირიბად. აწუხებდა მოუხელთებელი ირონია, დრო და დრო მჭრქალად რომ მოეფინებოდა ჭაბუკის სახეს (ირიბმელი იყო, მკვეთრნაკვთიანი, თმა შუბლზე ჩამოფენოდა. ხელები წინ დადგმული სკამის საზურგეზე ჩამოეწყო და ზედ ნიკაპით ჩამოყრდნობოდა).

დავითმა გამოარჩია ჭაბუკი, თუმცა იგი თვით გამოირჩია და დავითმა ვერ შეძლო მისი სხვებთან ათქვეფა. ეს ხელს უშლიდა, აბრკოლებდა, სიტყვას უწყვეტდა.

... და მივიდა დავითი ჭაბუკთან.

ჭაბუკი წამოიმართა. მაღალი იყო, გამხდარი და მოქნილი.

— ბუჩუკური, — წარუდგა და დავითის გამოწვდილ ხელს ვიწრო, ძლიერი, მარჯვენა შეაგება.

* * *

ორსართულიან სახლთან შეჩერდნენ დავითი და ბუჩუკური. მაღალ კარფანჯრიან სახლს ისეთი ვრცელი სადარბაზო ქონდა, როგორსაც კარგა ხანია აღარ აშენებენ (ვრცელი მისასვლელი და თავისუფალი სივრცე წრეგადასული ხელგაშლილობისა და მფლანგველობის მომასწავებელი თუა). მიშვებული სერო ჩუქურთმიანი აივნის სვეტებსა და თაღს შესეოდა და სახლს დეკორაციას ამსგავსებდა.

ჰოლში ბინდი იდგა და გრილოდა.

დავითმა სინათლე ჩართო...

ჰოლის გასწვრივ, შემინული კარიდან ბიბლიოთეკა მოჩანდა; მარმარილოს ბუხარი, ბუხრის თაროზე ნაპოლეონის ქანდაკი იდგა, ვარდისფერი მარმარილოსი, ქანდაკს რატომღაც ბრინჯაოს ქუდი ეხურა.

კიბის თავზე ერთადერთი კარიატიდა შეეგებოდა თაღს.

— აქეთ! — თქვა დავითმა და სტუმარს ოთახში შეუძღვა...

კაცმა რომ თქვას, ბუჩუკური არც ენახა ასეთი სახლი, ამდენი ბრეგი და საგანი ერთად. იგი ვეღარ არჩევდა მათ, ყოველივე ერთიანად გამსჭმნიდა, რომელსაც ბროლისა და ჩეხური შუშის ათინათი მკრთალი ხილებით კვეთდა. სხივები კრთოდნენ ხავერდზე, სურათებზე, ავეჯზე... კუთხეებში მომშვილდულფეხიანი ძველი მაგიდები იდგა. ზედ პატარა ქანდაკებები, შავი ხისა და პოლისანდრის ყუთები ელაგა. ავეჯს წიბიზზე ბრინჯაოს ორნამენტი დაეკვეთოდა და დიდი ოთახი ოქროსფერ ბურუსში ირწეოდა.

„ახლა მეტყვის, ესეც ჩემი სენაკი“. — გაიფიქრა ბუჩუკურმა, მაგრამ მასპინძელს ხმა ამოეღო, მკლავი გაშალა მხოლოდ. ოდნავშესამჩნევი თვისებით, იმ მოძრაობით, როგორაც დავითმა განჯინიდან კონიაკი და ჭიქები გამოიღო, ბუჩუკური მიხვდა—იგი მარტო ცხოვრობდა და თანაც დიდი ხანი არ იყო, რაც მარტო ცხოვრობდა... დიდი ხანი არ იყო, რადგან ნიფთებს ჯერ კიდევ შერჩენოდა მზრუნველი ხელის კვალი და სითბო; მარტო კი იმის გამო, რომ თვალი აისაით გაუპარებია მასპინძელს. ამ ავეჯით, ლარნაკებით, სურათებითა და ქანდაკებებით გამოტენილ სახლში კაცი არ ჯანსაღდება.

მასპინძელმა ჭიქები და ბოთლი მაგიდაზე დაიწყო, სადღაც წავიდა, ყრუდ აწკრიალდა თეფშები, ფინანფინად დაჭრილი მოხარშული ხორცი, ყველი და პური შემოიტანა. სიმეტრიულად დაალაგა. დახედა სუფრას — სულ ეს არის, — წაილაპარაკა თავისთვის, კონიაკი ჩამოასხა.

ნელა აჩვევდა თვალს გარემოს ბუჩუკური, შინაგანი მოლოდინის განცდა აწუხებდა, თითქოს დიდიხნის ნაცნობი უნდა შეხვედროდა ამ უცნაურ სახლში. თვალი საგნიდან საგანზე გადაქონდა და უცაბ შეკრთა: ორ სურათის (ერთი ჰოლბეინის ძვირად ღირებული რელიეფური რეპროდუქცია

იყო, შორე გორგაძის ნატურმორტი— სამი თევზი და ბორწყულები). ორ სურათს შორის ძველი, გამოხუნებული გობელენი გაეკრთო — კუბიან ხიდთან, დაგრაგნილ ბოძს მიყრდნობილი იდგა ახალგაზრდა კაცი და შეაქერო-და ხიდზე ამოსულ ორ ბანოვანს... კაცს ფრთიანი ქუდი ეხურა და მოკლე, ოქრომკედით ნაქარგი ტოგა მოესხა... გობელენი ისე ძველი იყო, ნახატი ძლივს აჩნდა, თეთრით მოსილი ქალები თითქოს ნისლში მოცურავდნენ.

ბუჩუკურმა მარჯვენა კუთხეში წარწერა შენიშნა. შორიდან ვერ გაარჩია (თუმცა კარგად იცოდა რაც ეწერა), გობელენს თვალი მოსწყვიტა, მასპინძელს შეხედა...

— კარგად არც ვიცი, რისთვის მოგიწვივე, — უთხრა დავითმა და ჭიქა ასწია, — შენ გაგიმარჯოს!

ყველაფერი ოქროსა და ბრინჯაოსფერი იყო ამ ოთახში და მაღალფეხებიან ბროლის სირჩებში ჩასხმული კონიაკსაც ბრინჯაოსფერი დაკრავდა...

ბუჩუკურმა კონიაკი შესვა, ყელზე ნაცნობი სიმხურვალე შემოვნთო, წუთით გაირინდა.

...და მიხვდა ბუჩუკური — მოუხედავად ნივთების სიძველისა, ეს ახალი სახლი იყო. შენობა კი არ იყო ახალი, ალბათ საგნებსაც, შენობასაც ქონდა თავისი ისტორია, წარსული... სახლს არა. აქ ყოველივე ერთი თაობისაგან იყო დაგროვილი; თუმცა არა, არც თაობისაგან, — ერთი კაცის მიერ და ყოველივ ნივთი, ყოველი საგანი ამ შეკოწწეწებულ ანსამბლში ნებისმიერ ადგილზე იდგა... „ნივთების ბრძო“ — მოუვიდა თავში ბუჩუკურს. კვლავ მიმოიხედა, ამ მასიდან გამოყოფით არსებობდა და თავის სახეს ინარჩუნებდა ძველი, გახუნებული გობელენი. ყოველ შემთხვევაში, ბუჩუკურისთვის ასე იყო.

კარგად იცნობდა ამ გობელენს ბუ-
, რაც თვალი აეხილა, მას მერე იცნობდა: ახსოვდა ყოველი ხაზი, ნაოჭი, ჩრდილი,.. იცოდა ამ ადგილიდან ნაკეცად ეფინებოდა მუხლისთავებს მანდილოსნების ტუნიკა, რომელი ქვა ამოვარდნილიყო ხიდის ქვაფენილზე...

და ისიც იცოდა, მასპინძელს მხოლოდ ერთ შეკითხვაზე შეეძლო ეპასუხა — ალბათ ზუსტად ახსოვდა სად იყიდა გობელენი...

— გობელენი? — ბატონი დავითი კედლისკენ შებრუნდა — ძველია, შავ ბაზარზე ვიყიდე.

* * *

„გობელენი სიძველით არ დაიწუნება, ღვინოსავითაა“, — უთხრა მოხუცმა ქალმა.

იგი აგურის კედელთან იდგა, მარტო, გობელენი მკლავზე გადაეფინა, ოღონდ ისე, წარწერა გამოჩენილიყო; გადაცრეცილი, ძლივს გასარჩევი წარწერა — მაქსიმილიან ბაიეუ...

დავითმა არ იცოდა, ვინ იყო ბაიეუ, იმას კი მიხვდა, წარწერა ფასს მატებდა გობელენს და იმასაც მიხვდა — ქალი იაფად, გროშად გაყიდდა გობელენს, იმიტომ კი არა, ფასი არ იცოდა...

—წაიღე შვილო, — უთხრა ქალმა— იგი ისე ძვირად ფასობს, ერთი კაცი ვერც იყიდის; დღეს ამის მაზანდა დაეცა...“

* * *

— სამართლია, — ჩაილაპარაკა ბუჩუკურმა — გობელენი ან ძვირი ღირდა ან არაფერი. ესპანური გობელენი — ჭაბუკმა ხმას აუწია — ბაიეუს ფაბრიკისა. ბუჭყიანშვილების ოჯახის საკუთრება, სახლიანი და ქვეული მხედრების საგვარეულო განძი, გარდასული დიდების მოწმე, გვარის ზეობის დასტური.... — ბუჩუკურს გაეცინა, საფეოქელთან ყუნთი ამოებურ-

---

ოგნა კაჭკორია
გობელენი

ცა — იგი ან ფასდაუდებელი იყო და მუზეუმს უნდა გადაცემოდა, ან ასე უნდა დაკარგულიყო...

დავითი გაოცებული შეცქეროდა ბუჩუკურს.

ბუჩუკური გაჩუმდა, წვდა ჭიქას, სულმოუთქმელად გადაკრა.

* * *

„ჩვენ სახლს გრძელი აივანი ქონდა... ეთასი ძველმანით ჩახერგილი აივანი. თუ მიგიქცევიათ ყურადღება, ელბაჭიძის დადმართზე, ბაღის მოპირდაპირე მხარეს ჩასახვევია, მაღალი სახლის ინტერიერს უერთდება გვირაბით. წოთელი აგურის შენობაა, რუხი ნაგებობის გაგრძელება.

ამ სახლში ცხოვრობდა ტანტე ბორენა. ჩემი გამხრდელი დეიდა, ბუჭყიაშვილთა უკანასკნელი ნაშიერი. არა, თუმცა უკანასკნელი მე ვარ, დედის მხრივ, სამკვიდრომოკლებული.

დეიდაჩემი გერმანულს ასწავლიდა. ამიტომ ვეძახდი ტანტეს...“

* * *

ტანტე ბორენამ გობელენი აივანზე გაიტანა.

ოთახების გრილი ბინდიდან გამოფარფატდნენ ქალები, ფერუმარილით გადაგლესილი სახეები გამოაჩინეს.

— უნდა გავყიდო, — თქვა ტანტე ბორენამ, მრისხანედ გადახედა ქალებს, სულ ისე, როგორც ოდესღაც ჩვეოდა გოროზსა და უკარება ქალბატონს; ამაყი, ზვიადი სილამაზით რომ თრგუნვიდა ყველას. ახლა იდგა — მაღალი, ჩამომდნარი... ნაკადებად იღვენთებოდა მისი ქაშმირის გახუნებული კაბა.

— უნდა გავყიდო, — გაიმეორა, გობელენი გაშალა, ტახტზე გადაფინა, ფრთხილად დაუსვა ხელი, — ძველი მეგობარო, — წაიღიღინა — დაიხსენ სახლი ჩემი.

იმ დღეს საგანგებოდ გამოწყობილიყო ტანტე ბორენა. ქაშმირის კაბაზე ღვინისფერი ტრუკაკარი მოეცვა ზედ გადმოფენილი საყელო ჯარაფა დიაური მაქმანისა გახლდათ. მართალია შეეკვითლებულიყო მაქმანი, ამოფლეთილი ადგილებიც კოჭის ძაფით გაებლანდა ტანტე ბორენას... ოღონდ იყო ამ მაქმანში ის ამაყი და კეთილშობილი სინატიფე, რომ არც სიყვითლე ჩანდა და არც ძაფის აბლაბუდა. ტრუკაკარის კიდეს ფერადი ზოლი მიყვებოდა, ზედ ამოქარგული პაწია გრიფონებით; გულზე ვეება „ბროშკა“ დაებნია, ყალბი მარგალიტების ჩარჩოთი: ქამეო ნამდვილი იყო, იტალიური, მენადის გამოსახულებით (ვერაფერი ეს ვერ შენიშნა დავითმა).

ბუჩუკურს დღემდე თვალწინ ედგა გობელენისკენ დახრილი ტანტე... ხედავდა მისი სხეულის კონტურს, ზურგისა და მკლავის მოხდენილ ხაზს; მის მოძრაობაში, მიმოხრაში კაეშანი გამოსჭვიოდა. ბუჩუკური ხედავდა ტანტე ბორენას კაეშანს, მის ღრმა, უთქმელ სევდას.

წავიდოდა საბურთალოს ბაზარზე გობელენის გასაყიდად, იედევნებოდა სევდა და აეყუდებოდა მის ვეებერთ აგურის კედელთან განუშორებელი ჩრდილივით.

* * *

გობელენის ისტორია რომანტიზმის, მითისა და ოჯახური ქედმაღლობის ნაზავი იყო...

ბუჭყიაშვილების ოჯახი — ნამსახური ოფიცრების, თვითმყრობელი ხელმწიფის ერთგულ ქვეშევრდომთა ოჯახი, უზომოდ ამაყობდა თავისი მხედრული წარსულით; სპარსულ ხალიჩაზე თანმიყოლებით მოკიდული რამდენიმე ოქროცურვილი დაშნით, ზედ ყველას ეწერა — მამაცობისთვის — ვადაზე კი პირველი სოფიცრო ჯილდო „ტემლაკი“ ქონდა დაბნეული... (ბუჭყიაშვილთა ყველა თაობას ეკუთვნოდა ერთი ასეთი დაშნა).

ოჯახი იმითაც ამაყობდა — ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოსმა პოტომ წიგნიც კი დაწერა გენერალ ძმებზე ბუჩიკიევებზე... ამ ძმების პაპამ ჩამოიტანა გობელენი... ვინ იცის საიდან და როგორ, ველინგტონის კორპუსთან ერთად ესპანეთსა და პორტუგალიაში ამოყო თავი რუსეთის სამსახურის როტმისტრმა... ცხენდაცხენ მოვლო ანდალუზია და ლეონი; იყო სარაგოსას გარემოცვის მონაწილე, იხილა უმოწყალოდ აჩეხილი „ნუმანციელნი“... ბოლოს გობელენი წამოიღო (ოჯახმა არ შემოინახა გობელენის მოპოვების ისტორია), ნაბადივით დაახვია, მიაკარა უნაგირის კეხს...

მერე, როტმისტრს ლაიფციგთან გამართულ „ხალხთა ომში“ ფრანგის კირასირმა მხარმკლავი ჩამოასხიპა; დაბრუნდა საქართველოში სამსახურიდან გადამდგარი მხედარი, წმინდა გიორგის თეთრად მომინანქრებული მეოთხე საფეხურის საოფიცო ჯვარი და ის დიდებული გობელენი ჩამოიყოლა. შეირთო მუხრან-ბატონის ასული ბარონა და მისცა დასაბამი ოჯახს (მას მერე უფროს ქალაშვილს ბორენას არქმევდნენ ბუჩყიაშვილები).

ყველა თაობამ იცოდა ამბავი გობელენისა, ყველა თაობა მიჩვეული იყო სასტიკი ადგილას ეხილა იგი და გული აჩქროლებოდა სისხლში შემორჩენილი ხეტიალისა და შორეული მხარეების ხილვის ენინთ...

* * *

ბუჩუკური ბავშვობიდან იცნობდა ამ ფერმკრთალ სურათს, კუზიან ხიდს, ფლორენციელი ლამაზმანები რომ გადმოდიოდნენ და ხიდის ყურთან, დაგრაგნილ სვეტს მიყრდნობილი იდგა პოეტი და არისტოკრატი — გვიდო კავალკანტი...

ბავშვობაშივე დაკარგა ბუჩუკურმა გობელენის ხილვის ბედნიერება. იმ შშიერ ზაფხულს, ომის მეორე ზაფხულს, ტანტე ბორენამ მკლავზე გადაიფინა გობელენი და საბურთალოს აზრის გზას დაადგა საგანგებოდ მორთული, დინჯი და ამაყი; დაადგა გზას, რომ უსახურების მორევში გადაეტყორცნა ბუჩყიაშვილების ალამი და შინაურობა.

ბუჩუკურ ბავშვობაში ეს ერთ-ერთი ნაჭერი საპონი, ერთი პური და ორი დიდი ნატეხი შაქარი დაეყარა.

ჩუმად მოიწმინდა ცრემლი ტანტე ბორენამ ცისფერ თვალთაგან, ოდესღაც ცისფერ თვალთაგან, რადგან თვალის ფერიც თურმე ისევე ხუნდება, როგორც უხმარობისგან მკვდარი ფირუზი.

●

რამდენი შეძლებია ამ გახუნებულ ქსოვილს... იგი იყო პირველი ძვირფასი ნივთი დავითის სახლში (ამ სახლში კი არა, მაშინ დავითი ქანდარიან ბუნაგში იყო შეყუჟული ცოლთან ერთად), იგი იყო პირველი მაუწყებელი, რომ დაიწყებოდა დოვლათის დაგრავება.

იმ დღეს კი, მოიტანა გობელენი და არც იცოდნენ, კედელზე გაეკრათ თუ საწოლზე გადაეფარებიათ, მერე მაინც კედელზე გააკრეს.

დასხდნენ გობელენის წინ დავით და ელენე; ოთახში დღის სინათლე იერიცებოდა, ქუჩის გადაღმა აყუდებული მაღალი სახლის ჩრდილი ურჩხულივით ეპარებოდა ოთახს. ისინი კი ისხდნენ მდუმარენი და გრძნობდნენ — ამ ფლასის ნაჭრით ეზიარნენ მაღალსა და უთქმელს — საუკუნეთა კულტურას, სილამაზეს, ზღაპარს, რომელიც ტოვებდა წარმოდგენის საზღვრებს და სადღაც სამყაროს სივრცეებში მიაქანებდა მათ დამშეულსა და ცნობისწყდილით ამღვრეულ სულებს... ამიერიდან მათ პატარა, კედლებჩამოცხავებულ ბინაში შემობრძანდა ვინმე ნატიფი, უზადო და დახვეწილი ჭაბუკი, ოქრომკედით ნაქარგი ტოგით მოსილი და ისეთი კეთილხმოვანი გვარის პატრონი, ვით ბავშვობის ოცნება და სამუდამოდ და-

---

ოტია კაჭკორია
გოგელანი

იმონა მათი ხარბი, ჯერ შეურყვნელი სული და გონება.

და დაიწყო...

ამ გობელენით დაიწყო ყოველივე იმის მოხვეება, რითაც სავსეა სახლი: ფაიფურით, ბროლით, მინანქრით, სურათებით, ინკრუსტირებული ავეჯითა და წიგნებით...

(თუმცა წიგნი სხვა იყო. წიგნი მთელი არსებით უყვარდა დავითს: ცნობიერი, ნათელი დამოკიდებულება ქონდა წიგნისადმი; კიდევ ერთ დამატებით სიამეს ანიჭებდა წიგნი; მას შეეძლო საათობით ეკქარა მათთვის და სიამაყით აღვსებოდა გული, რადგან მატერიის ფლობას ემატებოდა სულიერი კულტურის ფლობის გაცილებით რთული და სასიამოვნო განცდა. იგი ფლობდა წიგნებს ისევე, როგორც ფაიფურსა და მინანქარს, მაგრამ ფლობდა იმასაც, რაც ამ წიგნებში იყო — უკვე გამოვლილ, მზამზარეულ განცდებს, დაგრძელილ გამოცდილებას, ეშვენიერის წვდომის გაკვალულ გზებს, სამყაროს აზრს...

იგი ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ კულტურა, რომელსაც მატერიალურად ფლობდა, ქმნილა ილუზიურ მეორე სამყაროს და იგი წელს უმაგრებდა მის რეალურ ყოფას; უფრო მყუდროდ გრძნობდა თავს მისი მეშვეობით, უფრო თვითდაჯერებული იყო...)

თითო-ოროლა შემორჩენილი ანტიკვარი გაიცნო, საკმისია მაღაზიის გამგე. მართალია გულის სიღრმეში სძულდა ისინი, მაგრამ საჭირო ხალხად მიაჩნდა და მათთან დაახლოებით ისეთი ურთიერთობა ქონდა, როგორც კასტილიის მეფეს თავის ებრაელ მინისტრებთან.

ზოგჯერ მაინც გაუელვებდა — საიდან ასეთი დაუოკებელი ლტოლვა, რატომ? მერე მიავიწყდებოდა, რდგან არ სურდა ამის თაობაზე ფიქრი და მთელი არსებით ჩაფლული იყო ბრძოლაში — შეძენის სახსარი და უფლება ჰქონოდა.

საქმეს ელენე შველოდა, ქალს ჩინებული გემოვნება ქონდა, ფორმის ნატიფი შეგრძნება და საცერვით ცენზურა. დავითის მომხვეველი ფანტაზიის წარყოფს... ქალი ცდილობდა სტილის შენარჩუნებას (უფრო სწორად, მოპოვებას), ოღონდ უქირდა მოზღვავებულ საგანთა გაძლება; დავითის ენები ერთიანად იპყრობდა ყოველივეს; შეეძინა, მოტანა მას არ წყინდებოდა, რადგან სიამეს გვრიდა და იმასაც ხვდებოდა დავითი, ამით საყრდენსა და ფონს უქმნიდა მიღწეულ სახელსა და მდგომარეობას... თანაც, ყოველი წარმავალი და მერყეევი იყო; ურყევი და ურღვევი მხოლოდ საგანთა ჯიუტი მოლოდინი და თანმიმდევრობა ბახლდათ.

* * *

ისხდნენ პირისპირ და სდუმდნენ.

ორივეს თავისი ფიქრი ქონდა და მოსაგონარი. ბუჩუკურს წარსულის ერთი წუთი, ერთი შეხვედრის წერტილი (გობელენი) აკავშირებდა ამ კაცთან. იგი არასოდეს ყვარებია, პატივს კი სცემდა; მაგიერი ძალა ქონდა მისთვის სიტყვას — მწერალი. ბავშვივით ემონებოდა სიტყვის ირაციონალურ არსს, თუმცა დღემდე არ უფიქრია — იყო კი რაიმე ბატონ დავითში მოძღვრისა და მარტვილისა.

ოჯდა ბუჩუკური ამ ოქროკუთვილ ოთახში და ცდილობდა გარკვევას — რა სტილი სუფევდა აქ; როკოკო, ამპირი, კლასიციზმი?! თუ ყოველი აღრეულიყო და ქმნილა ახალს, რასაც იქნებ ერთი კაცის სახელიც დარქმეოდა და ზოგადადაც განსაზღვრულიყო.

დრომ თავისი გაიტანა და დახვეწილი, გადაწნულ-ჩახლართული როკოკო მეშჩანთა სტილი გახდა. ხაზმა, ოვალმა, ელიპსმა დაკარგა ჩვეული კეთილშობილება, ბუკოლიკური სიმშვიდე და სიფაქიზე, სანაცვლოდ შეიძინა სოციალური შინაარსი.

ბუჩუკურმა ერთხელაც მოავლო თვალი ოთახს — არა, აქ არ იყო რაიმე დადგენილი, ვთქვათ ქართული, ან ლუი XV-ისა, ან ამპირი,... და მაინც იყო

ქართული — მან ჩაიცინა — ყველასა და ყველაფრისაგან განსხვავებული, სულ ახლახან გაჩენილი მომხვეჭელობა, სტილიც რომ არ გააჩნდა, ამის გამო თუ გავდა ოთახი საჯარო ვაჭრობისათვის გამზადებულს: მოვიდოდა კაცი, სამგზის დაკრავდა ჩაქუჩს მაგიდას, გაზიდავდა ნივთებს და გამოჩნდებოდა სულის მოსათქმელი არე.

...და ბუჩუკური ვერც ამჩნევდა, როგორ ჩაიფარა ამ სახლის ცბიერმა მომხიბვლელობამ... არც შეუმჩნევია, როგორ მოუხმო ნებისყოფას წინააღმდეგობის გასაწევად, როგორ ცდილობდა ეპოვნა ზაღი და თუ ერთი წუთით მაინც დაემორჩილებოდა ამ სიუხვეს, მაშინ ყოველი უნაკლო იყო და სახიფათო. მას ისე იზიდავდა ეს სახლი, როგორც ქარაფის პირას მდგომს უფრსკულის სიღრმე და სიბნელე.

ბუჩუკური მიხვდა — უარყოფითს. ნაკლოვანს შეიძლება სრულქმნილი უწოდო, იქნებ ისინი უფრო იოლად აღწევენ სრულყოფას; საქმე ის იყო, რომ ამ სახლში მხოლოდ ნივთები როდი ბატონობდნენ, ეს იყო გაცილებით მეტი. ძნელმისახვედრი და საშიში, რადგან აქ ყოველივეს განაგებდა ძლიერი კაცის ნება-სურვილი; კაცისა, რომელსაც დიდი ზემოქმედების უნარი ქონდა და ნივთთა ამ ორომტრიალში ძნელი გასარჩევი, მაგრამ მაინც მოქნილი, გამოკვეთილი სისტემა იგულისხმებოდა.

ყველაფერს კი დასაბამი გობელენმა მისცა, ის იყო ფერმენტი, ბიძგი, ბედისწერა.

* * *

ტანტე ბორენამ მაგიდაზე საპონი, პური და შაქარი ჩამოალაგა, მერე კედელს ახედა — ფერგადასულ შპალერს გობელენის ადგილას მუქი სწორკუთხედი აჩნდა... ტანტე ბორენამ გაიფიქრა — ამის ჩამოხსნაც შეიძლება, კედელზე შეჩჩენილი გობელენის ჩრდილის ჩამოხსნა და გაყიდვა...

ბოლოს და ბოლოს რა მოხდა ისეთი — შეტმახა თავს ბორენამ, — როტმისტრი ბუჭყიანიშვილი იქნება არც არსებობდა, იქნებ ისიც გობელენის ჩრდილი-ღა თაა... ამ ბიჭს კი ჭირდება დაბანა, ჭამა, სწავლა (ბუჩუკურს დღემდე ედგა პირში იმ ჩაის გემო, შაქრის სიტკბო, ახსოვდა იმ პურის ყუთი).

ღამით, იწვნენ ტანტე ბორენა და ყმაწვილი, მთვარით განათებულ კედელს შეაქეროდნენ; ერთნაირი ფიქრები ქონდათ მოხუც ქალბატონსა და ყმაწვილს, ერთნაირი ზმანებები — შორეულ ქვეყნებს ხედავდნენ, შორეულ „ფორთოხალიას"; გახელებული ცხენების ფლოქვთა თქარათქური ესმოდათ; დიდი კარეს შუა იდგა როტმისტრი ბუჭყიანიშვილი და ჩიბუხს აბოლებდა; დროშად გაშლილი გობელენი ფრიალებდა კვამლსა და მტვერში...

ზამოფარფატდა ბორენა, თაროდან პოტოს წიგნი გადმოიღო — ძმებ ბუჩკევებზე დაწერილი წიგნი — შაგრენის ტყავში ჩასმული, გერმანიდ დამშვენებული და სასთუმალთან დაიდო. არც გადადუმლია, იგი ისედაც ნათლად ხედავდა თითაგზის ნანახ მათ სახეებს: ძმების დაბალ შუბლებს, დიდ ცხვირებსა და შეუპოვარ ნოკუს წარბთა შესაყართან; ფართო მხრებზე ეპოლეტები — უზარმაზარი ვერცხლის ობობები ასხდნენ მხრებზე.

დაიდო წიგნი თავითან და ლოგინიდან ალარც ამდგარა ტანტე ბორენა.

●

ოთახის კუთხეში, გათბობის მილსა და კარნიზს შორის ობობა ქსელს აბამდა.

ჯერ რადიალური სხივები გაქონდა. ფოლადის უწვრილესი სიმივით მოლაპლაპე ძაფებს უხლაავ ბორცევებზე ამაგრებდა; მერე იწყებდა თვალმიუტანტრიალს, ვარედან ცენტრისკენ მიემარ-

ოტია კაპანაძე
გობელენი

თებოდა და ახლა პარალელურ ხაზებს გადაეაქსოდა ფაქიზ არმატურას.

თავგანწირული წრიალებდა ობობა. ქსოდა და ქსოდა... იყო რაღაც ქაოტური ამ წრიალში, ოღონდ ნაქსოვის ხაზი არ ირღვეოდა, ჯიუტად უახლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მეტყველების სტილი და კანონი; ეს ბუზუკურის ფონეტიკური ქვეყანაა, სადაც მეუფეს ის სხვაობა, რაც დავითის სიტყვასა და ბუზუკურის სიტყვას შორისაა... იქნებ მხოლოდ ერთი ბგერა' და მაინც სულ სხვა. დავითს არ ესმის, არ სურს გაიგონოს; ეს სიტყვა შეურაცხყოფს მის სმენას, მის პრინციპებს...

ჰე, ჯერ რა იცის ბუზუკურმა, მოვლენ სხვები და უკვე მას დაჭირდება თარჯიმანი მათთან სასაუბროდ.

ბ უ ზ უ კ უ რ ი — არ არსებობდა არავითარი სახიობა... მან ხელის ერთი მოსმით ჩამოიცილა ზმანება, რადგან დრო სხვას მოითხოვდა; დროს საოცარი ენერგია და განახლების ძალა შესწევდა, თუმცა ჯერ არ გაიჩნდა მეტაფორა და სიმბოლო... მასსა და მისთანებს უნდა მოეძია დროის მეტაფორა... მაშინ ყველაფერს თავიდან იწყებდნენ და არ არსებობდა ფორმა; იგი უარყოფილი, უკუგდებული იყო; უფრო სწორად, ჯერ არ იყო მოპოვებული, რადგან ფორმა გამეორებაა, მათ კი არაფრის გამეორება არ სურდათ.

მათგან მოითხოვდნენ „დიდ მოცულობებს", მოითხოვდნენ ეპოსს; ეპოსი სახელმწიფოებრივი საქმე იყო, ისევე, როგორც ვეება მშენებლობები, თვალმიუტანი კაშხალები; როგორც ხორბალი და კარტოფილი...

და მან იპოვა, რასაც ეძებდა. ერთ-ერთმა პირველთაგანმა იპოვა; მან იგრძნო, როგორ შეიძლება ერთიანად გარდაიქმნე, დაჩაგრული და დთრგუნვილი ერთ მშვენიერ დღეს გადაიქცე ძლევამოსილ, ამაყ არსებად.. მან იპოვა თავისი მეტაფორა და შემდეგ იმდენგზის გაიმეორა იგი, ისეთი ერთგული სიჯიუტით ჩაეჭიდა, რომ ვერც შენიშნა — ტროპს შეუძლია კონსერვატორი გახდეს.

მე მესმის მისი ენა, მას კი აღარ ესმის ჩემი, არც სურს გაიგოს... მისი პურიზმი მისივ თავშესაფარია.

* * *

სასტუმრო ოთახში საათმა ჩამოიტანა: ქეჩის ჩაქუჩები ხმას ურბილებდნენ... მერე დაიწყო: ჯერ ჰოლში ეკდლის საათი აყვა, მერე სხვადასხვა ფორმის ანკერებმა მისცეს ხმა (კარადის თავზე, ბუხრის თაროდან, მოლბერის მაგიდაზე)... მთელი სახლი აწკრიალდა, ერთი გაბმული, გამჭვირვალე ბგერა ხმიანობდა და ისე გამხიარულდა სახლი, ბუზუკურს მოეჩვენა — გობელენის ხიდს გადმოვიდნენ ბანოვანები, დარბაზში შემოდგეს ფეხი.

* * *

დ ა ვ ი თ ი — მე მეშინია უწესრიგობის, უწესო ფრაზის... ვერასოდეს ვხვდებოდი, რატომ იყო გრამატიკულად მცდარი ფორმა მშვენიერი ზოგ პოეტთან; გაგებმან ამის მიხვედრის უნარი არ მომანიჭა. მცდარი ფორმა მცდარი ფორმაა, მეტი არაფერი. არ მახსოვს ვინ მითხრა — სტილისტებს არა აქვთო საკუთარი სტილი. მითხრა ალბათ იმის გამო, სტილისტად მიმიჩნია.

მე ორი სიტყვიდან ყოველთვის მოკლეს ვირჩევდი და აქ მართალი ვიყავ, რადგან მოკლე სიტყვა გრაფიკულად უფრო სრულყოფილი, მეტყველების მხრივ უფრო ზუსტი და მკაცრი მეჩვენებოდა.

მე მივაღწიე სრულქმნილებას, ყოველი ამოვწურე, დავძლიე შიში და ავმაღლდი; ოღონდ ყოველთვის ვიცოდი, თუ ერთხელ მაინც არ გავეჯიბრებოდი განგებას, ჯერ არ ვიყავი ადამიანი და ხელოვანი... ველოდი ამ დღეს, ველოდი დიდხანს და თანდათან დამიჩლუნგდა, მიმავიწყდა გაჯიბრების ყინი.

ყოველთვის კარგად მესმოდა რისთვის ვწერდი, რას ვწერდი და რა შინაგანი ძალა მაიძულებდა მეწერა. იმდენად კარგად, რომ სადაც სამართალია, წერისთვის თავი უნდა მიმენებებია... იგი არ მეძლეოდა თავისთავად, ბუნე-

ოტია პაპაკორია
გოგიძლური

ბრივად, ყოვლის მომცველად... მე გწვალობდი, ვძალობდი, ვიქანცებოდი.

და იქნებ ერთიღა დამრჩენოდა, უნაკლოდ მეწერა ჩემს ენაზე. ეს იყო ჩემი მოვალეობა და ერთადერთი სიხარული, წერით მოგვრილი მოწყენილობას რომ მილამაზებდა.

ბუჩუკური — აკვირდებოდა ამ კაცს (ფერფლისფერი თმები დაგეკარცხნა, ყელზე ადამის ვაშლი ვამბურცოდა, თავისთვის, დამოუკიდებლად ცხოვრობდა ყოყვი, ფეთქავდა, მოძრაობდა, ღელავდა), აკვირდებოდა და ფიქრობდა:

„რა თქმა უნდა იგი მართალია, როცა მოკლე სიტყვას ირჩევს. ოღონდ ავიწყდება— სიტყვა იოლად გარდაიქმნება სიგნალად, ფრაზა — ფორმულად; დაძაბუნებული აზრის ადგილს ასეთი სიტყვა-სიგნალი იკავებს.

მასში არაფერია მოულოდნელი, მე ვიცნობ მის შემოქმედებას (ამ სიტყვამაც იცვალა იერი, ირონიული გახდა), ვიცი, როგორ წვალობდა წერისას, ეშინოდა სიტყვის, ფრაზის; პირდაპირ ცახცახებდა და უმოწყალოდ აწვალებდა ფრაზას, მანამ, სანამ შიშს არ დაიშიშშინებდა... მერე შიშთან ჭიდილი სტილად გადააქცია, ისწავლა მისი დამორჩილება, აამაღლა იგი — დაემსგავსა მარშალ ტიტარენს. ბრძოლის წინ რომ თრთოდა და შიშის დათრგუნვით გმირი გახდა.

ეს კაციც გმირი გახადა სიტყვის წინაშე კანკალმა... მართალია დაკარგა სიხარული, დაკარგა სიტყვა პირველი... ხანაცვლად მოიპოვა სიტყვა — მყაცრი, გრანიტისგან გამოკვეთილი, სწორად დაწერილი, უშეცდომოდ დასტამბული და ქვემეკრძომული მოწიწებით ემსახურება მის ხელშეუხებ, უსიცოცხლო კანონიერებას.

თუ იცის, რომ სტილისტებს არ გაანჩიათ საკუთარი სტილი.

მისი ფიქრი და ნიჭი ყოველთვის სხვისგან მოითხოვებულ ყალიბში ნაყოფიერდებოდა, იქ მწიფდებოდა ნაყოფი, იქვე იშვებოდა და ენიჭებოდა სიცოცხლე.

არავინ იცის მისი შიშის ამბავი, ისე ოსტატურად და გულმოდგინედ მალავს. მე კი ვიცი, ყველაფერს ვხვდები ჩემივ ურწმუნების წყალობით“.

* * *

იქნებ აიღოს ცოცხი და სახლის დალაგებას მიჰყოს ხელი?.. ჩამოფლითოს კუთხეში მკრთალად მოციაფე ქსელი, დაფერთხოს ფარდაგები...

დავითს ხელები დაუმძიმდა, ჩაქინდრა თავი, ქვეშქვეშ გახედა ბუჩუკურს. გამშრალ, დახეთქილ ტუჩებზე ენა მოისვა, წყუროდა. წამოდგა, შემოუარა მაგიდას, მივიდა ბუჩუკურთან, მხარზე დაადო ხელი:

— იქნებ შენს სიჯანსაღეს ჭირდება ჩემი დაკნინება, შენს ამაღლებას უნდა ჩემი სისუსტის დასტური... ჩემი ცხოვრების მაგალითით გსურს ყველა ხიფათის აცდენა.

ჩაახველა, ჩაიწმინდა ხრიწინი და სუნთქვა გაეხსნა:

— ოღონდ, იქნება კი ასე სამართლიანი. ყველა კარი ღია, ყველა კუნჭული განათებული... ამ სახლიდან სამეუფამოდ განიდევნა იდუმალი და მარადი სული.

ეჰა, რა იცი შენ, ამბიონზე ცხენდაცხენ აჭრას რომ ლამობ.— ხმას იმალლებდა დავითი, სალოსივით იქნევდა ხელებს, მერე უცაბ ამურჩულდა:

— ბუჩუკურო, ცხოვრობდა აქ ქალი და მისით იყო სავსე ყოველი. მას მოვუტანე შენი გობელენი... მისთვის ვეძებდი. და რაა ტკივილი შენგან მოყენებული, იმ ტკივილთან შედარებით.

●

ელენეს თითქოს უხილავი გარსი ერტყა; დავითი ყოველთვის გრძნობდა, როგორ შედიოდა ამ სხივმფინარ გარსში, მკრთალად მოციმციმე სიღრმისაკენ რომ ეზიდებოდა. მარად თანხდებედა ეს ხითბო და ქალის სხეული

ისე იყდა ამ მთრთოლვარე, აიროვან გარსაცმელში, როგორც საფირონი ბუდეში.

...და მას არასოდეს ტოვებდა სიახლის განცდა; ყოველ შეხვედრისას, ყოველ მიახლებისას გრძნობდა ქალის ირგვლივ გავრცელებულ სითბოს მომხიბვლელ და აღმგზნებ ზემოქმედებას. და ჯეროდა — ვიდრე ეს განცდა ასე ცხოველად ეწვეოდა, მანამ არ დაშრიტებოდა მისი ენება; ასე ეგონა, რადგან მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და ყოველთვის ცდილობდა ამ გასხივოსნებულ გარემოცვაში მოხვედრას — მჭიქაღი ბაკმის ენერგიით საზრდოობდა მისი მუდამ დაძაბული, უარმყოფელი არსი.

დავითმა პირველსავე შეხვედრისას განიცადა ამ შინაგანი სხივის ზემოქმედება; პირველსავე შეხვედრისას, ჯერ კიდევ მაშინ — „ქიმერიონში“.

* * *

„ქიმერიონი“... „როტონდა“, „მულენ რუჟი“... ქართველი პოეტების ოცნება და მიბაძვის ნიჭი. რუსთაველის თეატრის სარდაფი, მოხატული სუდეიკინის, ეალიშვილის, კაკაბაძის, გუდიაშვილის მიერ. ჩინებული სამზარეულო (რაც არც ისე უმნიშვნელო რამ გახლდათ სანკტ-პეტერბურგიდან თუ მოსკოვიდან გადმოხვეწილი კაბარეს მეპატრონე და ნაციდი ბარმენი მაჩაბელი ახლა აქ შლიდა ფრთებს).

რუმინელების ორკესტრი უკრავდა „ქიმერიონში“... დაუვიწყარი ჟან გულესკუ განუყრელი ვიოლინოთი... ზეთისხილიანი მოგრძო, მძიმე, პრიალა და ზარხოში თვალები ნიადაგ აღტაცებით უცქიმციმებდა ჟან გულესკუს; დაძრწოდა მაგიდებს შორის. და უხვად აფრქვევდა თეთრ ღიმილს.

„ქიმერიონი“ დავითისთვის უცხო ქვეყანა იყო, იგი კუთხეში მიჯდა და იქიდან უთვალთვალებდა ხალხს, რომელთა გამოცალკევებით აღქმას მოხატული კედლები უშლიდა.

დავითმა პირველად ვერც კი შენიშნა „ქიმერიონის“ ფრესკები, ეგონა ხანგრძლივ ბანაობიდან ზეგმოდ გაჩინოდნებულ ბანაკებულ ლში შერგო თავი. თვალი მოკრა ტროპიკულ ფერთა კრთომამ.

პირდაპირ, დიდ კედელზე ქედმოდრეკილი ჯაბუკი ეტრატს უწვდიდა ქალწულს. ფონად ისე ნაცნობი, ახლობელი, და ოდნავ მივიწყებული ბეიზაკი ქონდა — ტრაპეციებით დასერილი და გეომეტრიულად განლაგებული — რომ გელი შეუფრთხიალდა.

...კიდევ, კინტო შენიშნა — ელამი, მუცელწამოგდებული, წელგადრეკილი „სტეპკო“ (იყო მის პლასტიკაში ბორეული მსგავსება მიქელანჯელოს დიონისესთან).

ჩრდილოეთის კედელზე ჩაძირული ხომალდი ეხატა, გადამსხვრეული ანძა ზღვის ფსკერზე, თევზები, ზანტი რვაფეხა... კიდევ, ხე ცნობადისა, პიეროტიციანი, კოლომბინა...

და ამ უცნაური კომპოზიციების, ფრესკების, ბოშური მუსიკის წყალობით ყოველი არარეალური იყო.

...კიბის თავს ქალიშვილი მოადგა. მაღალი, ქერათმიანი. ტოლსტოველთა ხალათის მსგავსი კოფთა ეცვა, ქვედაწელზე გადმოფენილი (ასეთი მოდა იყო), კაბა „პლისე“ მუხლისთავებს ძლივს უფარავდა, ყელზე დიდი ბაბთა ებნია; მშვიდი იყო, აუღელვებელი... ახედა სუდეიკინის ფრესკას: პაოლო, კიდევ ვიღაც, ქართლის ერისთავთ-ერისთავებივით (პაოლო დარბაზშიც იდგა, გრძელ სუფრის თავში იდგა პაოლო და გრძელი მკლავები გაეშალა).

მერე დარბაზში ჩამოვიდა ქალიშვილი, დავითის მაგიდასთან შეჩერდა. რაღაც არაბუნებრივი მოეჩვენა დავითს მის თვალებში. იმის გამო თუ მოეჩვენა, ლუჩრ ბაიას ერთიანად ამოეკესა თვალის ჩრილი და სადაფი არ მოუჩანდა. იგი თითქოს პირდაპირ არც

ოგნია კაჭკორავა
გოგოლელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცქირებოდა, ყოველი მხრიდან მოდიოდა ამ თვალთა სხივი... და მაშინ პირველად იგრძნო დავითმა, როგორ შეეხო შუბლზე ოდუმალი და თბილი სიო.

დავითი წამოდგა, მაღალი იყო, თხემით კინაღამ ჭერს შეწვდა. ქალიშვილმა ღიმილით ახედა აწოწილ, უხერხულად აბორგებულ ჭაბუკს და მიმართა:

— შეიძლება თქვენს მაგიდასთან ჩამოვჯდე?

დავითი ჯერ დაიბნა, პასუხად რაღაც ჩაილუღღუღა და სკამი მიუჩოჩა. ქალიშვილი ჩამოჯდა ნახევრად შეტრიალდა და პაოლოს სუფრას დაუწყო თვალიერება.

... დრომ ბევრი წაშალა.

დავითს ადარ ახსოვს დაელაპარაკა თუ არა ქალიშვილს, ან რა მოხდა შემდეგ... თუმცა ბევრი რამ ისეთი სიცხადით დაამახსოვრდა, თითქოს ახლა, ამ წუთში ხდებოდეს („ოღონდ რაც მახსოვს, იმას არა აქვს სიუჟეტი — უთხრა ბუჩუკურს — ის უფრო სიმღერაა, ვიდრე ამბავი").

იდგა სუფრის თავში პაოლო; კიდევ იცნობდა ვიღაც-ვიღაცეებს: კაფანდარა, მოხდენილ პროზიკოსს (დიდი მწერლის შვილს); კიდევ პოეტს, კეხჩამტვრეული ცხვირითა და სავსე, ვნებიანი ტუჩებით; ტიციანის მძიმე, დაღლილი სახეც ახსოვდა („თუმცა, ქონდა კი ტიციანს მაშინ ასეთი სახე, თუ შემდეგ, გვიან დაემსგავსა რომის ერთ იმპერატორს" — დაეჭვდა დავითი). კიდევ ვინ... შესაძლოა გერონტი („შესაძლოა, რადგან იჯდა იქ ერთი ე

(„რაღაცას ვნანობდი, დავიძაბე. თითქოს ამ ტკბილმოუბარ, მახვილგონიერ კაცებს შეეძლოთ წაერთმიათ ის, რაც ჯერ კიდევ არ მეკუთვნოდა და მაინც, ჩემი საკუთრება იყო“).

ხელგაშლილად მასპინძლობდა „ქიმერიონი“, მოგვი და სასწაულმოქმედი გახლდათ მაჩაბელი.

იგი შინაგანი სიამაყითა და ღირსებით აღვსილი მოუძღოდა მსახურთა რაზმებს და გრძნეული კვერთხის ოდნავი შერხევით განაგებდა ამ სასწაულქმედებას.

სტუმრების წინ ერთმანეთს ცვლიდა უცხო კერძების რიგი („შედევრალურია“ — ვერ მალავდა აღტაცებას კეხჩამტვრეული პოეტი) და ისე ეტმასნებოდა მათ წამონთებულ სახეებს ოხშივარი, როგორც საკმევლის კვამლი ძველ ხატებს.

გადაბუგულ ტრამალებს თავდაწეულმა, დენიკინის კონტრდაზვერვას გადარჩენილმა სტუმარმა ვერ დაინახა, რა იდგა ამ მასპინძლობის მიღმა; ვერ შენიშნა გუდამშიერი, მაგრამ გულუხვი პოეტების მასპინძლობის მრავალსუკუნოვანი ფესვი; მისტერიად გადაქცეული არტისტიზმი და პირველქმნილი სიწრფელე.

იგი გააღიზიანა ხმაურიანმა, ბრჭყვიალა სტუმართმოყვარეობამ, მეინახეთა ენამზეობამ, ძველმოდური ქათინაურების ორმაგობამ... რადგან მისი თავშეკავებული, ძუნწი შინაგანი კულტურა და პურიტანული ნამყო ვერ იგუებდა მასპინძელთა მგზნებარე დარდიმანდობას; რადგან გულმოდგინედ მალავდნენ მასპინძლები თავიანთ სიღარიბესა და უსახსრობას.

ვვიან მიხვდა ამას დავითი; როცა ბედმა მენდელმონტს არაერთგზის შეჰყარა და მისგან დაწერილ ტტრიქონებში შეფარული ინტელექტუალური ქედმაღლობა, მიჩქმალული გაღიზიანება ამოიკითხა.

ეს შემდეგ მოხდა და ეს იყო უსამართლობა.

იმ დღეს კი დავითი უფიქრო იყო, უცთუნებელი და მორჩილი.

ძმაბიჭურად უტყაუნებდა ხელს ბეჭებზე კაფანდარა, მოხდენილი პროზაიკოსი, ვიდაც იქედნურად ქირქილებდა, ისმოდა დახვეწილი, გიმნაზიტური რუსული.

„აქ რისთვის მოსულხარ, მძვინვარე ვასილისკო“, — კვნესოდა ჟან გულესკუს ვიოლინო, უტრიალებდა „ძაფტრო“ ქალიშვილს, ტყავიდან ძვრებოდა, გულიანად ხარხარებდა პროზაიკოსი („და გუბდებოდა ჩემს სულში აუხსნელი, უსაგნო წინააღმდეგობა და მტრობა“).

ტიციანი დუმდა, ტიციანმა რაღაც იცოდა სხვაზე მეტი და მნიშვნელოვანი, იგი წინასწარგანჭვრეტის ნიჭით დაეჯილდოვებინა განგებას და სუსტი თრთოლვა უტალღავდა სახეს.

ყოველს კი პაოლოს ნება განაგებდა, შნოსა და ლაზათს მატებდა მისი შუშხუნა მომხიბვლელობა (პაოლო ფრესკაზე და პაოლო დარბაზში).

ელამ თვალებს წკურავდა კინტოდიონისუნ და ბამბუკის ნავებს გავდა სუფრაზე დაყრილი შოთი პურები.

თავჩაქინდრული იჯდა ელენე, ზოგჯერ გააპარებდა მზერას დავითისაკენ.

„უცნაურია მეხსიერებანო“... კიბის თავზე იდგნენ მენდელმონტი და ის ულამაზო ქალი. ქალს ხელში თაიგული ეჭირა, ვარდის ფურცლები ცვიოდა წითელ მარმარილოზე. არ ახსოვს დავითს, ვინ მიართვა თაიგული, ან სადერთოდ ვინ იყო ქალი (ერთგული თანამგზავრი — ასე ერქვა პოეტების მეგობარ ქალებს); მენდელმონტის ძველთაძველი, უთვისტომობით ჩაღიმებული გამოხედვა და ფურცელთა ცვენა კი ახსოვს. კიდევ, ქალის თასმით გაბლანდული მაღალყელიანი წაღები და ირგვლივ მიმოფანტული ჩაის ვარდის ფურცლები.

— წავიდეთ, ილია! — ექაჩებოდა

ოტია კაპანაძე
ბოგელანი

ქალი მენდელმონტს — გესმის, წაიდეთ!

მენდელმონტს წასვლა ეწადა და ვერ მიდიოდა. ეძნელებოდა ამდენი მიუსაფარი ღამის, მშიერი დღის, შემაძრწუნებელი შეხვედრების შემდეგ განათებული, ფერადოვანი, უხვი „ქიმერიონის“ მიტოვება. მართალია მერე სხვა თვალით შეხედავდა ყველაფერ ამას მენდელმონტი, ვერ ეტყოდა უარს უარყოფასა და უმადურებას. ოღონდ, ეს მერე... ახლა კი იდგა კიბის თავზე და ჯიუტად იმეორებდა აკვიატებულ სიტყვას: ოჯალეში, ოჯალეში...

— წავიდეთ, ილუშა! — ეხვეწებოდა ქალი, ყურს უკან გამოჩრილ ბუწუწებს ნერვიულად ისწორებდა (მოულოდნელი გრაციითაც კი).

— ოჯალეში... — იმეორებდა მენდელმონტი. ეტყობა სიტყვის ფონეტიკური სიუცხოვე მოსწონდა; მოსწონდა უცნობ ფონეტიკურ სახელმწიფოში ფეხის შედგმა, ფსკერდაკარგულ თვალებში კი ტანჯვა ეხატა.

მერე ფრესკის მიღმა გაუჩინარდნენ მენდელმონტი და ქალი.

მერე მიაბიჯებდა პროსპექტზე დაკითი და შარვლის ფართხუნა ტოტებით მიხვეტავდა ქუჩას.

მთვრალი იყო, როგორც არასოდეს. ოღონდ ისე მსუბუქი და ლაღი, მოხდენილი და დარდიმანდი, ისეთი ნატიფი და მოზეიმე სულის მფლობელი, როგორც არც მანამ და არც მერე,... არასოდეს.

* * *

ყოველთვის ახლდა დაკითს ამ სიმბოს შეგრძნება.

ზოგჯერ, იშვიათად, ათასში ერთხელ, როცა აჯანყდებოდა (ანუ გაიხსენებდა, რომ მამაკაცია, უფალი თავისა და შეუძლია სიათაც მოესურვება, იქით გასწიოს), როცა თვითვე განდევნილა თავს და მოიგლიდა ქვეყნის იმ ნაწილს, თავისად რომ ეგულებოდა და თავისთვის სურდა, ისე დაიცლებოდა და დაიწურებოდა მაცოცხლებელი სინოტივისაგან, ისე გამოიფიტებოდა და დაუძლურდებოდა, რომ სასწრაფოდ მიაშურებდა ძველ ნავსაყუდელს, უბრუნდებოდა იმ გარემოცვას, ასე რომ ჭირდებოდა ყოველთვის და განშორებისას განსაკუთრებით გრძნობდა ამას...

ელენე უსიტყვოდ, ოდნავი ირონიით მიიღებდა; მართალია დეკეულს არ დაუკლავდა, მაგრამ არც აყვედრიდა არაფერს; მართალია საჭურველს არ აყრიდა, არც ნელსაცხებლით დაუზელდა დამაშვრალ მხარმკლავს და არც ამბროზიით გაუმასპინძლდებოდა, მაგრამ არც შეკითხვებით, ცრემლითა და ვაი-ვაშით აბეზრებდა თავს...

იყო ამ ქალში ის შინაგანი სიამაყე და ის საიდუმლო, დავითისთვის ყოველთვის რომ გამოუცნობი რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ისევ და ისევ სიახლედ განიცდიდა ამ ქალის სილამაზისა და სითბოს ზემოქმედებას, მის სიახლოვეს ჰპოვებდა სიმშვიდესა და აღორძინებას, მაინც აკრთობდა ქვეცნობიერად მისი დუმილი და ეშინოდა იმ დღის, ქალი რომ ენას ამოიდგამდა... ის გარსიც, უხილავი გარსაცმელი, ასე მიმზიდველი და სასურველი, ზოგჯერ თეჯირივით ჩადგებოდა მათ შორის; ყოველთვის რჩებოდა გზა, გასაველი მისი ჭეშმარიტი არსის მისაკვლევად...

●

ბუჩუკურს სიყვარული მეშვიდე კლასში ეწვია — ძლიერი, ამაღელვებელი, ნერვებისმომშლელი; ეჭვიანი დესპოტი აღმოჩნდა ბუჩუკური... წვალობდა და ტანტე ბორეხასაც აწვალებდა. ვერ მიეხვედრიაო მოხუცი, რა წაეკიდა ბიჭს, რატომ იკვნეტდა თითებს და უშმერიდებოდა თვალი. მერე ჩუმად, კუთხეში შეყუჟული წერდა ბუჩუკური პოემას, ჰეგზამეტრით გაწყობილ ალექსანდრიულ ლექსს ოქროსმთიან ქალწულზე, რაყიფზე, ორთაბრძოლაზე... დაიტერდა გოგონას დიდ შესვენებაზე და უკითხავდა პოე-

მას; უცებ შენიშნა, თვალი უელამდებოდა გოგოს ყურისგდებისას... გაექცეოდა ბუჩუკურს, ამხანაგების გუნდში შეიყუჟებოდა; სკოლიდან კი კარის მეზობელს, წესიერ, ზრდილსა და გაკრიალებულ ბიჭს გაყვებოდა.

ეშინოდა გოგონას ბუჩუკურის, ეშინოდა ჩამომხმარი, შუდამ მოძრავი, თმაგაფშეკილი ბიჭის და უფრო ედებოდა სახმილი ბიჭს ეჭვით გასიებულ გულზე... თავგამოდებით იკვნეტდა ფრჩხილებს, ოღარ ცილდებოდა თავის კუთხეს და ტანტე ბორენას გულის გასახეთქად, ხმამაღლა ელაპარაკებოდა საკუთარ თავს.

ტანტე ბორენას კარგად ახსოვს, ძლივს გადაჩვიეს ბიჭი სარკის წინ თამაშს; გამოათრევდა კარადიდან ბუჩუკური ძველ კიმონოს, შეიმოსებოდა, თავს პირსახოცით წაიკრავდა და თამაშობდა სარკის წინ... ძველი, მაღალი სარკე ქონდათ ბუკეიაშვილებს, თავზე წამოსაკუბებული ამერითია და ვაზის რტოებით დამშვენებული — ბევრის ბომსწრე, მრავალსმხილველი სარკე — მის წინ ირთვებოდა ბორენა პირველი ზიარების მისაღებად, ამ სარკის წინ იცვამდა საქორწინო კაბას და ირგებდა ქათიბს... ამ სარკესთან იდგა ახალგაზრდა, ლამაზი ქვრივი და აკვირდებოდა მუქლურჯ არშიებს თვალთა ირგვლივ; ეს სარკე იყო მისი ჭკნობის უტყვი მოწმე, მაგრამ ასეთს არაფერს მოსწრებოდა ძველი სარკე... დახტოდა მის წინ პატარა ბიჭი კალიასავით, მონოლოგებს კითხულობდა ურჩხულიან კიმონოში გამოწყობილი სინდბადი, ფარიკაობდა, იბრძოდა, ლოცულობდა... ისე აღიქვამდა საკუთარ გამოსახულებას, როგორც ვიღაც სხვას, მეორეს, ამხანაგსა და რაყიფს... ძლივს გადაჩვია ბიჭი ბორენამ სარკესთან მანჭვას... ახლა წამოიზარდა და თავისთავს ელაპარაკება ბუჩუკური. შეყვარებულია, — მიხვდა ტანტე ბორენა და კინაღამ შეხტა დარბაისელი მანდილოსანი — შეყვარებულია ეს ოხერი, ესა... დაუამდა გული, დამშვიდდა, ცბიერად აუღუღუნდა დასალოცავად, ბოლოს, მოეფერა ბიჭს და უფრო დაფრთხო.

ვაჟაცურად ებრძოდა ბუჩუკური ეჭვსა და ტკივილს... ბოლოს ისე „დაეცა“, რომ კონცერტზეც კი წავიდა, მუსიკალური სასწავლებლის აღსაზრდელთა კონცერტზე, სადაც ის წესიერი და კრიალა ყმაწვილი უკრავდა.

ბიჭი მისი თანაკლასელი იყო, პირველი ჯგუფიდან ერთად სწავლობდნენ, მაგრამ ბუჩუკურმა მაინც ვერ იცნო უცებ იგი.

ბიჭს შთაგონებული სახე ქონდა, დიდი თავი ამაყად აეწია და გრძელი თმა მხრებზე ეფინებოდა... ვიწრო ბეჭებს კიდევ უფრო უვიწროებდა შავი ველვეტის კურტაკი... მოყვე სახელოდან გამოჩრილი გრძელი, ნერვიული ხელის მტევნები მამაკაცისას მიუგავდა. მათ უკვე დაემთავრებინათ ზრდა, დასრულებული ფორმა მიეღო — ეს იყო პიანისტის ხელები, მეტყველი, მთრთოლვარე, თითის ბოლოებზე კარგად განვითარებული ბალიშებით, ბითები პატარა კომბლებს უგავდა.

ბუჩუკური თითქოს პირველად ხედავდა მას. ბიჭი „საყმაწვილო სონატას“ უკრავდა.

მუსიკით აივსო მცირე დარბაზი და ბუჩუკურიც ნელა, ჯიუტად დაიმორჩილა მუსიკამ. ოღონდ მას მელოდია კი არ ესმოდა, იგი ხედავდა... ხედავდა, როგორც შეიღლება დაინახო ვიწრო სვეტებზე დაყრდნობილი თაღი, ღიობში გამოჩენილი ვრცელი ველი, ბავშვებით სავსე ველი.

საოცარი იყო, მას არასოდეს უგვრძნია ასეთი რამ; არასოდეს ქონია უსხეულოსა და არარსებულთან ასეთი ცხადი ფიზიკური შეხების განცდა, არასოდეს დაუფლებია ასე სევდიანი და ნათელი მორჩილება, და ბუჩუკურს შეუყვარდა ყველა, მთელი დარბაზი, თვით ეს დიდთავა და გრძელხელება

ოდია კაპანაძე
გიგალენი

ბიჯი... მას აღარ შეეძლო ამ უჩვეულო გაწყობილების დარღვევა, დამთბობა და მოყვანი გახდა... დარბაზი კი სიზმარს გავდა — ჭაღებით გასხივოსნებული დარბაზი — და უცნაური ის იყო, რომ ამ სიზმარში დუმილი გამეფებულიყო, ისეთი სრული დუმილი, რომ მას დაჩოქება მოუნდა ამ შორეული, უჩვეულო დუმილისა და იმ ბგერების, მის გარეშე, მისი სმენის მიღმა რომ იბადებოდნენ, ერთად თავმოყრა დანახვა და დამახსოვრება...

ტაშის ხმამ გამოაფხიზლა და გული დაწყდა, ისე უცებ გამოეთიშა განუცდელ სამყაროს.

ახედა სცენაზე ბიჭს და მერე რაც იხილა, უკვე ყოველივეს აღმატებოდა. გოგონამ თაიგული მიართვა „ვიასტროს“, პირველი რიგის კუთხეში რამპას მიადგა და აღტაცებული ხედვა აღაპყრო... ისეთი მორჩილი ერთგულება ამოიკითხა მის თვალებში ბუჩუკურმა, რომ ეს უკვე არსად არ ეწერა, თვით ტანტე ბორენას ეთიკურ კოდექსშიც კი.

ბუჩუკურის მოთმინების ფიალა პირთამდე ავიცსო... წვეთ-წვეთად დაიწყო გადმოყოლვა ტკივილმა და სევდამ.

ბუჩუკურმა თავის მოკვლა გადაწყვიტა.

მთელი ღამე იბორგა, ყველაფერი წარმოიდგინა... ცოტა ტანტე ბორენა შეებრალა, მაგრამ უკან დახევა არ შეეძლო. გოგონა ახლა მის საფლავზე მოიტანდა თაიგულს, სამარის კართან დაუწყობდა, ჰატიებას სთხოვდა (ასეთი დრამატული სურათებით აიცსო ბუჩუკურის წარმოსახვა). იგი ტკბებოდა შურისგებით, ძვირად რომ უჯდებოდა. მაგრამ რა იყო მისთვის სიცოცხლე, არაფერი. მის ძარღვებში სანახევროდ ხომ მაინც ჩქეფდა ბუჭყიაშვილების სისხლი და ჯაბნიდა ბუჩუკურებისას; ბუჭყიაშვილებს კი ყოველთვის ფეხებზე ეკიდათ მოკვდებოდნენ თუ დარჩებოდნენ, მოიუმეტეს თუ შეურაცხყოფილად შერაცხდნენ თავს.

ბუჩუკურმა პირად შეურაცხყოფად მიიღო ის თაიგული, მის რაყიფს ბალეხით გამოტენილ დარბაზში რომ ჭაღებივეს და რაღად უნდოდა თავი ცოცხალი. ასეთი ბედი ქონია ბუჩუკურს, ასე უნდა დაღუპულიყო სარკის წინ მოთამაშე რაინდი.

გამოსათხოვარი ბარათი დაწერა, მოკლე, მისი შესაფერი. ჯიუტი და დაუხვეწავი, ორთოგრაფიული სასწაულებით სავსე... გაკვეთილების ბოლოს გოგონას წამოეწია და ჯიბეში ჩაუჩურთა. მოიჭრა უკან დასახვევი გზა და დამშვიდდა.

შემდეგ...

(დავითმა დაცინვით მოჭუტა თვალი — რა მოხდა შემდეგ? იქნებ მეშლება და აღარაფერი მესმის შმაგი რაყიფისა).

... მადიანად ვახშმობდა ბუჩუკური, კაკუნი რომ შემოესმა, გაალო კარი, კარიდან დაცემულ სინათლის გუბეში ორი სიფრიფანა გოგო იდგა.

— რა გინდათ? — კითხა ბუჩუკურმა და უცებ დაუღეჭავი ლუკმა ყელზე დადგა, ხმა ვერ ამოიღო, აიცმაცუნა ტუჩები.

გოგონა ძმიმედ, შიგნიდან, ფენაფენა წითლდებოდა, მერე ერთიანად წამოენთო.

ცოცხალი ხარ? — კითხა ახლა თანმხლებმა, კითხა ისე, გრძელი და ბარგით ჩახერგილი აივანი ჩაინგრა...

ბუჩუკური უყურებდა გამჭვირვალე თითებში ჩაბღუჯულ თავის გამოსათხოვარ ბარათს; წარმოიდგინა ლუკმით პირგამოტენილი თვიც და გაოცდა; გაოცა ამ სიფრიფანა გოგოების დამჯერი გულების ამბავმა და გაბრაზდა, გადაწყვიტა გაღმა შედავებოდა, შეეტია. დაიგვიანა. კიბეზე ფხაკაფხუკით ჩარბენილი სტუმრების ყრუ სიცილი შემოესმა, და ერთხელაც დალანდა ყველრებისა და სირცხვილის ცრემლით დანამული, ცოტათი ელმი თვალები.

* * *

ხარხარებდა ბატონი დავითი. განსაკუთრებული მანერა ქონდა. ჯერ პირს

დაღებდა, მერე კარგა ხანს იჯდა ასე, პირდაღებული და ბგერის დაბადებას ელოდა. ჰაერს ამოაყოლებდა პირველ ხა-ს, და მიჯრით მიაწყობდა — ხა, ხა, ხა... უცებ მოკვეთა, ვერასგზით შეეტყობდი სახეზე, ოდესმე თუ გაეცინა ამ კაცს.

* * *

ბუჩუკური იზრდებოდა, როგორც ტყისპირას მიშვებული ბუჩქნარი. აღარ იყო ტანტე ბორენა და ბუჩუკურს დაამახსოვრდა ის დღეებიც და ბორენას თაბაშირის სახე და სათვალე... ცხედარს დიდი, შავი რქის სათვალე ეკეთა კუბოზი.

გამოასვენეს ტანტე ბორენა. ელბაქიძის დაღმართზე მისი მოწაფეები იდგნენ (მომავალი ლინგვისტები და გერმანისტები, ჰანსები და გრეტელები. ხელთ გეორგინები ეპყრათ). ვიღაცას ხმამაღლა გაეცინა, სათვალის გამო თუ გაეცინა. ბუჩუკურს არ ყურენია, საერთოდ არც უთხოვებია ყური; მხოლოდ ჩაესმა და თავი აიღო. ქუჩის კუთხეში, აფთიაქთან თანაკლასელები შენიშნა, მისვლა დააპირა, ვერ გაბედა; იცოდა — დღეს, ამ ერთ დღეს, ამ ორიოდე საათით მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული როლი ქონდა დაკისრებული, რომ ახლა მას ისინიც კი ყურადღებით ეკიდებოდნენ, ვისაც არასოდეს შეუხედია მისთვის. ტანტე ბორენამ მიანიჭა ეს გამორჩეულობა, იმ ტანტე ბორენამ, რომელიც უყვარდა თუ არა, არც კი იცოდა. უბრალოდ, იგი არსებობდა, ალერსიანი და თბილი ხელები ქონდა, ხან მკაცრი და მტკივნეული. ყოველ დროსა და მარადყამს, როცა კი ბუჩუკური სახლის კარს შეაღებდა, ტანტე ბორენა იქ იყო; მისი ყოფნა, თანდასწრება ისევე ბუნებრივი იყო, როგორც ღილა, სადამო, ღამე და უამისოდ არსებობა არ შეიძლებოდა. თუმცა ბუჩუკურმა არ იცოდა, რას ნიშნავდა „უამისოდ“... ტანტე ბორენამ გადააქცია იგი „საბრალო ბიჭად“. დღეს უთხრა ვიღაც ქალმა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა — „საბრალოვ, ობოლო ბიჭო“. ბუჩუკური შინაგანმა პროტესტმა შეაძრა, გაამოროტა. მან მოიცილა ქალის ხელი და ისეთი თვალებით ახედა, რომ გაოცებული ქალი გატრიალდა, რაღაც ჩაიღაპარაკა და გაცილდა.

ბუჩუკური შუა ქუჩაში მიაბიჯებდა. არავის უცქეროდა და ყველას ხედავდა... ხედავდა ლანდებს ტანტე ბორენას წარსულიდან. წარმოდგენა არ ქონდა ბუჩუკურს, თბილისში თუ ამდენი მოხუცი ცხოვრობდა, ამდენი ჩრჩილით დაცრეცილი მოხუცი. რომელთა მიხრა-მოხრა, საუბარი, ერთმანეთისადმი მოპყრობა განსაკუთრებული იყო. არ გავდა ბუჩუკურისათვის ჩვეულს. ისინი ისეთი თავაზითა და ისეთი სუფთა, უზადო ენით მეტყველებდნენ, ისე მოხდენილად იდრეკდნენ ქედს ერთმანეთის წინაშე, ისე გალანტურად ესალმებოდნენ მანდილოსნებს, რომ ბუჩუკური უნებური პატივისცემით იმსჭვალებოდა... რაღაცნაირი სიო მოქროდა ამ ბებრებისგან და ოდნავ შესაძჩნევი, უნაზესი სურნელი მოქონდა — სიძველისა და რღვევის სურნელი...

ისე, ზოგ მათგანს იცნობდა ბუჩუკური, იცოდა მათი გვარები — ჯამბაკური, ტუსიშვილი, ყაფლანიშვილი, სუმბათაშვილი...

ერთი გარე ბიძათაც ერგებოდა, ქვიშხელ-ყიფიანი, შედარებით „ჯელი“, ასე სამოციოდე წლის... ბუჩუკურს დაამახსოვრდა, როგორ შემოუძღვა პანაშვიდზე მეუღლეს, როგორ შეჩერდა კართან, ნახევარად შებრუნდა მაღალი, გამხდარი ქალისკენ (ტანტე ბორენას რომ ჩამოგვადა), დახარა თავი და ხელი ცხედრისაკენ გაიწოდა.

უკანასკნელად ნახა ისინი ბუჩუკურმა, უკანასკნელად იხილა მათი ყველა ღილზე შეკრული შავი სერთუკები, იდაყვთან აპრალებული, ქობაჩამოძენძილი ძველმოდური ლაბადები... მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები, ისე რომ უგავდათ ერთმანეთს — სევდიანნი, სუფთა, ბეკი თვალები, კვდომაშეპარული სხივით... უკანასკნელად მოისმინა მათი დარბაისლური საუბარი... ბუჩუკურს მერე ხშირად უფიქრია — —როგორ შეინარჩუნეს ეს ერთიანობა. მართალია ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ქონდა, მაგრამ მაინც ერთიანობა და იგი არსებობდა, როგორც სტილი — დახვეწილი, ფაქიზი, ზანტად მომდინარი, უენერგიო და მათრობელი... მათ ქონდათ სტილი, აი ამ ცას გამოკერებულ ბებრებს. ეს დაამახსოვრდა ბუჩუკურს, და კიდევ, მათი ქართული — თითქოს „ივერიის“ ძველ ნომრებს კითხულობდა, ისეთი ქართული.

დასაფლავების შემდეგ მცირე ქელეხი ქონდათ ტანტე ბორენას ოთახში.

ქვიშველ-ყიფიანი თამადობდა. „აფსუს, რა ქალი იყავ ბორენავ!“ — თქვა თამადამ. იგი ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ რასაც ამბობდა, ეს იყო თქმულება მშვენიერ ბორენაზე... ბუჩიტეთა გვარის გადაშენებას მიტიროდა ქვიშველ-ყიფიანი და იმ მოწამებრივ მსხვერპლს იხსენებდა დანანებით, ბორენამ რომ გაიღო და ბუჩუკური აღზარდა... უცნაურად ამბობდა თამადა მის გვარს (ბი-ჩი-კუ-რი), თითქოს უმძიმდა ამ მდაბიური გვარის წარმოთქმა. ისეთ ირონიასა და იქედნურს ფრთავდა ამ ბიჩიკურს, რომ ბუჩუკურს დაემუვლება მოუნდა.

ერთხანს იჯდა გარინდებული ბებრებს შორის და ლუბრა შეპარულ ჯირკვლში ჩაგდებულ მწვანე ტოტივით გრძნობდა თავს... მერე წამოდგა, ყველ-ყველ წავიდა კარისაკენ და ბიეანზე გაქცა.

ამ დღეს უარყო ბუჩუკურმა წინაპართა ძოწი და ბეერილი. უარყო იგი, რაც არასოდეს არ ეკუთვნოდა და მაინც თავისი ეგონა. რადგან მემკვიდრეობით მას უნდა რგებოდა... იქნებ იგი ბასტარდი იყო, მაშინ უფრო ეიოლება ყოვლის მიგდება. მიტოვება ყველზე მოქლოურ ლაქად შერჩენილი ბობოლენის ანაბეჭდისა; და ბუჩუკური გაყვა თავის გზას; და იზრდებოდა, როგორც მცენარე, ზრდა თავისთავად რომ მინიშა; და აღარასოდეს არ უცდია სუფრასთა დაოკება; და უფრო იოლად ამართლებდა თავის საქციელს, ვიდრე ამას ტანტე ბორენას ხელში ოდესმე შეძლებდა.

ამ დღეს კი, გაბრუებული, გაშორებული სინამდვილესა და მწუხარებას, გაშორებული თითქოს საკუთარ სხეულსაც კი, სომნამბულასავით მიყვებოდა ტანტე ბორენას სათვალეასხმელ ცხეადარს და ყველაფერს ხედავდა, იმახსოვრებდა ისეთი თვალნათლივი სიცხადით, როგორც ფირი იმახსოვრებს პეიზაჟს... და ბუჩუკური ხედავდა — რა დიდი ამბით გადაყავდა ქვიშველ-ყიფიანს ამონგრეულ ქვაფენილში ჩამდგარი წყლის გუბეზე ვინმე ჯამბაკური, მიხრწნილი ბერიკაცი... და მოეჩვენა ბუჩუკურს — წელში მოხრილი, წრეგადასული თავაზისგან სამად გაკეცილი ქვიშველ-ყიფიანი ხმადაბლა, წრიპინა კრინით ჩამდერად მოხუცს ლეღვის ფოთოლივით გადაშლილ, უზარმაზარ ყურში:

Экселенца, вашу шляпу...
Экселенца, вашу трость...

* * *

ისინი შორეული წარსულიდან მოდიოდნენ ერთმანეთის შესახვედრად, მოქონდათ თავისი ცოდვა-ძალი და რაკი შეიყარნენ, თითქმის ორაფერი დატოვეს დაფარული.

ბუჩუკურს არც ქონდა დასაფარი... მთელი მისი ცხოვრება ერთი სულიმოთქმა იყო და თუ ისწავლა რამე — მხოლოდ თავის წურთნა. ადრე ისწავლა, რადგან ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ამ გზით თუ მიაღწევდა ამ ზნეობრივ სიმაღლეს, საიდანაც ადამიანებთან ლაპარაკის უფლებას მოიპოვებდა. მას არ ეშინოდა ტკივილისა და სურდა წინამდგომი და მოძღვარი ყოფილიყო. მისი პატიმოყვარეობა ისე იყო მინავლებული, სულის სიღრმეში

მიჩქმალული, რომ უფრო მძიმედ დასაურეგენა და მტკივნეული გაეტანა. მართალია, მას შესწეოდა ძალა, არ გაემხილა, არავისთვის ეჩვენებინა, როგორ ღრღნიდა დათრგუნვილი პატივმოყვარეობა და აწუხებდა — საბოლოოდ ვერ სძლია იგი.

იმდენად ძაგდა პატივისა და სახელის მოპოვების აქტიური გამოხატულება (საკმაოდ გავრცელებული პარანოიკული ფორმები), რომ დროის მინძილზე თავი მიაჩვია აზრს — უნდა გადაერჩინა შინაგანი სიმაყე და ძოლიანობა, თუნდაც უკმარისობის, პატივმოყვარეობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის ხარჯზე.

ო, როგორ სურდა მიეღწია იმ სულიერი ასკეტიზმისათვის, საკუთარ თავზე გამარჯვების სრულ სიმაღლე რომ აგრძნობინებდა, რადგან ჯერ, პირად ვნებათა დაძლევა, სურვილთა და ინსტინქტის დაურვება დიდი ტკივილის ფასად უჯდებოდა.

მან ისიც იცოდა, რომ წინააღმდეგობა, უარყოფა, ჭიდილი, ღონენის, ფიქრის ნაყოფი იყო (ამდენად არასრულფასოვანი იყო „გამარჯვება“) და ელოდა, თუ მოესწრებოდა, ელოდა, რომ პატივმოყვარე ოცნება ღამეებს აღარ გაატეხინებდა; ელოდა როდის ირწმუნებდა, რომ ბუნებრივად, ძალდაუტანებლად განაგებს საკუთარ ზნეობას, რომ ასეთია მისი სულის მოთხოვნილება.

●

აწკალებითა და პატარა რტოებით გაწყობილი, მიჯრილი და თანაბარი ხელწერა არ გავდა ავადმყოფისას (ეს იყო ელენეს უკანასკნელი წერილი ქმრისადმი, მოწერილი სავადმყოფოდან), ისეთი წონასწორობა, სიმშვიდე და სიმეტრია იყო შეზავებული ამ ორნამენტივით ასოთა რიგში, რომ ბუჩუკურს ხელსაც კი უშლიდა — ჩაწვდომოდა აზრს.

ბუჩუკურს არ ეხამუშა პერლუსტრატორის როლი (დავითმა მოიფიქრა ასე — „აბა ნახე, როგორ გაბიბეტა“, — ეი რა იგულისხმებოდა), იქნებ იმის გამო არ ეხამუშა, რომ წერილში არ იყო დაქუცმაცებული იმტიმი... ამ ხატოვან, ლიტერატურიზებულ, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელ სტრიქონებში ფეთქავდა ქალის ირონიული, მიმხვედრი და მარტვილი სული.

ელენე დავითს:

„...მე მინახავს კამარგული ხარის ქედზე დანთებული მზე, მძვინვარე ყვითელი ფერი; მინახავს ქრესტომათიული, განთქმული მზესკუმზირები და ყურჩამოხეული, ვორილისთვალებიანი კაცის პორტრეტი... და მე გულგრილად ჩამივლია მის წინ, რადგან სულ სხვას ეძებდა ჩემი შეშფოთებული არსი და აღიზიანებდა ამქვეყნიური გოდება, ამქვეყნიური ტანჯვა და იმის შეგნება — რომ ვიდრე ვცოცხლობთ, „არ ძალგვიძს შორეულ ვარსკვლავეთში გამგზავრება...“

მე სხვაგან ვპოვე, რასაც ვეძებდი... ვნახე ასგზის ნანახი, ათასობით რეპროდუქციაზე გადმოტანილი, თითქოს და ზემოქმედების უნარდაკარგული, ნაცნობი მადონა — ბროწეულის ყვავილისფერი ქობა რომ მოუჩანს მოსასხამიდან და უდრტვინველი სიამაყით გასხეოსსნებია თვალი (შენ ალბათ გახსოვს, იქნებ არც გახსოვს, შარშანწინ, დრეზდენში).

ავფორიაქდი, მივატოვე გამოფენა და სასტუმროში დავბრუნდი; ჩავიკეტე ნომერში, მივნებდი ჯერ განუუდელ, უცნაურ განწყობილებას... ნელა, თანდათან დამეუფლა განსაცვიფრებელი, ღვთაებრივი სიმშვიდე.

არ ვიცი, როგორ, ან რა სიტყვებით გამოვხატო — ამ სიმშვიდეს ყოველთვის ნატრობ და იქნებ ვერასოდეს ეზიარო... იქნებ ეს ღვთისმშობლის სიმშვიდის მატერიალიზაცია იყო,

---

ოტია პაჭორია
გოგალენი

იქნებ ჩემში განსხეულდა ის განწყობა და მე იმ დღეს ერთადერთი ვიყავ, ამის მთელი არსებით შეგრძნება რომ შევიძეკ... ერთადერთი ვიყავ, განუყოფლად რომ დავემორჩილე მის დესპოტურ ძალიერებას.

...მერე მოხვედი შენ და დამირღვიე სიმშვიდე. ისე შემოიჭერ ჩემს საყოფელსა და ჩემს დუმილში, როგორც მწვანეში ჩაფლულ მდინარის პირას გაშლილ მშვიდობიან დაბაში მოთარეშეთა დასტა.

შემოხვედი ნომერში და შემოათვალიე ვეება ბარომეტრი — საცეროსაც რომ გავდა, ცხენის მოსართვასაც და ველთაძველ ფარსაც. ყოველ შემოხვევაში ბარომეტრს არ გავდა და საჭირო იყო წვრთნა ზედ რამის ამოსაცნობად; და შენ მიხსნიდი — როგორ უნდა გადამეწია ისრები, როგორ მომემართა, საით იყო ჩრდილოეთი და ავი ტაროსი... ერთი სიტყვით, ბარომეტრი შესანიშნავი რამ გახლდა თუნდაც იმით, რომ საერთოდ არ იყო ბარომეტრი... ოღონდ მთავარი ეს როდია, მე მივეჩვიე შენს კოლექციონერულ ვნებათა ღელვას და რა მნიშვნელობა ქონდა, თუ რა ნივთი შეემატებოდა შენს ნივთებს... მთავარი სხვა რამ იყო — შენი ხმაური, შენი თვითრწმენა, გნებავს — თვითნებობა, რითაც ერთხელ კიდევ დათრგუნე ჩემი ნება და სურვილი... რითაც წარმტაცე ეს განუმეორებელი და ბაღალი, მოულოდნელად რომ მიბოძა დიდმა მხატვარმა. მინდა გახსოვდეს — დიდმა მხატვარმა — ეს რანგის მატყუებელი როდია; ეს იყო სულიერი აღზევების ერთადერთი წუთი... ჩემი სიხარული ჩემი მორჩილება იყო... ამას იმ დღეს მივხვდი და აღარ მსურდა დრეზდენის თვალიერება — არ მაინტერესებდა არც გოთიკა, არც გერმანული ბაროკო, ან საქსონური პორცელანი; არც ეს ერთხელ დაქცეული და მკვდრეთით აღმდგარი ქალაქი.

მე ყურს ვუგდებდი ჩემს არსებაში ჩარჩენილი სიმშვიდის ყრუ ჩქამს და ვნატრობდი — ერთხელაც შემეგრძნო და მეხილა მისი ყოვლისმომცველი მშვენიერება...

... და აი, დღეს გამახსენდა ის დღე... გამახსენდი შენ — ყოველთვის ძლევამოსილი, გამარჯვებული და ცნობისწადილით აღსილი; და ვიფიქრე: გიგრძენია კი ოდესმე მსგავსი რამ? არ ვიცი... რაც ახლა ვიცი — სწრაფად ვუახლოვდები არყოფნის მიჯნას; მე მალე მოვკვდები (უცხოა შენთვის ეს სიტყვა), და მთელი არსებით განვიცდი, როგორ იბადება ჩემში ის ნანატრი და ნაცნობი — ის მარადიული ღვთაებრივი სიმშვიდე, რითაც უნდა შეიცვალოს ჩემი არსებობის შენთვის განკუთვნილი ნაწილი, და მე ვეზიარები ისე მაღალსა და სრულქმნილს, რომ მას არ ექნება, არ შეიძლება ექნეს ნაცნობი, გასაგები ფორმა... იგი არ იქნება არყოფნა; იქნებ გულუბრყვილო ვარ, მაგრამ მჯერა — იგი იქნება უსასრულო გაგრძელება იმ სიმშვიდისა, ჯერ კიდევ მიწაზე ყოფნისას რომ მიბოძა დიდმა მხატვარმა.

...მე მივდივარ, დავთ, ველარავინ შემაჩერებს, თვით შენც კი, და მიჯყვება დანაშაულის გრძნობა. არ ვიცი როგორ აგიხსნა, იქნებ დანაშაული იყო, რომ ვერ მიგახვედრე — რა ვიხილე და რა ვიგრძენი... იქნებ იმის გამო ვარ დამნაშავე, რომ ხელს გიწყობდი უფრო ღრმად ჩაფლულიყავ მანკიერებაში... ხელს გიწყობდი ბენონდა ნივთები, რეგალიები, წოდებები, საკუთრება... ხელს გიწყობდი თუნდაც იმით, რომ გულდასმით გისმენდი, როგორ უნდა გამომეცნო ამინდი და არ გებრძოდი, არ გეწინააღმდეგებოდი.

შენ იყავ ჩემი ბატონი და მბრძანებელი, ასე ეგონა ყველას, მეც ასე მეგონა... მაგრამ შენ ძე იყავ ჩემი, დიახ, ძე ჩემი — აი რა იყო აუხსნელი. მე ვერ აღვზარდე, ვერ აღვაზევე შენში ის შინაგანი კულტურა და თავისუფლება, საგანთა ტკივილიდან რომ დაგისხნიდა; პირიქით, ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც გიწყობდი, გეხმარებოდი, თავადაც მომწონდა, რადგან ქალი ვიყავ და ქალი ყოველთვის ფეტიშთა გარემოცვაში არსებობს; ქალისთვის ეს გარემოცვა ნივთთა და საგანთა ურღვევი ჰარმონიაა და თვითვე ქმნის მას — ნებით თუ უნებლიეთ, სხვისი მეშვეობითა თუ დამოუკიდებლად.

...და დღეს ვფიქრობ, იქნებ შენ არცა ხარ დამნაშავე; იქნებ ყოველი ჩემს გამო მოხდა, ჩემში ღრმად ფესვგადგმული ფლობის ქინის, ჩემი უნივერსალური სიხარბის გამო... ოღონდ არ ჩანდა, რადგან მე გაცილებით მძაფრად მქონდა განვითარებული საგანთა ფორმისა და სინატიფის შეგრძნება.

ესეცაა, დავით, შენ იმ უმცირესობას ეკუთვნი, ვისაც არასოდეს მოუსმენია სიმართლე თავის თავზე, თავისი საქმიანობის გამო... იქნებ ეს სიმართლე ცოტამ იცის, მაგრამ ხომ იცის ვიღაცამ; და მე ვხედავდი, როგორ გეშინოდა შენ ამ სიმართლისა და იმ ვიღაცის; როგორ ცდილობდი ყოფილიყავ იქ, სადაც სიმართლით ვერ შემოგბედავდნენ. უცნაურია, შენი პატივმოყვარეობა შენს შიშთან ერთად იზრდებოდა.

... მე მივდივარ, დავით; აბა როგორ აგიხსნა, ჩემი სული ემზადება იმ გრძელი და ნეტარი გზის წამში გასასვლელად, რის შემდეგაც იწყება დიდი და მარადი ნათელი... და თუკი იარსებებს ჩემი ხსოვნა, ნუ მომგონებ მოფუსფუსეს, აწრიალებულსა და სიხარბით თვალანთებულს... გაიხსენე ის რამდენიმე წუთი, როცა სიყვარულს ერთიანად და გულწრფელად ვეძლეოდით და როცა ზეიმობდა ჩემი ქალობა, როცა ბიახლოვდებოდი, მოვდიოდი შენთან და ჩემს წიაღში მიგიღებდი შენ, დაღლილსა და მძლეს.“

●

მხოლოდ კოლხეთში თუ იცის ასეთი უკუნი ღამე; ცაზე არაფერი ჩანდა ერთადერთი მბჟუტავი ვარსკვლავი გარდა.

ღობის ძირას ფოსფორის მკვდარი შუქით ენთო დამპალი ნაფოტი და უსიამო, შემაკრთობელ გრძნობას ბადებდა: თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა მათ, ვეება ობობას გაება უხილავი და უკიდეგანო ქსელი და ეს მისი თვალი იყო — ცივი, შემაძრწუნებელი.

და იმის გამო, რომ ასე ბნელოდა, ასე დუმდა ღამე, დავითი ხმას ვერ იღებდა... იგი გრძნობდა ელენეს სხეულს, ეხებოდა მხრით, გვერდით, თეძოთი და გაძძრევას ვერ ბედავდა. რადგან სითამამესა და ვნებას აცლიდა უკუნი... საჭირო იყო ჩქამი, ხეთა შრიალი, გამოჩენილი ზღარცასა და მიწას შორის — ხელის შეტოკება, ხმის გაღება რომ გაებედა.

ოდნავ, სულ ოდნავ ჭრიალებდა ოდა: ქველი, დაშმული, ნესტიანი ფიცრები უფრო მჭიდროდ ერგებოდნენ ერთურთს და მათ შორის გაჩენილ უხილავ სივრცეებს ავსებდნენ.

ღამეში სახლი არ ჩანდა, სახლი თითქოს ისმოდა.

იჯდა დავითი და ზანტად, ზმორებით ფიქრობდა — რაღაც უნდა მოიმქმედოს და დაუდუნქდა მკლავი, უნდა თქვას და დაუდუმდა ენა, უნდა სურდეს და დაეშრიტა სურვილი.

...მერე ამოვიდა დიდი, ყვითელი მთვარე. მიწა გამოეყო ცას, უფრო აკაიფდა ნაფოტი ღობის ძირას.

დავით და ელენე ისხდნენ აივნის ბოლოს, ჭილობგადაფარებულ ფართო ტახტზე; ტახტს თავებად პატარა რიკულები ქონდა... იქნებ დავითი იმ მცირეთაგანი იყო, ბავშვობა რომ ცუდად ახსოვთ და მასაც ბუნდოვნად ახსოვდა ეს სახლი, ეზო, შემოგარენი; სათამაშოსავით რიკული კი ახსოვდა, რადგან მისი ბავშვობა ამ რიკულებს შორის გამკრთალი ცხო-

---

ოგნია პაჭკორია
გიგალენი

ვრება იყო. კიდევ, დავითმა იცოდა — თავზევით, სვეტებს შორის, ხის ორნამენტი მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს გამოსახავდა; მას ყოველთვის იზიდავდა მუდმივმბრუნავი, ცეცხლოვანი ბორჯღალის გეომეტრიული საიდუმლო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ შეიტყობდა — ფიგურა მზე იყო.

ზოგან ამომტვრეოდა ამ მზეს ირიბი სხივი. ორნამენტის გულუბრყვილო სირთულეზე, კი გაურკვეველი ზოდიაქო: ასიმეტრიული, არათანაბარი სხივებითა და ქიმებით; თევზებით, ღრიანკალითა და მშვილდოსნებით, იდუმალ სიძველეს უერთდებოდა; დავითისთვის კი ოდესღაც ისეთივე ცა იყო, როგორც ნამდვილი ცაა და უხაროდა დავითს — აკაცის ხისგან გამოთლილ ორნამენტს დრო ვერას აკლებდა.

...ისხდნენ აივანზე დავით და ელენე, იესებოდნენ ყვითელი მთვარის მდორე ნათელით. მერე აიღო დავითმა ხელი, შეეხო ქალს მხარზე, შემოამრუნა, ფრთხილად დაყვა თითებით მის ყელს და ეს იყო მამაკაცის შემპარავი ცბიერება, ჩუმი ვედრება და ჩუმი ძალადობა.

ყრუდ ჩაიცინა ქალმა და დავითმა დაინახა მის თვალებში გაელვებული ჯიუტი წინააღმდეგობა.

მოიზიდა ქალი, უსიამოდ აჭრიალდა ჭილობი; რაღაც ახმინდა ქალის მკერდში და დავითმა დაკარგა საკუთარი ხელების ფლობის უნარი.

უხმოდ იწვა ელენე, ოღონდ, თითქოს შორიდან მორბოდა, უახლოვდებოდა, ოლეოდა მანძილი მათ შორის... მერე დავითის თავი მკერდზე მიიკრა და ისევ ვაიცინა — ალერსით, დაცინვით, უთქმელი უპირატესობით.

აფორიაქდა ნოტიო და სულშეშხუთავი ღამე; ჭრიალებდა ძველი ოდა და დროისგან დაჭმული ფიცრები ჭეიდროდ ერგებოდნენ ერთურთს.

მერე მაღლა აიწია მთვარემ, დაიფერა და აკაშკაშდა, დადგა ბალაზზე ნამის დაფენის ყამი.

ელენე წამოდგა, მივიდა მოაჯირთან — სამოსშემოძარცული, მთვარის სხივით გარემოსილი მისი სხეული თევზისფრად კრთოდა და უცნაური იყო, ისე მკვეთრად ჩანდა, როგორც ნაწვიმარზე ჩანს კვიპაროსი.

გრძელი მკლავები ზეაღმართა ქალმა, რწევით გააყოლა სიოს, გადაიხარა, გადადგა ნაბიჯი... და იქ, სადაც წამის წინ იდგა, მთრთოლვარე ჭავლი დარჩა...

დავითი საოცარი სიცხადით ხედავდა მისი სხეულის ყოველ ნაკვთს, თანავარსკვლავედად განლაგებულ ხალებს მის მკერდზე, ირონიულ, შორეულ ღიმილს და უკვირდა, საიდან მოვიდა ეს სიცხადე.

ელენე მიყვებოდა აივნის კიდეს და ღვედივით მოქნილი, ისე კენარი, რომ ნამდვილს არ ჰგავდა, თანდათან ცილდებოდა დავითს. მიდიოდა უფრო შორს, ვიდრე აივნის ბოლო იყო; უფრო შორს, ვიდრე დავითის წარმოსახვა გაწვდებოდა და შეწუხდა კაცი, ისევ შემოეწთო ძველი, ნაცნობი ეჭვი და მერყეობა... სად მიხვალ! — კინაღამ იყვირა.

* * *

ელენე დავითს:

„...ალბათ ყოველთვის მიყვარდი, როგორც ქალს უნდა უყვარდეს „თავისი“ მამაკაცი... ყოველთვის მიყვარდა შენი გონება და არც შემინშნავს, სიმართლე რომ გითხრა, დღემდე არც ვიცოდი, როდის და რის გამო დაგკარგე სწორედ შენი გონების პატივისცემა. დღემდე არ ვიცოდი, რომ ჩემთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა შენი ცივი აზროვნება... ერთი კი ნათელი იყო — შენი ფანტაზიის გასაოცარი უნაყოფობა, წარმოსახვის სიმწირე... და ჩემთვის ამოუხსნელ ამოცანად დარჩა — როგორ შესძელ უოცნებო კაცმა წარმატებისთვის მიგეღწია იქ, სადაც მოდ-

ვაწეობ, ნუთუ ამისთვის მხოლოდ ეგოიზმია საჭირო...

...ჩემთვის არ კმაროდა შენგან მონიჭებული სიამე. იქნება მე მიტოვების, მიგდების, დამცირების ტკივილი უფრო მჭირდებოდა. მე არ მსურდა თავისუფლება, რადგან მქონდა სახლი სადაც შენ ყოველთვის, ყოველ ვითარებასა და შემთხვევაში დაბრუნდებოდი. მე არ ვიცი ამის მიზეზი; იქნებ დაეცა დიაცის ფასი და იგი მხოლოდ სიმისოდ აშენებს ოჯახს, რომ რითიმე დაინარჩუნოს გასაქცევად მზადმყოფი მამაკაცი და ვერ ხვდება — თქვენი წაუსვლელობის მიზეზი წასვლის მუდმივი სურვილია... არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში მე არ ვცდილობდი ვყოფილიყავ შენი თანაბარი, მხოლოდ სიყვარულის იშვიათი წუთით თუ... როცა თამამად მივმართავდი შენს არსს შენობით. ეს „შენ" იყო ერთადერთი შესაძლებელი და ნორმალური მიმართვა, იგი არ იყო გრამატიკული კატეგორია, ბუნებრივად იბადებოდა, ოღონდ იშვიათად; ო, რა იშვიათად...

...ცოლი — ამ სიტყვას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ არსებობს სახლი, ყოფა, სიმყარე. მეც ვიბრძოდი ამ სიმყარის მოსაპოვებლად და ვიცოდი ჩვენი ფასი და მნიშვნელობა. მართლია ჩვენი დრო არც ისე იყო მოწყობილი ე. წ. ცოლებისთვის, მაგრამ მაინც ვცდილობდი ამის დაფუძნებას, რადგან მხოლოდ ამ გზით თუ შევაღწევდი იმ ეფემერულ, მერყევ გარსში, „შენი ქვეყანა", „შენი ინდივიდუალობა" რომ ერქვა.

... შენ ვერ მომპარეს დედობის ბედნიერება. ჩემთვის უცხო იყო ის დიდი ფიზიკური თავისუფლება, კდემისგან განძარცვა, რაც ჩვილის ყოლამ იცის... და ეს შენ იყავ უნაყოფო, მე ვიცოდი, რომ შენი ბრალია ჩემი სიმწირე, მაგრამ ვიმეშენდი, რადგან მეგონა. კიდევ ერთ აუცილებელ მსხვერპლს ვიღებდი; თანაც არ შემეძლო მეშვილი ვინმე... ამბობენ დროთა განმავლობაში ქალი იჯერებსო თავის დედობას. ასეა (დიდება მას), მაგრამ მე არ შემეძლო, რადგან მეგონა, ამით უარვყოფდი შენს მაღალნიჭიერებას; მე მისი გენეტური გაგრძელებისათვის ვზრუნავდი და მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ჩემი ბრალი არ იყო, მაინც დამნაშავედ ვგრძნობდი თავს შენს წინაშე.

ქალი ნიობეა უნდა იყოს, ქალმა უნდა ივრძნოს შვილთა გამო სიამაყე და თუ გნებავს, მათგან მოყენებული ტკივილი... ნიობეას ტრაგიკული პოზა, ქალ-ვაჟთა ცხედრებთან გაქვავებული, კივილად გარდაქმნილი მისი სხეული მიმზიდველი, ამაღლებული და ღვთაებრივი იყო ჩემთვის.

მე გრძელ და თეთრად გათენებულ ღამეებში ვნატრობდი ნიობეას ტკივილს, რადგან ქალი ვიყავ, რომელსაც ქალობას ართმევდნენ და ისე განვიცდიდი ამას, თითქოს საკუთარი სხეულის კვდომას ვადევნებდი თვალს და მძაგდა საშო ჩემი, ათი ნაყოფის ტარება რომ შეეძლო, არსებობდა კი მხოლოდ იმისთვის, რომ შენი ვნების ფუჭი აღზევება შეეგრძნო... და მე შემეზიზღდა სხეული ჩემი, შენი წყალობით გამოფიტული, მიტოვებულ ნაფუძარს რომ დაემსგავსა... მე მძაგდა ჩემი მორჩილება და კეთილდღეობა, ვცდილობდი დამევიწყებია ჩემი სხეულის ძალა და სილამაზე... დავიწყე გონებით ცხოვრება; არა, უფრო სწორად, საგნებით, ნივთებით, სამკაულებით ცხოვრება დავიწყე. ეს იყო ჩემი შურისგება, იქნებ უნებლიე, მაგრამ მაინც შურისგება; და როცა შენს სრულ თანხმობასა და თანაგრძნობას წავაწყდი, ჯერ დავიბენი, მერე კი ციტიკურად გამიტაცა ამ დაცემამ, სადაც უჩვეულო, არნახულ სინქრონიზმს მივაღწიეთ.

და მაინც, დანაიდების სასჯელი

ოფია კაჭკორია
გოგელანი

მარგუნა განგებამ, რადგან ჩემივ ხელით მოვაშთე ჩემი საყვარული და ვერასოდეს ავიცსებდი ჩემთვის საწყაულს, ძირგვარდნილი იყო იგი.

...არიან ქალები — ქმრები ვერ დაიტირეს. ზოგს ფრონტზე დაეღუპა, ზოგს კიდევ სად. მე, ცოტა არ იყოს, მშურდა იმ ქალებისა, რადგან მათი უბედურება ზეიმით იყო აღსავსე. მე კი ყოველთვის მთრგუნავდა ფაქტი, რომ შენ, ჩემი მეუღლე, ბრტყელტერფიანობის გამო ფრონტზე არ წაგიყვანეს... არასოდეს მიფიქრია, როგორი ტერფი გქონდა შენ, არ მიფიქრია და ვერ წარმოიდგენ, როგორ გავოვნდი, როცა „შენი ტერფი“ სხეულის ნაწილი კი არა, ზნეობრივი ფაქტორი აღმოჩნდა და ამ ტერფის გამო გამოეთიშე მამაკაცთა იმ საერთო და კლასიკურ კატეგორიას, რომელიც „ჩემმა“ დრომ წარმოშვა.

მომიტევე, თუ ტერფის გამო აქილევსად ვერ მიგიჩნევე და გაკვირდებოდი, როგორ დადიხარ — არაფერი გეტყობოდა.

...ახლაც ტერფს გისინჯავ.

...მე უკვე მზად ვარ, ყოველნაირად ვარ მზად იმ ღვთაებრივი სიმშვიდის შესახვედრად, რომელიც...“

* * *

დ ა ვ ი თ ი — იქნებ შეურაცხყოფილი ვიყავ. არა, არ ვყოფილვარ, ელენეს სიმართლე სადღაც, ჩემი არსებობის ფარგლებს მიღმა წარმოიშვა და მე არ მესმოდა იგი, არ შემეძლო შესმენა. ერთი მიკვირდა ოღონდ, როგორ იარსება ამდენი წელი გვერდი-გვერდზე ორმა სიმართლემ... უფრო ამის აღმოჩენამ გამაოგნა. თან გგრძნობდი: ელენე გარდაიცვალა და ამის გამო მისი სიმართლე სამუდამოდ დარჩა, ხელს ვერავინ შეახებდა; არ წაიყოლა თან, მე დამიტოვა სატანჯველად.

ოთახებში დავბორიალებდი. დარბაზის კარი შევაღე. ოჯახის მეგობარი ქალი (ყველას ყავს ასეთი მეგობარი ქალი, ან შინაბერა, ან სახლდაქცეული და ნაწვალები) იდგა კუბოსთან და ელენეს თმაში ყვავილს უბნევდა. არაბუნებრივი, ზედმეტი იყო ყვავილი და ქალს ვკითხე:

— ვარგა კი ასე, ქალბატონო?

მან ისე მტრულად შემომხედა, კარგად დავინახე, რა დაუოკებელი, პირდაპირ ნიადგარივით მოვარდნილი სიძულვილი ახრჩობდა ჩემდამი... და მან მომიგო:

— კი, ასე აჯობებს; იგი იმდენი ჭეშმარიტი პოეტის მეგობარი იყო.

დავიბენი, უნებურად მიმოვიხედე. სად იყვნენ პოეტები, რა იცოდა მანდილოსანმა მათი არსებობისა... მე ხომ ყველა ვგრძნდევნე, ხომ სრულ ზნეობრივ იზოლაციას მივადწიე. ან იქნებ სადმე, წარსულ სიცოცხლეში მოხდა ყველაფერი ეს და მე მაინც პასუხისმგებელი ვიყავ. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში ის მაინც ვიცოდი, ჩემი და ელენეს ურთიერთობა ისე შორსა და იმდენი ხნის წინ დაიწყო, რომ მისი სათავის მიკვლევა ჩემს უნარს აღემატებოდა.

მანდილოსანმა ყვავილი თმიდან ამოაძრო ელენეს და ჩემს ფერხთთან დაადგა (იქნებ დაუვარდა), მეგონა — დედაბერი ტინის ვეება ნამსხვრევებს მტყორცნიდა. შემომელეწა საბარკულები, დამისისხლიანდა წვავები,.. მე კი ვიდექი და ვფიქრობდი: რატომ ამეკვიატა ერთი გაუმართლებელი სიტყვა: თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი.

ურწმუნოსა და მორწმუნეს აქვს საერთო — სიჯიუტე. ნუთუ მხოლოდ სიჯიუტე გვაიძულებდა ერთად ყოფნას, ან მართლაც შეთანხმებული დაღმასვლა. მაშინ რატომ ვგრძნობდი ასე მძაფრად მისი მაგნეტიზმის ზემოქმედებას, და ამ ზემოქმედებიდან გმთავისუფლების გამო ხომ არ ამეკვიატა სიტყვა. ყოველ შემთხვევაში, რაც ჩემს თავს იყო, ღალატს გავდა და მე გამიმეტეს.

არ ვიცი, როდის და რატომ გაჩნდა ჩემში სიხარბე, დაგროვების ყინი (შე-

ნი გობელენის ბრალიცაა), იქნებ სიღატაკეში გატარებული სიჭაბუკის გამო მოხდა. მე ყოველთვის მიკვირდა ფორმის მიგნება და ეტყობა, აქაც ვერ მივაგენი.

... ბოლოს და ბოლოს, ვინ ვიყავ?

ვიყავ უხეში, ჯერ სიმორცხვის გამო, მერე სიმორცხვის დაკარგვის გამო. ერთი სიტყვით, გესლიანი და იქედნური გახლდი იმ პოეტებივით, ორთაბრძოლაში რომ იღუპებოდნენ ჯერაც ჭაბუკები.

მან არ მაპატა, ჭაბუკი რომ არ დავიღუპე და ცოცხალმა მივაღწიე სახელსა და წარმატებას... უფრო კი ის არ მაპატია, რომ გადავრჩი მაშინ, როცა ბევრი დაიღუპა.

ბუჩუკური — ყველაფერი გაპატიეს.

შენ გადარჩი მაშინ, როცა ბევრი დაიღუპა. ვინ იცის რა ზნეობრივი ტკივილი, რა გადაუჭრელი ზნეობრივი ალტერნატივა წამოიჭრა შენს წინაშე... და შენ სწორად აირჩიე — ტრიუმფი.

შენს წინ ყოველთვის მიხტოდნენ წყეპლის კონებითა და ცულით აღჭურვილი ლეკრატები. რა ერქვა მათ — მაღალღირსეული მგზისტრები ლიტმცოდნეობისა, თვიანთ კერას, ფარზე აღზევებულს რომ მიგასვენებდნენ კაპიტოლიუმისკენ.

უცნაურია, მე ყოველი ანტიკური ფორმით მესახება (იქნებ იმის გამო, რომ ბავშვობის მერე არაფერი წამიკითხავს ალტაცებით), თუმცა ვინ იცოდა მათზე უკეთ ჰეროიკულის კანონი და ვინ მიეღტვოდა მათებრ დაღუპვას, არ გაურბოდა წყალსა და ცეცხლს.

მათ ეს იცოდნენ, ჭვალ-რბილში ქონდათ: მე უხეშად ვიჭრები ამ ფმირულ ქვეყანაში ჩემი ცოდნით — აი ისიც, ანტიპეროიკულის ფორმულა — ფარვანა გაურბის ალს, ანუ განელტვის ნათელს.

... მე ეს ანტითეზა შენგან ვისწავლე... „შენი გობელენი“, — მეუბნები ისე, თითქოს შვებას ეძებ, თავს იმართლებ და თან ჩემს დამორჩილებას ელოდ ლობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავიქანცე ამ უკუღმა პერსპექტივის ცქერით: „ბატონი დავითი ჩემი წინამორბედი კი არ არის, იგი ჩემი მომავალია“.

* * *

სადარბაზო კარის თავზე ლომის ნიღაბი ჩანდა. ბუჩუკურს აძვრომა და იმ ლომისთვის შერჩენილი, ერთადერთი კბილის მომტვრევა მოუნდა. მიმოიხედა, ზედ შესაღებომს ეძებდა.

ცეკვავდა კარიატიდა და ირყეოდა სახლის თაღი. ასე იყო, მკერდში პატარა ვულკანების ამოფრქვევას გრძნობდა, ედრიკებოდა გულის ფიცარი; შფოთავდა, კოდა მისი არსი, გარეგნულად მშვიდი იყო, კარს მიყრდნობოდა თავაღებული.

ენას უკიდებდა ბატონი დავითი. სხვამხრივ არაუშავდა, ისიც წყნარად იდგა, მხოლოდ ოდნავ, სულ ოდნავ ბარბაცებდა.

— არა, მაინც რამდენი დავლიეთ,— ამბობდა თავმოთნედ.

ბუჩუკური კერძადაქცეული წარმართივით სდუმდა.

— არა, მაინც რამდენი დავლიეთ... — იმეორებდა დავითი.

— ბევრი, ბევრი, — ბუჩუკური ფიქრობდა: თვითონ იყო ხანდაზმული, ქანცმლეული, წარმავალი. ეს ცოტა დაბნეული, კარგად თავდაჯერებული, ჯიუტი კაცი კი არასოდეს მოკვდებოდა, თუნდაც იმიტომ — ამ სახლს პატრონი ხომ უნდოდა.

ერთხელ კიდევ ახედა სახლს.

სოლოლაში ბევრია ასეთი სახლი — სოვდაგართა ხუროთმოძღვრული ოცნება: გორგონებით, ლომის თავებით, ამურებით შემკული, ბროლით შემინული ფანჯრებით. მაღალჭერიანი დარბაზები მიგდებულ სამლოცველო-

---

ოდია კამკორია
გობელენი

ებს გავს... ჩვეულებრივ, ანტრესოლს აგებენ, კარგად გამოდის: დაბლა ცხოვრობენ, დაობენ, იბრძვიან; მეგრე ხის ვიწრო კიბეებით ზევით მიძვრებიან— ძილისა და სიყვარულისთვის.

ბუჩუკური არ უნახავს დავითის საძილე ოთახი. გულახდილობას აქვს საზღვარი; ის ოთახი, სადაც ელენეს ეძინა, ამ საზღვარს იქით იყო.. დიდი მისტერიული საიდუმლო, თვით დავითისთვისაც.

დაცინვამ ირიბად გადაუსერა ფერმიხდილი სახე ბუჩუკურს. უყურებდა: დაეინებით, ფენა-ფენა აცლიდა საფარველს. უხერხულად გრძნობდა დავითი თავს, აწუხებდა ეს გამოხედვა. ეგონა, მხოლოდ დაღლილი, მთვრალი კაცის ნისლით შებურული ირონია გამოურთოდა ამ თვალთაგან.

ბუჩუკური თვალებით ამბობდა ყველაფერს, რასაც სიტყვით არასოდეს იტყოდა (ასე ეგონა დავითს), და პირველად შენიშნა — ღრმა ნაოჭს გადაესერა ბუჩუკურის სახე, ნაოჭი თვალის უკესთან იწყებოდა და მკვეთრად გამოკვეთილ ყბის ძვალთან ქრებოდა. ტკივილის, კაეშნის, ფიქრის დაღად ანდა ნაოჭი.

კედლიდან კენჭები ცვიოდა. ყრუ და იმავ დროს მეღერი ჩქარი ისმოდა, ერეკლის მომგვრელი, თითქოს მცირე ზართა ენები მოცვიოდნენ სამრეკლოდან.

— გინდათ ერთ ლექსს წაგიკითხავთ, — შესთავაზა მოულოდნელად ბუჩუკურმა — მზისა და დუმლის თაობაზე.

დავითს ხმა არ ამოუღია. კიბეზე ჩამოჯდა, მუხლებზე შემოიწყო იდაყვები, ხელისგულები სახეზე შემოიკედო და დაემსგავსა ქიმერას.

(ძველი საოქმელია, საიდან მოიტანა ის ლექსი ბუჩუკურმა, — ჰიმენესისაო — უთხრა, თვითვე ეთარგმნა.

ჩანდა ბუჩუკური ზედმიწევნით მიუდევდა დედანს. ნაკლებპოეტური კავშირი — „რომელიც“, იმდენჯერ მაქვს ნახმარი, რამდენჯერაც დედანში შემხვდაო — აუხსნა, რაკი შეატყო, ეხამუშა ფრაზა დავითს).

არ იცოდა ლექსის კითხვა ბუჩუკურმა, უადგილო მახვილებს ხმარობდა; როგორც ყველა სუსტი დეკლამატორი პათეტიკას გაურბოდა და მაინც პათეტიკური იყო.

(მერე იმ ლექსის ანთოლოგიაში შეტანა სურდა დავითს, იდგილი ვერ უპოვა, არ არსებობდა ნათარგმნი პოეზიის ანთოლოგია).

ბუჩუკური კი ლექსს ამბობდა:

ო, ეს სიმღერა ოქროს მზისა, რომელიც
მოდის,
რათა სამყოფლის მარადისის გადავლოს
ხიდი...
ო, მწუხარემა ჩვენი სულის, ისეთის
რიდით
ისმენს სიმღერას ოქროს მზისა, რომელიც
მიდის...
ო, ეს სიჩუმე, სუდარისფრად ფენილი
კედით-
-კედემდე, ნაცვლად ოქროს მზისა,
რომელიც მიდის.

...ნათელი ღამე იყო. კარგად ჩანდა სოლოლაკის ქედი; მიღმა, გაგრძელებაზე თაბორის მთა; დაბლა ორთაჭალა იყო, უფრო იქით კრწანისი, -აქეთ ნორიო, მარტყოფი, იქით... სიჩუმე „ფენილი კედით..“

ისე დაიქანცა ბუჩუკური, სიამოვნებით მიწვებოდა იქვე, კიბის ძირში.

— ხვალაც მესტუმრე, — ეევდრებოდა დავითი, — საღამოობით შინ ვარ, მარტო ანმელი სახლში. ბეჭრის. ერთხანს ნათესავი ქალი ცხოვრობდა აქ. გამექცა. აკლდამაო, სახლი კი არა, — მომახალა და წავიდა. გესმის: აკლდამაო, სამარხი, შეფეთა ველი... იქნდ მუზეუმია, ჰა, რას იტყვი!..

„რაღაა მარტყოფს იქით, — ცდილობდა გახსენებას ბუჩუკური, — მაინც რაა იქითა?“

— მესტუმრე ხვალ!

— გესტუმრები ხვალაც, ზეგაც. — პირდებოდა და ფიქრობდა: „თუ იქნება ეს ხვალ, რაღა დაარღვევს ჩვენს კავშირს. მე კი სხვაგვარად ეფიქრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი. მე მეგონა შენს უარსაყოფად ვაყავ გაჩენილი“.

— ასე მეგონა, — მოციალდა კარს, — ბევრი რამ მეგონა. წავალ მე.

დავითი არ შერხეულა.

— წავალ ალი მე, — გაიმეორა ბუჩუკურამ და გულის სიღრმეში გააცა უჩვეულოდ აგებულმა ფრაზამ.

კარიაღიდამ ცეკვა შეწყვეტა. კიბეს, სვეტებს, კარს სიმყარე შეემატა. დამძიმდა გათლილი ქვის ცოკოლი და ისე დაიწვა ბუჩუკურს სიმძიმე, რომ მუხლი ჩახარა; წამით, მაგრამ მაინც ჩახარა მუხლი.

და კინაღამ კითხა ბუჩუკურმა ბატონ დავითს:

— გობელენს ხომ ვერ მომყიდი, ძიაკაცო!?

●

არავინ იცის, როგორ დაიღუპა ბუჩუკური.

ხალხი იდგა გაჩერებაზე... ოღონდ, იმ ხალხმა არაფერი დაიმახსოვრა.

...ტროტუარის კიდეზე მოხუცი დედაკაცი ჩამომჯდარიყო, წინ წიწიბოთი პირამდე სავსე თოფრაკი დაედო და გავდა ქვაფენილზე დაფრენილ ბეღურას.

მაღალი ჭაბუკი შეჩერდა მის წინ, უყურა. მერე დაიხარა და თოფრაკიდან ერთი ნარცალი ამოიღო.

ავტობუსი (დიდი. „იკარუსი“) შეჯარდა ტროტუარზე.

ავტობუსის მგზავრი ყვებოდა: ხელები ასწია ჭაბუკმა, თავზე წაივლო... მეტი არაფერი დაუნახავს იმ კაცს. თვალთან უცემ მიტანილი კაღრიკით დაინთქა ყოველი. უცნობი ხმა შემოესმა მხლოდ. ლითონის ღრჭიალმა, კედელს შეხეთქებული ავტობუსის ჯახანმა, ხალხის კივილმა ვერ დაფარა ის ხმა — თითქოს მჭიდრო ღრუბელს მიაწყდა მანქანა, წამით შეფერხდა, შეაყოვნა რბილმა და სათუთმა წინააღმდეგობამ. მერე გაფხრიწა ფარდა, გაიჭრა წინ, კედლისა და თავის შუა მოიქცია ყალყზე შემდგარი სიცოცხლე და გადათელა.

...ქვაფენილზე მოფანტულ წიწიბოს ტაკაკ-ტაუცი გაუდიოდა გამვლელთა ფეხქვეშ.

* * *

საავადმყოფოს შენობა სანატორიუმს წაგავდა. ლურჯი ფიქვების რიგი მიყვებოდა ფასადს. მოკრწყულია ჩასახვევი ფლიგელს ებჯინებოდა; გუმანით მიხვდა — მორგი იყო. მიუახლოვდა, მოეჩვენა — მღვრიე სარკმლის მიღმა ალებასტრის ტორსი ჩანდა.

ნერე მორგიდან მსახური კაცი გამოვიდა; ლოყებღაღაჯა, ხალისიანი და პირნათელი — დავითი გაოცდა. კაკს ქლორიანი ხსნარით დაპკული ხელი წინგაწვდილი მოქონდა. შემოხედა, ისეთ აუტანელ ცოდნასა და მიხვედრას გაედგა ფესვი მის თვალთა მოყვითალო ბაიის ფსკერზე — დავითი შეკრთა, უკუდგა.

კაცმა ირგვლივ შემოუარა, მერე ჩვეულებრივად და მშვიდად უთხრა— ყველაფერი რიგზეა, ბატონო!

„რა არის რიგზე?“ — უნდა ეკითხა დავითს. დაბნეულმა გაუღიმა, სანაცვლოდ ისეთ გულღია, თეთრი და ფართო კბილებით გაწყობილ ღიმილს წაწყდა, რომ იქვე ჩაიყო ჯიბეში ხელი, ფული მოსინჯა, ოცდახუთიანი ამოიღო და გაუწოდა.

კაცმა ფული ორი თითით გამოართვა, ჰაერში დაიქნია.

— რიგზე იქნება, ბატონო! — თქვა ისე, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანსა და ჯერ კიდევ გაუხსენელს გულისხმობდა. შენობაში შებრუნდა, პროზექტურის გასოშილ ბურუსში დაინთქა.

დავითმა მორგის კარს ხელი კრა.

ცივი და შემზარავი იყო დერეფანი. დავითი ფრთხილად ადგამდა ფეხს მეტლახის ფილით მოჭიქულ იატაკს. კე-

---

ოგბია კაპკორია
გიგალანი

ფელთან მიდგმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. სახეზე ჩამოისვა ხელი, შიში და შეკრთომა მოიშორა. მოწყვეტით წამოიჭრა და პირველსავე ოთახში შეგრგო თავი.

...შუა ოთახში საკაცეზე ბუჩუკური ესვენა.

თხელი, გამქვირვალე საწვიმარი ეცვა ბუჩუკურს — საყელოაწეული; თმა შუბლს უფარავდა და გასისხლიანებული ცხვირის კეხი მოეჩანდა; ღრმა იარა წარბთა შესაყართან იწყებოდა და საყელოს ჩრდილში იკარგებოდა.

საკაცის ქვეშ მოყავისფრო გუბე იდგა, წვეთის დაცემა ისმოდა. ჯერ სისხლი ეგონა, მერე ონკანი შენიშნა, წყალი მოწვეთავდა — უროს ურტყამდა ვიღაც თუჯის ბოძს.

ჯერ არ დაუფლებოდა ბუჩუკურის სხეულს სიმძიმე და გახევება. ისე იწვა, წამოდგომას ლამობდა; მხოლოდ გრძელი, გამდალი და ქარვისფერი თოვები დამცხრალიყვნენ (დავითს ახსოვდა მათი მუდმივი თრთოლვა, მოუსვენრობა, თითქოს ნიადაგ ქსელს ქსელავდა ბუჩუკური).

და თმა, ჯერ კიდევ ცოცხალი თმა, ოდნავ ირხეოდა ღია სარკმელიდან შემოჭრილ სიოზე; დავითს კი ეგონა, ძლიერი ქარი უწეწდა ბუჩუკურს თმას.

დაიხარა, ფრთხილად შეეხო, ეგონა უხეში იქნებოდა მისი ჯიუტი ქოჩორი. საოცრად რბილი, სალუქი თმა ჰქონია ბუჩუკურს, რაც მოულოდნელი იყო ისე, ვით მისი თვალები ოდესღაც; ოღონდ ალარ ქონდა თვალები ბუჩუკურს. ოდნავ შეხსნოდა ქუთუთო და მოლურჯო სითეთრე მოეონავდა სიღრმიდან.

მოწვეთავდა წყალი; იდგა უცხო, გათოშილი სიმშვიდე ამ რუხ ოთახში და ეყვნენ ორნი...

დავითი საკაცის კიდეზე ჩამოჯდა. დაიჭრიალა საკაცემ, შექანდა ბუჩუკური.

...ყველა სიტყვა გაახსენდა დავითს; ყველა დავიწყებული, გაუფასურებული სიტყვა. ის ერთადერთი და შეუცვალელი კი არა. მერამდენედ ემართებოდა ასე, მერამდენედ ეკარგებოდა საჭირო, აუცილებელი სიტყვა და რა წვალებით, ტანჯვით პოვებდა ჭას.

ფიქრობდა დავითი — არ იყო ბუჩუკურში არაფერი განწირული და მისტიკური (ასე ფიქრობდა, რადგან ასე სურდა და ვერ იმეტებდა სხვა რამისთვის).

ბუჩუკური შეკუმშულ ზამბარას გავდა. რა თქმა უნდა, სახიფათო იყო ამ ზამბარის გაშლა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ ასე სახიფათო. ვის შეუძლია დაძაბული იყოს მუდამ; ენერგია — ფარული, კინეტიკური, მრისხანე, — გამოსავალს ყოველთვის ეპოვის. მაგრამ არ იყო (დავითმა ხომ იცის), არ იყო ამ ჭაბუკში არაფერი, დაღუპვას რომ უქადდა.

იქნებ მაინც იყო... იქნებ ის ლექსი, ან ბოგლენი. ან წინაპართა მოქანცული სისხლი, იქნებ...

სისულელეა (დავითს პირველად თავის სიცოცხლეში არ სურდა შემთხვევითობის უარყოფა, აუცილებლობის აღიარება), ყველაფერი გონების ბრალია, ნერვების... ამით გავდა ივი დავითს. ყველაფერი იცოდა და ყველაფერს ხედებოდა... თურმე განიცდიდა კიდეც, შეეძლო განეცადა.

ახლა რა, ახლა ზის დავითი ამ გრძელ, გაგლინულ ოთახში და ჭირისუფალია. ხანდაზმული, დამფიტული და ურწმუნო — ამ ჭაბუკის ჭირისუფალია.

... საკვდილი რაა. საკვდილის ისე ეშინოდა დავითს, ისე ძრწოდა მის წინაშე, ისეთი ფიზიკური სიცხადით, ტკივილივით განიცდიდა, რომ საკვდილზე ფიქრი აუკრძალა თავს, ერთხელ და სამუდამოდ განდევნა თავისი არსებობიდან.

საკვდილი კი თურმე თანდევედა ამ უკეთესსა და უმრწემესს, რასაც კი დავითი შეხვედია.

წამოდგა, სადღაც ცნობიერების სი-

ღრმეში აყიფდა სიტყვა. თუმცა სიტყვა კი არა, აზრი; ამ აზრს მთელი დღე დაატარებდა ქვეშეცხეულად და მალავდა, როგორც ჩუმ დამარცხებას.

ცდილობდა გარკვევას — რა იყო ეს? ნანაშაულის გრძნობა იმის გამო, რაც არ ჩაუდენია და მაინც მოზიარეა... და უნდა დაისაჯოს იმათთან ერთად, ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა ამ ჭკვიან (ო, ნეტავ იცოდნენ მათ, რა ჭკვიან) კაცს.

ასე ყოფილა, არ არსებობს სიკეთე ერთის მიმართ და ბოროტება ერთის მიმართ. მას არ შეუმთხვევია ბუჩუკურისთვის ხიფათი. მაგრამ აქ, ამ სეხაკვით ოთახში, არა აქვს მნიშვნელობა და აზრი, რომ მან ამ ჭაბუკს არაფერი შეამთხვია.

არასოდეს ქონია დავითს დანაშაულის ასეთი ცხადი შეგრძნება, არასდროს უფიქრია, რომ ბუჩუკურის ცხედრის წინაშე გაიხსენებს ყველა შეცდომასა და შეცოდებას; რომ აქ, ამ გოდების სახლში შეიცნობს: დამნაშავეა და იმიტომ კი არა, რომ მაინც და მაინც ბუჩუკურს არ აჭმია, როცა შიოდა; არ შეასვა წყალი მწყურვალს: არ შემოსა და შეიწყნარა... დამნაშავეა იმის გამო, რომ საერთოდ არავინ შეუმოსავს, დაუპურებია და დაურწყულებია.

... შენობას ექო ქონდა (მორგის შენობებს ყოველთვის აქვთ ექო). ვიღაც დააბოტებდა ტალანში და ხმიანობდა ექო. ხმა კართან მიწყდა. ფრთხილად შემოაღო კარი ნაცნობმა მსახურმა. სახე აღარ ქონდა სხივიანი და მხიარული. პანაშვიდზე მოსულივით ისერიოზულებდა თავს. გულუბრყვილო არტისტიზმი გამოსჭვიოდა მისი სახის ცპიერ ნაკვთებში.

— იქ მოვიდნენ. დიდძალი ხალხი მოვიდა, ბატონო! — მიმართა დავითს.

დავითი საკაციდან წამოდგა. იცოდა, რამე უნდა მოემოქმედა. დახრილიყო და ამბორებოდა შუბლზე, ან საწვიმარის საყელო ჩაეკეცა... მაგრამ რასაც კი სხვის დასანახად გააკეთებდა, ყალბი და არაგულწრფელი იქნებოდა. სხვამ რა იცოდა იმ ერთი საღამოს ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. თავქვე ეშვებოდა ქუჩა.

იშვიათი ამინდი იდგა. როცა ჰაერი გამქვირვალეა მივიწყებული გამქვირვალებით და საგნები უჩვეულო სიმკვეთრით მოჩანს.

დავითი შეჩერდა. სმენა დაეძაბა. ისევერ ბინდში უცნობი სიჩუმე მოფენოდა არეს.

დიდი, ოთხსართულიანი სახლის ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. მწკრივად მიმოდიოდნენ და მათი ფეხთა ბაკუნი ისმოდა მხოლოდ, თითქოს კვიცების რემა გამოდიოდა ველზე. მიწიდან ავარდნილი მტვერი მოყავისფრო ღრუბლებად ეხვეოდა ყმაწვილთა წვივებს.

იყო მათ თამაშში იდუმალება, რიტუალი, მოლურჯო არშიით შემოწერილი გამხდარი, კენარი და ნაირფერი სხეულები ქონდათ. ბლაუკმით დაავადებულ ფარით თვალთა სიღრმეში ჯიუტი მოლოდინი, დაძაბული ყურადღება ფიზზლობდა და ისე ღრმად, მრავლისმეტყველად სდუმდნენ ბავშვები — დავითს კანი ეშორკლა.

„ყრუ-მუნჯთა ინტერნატი“ — ამოიკითხა აბრაზე.

მიმოდიოდნენ ბავშვები. წინ მესაყვირენი მიუძღოდნენ თეძოს მიბჯენილი სპილენძის საყვირებით. დრო და დრო შემართავდნენ საყვირებს, ტუჩთან მიიტანდნენ, ლოყებსაც კი დაბერავდნენ მესაყვირენი. ხმის ნაცვლად საზეიმო დუმილს გამოსცემდნენ თავიანთი ოქროსფრად დაფერილი საყვირებიდან და ეფინებოდა კიდით-კიდე სიჩუმე.

...უნებლიეთ იმეორებდა დავითი მათი ნაბიჯების რიტმს, მათ დუმილსაც იმეორებდა. ნაცნობი, მივიწყებული

ო�ia კაჰკორია
გოგოლენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანცდა ეუფლებოდა — მაშ ერთნელ უკვე ენახა ასეთი თვალები, ენახა ლაპარაკის სურვილით წამოგზნებული სახე. იგი ყელას ოოგებში ნაშობი წამოწოლებას მტკივნეულ სიმძაფრესაც კი გრძნობდა.

„შენ ახლა შორ გზებზე მიაბიჯებ“. — გაუელვა ფიქრმა... მერე სახლი მოენატრა; თავისი წიგნები, თავისი გობელენი, დიდი საფარძელი... მოენატრა სასტუმროს ბრინჯაოსფერი დაისი და შემაკრთობელი მარტოობა, ნეტარი მარტოობა, მათრობელი და სმენადახშული... მხოლოდ იქ ივრძნობს ფლობის სიამეს, იქ დაფარავს კაეშანსა და უთვინტომობას... იქ დაელოდება სალამოს მოხანს მაღალ სტუმარს (თუკი ოდესმე ისევ ეწვევა იგი).

შორს, თრიალეთის ქედზე სხივგამკრთალი მზის კიდე ენთო.

ისევ და ისევ დაბიჯებდნენ მოთამაშენი. ჯიუტად მიყვებოდნენ კვადრატული ეზოს ღობე-გალავანს. თანდათან იცრიცებოდა მიმწუხრში მათი თვალების ციებიანი შუქი; ალარ ჩანდა დაბერილი, ტოტებად გამოხატული ძარღვი მათ მაღალ ყელზე...

წინ და შორს, განმარტოებით მიდიოდა პატარა ტამბურმაჟორი, ხელთ ოქროს ბუნიკიანი კვერთხი ეპყრა.

სიტყვა ახალგაზრდობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ მეურმიშვილი

●

უუშორესი ვარსკვლავების ღიმილი ჩემში,
როგორც ხელები გამოწვდილი და
მომლოდინე.
სალამი შენდა მეგობარო!
მადლობელი ვარ ამ ზიარი
სასწაულისთვის...

ვიცი, მოგივლენ,
მე კი ვიკმარებ იმ სიხარულს,
რომ თუ ოდესმე...
მზეგამოკლებულ, მკვდარ დედამიწას
მიწის ბელტად ავედევნები...

სანატორიუმში

ჩემს ნინოს...

ხოლო ახლა, კოჯორში, ქარიანი ღამეა.
ტყეში, მთვრალი დევების დოღრიალა
გაისმის...

ღრიალებენ დევები...
ერთ ამბავში არიან...
(იქნებ სულაც მეფისშვილს ებრძვიან.
იმიტომაც ასეთი...
საშინელი ქარია...)
პატარა ხომ არაა — იტიროს...
იცის, დედა ჩამოვა.
— დედამ, ბავშვებს თბილისში,
მზე სულ თავში არტყამთო...
წაიყვანონ ნეტა,..
წაიყვანონ, რა მოხდა...
მზე ხომ შინ არ შემოვა,
ხოლო ის კი სახლიდან,
არასოდეს,
არასოდეს,
არასოდეს გამოვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა მ უ ლ ო

და შენ, მამულო,
სისხლით თუ ცრემლით,
სისხლით თუ ცრემლით,
ძალით თუ რწმენით...
რით მოიტანე ჩვენამდეს თავი,
და რა ფსურს უთხრა ქვეყანას ჩვენით?

გ ზ ა

და ავდგები და წამოვალ შენთან.
გზა მორეული გამიცვეთავს რკინის ქალამანს.
თუ დავეცემი, ორკაპა ჯოხს მოვეძებნი სადმე
შეგიმშვილიებ,
და ვიგლი მაინც შეუსვენებლივ.
და როცა მოვალ...
სულმოსათქმელად ხომ შევდგები სულ ერთი წამით.
ჰოდა, იმ წამმა, გამოვლილ გზას თუ გამოჰხედა...
ავტირდები და...
პირუჩუმრად ისევ უკან გამოვბრუნდები.

●

დანებდი, რაკი იცი დამარცხდი, — დანებდი,
მიეც მას დაშნა და უთხარ რაინდულად:
მე კიდევ შემეძლო თქვენთან ჭიდილი-
მაგრამ მორჩილება გულმა მაიძულა.

ინვერსია

თუ სილამაზე,
თუ სილამაზე,
ეძებეთ იგი უთუოდ მახინჯში.
ეძებეთ იგი ბანჯგვლიან ხელებში,
კოშმარულ ფერებში, კომიკურ სახეში.
რამეთუ პირიქით —
ვეძებთ და ვპოულობთ — პირიქით.

●

მე შევურიგდი,
დიდიხანია მე შევურიგდი...
ახლა ვთამაშობ —
გაოცებას და შეძრწუნებას.

●

თოვლიან ქედებს —
მიწიდან ამოზრდილ ყინულის ღოლუებს,
რად უნდათ ნეტა,
ცისფერი სადიაცო მანდილი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტო

რას ჟღურტულებ
ჩემს სარკმელთან ჩიტო,
შენ ხომ იცი, —
ვერ აგიწყობ ხმას.
ხეობებში ჩაწოლილა ნისლი,
სადღაც ვიღაც
ჩვენგან ელის ხსნას.
დალი ქვაზე ჩამომჯდარა,
ალბათ...
ალბათ ვინმეს
მახედ უგებს თმას...
ახლა რა დროს ჟღურტულია
ჩიტო,
სადღაც
ვიღაც
ჩვენგან ელის ხსნას.

●

ვეება ტორით
მოიქციეს ყბებში ფოთლები,
ვეება ხეებს
შიშისაგან შეაძაგძაგათ,
იდგნენ კაცები
გაუხედნავ ცხენთან ჭიდილში
დამარცხებულნი
და... არყის ბოთლებს
მუჭში იფშვნიდნენ.

არ დაიჯერო

არ დაიჯერო,
თუ კი გეტყვით
რომ მჯერა შენი.
და თუ გავწითლდი,
არ გეგონოს — შენი ბრალია.
„იგი“ სხვაგვარი,
სულ სხვაგვარი ნიშა ხარია,
იგი იქაა,
სადაც წვიმა და ან ქარია.
არ დაიჯერო,
თუ კი გეტყვი
რომ მჯერა შენი,
და თუ გავწითლდი,
არ გეგონოს — შენი ბრალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებლიდან

მატარებელი მიჰქრის,
შლის მოგონება ფრთებს,
მიფიცხებული მზეზე
სთვლემს გიორგობის თვე
მთა-მთა გადამაქვს ფიქრი,
მთა-მთა ვმორდები მთებს,
მატარებელი მიჰქრის,
ქარი ჩაუდგა თვლებს.

●

გაგექცევი, დამედევნე,
ნუ გამიშვებ მარტო,
ხევ-ხუვს გადაგატარებ და
დაგაჩოქებ არხოტს.
მერე თელავს გალოცვინებ,
ბახტრიონთან ღნატრობ,
უამრავი მეგზური მყავს,
მთვარე ლექსით მართობს;
ამ მეგზურებს ნუ ენდობი,
ნუ გამიშვებ მარტო.

იმედა ქრაკული

●

ცისკრის ვარსკვლავი გადმოხდა ფხიტუს
მთელი საკერპო ფეხზე ჰყუდავ —
მასკვლავ თხოვდების
ნისლი გადავა,
ჩაივლის რეკა...
ეს ჟამი ნეტა
ამ ლექსის გარდა
კიდევ რასმე თუ დაახსომდების?..

●

ჩიტებმა აღარ მომასვენეს,
სარკმელი გაეხსენ
და ზამთრის სუნთქვა ჩემს ოთახში,
როგორც ხაფანგში,
შემოვუშვი, შემოვიტყუე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დროს ხორნაბუჯი—ფრთების ფართქუნით,
როგორც შევარდენს ბერი ქედანი, —
მიაქეს, მივსდევ და გამოკვართული
ოჩნდება სიტყვა გაუბედავი.

ამოუცლია გული პირშავად
და შემრჩა ოდენ აჯა ლიტონი.
შე გაუწვრთნელო, რა დაგიშავე,
ფიტული მაინც მე დამიტოვე!

●

ახლა მთაში ვარ
    და ქალაქმაც უკვე დამტოვა —
წუხილმა, ბოლმამ, ზიზღმა, გესლმა,
შურმა, შეფარვამ...
აქ, მართალია, შენ არა ხარ,
    მაგრამ მარტო ვარ —
და ამიტომაც მუდამ შენთან ვარ...

●

...და ეს ერთი დღე იქცა პოემად —
მოგონებები, ვით ბწკარები, დავითითოვე...
ათასში ერთხელ რამე ფრინველი
გადაივლის და ფიქრებს შორის,
როგორც წერტილს,
    ჩრდილს დამიტოვებს.

შეგონება სათიბში

— ეხ, ისე კალამს რომ ვხმარობდე,
    ბიძაჩემო,
როგორც ცელს ხმარობ,
წუთით უმმად არ გავაჩერებდი,
ისემც ვიხარო!..

დავაყენებდი მწვანე ლექსის
ბულულებს, ზვინებს!..
ვაღაღანებდი სიტყვის ყანას,
ე სათიბი როგორც ბიბინებს!..

— ბალღო, წინაპართ ნათქვამს მოსდევს
ოდით ჩვენი ძირი და საძმო:
რომელი საქმეც ხელზე მოსდის —
იგი უნდა აკეთოს კაცმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ჭიღლაძე

მოცინარი ტირიფები

აღარც დაბნეული მძივი ვარ და
აღარც მარცვალ-მარცვალ ვიკრიფები.
ნუთუ არ გინახავს წვიმის ფარდა,
ან გაცინებული ტირიფები?

მე გაზაფხულივით მოგეპარე,
და გაზაფხულივით შენში დავრჩი.
ჩვენი სიყვარული მოგაბარე,
— ეს უნაზესი და თოთო ბავშვი!

კიდევ—ნისლიანი მთები მიყვარს,
ჩვენგან დასერილი ბილიკებით!
ასე ნეტავი რამ გააცინათ,
ოი, ეს მტირალა ტირიფები!..

თამაზ ბაძაღუა

●

მომწყინდა უკვე:
სიჩუმის ფსკერზე ხეტიალი,
შენი მინდვრების,
ამოწვერილი ბალახების ქვითინი...

ის რაა, მხრებზე რომ მაწვება
ვეება ფრთებით,
ყურში რაღაცას ჩამჩურჩულებს,
მეალერსება,
გზადაბნეული დავაბიჯებ მე მის ქარებზე,
ფრთხილად,
თითქოს ახალშობილ ბალღს ვეხებოდე...

საით მიხმობ, საით გრძნეულო?!

●

წყვდიადს ეფარა ლურჯი სანთელი,
ქუჩები თვლემდნენ მთვარეულ ბინდში,
და ცარიელი ქუჩების სევდით,
და გატრუნული სახლების სევდით —
უფრო ხმამაღლა უსტვენდა ბიჭი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დაბადებამდე ქარებს ვეხლებით,
რკინის ქარებს და ქარის წისქვილებს,
და მიარწევენ ჩვენი ფეხები
ცოდვას, რომელიც გამოისყიდეს
დაბადებამდე. იქნებ გაჩყვები
იანვრის მწუხრით შებოლილ წვიმებს,
და ნაღვლიანი შენი სახელი.
კარზე ძაღლივით მოადგა ვინმეს.
თუ მჯერა, ესეც ქარმა წაიღოს,
მე ლოდინს ვიწყებ და მოციმციმე —
მიველურსმნები გაყინულ ბაღლამს
როგორც მომაკვდავ ქალის სიცივე.
სიზმარი — ტანჯვით და შეწყალებით,
დახურე ფარდა. ცრემლი ინებე,
მეც მომძებნიან ჩემი ქარები
და ბნელ სარდაფში დამაძინებენ.
თუ ახლა მეერდზე დუმილი მაწვიმს,
არ გამიმხილო — რისთვის და რატომ,
მე ჯერ მოვკვდები ღმერთების თვალწინ
და მერე ჩემთვის — ჩუმად და მარტო.

ნანა ჩემია

გოდება ლამანჩელისა

ო, სანჩო-პანსავ, —
ჩემო ერთგულო მამავ და შვილო!
რა ახარხარებს
ქვეყნიერების ვეება ხახას?
რომ —
ისევ ქარის წისქვილებს
ვებრძვი?!
რომ —
გამოცლილა სიკეთის კასრი
და
სიყვარულსაც
ხიბინძურის აუდის შმორი?
მაშ,
აგვიანებს სიმართლე ისევ?!
ჩემი ხმალი ხომ
არასოდეს ებრძოდა ჰაერს...

. . . . . .

ო, სანჩო-პანსავ, —
ჩემო საბრალო მამავ და შვილო!
როგორ დაგვცინის
ქვეყნიერების ბინძური ხახა!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის ბარათი

(სურათი)

სისხლის წვეთები ეცემა
ქუჩებს,
სისხლის წვეთები ეცემა
საწოლს.
ქაღალდიდანაც გადმოღვარეს
მიწა და სისხლი,
პატარა ბიჭიც
დროშასავით შეკყურებს
წითელ,
დაგვიანებულ სიმღერებად ქცეულ
სტრიქონებს...
... თითებდაჩეხილ მამის ბარათს.

●

იმ მონატრებას გაუმარჯოს,—
— ბრძანა თამადამ,
— შენს გვერდით იჯდეს:
შესცქერდე
და
გენატრებოდეს!

ემზარ ბენდელიანი

●

რად მოიღრუბლა ცა უდროო დროს,
რისთვის არა ჰგავს ეს დღე სხვა დღეებს?
თავაწყვეტილი მარტის გრიგალი,
მმორლიურ სულში ცივად მახედებს.

მძიმე ლოდებზე წვება წალკოტი
ფიფქია ზეცის ღია იარა.
ლაჟვარდო, ჩემში, ჩემში სასლობდი
გმადლობთ რომ მოხველ და მომიარე.

ალბათ ჭრილობამ მომტაცა სული
გადარჩენისთვის მე არ მცალია.
თოვლი ჩურჩულებს, თოვლი ჩურჩულებს,
თოვლი წარმავალ დღის ნაცარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამალოცვინე

წვიმს, წვიმს, წვიმს,
გული სველდება ნამით,
ნეტავ იჭექოს ცაზე,
ნეტავ ინათოს წამით.
ნეტავ მაცინოს მიწამ
ნეტამც, ნეტამც რამით,
ნეტავ მომადგეს საწოლს
სიზმარი მშვიდი დამის.
ნეტავ შემეძლოს ჩუმად
მე გადახედვა რამის,
ვეღარ დამიჭერს შიში,
ღამის ვიმღერო ლამის.
ნეტავ გამგზავნა ზეცას
მე მოციქული ღამის,
დამალოცვინა მიწა.
დედა სახნისის, ხარის,
დამალოცვინა ბარი,
ჭიგო ლხინის და ვაზის
დამალოცვინა მეხრე,
მეურმე გუთნის დედის
დამალოცვინა ქვეყნად
კალთა ქართველი დედის.
აღარ წამცდება სიტყვა
აუგი ჩემი ბედის.
დამალოცვინა წყარო,
ცრემლები ვაზის დედის,

ვიცი ლენინი მსოფლიოს უმზერს

ადამიანი, რომელსაც ვფიცავთ,
კაცობრიობის სიცოცხლეს სჭედავს,
უნდა ვემთხვეო მამულის მიწას,
რომ ჩემი მიწის პოეტი მერქვას.
სულ გაზაფხულის ისმოდეს ფეთქვა,
და მეღვრებოდეს მზის შუქი გულზე.
პოეტი მხოლოდ მას უნდა ერქვას.
ვინც ცას ნათელი თვალებით უმზერს.
ჩავლილა ჟამი უამინდობის
და მეც ვმღერივარ ამ გაზაფხულზე
კვლავაც შრიალებს მუხა მშვიდობის
კაცობრიობას ლენინი უმზერს.
მოაქვთ დროშები ხალხის ათასებს,
ტყემლების ნისლი აცვია კორდებს,
დღევანდელობის ბარიკადებზე
ლენინი დგას და ჩვენც მოგვიწოდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ კი შორს, დაღლილ სანტიაგოში
კვლავ მტკივა სისხლი გლვნის და მუშის,
თითქოს მეცემა ყინვა და თოში
თითქოს ჭრილობა მეხსნება გულში.

მაგრამ ზვირთდება სისხლი ძარღვებში,
და გაზაფხული გადამდის გულზე,
აჰა ინათებს მაისის დილა
კვლავაც მშორდება ეს სევდაც მხრებში
ვიცი ლენინი მსოფლიოს უმზერს.

ნინო ხარაზიშვილი

უცნაურობა

მომესურვილა დღეს
სიმღერა და სიხალისე,
ანთებულ თვალებს
დახარჯვა სურთ
მზით და ფერებით,
ავღელდებოდი,
მოვიტანდი ველის ყვავილებს,
ჩემს სიქალწულეს
გავშოლტავდი იის წკნელებით,
ავბორგდებოდი,
ვიმღერებდი... ან
ვიტირებდი,
გრძნეული როკვით გაგიცნობდი,
მკრუნჩხავ ხელებით,
დავიქცეოდი,
სიკვდილადაც დავიქცეოდი,
ის რომ ვიცოდე,
შემკრიბავ და...
მომეფერები.

●

ატმის ხეს
რძეი შეუსვამს,
მუსლებს უმაგრებს ქარიო,
იმ ბერიდედის ჭირიმე,
მტირალს რომ გწმინდა თვალიო,
მზე ცაზე ქოხებს ხატავდა,
ქოხებს შეკრულებს თივითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძედალეული ტუჩები
ატამო, მზისკენ მიიტა,
მიიტა, შეგალამაზებს,
დალოცვილია ღვთიერთა...

●

მე გრძნეულივით წაგიშლი ფერებს
და შენში გამად, ხმად დაგსახლდები,
ხმაურისგან გამოცვლილ ხელებს,
როგორც ფერება, მოენატრები,
წყნარად ჩამოვა ცის ვიწრო ზოლი
და შენს ფეხებთან კრთომით დაწვება,
გაშიშვლებული მზე — ფართო ნოლი
დაიბერტყება ფერად დაწვებად,
გარიჟრაჟდება სახატე შენი,
როცა წაგიშლი ფერს, ვით გრძნეული,
შენღა დამრჩები,
ვით გადამრჩენი
ჩემი სულის და ჩემი სხეულის...

ლალი თოთაძე

დასაწყისი

ღამაზ დასაწყისს თრთოლვით ვეღოდი,
მერე მრავალჯერ დამხატეს ფუნჯით,
სიკვდილის მერეც სულში შემოდის
გაოცებული სამყარო ლურჯი.

მახსოვს ვერ შევძელ დარჩენა მარცვლად,
დედა-ბუნებამ ვეღარ დამმალა,
როდესაც მიწა უეცრად დარჩა
პოეტების და ლექსის ამარა.

არ ვიყავ ქალი, ვიყავი ფეთქვა
დედა-ბუნების ნორჩი გულისა,
მე გაჭრნდი სუნთქვად, მე გაჭრნდი ლექსად
იმ მშვენიერი გაზაფხულისა.

მერე დამშალეს, ამაწყვეს ასფრად,
ლურჯმა სიკვდილმაც ვერსად დამმალა,
მე ვიშვი, მიწა როდესაც დარჩა
პოეტების და ლექსის ამარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარში ხედავს

და, როცა ღამის სიფითრე მოდის,
თეთრ ოცნებასთან კვლავ ვრჩები მარტო...
ამ მარტოობის ტკივილს და ლოდინს
ჩემი მდელვარე სხეული დარღობს.

ჩემში კაშკაშა და ცხელი მზეა,
ჩამოხეთქილი და მორღვეული,
შეუცნობლობის მწვავს პოეზია
და მძულს სიწმინდე ჩემი სხეულის.

აქ იჭყიტება ფანჯრიდან მთვარე,
მე მოლოდინის თრთოლვით ვივსები
და დასრულებულ, პოეტურ ქალებს
თუ ენატრებათ ჩემი სიზმრები.

მათ სძინავთ ახლა ვიღაცის გვერდით,
იმ ლამაზ ზღაპრებს არავინ არ შლის
და ჩემს სარკმელთან მთრთოლვარე ელდით
თეთრი საზღვარი ქანაობს ქარში.

ო, მე არ ვიცი იქით რა არის,
არის ზმანება ან დანაპირი?
რა ჯობს ლექსისთვის: მონობა ქარის,
თუ სიქალწულის თეთრი ნაპირი?

მაგრამ ამ კითხვებს არაფრად აგდებს
ქარი, ხეებზე ჩამოხეული,
და ვნებით დამწვარ, სისხლისფერ ვარდებს
სიზმარში ხედავს ჩემი სხეული.

ბეჭან ხარკიშვილი

ხეიდრი პოეტთა

მტრედებმა ჩამიქროლეს თოვლის
გუნდებივით,
ბალახები ჟანგისფერ სევდით ახუნდებიან,
— მირზა წავიდაო, —
ეს რა გამაგონეს,
— არ დაბრუნდებაო,
თქვეს და ტყუვდებიან;
პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიან და
პოეტები ბრძოლიდან გვიან ბრუნდებიან.

ტყვიებს ყორანივით მკერდი უკორტნიათ,
კბილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე-მძიმე
ბოლი ამოსვლია,
დაუწერელი ლექსების ბოლი.
წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი,
მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა,
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან კაიშაური

პ ო ე ტ ი

მე ვარ პატრონი მთლად სამყაროსი
და ზოგჯერ, ღმერთო, ძლიერიც შენზი.
ბევრ საუკუნეს გამოვცდი,
მარადისობა გავშალე მზეზე.
შურისგებაზე ნუ შეწუხდები,
ჩემი ძალა და რწმენა გახსოვდეს.
დაგიჩოქებენ ჩემი მუსლები,
ჩემი ლექსები კი — არასოდეს!

მარინა ხმალაძე

სინანული

გასრულილ ტყვიას გუდგევარ კვალში,
უმისამართოდ გასრულილ ტყვიას
და სანამ ვინმეს სიცოცხლეს წაშლის —
მე იმ ვიღაცის სიცოცხლე მქვია.
მე თავად სიკვდილს მივდევ ქარდაქარ —
ეს სიგიჟეა თუ გადარევა,
უნდა ვიღაცა ტყვიას წავართვა,
(რა სიჩუმეა, რა მდუმარება).
ვიღაც იცინის, ალბათ, დამცინის,
ასეთი იყო მუდამ ცხოვრება,
და მტანჯავს, მტანჯავს... რატომ არ ვიცი
ის, რაც ხვალ აღარ მემახსოვრება.
და მივდევ, მივდევ, სიკვდილს ქარდაქარ
და თვალებს მიწვავს ცრემლის სისოვ-
უნდა ვიღაცა ტყვიას წავართვა,
ტყვიას, რომელიც თავად ვისროლე.

ვლადიმერ მაჩაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბადა 1951 წელს, თბილისში. საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. სპი-ში სწავლობდა — მეხუთე კურსამდე.
არავინ არ იცოდა — ლექსებს წერდა თურმე...
ერთი პაწია წიგნი გამოვა — იმდენი ლექსი დატოვა... გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

საწყისი – რაიც არის სიკეთე სულ სხვა

ტანისამოსთან ერთად დატოვა
სანაპიროზე სული და ბედი.

სკაფანდრიანის თოკს დაათოვა
ცრემლი და გაშრა თვალები დედის.

●

მივიწყებულ და ბნელ სარდაფივით
დაიწყო გლოვა სნეულმა გიდმა:
„ო, რომ შემეძლოს, რომის პაპივით,
ვით ერეტიკოსს დავწვავდი რითმას.
ის მარომევს აზრებს, როგორც ართმევენ
სიკვდილმისჯილებს სიცოცხლის ნებას.

როგორც მუხლებზე ცოდვილი ქალი —
მზე ეგდო ზღვაში და აღთქმას დებდა.

ამოიტანეს სულ სხვა, საწყალი,
რომელსაც არვინ არ დაეძებდა.

ასე მგონია თავს წაართმევენ
რითმების ყულფს და აზრები ქრება.
და მათ მაგივრად საშინლად ყალბი
და უგრძნობელი ხმები ღაღადებს...“–
სიცარიელეს წყეული ზალპით
რითმებმა თავის ქალა ახადეს.

●

ცაზე ძვირფასო —
შენი გულისთვის,
ჩემი გულისთვის,
გულისთვის სხვათა —
მსხვერპლი გაიდე
და უნებური უბედურების გამოტირებას
გადააფარე დუმილი ზღვათა.

არსად ყოფნაა ყველგან ყოფნა!

●

დავიწყებათა ყინულის გერო
და სასურველი სიგრილეე ქრობის,
რად არ არსებობს სამაგიერო
ან სიყვარულის, ან მეგობრობის.

ო, მარტოობის ერთგულო ცეცხლო
მიუსაფარი ფერფლი ავდება: —
ყველა თავისი სიკვდილით ცოცხლობს,
ყველა თავისი სიცოცხლით კვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემორჩილება; ჭაობის ყელი,
ასული ტბის და სიცხის—ლეონა,
შემოხვევითობა — ბუნება ხელი,
თან უსინათლო ქმელეონი,

იდუმალება ნათელ ქვესკნელის,
პირველყოფილი წყვევლის არია.
გთხოვ, პირველად და უკანასკნელად
გამომეცხადო დაო, მარიამ.

მეხსამე

დაბადებიდან ორი ხმა სუფევს
ჩემში და მუდამ ორი ქარია.
აღწევებულებს ცა დაუხუფეს,
დაცემულები ცაში არიან.
დაბადებიდან ორი მზე არის
ჩემში და მუდამ ორი ფერია.
არის ეშმა და არის ზენარი,
არის სივრცე და არაფერია.
არის გზა ფეხებდაუკარები
და ბილიკები განცდებით სავსე.
არის ნახევრად ღია კარები
სიცარიელის. არის სისავსე.

და ისე სადა გვირგვინს იკეთებს
ნაამბორები წმინდა ნაწილებს
საწყისი — რაც არის სიკეთე,
რაც ბოროტებას ვერ ააცილეს.
ვერ გაბპერწეს მანნე „კეთილი“,
ის მშვენიერში იმშობიარებს,
ღუთის მოსავ ღრუბლად ცად აღკვეთილი
სული და აწვიმს მიწის იარებს.
იესო ქრისტეკ! ვის დაავიწყდი,
ვის გავექეცი, ვის ვიმეორებ,
ან მთლიანობას რისთვის განვიცდი,
როდესაც ჩემში რჩება მეორე.

მოსიყვარულე გული ზღვარაკად
კვლავ მოისურვა სიზმრის კალიფსომ,
ყოფნა-არყოფნის გზარავს არაკი,
როგორც ფინალი აპპოკალიფსის.

და ირეკლები მიწის მოლბერტზე
ყოველი კენტი თუ ლუწი ფერით.
რომ არ დავიდეს ცოდვები ერთზე
სწუხს ლუციფერი.

მრავალწერტილის მოჩვენებით
თავისუფლებით
განიკითხავდი ადამიანებს
და ადარებდი სიმთვრალეში დაწერილ
ლექსებს.
შეცდომით დასმულ ძახილის ნიშანს
ბენატრებოდა შენდობილი შეცოდებანი
და მიწადქცევის ჟინს იურვებდი.
რა ბედნიერი ყოფილხარ, რადგან
უმეღური იყავი ხმირად.
საშინელია — ანგელოზის გინდოდა
თარგმნა
და კეთილი სატანა თარგმნე,
როგორც დონ-კიხოტი მუზარადს
ისე უფრთხილდებოდი რითმებს.
როცა უფსკრულიდან ვარდებოდი
სძულდი კიდების საფრთხეს,
და სინამდვილე გეხამუშებოდა,

როგორც დელვის რძე თითებს.
და შენი სახის დარღვეული პროპორციები,
ვით შენი სულის შერყეული
წონასწორობა.
გულწრფელი ფერი უსასრულო
შარავანდედად
გადადიოდა მცენარეთა უკვდავებაში —
ოქიდან ლექსში.
იბადებოდნენ არითმიით შენი ლექსები
იქ, სადაც წუთი გამოგლიჯე არარაობას,
სიდიადე შეიცნეს შენი...
და მიგატოვეს.
უკანასკნელად დაგესიზმრა ედელვაისი...
არ გინანია სიტყვა, რომელსაც
ვეღარასოდეს გაიმეორებ,
წახვალ და ისე წაგიკითხავენ,
როგორც ქათამი წყალს სვამს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამლეტს

მეზობლის ნათელ ლოჯიიდან
ვეგერები ოთახში, ჩემს ბნელ ოთახში,
სადაც არასდროს იტანჯებიან
საპარადო ფორმით საგნები.
ვანთებ სინათლეს,
თვალს ვარიდებ მათ მტვრიან ზურგებს,
უძლური კრეპის ნატიფ თითებს,
მიგდებულ სურათს,
და მოგონებებს, მიმოფანტულებს
სიგარეტების დაჭმუჭნული კოლოფებივით,
და ვეღარ კარებს.
მას,
ჩემსავე თავს,
გარეთ რომ დგას
და გასაღების დაკარგვას დარღობს..

სამშობლოს

ამ ფიალას მხოლო შენთვის ავწევ,
ვადღეგრძელებ და ბოლომდე დავცლი,
შენზე ფიქრი მუდამ ძალას მაძლევს
და ოცნებას სხვაზე არც კი მაცლის.

საქართველო ფესვმაგარი მუხა
უძლებდა და უძლებს დროთა ღელვას,
ახლა უკვე მაგრად დაიქუხა
ცას ანათებს, აცისკროვნებს, ელავს.

ვით ხატება საყვარელი დედის —
ისე მასზე არ მშორდება ფიქრი.
ღირსი არის, რომ ვიფიქროთ მეტი, —
კიდევ უფრო ავაყვავოთ იგი.

ხ ხ ვ ა

იწყევლებიან მკვდარი წამები
და არწმუნებენ შეშლილ წამებს:
მოხვალ—არავის არ ენანები,
მოხვალ — არავინ არ გენანება.
იქუფრებიან მკრთალი ფიქრები
და ფიქრისაცავის დუმილი დნება:
გახსოვს, გეგონა, რომ არ იქნები —
აღარაფერი აღარ იქნება.

თეთრი ბურუსი რომ აინთება,
გადაისხმება ჭურჭლიდან ლექი
და ობელისკი ფერფლის იდგება —
ასე ამაყად, სადაც იდექი.
ასე უწყალოდ რისთვის ეწამე,
ან რა საჭირო იყო წამება:
მოხველ—არავის არ დაენანე,
წახვალ — არავინ დაგენანება.

ვერ მოესწრები საკუთარ ტრიუმფს,
არ გეღირსება ზეცის თაღები.
ვიღაცა კიტავს სინათლის ტრიუმს
და იმუქრება სულის აღებით.

დაგეწაფება მალე წყვდიადი,
ეშმაკმა უწყის რა, სადაური.
მაინც, რატომღაც იყო დიადი
შენი ცხოვრება უსათაური.

50

გივი ძნელაძე

50

მისი სიმშვიდე, სიდარბაისლე, თავისებური, ნატიფ ირონიას შეფარული სიყვედ და კეთილგანწყობა საოცრად მოქმედებს ახლობლებსა და მეგობრებზე და ამის გამო თუა, გივი ძნელაძის გამოჩენა ყველგან და ყოველთვის სასურველია. მას დადამიანებთან თავისი მდიდარი სული, მოყვასი ბუნება და მადალი ზრახვები მიაქვს და ადამიანებიც გულგახსნილი ეგებებიან.

გარეგნულად ინერტული, თითქოს ზანტიც კი, მჭვრეტელობასა და ფიქრს მიცემული, ივი აუჩქარებლად და დინჯად მიაბიჯებს თავის შორ გზაზე და ჯერ არ დამშვრალა „მგზავრი მარადი“... მას თითქოს ერიდება გამოაჩინოს სულის თვისება, დაკვირვებული თვალისთვის კი ნათელია — როგორ მოუსვენრად უთრთის ნერვი, როგორ მღელვარეს მისი გული და მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში აძლევს თავს უფლებას გაამჟღავნოს შინაგანი ამბოხება, ვნებათა ღელვა, მოუსვენრობა... მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის პირისპირ რჩება და ლექსით გამოხატავს თავის არსსა და ზნეობრივ კანონს, მშვენიერის მიწვდომის სურვილს.

„სულო! — გატყობ მირონცხებას, აღზევებას, სრულობას!.. დამთავრებით დაიწყება შენი მოგზაურობა!“ — წერს ივი და ეს სიმართლეა; აღზევებული, სრულქმნილი სულის სიმართლე. თავდაბალს, მორიდებულსა და უხმაუროს, მას მხოლოდ აქ, ლექსის სტრიქონში სურს პოეტური სიამაყით გაიცხადოს თვითრწმენა და განვლილი გზის სიშორისა და სიძნელის განცდა... ივი თითქოს დასასრულის განჭვრეტასაც ცდილობს და მას სულიერ ცხოვრებას უკავშირებს.

გივი ძნელაძე იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, იმ გამორჩეულ პოეტთა რიცხვს, ვისთვისაც პოეზია ბედისწერაა და არასოდეს შეუხედავს თავისი მოწოდებისთვის მიწიერი თვალით... არასოდეს მოუხვევია თავს ვინმესთვის თავისი უპირატესობა; ივი ადამიანურ ვნებებთან ჭიდილში გამოიწრთო და დღეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირმაგობას მიტანებული, ზნეობრივად ისე შესაშურად სუფთაა, როგორც მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვანს შეუძლია იყოს.

იგი გულისხმიერი ამხანაგია და ერთგული მეგობარი, ფრთხილი და კეთილმოსურნე თანატოლთა და უმრწემესთა მიმართ... სხვისი წარმატებით გახარებული და სხვისი უკეთური საქციელით გულნატკენი, იგი სულის იდუმალ სიღრმეებში ატარებს სევდას, სიხარულს კი ყველას უხვად უზიარებს. მერე, პოეტურ აღსარებად გარდაქმნილი ტკივილიც საქვეყნოდ გამოაქვს და მდუმარედ მიადევნებს თვალს ლექსის სიცოცხლეს; მას ისე სჯერა ლექსის უკვდავებისა, როგორც სხვა არაფერი ამქვეყნად.

საკმაოდ ვრცელია გივი ძნელაძის სამოღვაწეო სფერო, იგი ბევრი პოეტური კრებულისა და თარგმანის ავტორია, — ოღონდ, კიდევ არსებობს ერთი მხარე მისი შემოქმედებითი ცხოვრებისა, თითქოს გამოუჩენელი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი და ძნელი. ესაა მოღვაწეობა ჟურნალ „ცისკარში“, სადაც იგი პოეზიის განყოფილებას ხელმძღვანელობს... ვინ იცის, რამდენ ახალბედას გაუვლია მის ხელში, რამდენს დაულოცა გზა, რამდენი აკურთხა ამქარის წევრად... და ყოველივის მათი დამცველი და მხარში ამომდგომი ყოფილა, რადგან მისთვის ეს საქმე სულიერი მოთხოვნილება უფროა, ვიდრე მხოლოდ მოვალეობის მოხდა.

ალბათ, ცოტა როდია ორმოცდაათი წელი, მაგრამ არც იმდენია, რომ ხვალინდელი შემოქმედებით ცხოვრებას იმედის თვალით არ შეხედო, და ჟურნალი „ცისკარი“ ამ ხვალინდელი დღის სახელითა და რწმენით ულოცავს გივი ძნელაძეს დაბადების თარიღს, უსურვებს შეგობართა სიყვარულითა და მკითხველთა პატივისცემით გასხივოსნებულ, ქმედით და სისხლსავსე სიცოცხლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოხდა აბაშაში

შარშან გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ქართული სოფლის ქრონიკები „რა მოხდა აბაშაში“. ამ ნაწარმოებმა მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. წერილების ნაკადი დღემდე არ შეწყვეტილა. სწერენ არამარტო გაზეთის რედაქციას და ავტორს, არამედ ქრონიკების მთავარ გმირებსაც, — აბაშის რაიკომის პირველ მდივანს, გურამ მგელაძეს, ზანათის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ქ. სვანიძეს, სოფელ მარნის აგროუბნის ბრიგადირს, კარლო გრიგოლიას და სხვებს.

ვაქვეყნებთ მკითხველთა რამდენიმე წერილს ცირეოდენი შემოკლებით.

ᲫᲘᲚᲐᲓ ᲞᲐᲢᲔᲪᲘᲪᲘᲔᲣᲚᲘ Გ-ᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ!

მკითხველის მოკრძალებით მოგილოცავთ „ქართული სოფლის ქრონიკების“ მეორე ნაწილის გამოქვეყნებას. ეს მოვლენაა ქართული წერილობის, პრესის, და მეტადრე, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში. „რა მოხდა აბაშაში“, — ნერვიული სათაურიდან უკანასკნელ ფრაზამდე, დაძაბული ინტერესით იკითხება. მასში მთელი ენერგიით მოსჩქეფს ნამდვილი, ადამიანური ცხოვრების სიმართლე. თქვენს ქრონიკებში წარმოდგენილი ცხოვრების ჩრდილს —ჩრდილს ფერი აქვს და სიმართლეს — სარწმუნო, ნათელი ფერი.

როცა პირველი ნაწილი გამოქვეყნდა — მკითხველმა იგი სამართლიანად აღიქვა, როგორც გულწრფელი ამოფრქვევა. ეს არ იყო ჩვეულებრივი საკაზეთო ნარკვევი, რომელიც მრავლად იბეჭდება რუბრიკით „წმერალი და დრო“. ეს იყო გამოწვევა. მკითხველმა თავისი თვიდე და თავისი საზოგადოებრივი გრეშეოც, ყველა ერთად გამოიწვია კამათში: „რა ხდება ჩვენს გარშემო?“ „საით მიდის ჩვენი ცხოვრება?“ რა არის ამ ცხოვრებაში ნამდვილი და მოჩვენებითი? ყველა ამ კითხვაზე თქვენ სწორედ ისეთი პასუხი გაეცით, როგორიც „ალლეთეის ცისკრის“ ავტორის მორალურ უფლებას ეკადრებოდა. მე პირადად მომაჩნია, რომ „რა მოხდა აბაშაში“ დაწერის უფლება მხოლოდ „ალლეთეის ცისკრის“ ავტორს ჰქონდა.

თქვენს ქრონიკებს ერთნაირი ინტერესით კითხულობს მუშა, გლეხი, პარტიული მუშაკი, ლიტერატორი, პედაგოგი — ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სიმართლე, ვისაც გულწრფელად სურს აქტიურად ემსახუროს საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის ახალ კურსს. ამ კურსში ჩვენ ვხედავთ ეროვნული ღირსების აღორძინების ერთადერთ გზას, მაგრამ ამ გზით რომ შეუცდომლად ვიაროთ, საჭიროა ვამჩვევლოთ ისეთი ნიჭიერი ადამიანება, რომლებიც თქვენს ქრონიკებშია გამოყვანილი და სინამდვილეს მივუდგეთ ისეთი მკურნალის შეუპოკრობით, დაავადების ნამდვილი მიზეზების დადგენაში რომ ალამ-ალეზებს და წარმატებით აყვირგვნებს ავადმყოფობასთან ბრძოლას.

თქვენი ქრონიკები პედაგოგიური მეცნიერების სპეციალისტებისთვისაც საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენს, ადამიანზე დაკვირვების უამრავ ასპექტს გვისახავთ და ბუნებრივია თუ ეთხოვთ, რომ რაც ფეიერლეგა ფალე გამოეცით ცალკე ᲬᲘᲒᲜᲐᲓ „ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡᲔᲑᲘᲡ“ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს, თქვენი დაუღალავი მკითხველი

ᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲘᲚᲔᲘᲠᲗᲕᲘᲚᲘ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.

ᲞᲐᲢᲔᲪᲘᲪᲘᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ!

თქვენმა შრომამ „რა მოხდა აბაშაში“ („ქართული სოფლის ქრონიკები“) ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მჯერა, რომ ამის გამო თქვენი მისამართით გამოგზავნილი წერილების ნაკადი კვლავ გაგრძელდება და მე სრულიადაც არ ვცდილობ ფეხის ხმაც ავყვე

Digitized by Google

და ამიტომ გწერთ ამ წერილს. არა, მე, ჩემი შინაგანი მოთხოვნის შესაბამისად ვმოქმედებ, მინდოდა ასეთი მაინც კომუნისტის რედაქციაში გამეგზავნა, მისთვისაც მეთქვა მაღლის ასეთი ცხოვრებისეული ეპოკალური მნიშვნელობის ნაწარმოის გამოკვეططებისათვის, მაგრამ მაშინ წერილი უფრო ოფიციალურ ხასიათს მიიღებდა, მისი ტონი და შეიძლება შინაარსიც ერთგვარად უნდა შემეცვალა, შემეწინოდა და ყველაფერი ისე არ მეთქვა, როგორც გული მეუბნება და რის საშუალებასაც კერძო წერილი იძლევა.

საქართველოს კომუნისტები ახლა თავიანთი პარტიული ორგანიზაციის ისტორიის ყველაზე საინტერესო ფურცლებს წერენ. რესპუბლიკის კომუნისტთა დღეევანდელი საქმეები კომუნიზმის შშენებლობის გზაზე თავისი ეტაპური მნიშვნელობით, ნოვატორული შინაარსით, რევოლუციური სულისკვეთებით, მეცნიერული და თეორიული სიღრმით, — სწორეზეარია საქართველოს ისტორიაში. ამავე აზრით, იგი, ცალკე აღებული, საქართველოს კომპარტიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წელილი იქნება კომუნისტური შშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დღევანდელი გამოცდილებას უკვე დიდი ინტერესით სწავლობენ ეხლა და უფრო მეტად შეისწავლიან მომავალშიც. რაც დრო გავა, მისი ისტორიული ღირებულება და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა სულ უფრო მეტ აღიარებას მოიპოვებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მომავე კომუნისტური, პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

აბაშელი კომუნისტები, თავიანთი ხელმძღვანელის გურამ მგელაძის მეთაურობით ხსენებთან ერთად. ამ დიდი მსალელობის მარჯვენა ფლანგზე გავიდნენ, თანაც კომუნისტური შშენებლობის ყველაზე რთულ უბანზე — სოფლის მეურნეობაზე. სწორედ ამ კუთხით და ამ თვალსაზრისით წავიკითხე გაზეთი „კომუნისტი“ ყველი ნომერი, სადაც, თქვენი „ქართული სოფლის ქრონიკები“ დაიბეჭდა. ჩემთვის, როგორც გაზეთის მუშაკისათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თქვენს მდიდარ ენასა და მხატვრულ ხერხებთან ერთიანად კიდევ შეხვედრას.

თქვენს ამ მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაწარმოს არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის ისტორიაც შეინახავს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ თემაზე დაწერილი ნაწარმოების მეგზაქოთი პუბლიცისტიკის ნიშნეს. მარტო თემის აქტუალობის გამო კი არა, მეცნიერული სიღრმით და განხილული საკითხების მასშტაბურობით, გადმოცემის ოსტატობით ეს თქვენი ნაწარმოები დიდ სამსახურს გაუწევს ყველს, ვისაც სურს გაერკვეს ამ დიდი შუშობის არსში, რასაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დღეს ჩვენს რესპუბლიკაში წარეკ. მას მომავალშიც გვერდს ვერ აუვლიან საქართველოს კომპარტიის დღევანდელი ისტორიის სახელოვანი ფურცლების შემსწავლელი პირები, განსაკუთრებით ისინი, ვინც რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებით დაინტერესდებიან.

მისაბაძია „ეკონომიკაში“ ჩაქსოფილი ავტორის მაღალი პარტიული, დიდი მოკალაკეობრივი, აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია, ის დიდი სიყვარული და სითბო, რომელსაც თქვენ რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიციაზე მოგელენთებიდან, მისი განხორციელებისათვის მებრძოლი „დიდი და პატარა“ ადამიანებისადმი იჩენთ.

აბაშელთან ადრე ჩამორჩენისა და მოკოვებული გამარჯვების მაჩვენებელ ციფრებს, გატარებული ღონისძიებებს ამსაგელ მასალას მოხსენებები, მოხსენებითი ბარათები, უამრავი სტატისტიკური ცნობები წეინახავენ, მაგრამ პარტიის რიაკომის პიროს. წერებინ, პირველი მდივნის გურამ მგელაძის თავდადებული, შეუპოვარი, კონსიერული ორგანიზატორული მუშაობის ყველიფერი ალწერა, მისი დახატვა ჯერ-ჯერობით მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

აბაშელთა მაგალითის არსი მარტო შრომის ანაზღაურებაზე, მატერიალური წასალისებაზე მათ მიერ შემოქმედებულ მეთოდში, მეცხოველეობის ფერმებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა ფართო ქსელში, მემანდერეობის კომპლექსურ ბრიგადებად და სხვა მნიშვნელოვან სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებაში არ მდგომარეობს.

ყველაფერი ეს კი ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიება თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტი როლი და ადგილი მაინც სხვას უნდა მიეკუთვნოს, გამარჯვების სათავე, მისი დასაწყისი სხვა რამეშია.

ეს თქვენ ღრმა მარქსისტული გაგებით გაქვთ ვახსნილი, განსაკუთრებით პირველი წერილების ბოლო თავში.

ასეუხობთ რა თქვენს მიერვე დასმულ კითხვაზე, — თქვენ წერთ: — „გურამ მგელაძეს ეს ყველფერი ადამიანის სიყვარულმა შეაძლებინა... დიდი სიყვარული პოლიტიკურ ხელმძღვანელს არა მარტო გონებას უფიზნერებს და კაცის გულის გაგების ნიჭს მპატეს, არამედ დროზე და შეუცდომლად გატეხინებს, რა არ იცი და უეჭველად კი უნდა იცოდე.“

„უძლეველია შეუჯარებელი ადამიანი!“ ეს სიტყვები ყველა ხელმძღვანელებს სამუდამოდ უნდა დიმახსოვრონ. ეს არის ჩვენი პარტიის დიდი პოლიტიკა, მისი გასაღები: ზოგერთი ხელმძღვანელის საქმიანობაში ეგი, სამწუხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ. ლამაზი სიტყვიერი ვარჯიშის არეს არ სცილდება. ახალი ადამიანის ხელმძღვანელის საქმიანობაში კი იგი კაცობრიობისა და ადამიანშეცნიერების პრაქტიკულ პროგრამად იქცევა თავისი დიდი მატერიალური შედეგებით და სულიერი მასაზრდოებელი წყაროებით.

ამიტომ ადამიანი, რომელიც ამაშია გამოცდილების შესასწავლად ჩავა, მან მისი რაიკომის პირველი მდივნის ცხელი გულის ნაწილიც უნდა წამოიღოს. სხვანაირად ყველა ჩანაფიქრი, მოგეგებალი და გადმოწერილი-გადმოსაზული, რაგინდ ზედმიწევნითიც არ უნდა მოხდეს იგი, სპირო ეფექტს არ გამოიღებს. საქმის წარმატებით ნამდვილად დაინტერესებულ პირებს ამაში დიდ სასსაუოს სწორედ თქვენი შრომა გაუწევს, სადაც პირველ რიგში დახატულია მებრძოლი პარტიული ხელმძღვანელის გული.

ამნაირად, თქვენ „ქართული სოფლის ქრონიკებში" შექმნით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, კომუნიზმის შენებლობის საქმეს ფაქიზადებელი სასსაუოვა გაუწევი. იგი მალე უნდა გამოიცეს და ყველა ხელმძღვანელი მუშაკის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს.

საქართველოს კომუნისტების, მათი ხელმძღვანელების უკანასკნელი ხუთი წლის გამოცდილებამ ერთხელ კიდევ დადასტურა, რომ დღევანდელ ეტაპზე ჩვენი საზოგადოება ყველაზე მეტად საზოგადოებრივი შრომის კომუნისტური ორგანიზატორების ნაკლებობას განიცდის.

სწორი იყო და დღის წესრიგიდან არასოდეს არ მოხსნილი ლენინური — „კადრები სწყვეტენ ყველაფერს!", სწორია და არასოდეს არ მოიხსნება ჩვენი ისტორიული ლენინური — „ტექნიკა წყვეტს ყველაფერს" და დღეს, როდესაც კადრებით (სახელმო მეურნეობის ყველი დარგის სპეციალისტების გაგებით) და თანამედროვე ტექნიკით თითქმის უზრუნველყოფილი ვარო, ადამიანებთან შუშობის „სპეციალისტების", საქმის პოლშევიკური, ლენინური ორგანიზატორების ნაკლებობის განცდილი. ამაზე მეტყველებს ყველა მოწმინდე. სამრეწველო და სასოფელო-სამეურნეო საწარმოს, მოწინავე რაიონის გამოცდილება.

ღმერთო, ნუ მიწყენ თუ შეეცოდეს: ალბათ ყველა დარგის დიდი სპეციალისტების გამოზრდა უფრო ადვილია, ვიდრე ადამიანთმცოდნეების, პარტიული ორგანიზატორების, მარქსისტ-ლენინისტების დიადი მოძღვრების დროშით მავალი ფიდი და პატარა. ხომალდების კაპიტნების, ეკუმპარატი ფესავეების გამოკვედა. ალბათ დალოცვილი ბუნებაც ძუნწობს ამ მომარხოულებით. თუმცა ამ საქმეს თავისი კანონზომიერება და ისტორიული ახსნაც აქვს. ეტაპზეატატორულ სახელმწიფოებში კერძო საკუთრება თვითონ მართავს თავის თავსაც და სახელმწიფოსაც. სოციალისტურ საზოგადოებაში კი მეურნეობას ხალხი განაგებს. მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს მეშვეობით. კოლექტიური ხელმძღვანელობის ფუნქციის შესრულება საზოგადოებისთვის მთლიანად ახალია და მისი არავითარი მემკვიდრეობა არ გაგვაჩნია, ჩვენ სპეციფიური შუშობის თითქმის ყველა საქმის გამოცდილების შესასწავლად შეგვიძლია წაგიაგეთ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათგან მთელი ქარხნებიც კი ვიყიდოთ, მათივე სპეციალისტებს ავალებინოთ: ასეევე შეგვიძლია შევიძინოთ მათგან მეცნიერულობის ფერმის მთელი კომპლექსი მათივე ჯიშიანი პირტყვით. მაგრამ ისინი ჩვენ საკუთარი, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი მეთოდიანთ უნდა ვმართოთ. ეს მეთოდები კი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. ახალი წარმოებათ-ურთიერთობის ყველა რგოლის სრული ფორმით დადგენისთვის საბრალი წელი ბევრი არ არის. ამის გამო ვართ მუდმივ შემოქმედებით ძიებაში, ბრძოლაში და მიგნებაში. ამიტომ არის ჩვენთვის ძვირფასი ამაშის მაგალითი და მასზე დაწერილი წიგნი.

რაც შეეხება შრომაში მატერიალური დაინტერესების ამაშეურ მეთოდს, იგი სოციალისტური რეალობა ფორმითაა, მიზნითაც და პრაქტიკული შედეგებითაც. მაუქვეს, რომ მის მოწინააღმდეგეებს, მართლაც ამ ვაი-სოციალისტებს, შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპების დარღვევა ალელვებდეთ?! მაშინ ისინი ცოტა უფრო მეტად ჩაუვერდებოდნენ და დაინახავდნენ, რომ ეს ერთი შეხედვითი წინააღმდეგობა თავისი ბუნებით დიალექტიკური და ამიტომ დროებითი, გარდამავალი.

ჩვენს საზოგადოებრივ საწარმოო ურთიერთობის პირობებში ანაზღაურების ეს ფორმა არავითარ სოციალიურ საშიშროებას არ შეიცავს. წარმოების განვითარების, მატერიალური დოვლათის დაგროვების კვალობაზე, როცა მიღწეული იქნება შრომის ნივთიერი ანაზღაურების სათანადო მაღალი დონე, მატერიალური უზრუნველყოფა თავისთავად ისევე გასაგები და ბუნებრივი შეიქმნება, როგორც ახე ვთქვათ, მთის სოფელში სუფთა ჰაერი და წყლის წყალი. ამ დარგში პიროვნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებას დიდი ჯანირი აღარ დასჭირდება. თვითონ შრომა თავისი სოციალიური შედეგებით, ვგულისხმობ ეპიროვნების მორალური კმაყოფილებისა და ცხოვრებაში სტიმულის მიმეცემ ძლევარ ფაქტორად. სულ უფრო გაძლიერდება, წინ წამოიწევს, გადამწყვეტ პოზიციებს დაიკავებს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მორალური საწუთანები.

არა მგონია, რომ ამ ეტაპის დადგომა კო-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

რა მოხდა ალაშაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნიციპალური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების, მთელი ჩვენი საზოგადოების აქტიური ზემოქმედების პირობებში, ადგილობრივ პარტიის პოლიტიკის ჯანსაღი გატარების ვითარებაში, დღეკვანდლამებიან ძლიერ შორს იყოს.

ცხოვრების დიდი ცოდნით არის დაჯილდოებული, პატარა კონსტანტინე, თქვენი წიგნის ყოველი სტრიქონი. ამაღელვა უკანასკნელმა ამბავმაც. ჯერ კიდევ ყველას გვმართებს დიდი პრძოლა და თავდადებული შრომა ამისათვის, რომ ბოლომდე შესრულდეს ჩვენი რესპუბლიკის პარტიზანიზაციის მიმართ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის და 1976 წლის 22 ივლისის დადგენილებები, განხორციელდეს სპეციფიკური კომპარტიის 25-ე ყრილობის, სპეციალელოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩატარებული პლენუმების მასალებში განვითარებული იდეები და დებულებები. სწორედ ამიტომ უნდა გვაბარებდეს, „ქართული სოფლის ქრონიკები", რომელიც ამ დიდ იდეებს ქადაგებს და მათი ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის იბრძვის.

8. ხარაბაძეროვი, ეკონომისტი.
ქ. ცხინვალი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნარკვევიც ასეთი უნდა!

გაზეთ „კომუნისტში" გრძელდება კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ქართული სოფლის ქრონიკები". წავიკითხე დღემდე ყველა ნომერი, ვერ ვფარავ აღტაცებას და მის შესახებ მინდა ვთქვაო ყველას.

ბევრი ნარკვევი წამიკითხავს ამ ბოლო დროს, რომელიც ქვეყნდებოდა რუბრიკით „მწერალი და ხუთწლედი". მაგრამ საკითხის მნიშვნელობით, მისი შესწავლის სიღრმით და გადმოცემის ოსტატობით, ეფიქრობ, ამ ნაშრომს თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ამიტომ არის, რომ მართალ და მაღალ აზრებს არ დაპირავება ზედმეტად მაღალფარდოვანი სიტყვები, სიმართლე შეელამაზების გარეშეც, ცოცხალ ენითაც გასაგები ხდება ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. მაგრამ მწერალი რის მწერალია, თუ თავისებურად არ აადელვა მკითხველთა გულები და სხარულთან ცრემლი არ მოგვარა მათ?

ნარკვევში მრავლად არის გაბნეული ასეთი ადგილები, ანდაზური და აფორისტული ფრაზები, მაგრამ პირადად მე განსაკუთრებით ამადელვა ნარკვევის ამ სურათმა, სადაც აღწერილია სიმინდის ნალიის ჩამონგრევის ეპიზოდი:

— „ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა! — მითხრა ერთმა ხნიერმა ქალმა, როცა მეორე დილას ამ ძირგავარდნილ ნალიას თავზე ეფარდეკით.

— რა არის ბედნიერება?!

— აბა რა ჰქვია ამას, ბატონო! ქარიხა და თოვლისაგან წყვეტილი ნალია კი მინახავს, მარა თუ სიმინდი დაგვანგრევდა, ამას ვინ იფიქრებდა!"

ეფიქრობ, მწერალმა ამ პატარა სურათთაც კი შეიქნა საკითხის არსის გადმოცემა, ბაბუშის ახალი ხელმძღვანელობის გონიერული სამეურნეო პოლიტიკის, მართვის ახალი ფორმების, ამის შედეგად ხალხის რწმენის, შრომითი ენთუზიაზმის და მატერიალური ცხოვრების არნახული აღორძინების დახატვა.

ჩვენი, როგორც რიგითი მკითხველის, სურვილია „ქართული სოფლის ქრონიკები" დაიტაბმოს წიგნად.

გიორგი ჯულაკიძე,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოცენტი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

გულითადად მახარებს გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე მწერალ კ. ლორთქიფანიძის ნარკვევის „რა მოხდა ბაბუშაში" გამოქვეყნება.

ნარკვევი ნათელ წარმოდგენას იძლევა ბაბუშის რაიონში უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდარი დიდი გარდაქმნების შესახებ. კითხულობ მას და გაოცებს, ასე ძირფესვიანად როგორ ჩაწედა მწერალი არსებულ სინამდვილეს.

ნარკვევში ყოველგვარ შელამაზების გარეშე ნაჩვენებია ბაბუშის რაიონის როგორც წარსული, ასე დღევანდელი დღე.

დიდი მწერლის მიერ რაიონის მშრომელთა ესოდენ მაღალი შეფასება ახალი საგმირო საქმეებისათვის აღმფრთოვანებს.

ჯუბუ ნოდია.
ბაბუშის რაიონის სუყუნის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

დიდად პატივცემულო ბატონო კონსტანტინე!

ვის არ აადელვებს თქვენი „კოლხეთის ცისკარი" და „მწვანე ღილი", „პირველი ლოკავარილი" და „როგორ მოკვდა მოხუცი მეგალდური" და ყველაფერი. რაც თქვენნი მადლიანი კალმის ნაყოფია, მაგრამ ის დიდი გამოხმაურება, რაც თქვენმა წიგნმა „რა მოხდა ბაბუშაში" გამოიწვია, თითქოს ყველაფერს აფიწყებს მკა-

თხელს" — ალბათ თქვენც ვერ წარმოიდგენთ, როგორი მოუთმენელი გულით ველოდი „ოქომენსტატის" ახალ ნომერს და თან ვნატრობდი, ნეტავი ჯერ არ დაესრულოს-მეთქი. დღეს დასასრული წავიკითხე, და ერთხელ კიდევ დაგრწმუნდი, მწერალს დიდად უნდა უუკარდეს ქართული სოფელი, რომ თავისი სიტკბეს ხმარობელნი ასე ღრმად დაგაჯეროს.

პატივისცემისა და კეთილი სიტყვის ღირსია აბაშის რაიკომის ახალი მბეური, რომელმაც ლაგამი ამოსდო ყველა ოქმარას, გაიძეერმა, მეკრომაეს, მორიკაანს, მაბეზღარამ და ცილისმწყრმებელს; რომლებიც წამლოვენ ყველაფერს და დამშვიდებულო შრომასა და ცხოვრების ხაშულებას არ აძლევენ პატიოსან ადამიანებს.

დიდი მადლობა ჩემო ხაუვარეო ადამიანო, რონ ყველას და ყველაფერს თავისა სახელი დაარქვით — გასაკიცხი გაკიცხეთ და მოსაწონს გულთბილი სიტყვა უთხრეთ.

ბეჟან ოთინაშვილი.
ცხინვალის რაიონი. ს. ქურთა.

პატივცემულო რედაქციავ!

ფულდასმით წავიკითხე გაზეთ „ოქომენსტატში" გამოქვეყნებული მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ქართული სოფლის ქრონიკები — „რა მოხდა აბაშაში". ვუცდიდიდ დასასრულს და აი დღეს დავამთავრე მისი წაკითხვაც. მე პროფესიითა ყოფილი სამხედრო პირი ვარ, ამიტომ ამ ქრონიკების მხატვრული ღირებულებაზეს შეფასებას მიზნად არ ვისახავ. მე მხოლოდ მინდა ჩემი საკუთარი აზრით გამოვეხმაურო ამ შესანიშნავ ნაშრომს, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას და ხალხს ეკრძალება, რითაც ხახელოვანი მწერალი დროსა და ეპოქას მოთხოვნებს გაბედულად და რაინდული რწმენით გამოეხმაურა, „ოფლნეთის ციხირის" ავტორმა 70-ინა წლების სოციალისტურ სოფელში თავისი ეშეშმარტი თვალით ნახა და მხატვრულად აღწერა სინათლეზე, რამაც აბაშას დიდი გამარჯვება მოუტანა. ამის საფუძველი კი იყო მობოკარი და მოუხვენარი ადამიანების სამართლიანი ბრძოლა — გზიდან გადავარდნილი ადამიანების გადასარჩენად; მატერიალური სტაბილურობის ახალი წესის გაბედულმა დანერგვამ, დიდმა მონდომებამ და წმინდა სამართლეს მშრომელთა მარჯვენის ნაამაგარი უხვად დაადოდა და დაახვავა აბაშის სოფლებში.

აბაშელთა გამარჯვება — შრომის ფრონტზე, — ეს ეშეშმარიტი გმირობაა; აბაშელი გლეხი მარტო პირადი ქონების მოხვეშეთ რიდი იყო დაინტერესებული, როგორც ეს ზოგიერთ ვაი-სოციალისტებს დღესაც ჰგონიათ, რომ ეს ყველაზე დიდი შრომითი გმირობა შეხარულებული იყო სამშობლოს სიყვარულითა-სთვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ეს ალბათ ამ აბაშაში მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რომ ეს სამართლიანი ძარები საკოლეგიონი ცხოვრებაში სოციალიზმის ხატია და რჯულის შელანძღვა კი არა — კომუნისტური ძარტიის იდეების ხორცშესხმა, კომუნისტური რწმენის გამარჯვებაა.

დღეს ყველა კეთილ ადამიანს უანგარიდ ახარებს ქართული სოფლის შუქურა-ვარსკვლავების ბ. ჩიჩინის, ვ. ჯოველაძის, ა. ტოროფაძის, ტ. ჩხაიძის და სხვათა ნაამაგარი, ჩვენ არ გვაშინებს ის ამბავი, რომ ადამიანი თავი-ნი პატიოსანი შრომით შეძლებული ,,გაადგა, პირიქით გვეამაყება და გვახარებს. ეს ხომ ჩვენი პარტიის უზენესი კანონია. ჩემის აზრით, ამ უკანასკნელ წლებში არ შეკმნილი ისეთი ნაწარმოები, სადაც ყველა პროფესიის ადამიანი მონახავდა რაიმე სიამედის, სარწმუნოს, დამრიგებელურს თავისი საქმიანობისა-თვის; ისეთი კი სწორედ ქართული სოფლის ქრონიკები ვახდა. იგი სამაგალო წიგნია, არა მარტო სამეურნეო და პპრატიული მუშაკებისათვის, არამედ ყველი ინათვეს, ვისაც ცოცხალ ადამიანებთან უხდება მუშაობა, ვინც ხუთწლედის ამოცანებს სწყვეტს, ერისა და ქვეყნის სიკეთისათვის იწვის და მომავალი თაობების მეგზურ ზრუნავს. ქრონიკებში ცოცხალი. სინამდვილეა გულთბილად აღწერილი, აქ ძეერის ქართული სოფლის განახლებული ცხოვრება... სდგას აბაშის ჭალა-მინდვრების სურნელება.

ალბათ ქრონიკების ძალა, და მადლი, მისი სიმართლე, მისი საშვალიშვილო ეროვნული პრობლემა ჩაადენერებს ბევრ ხელმძღვანელს, რათა ნივთიერი წახალისების ახალი წესი გაბედულად დანერგონ სხვა რაიონებშიც, გაეტარონ ის პოლიტიკეა, რაც ქვეყანასა და ხალხს გამოადგება. რაც შემქნის სოფელში ხვავსა და ბარაქას, არ დაადარეულებს ქართულ სოფელს და მის ლამაზ ერის მშვარტლსა და მორს მოაშორებს: მე, როგორც აღმზრდელს, ვისაც პატრიოტა და ხალხის მიერ მინდობილი მაქვს მომავალი თაობის აღზრდა, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ქართული სოფლის ცხოვრების ქრონიკებმა" ფასდაუდებელი სამსახური გამიწიეს, — კიდევ უფრო გაბედულად ვიბრძოლო სამართლისათვის, რომ სკოლის მერხიდანვე მოვამზადო ჩვენი შემცველები ახალგაზრდა თაობა ძლიერი და მართალი ქვეყნის აშენებაგაფმტკიცებისათვის, ქრონიკებმა ახალდიდრეს ჩვენი ერის სულიერი საკაბეური, იგი ებრძვის ყველაფერს, რაც ჩვენი ქვეყნის წინსვლის

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
რა მოხდა აბაშაში?

ელობება, რაც ადამიანთა კეთილ მომავალს, ნათელ სიცოცხლეს ხელს უშლიან!

ალექსანდრე მაჩიაშვილი,
ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმის
მასწავლებელი.

ბატონო კონსტანტინ!

დიდი და გულწრფელი მადლობა მართალი, გამბედული სიტყვისათვის. ო, მართალი როგორ მოგვეწყინატო ასეთი სიტყვის მოსმენა.

ასეთი სიტყვის მოსმენა შესაძლებელი გახდა იმ ტიტანური შუშაობის შედეგად ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რასაც ეწევა საქართველოს კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც სარგებლობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს და პირადად სკკპ ცკ გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის. მხარდაჭერით, ეს ახლა ყველას ესმის ჩვენს რესპუბლიკაში და არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში... ხოლო თუ ვინმე თავს იბრძვებს, ან იყოროებს, ეს მათ სინდისზე იყოს.

ახლა რაც შეეხება ვაი-სოციალისტებს, რომლებსაც შრომის ანაზღაურების ამაშური წესი სოციალიზმის ღალატად მიაჩნიათ, მე მხარს ვუჭერ ამ საკითხზე პროფესორ ვენორი ქვაჩრიას წერილს და ამ საკითხთან დაკავშირებთან მახსოვდება სტალინის პოლემიკა მეპარტველებთან, კერძოდ ბუხარინთან, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი „გამდიდრდით".

ეს ლოზუნგი მართალი საშინი იყო მაშინ, როდესაც საკითხი „ვინ ვის?" არ იყო გადაჭრილი სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის სასარგებლოდ. ასეთ პირობებში ბუხარინის ლოზუნგი ნიშნავდა კულაკების შემდგომ გამდიდრებას ელეხთა მასების გაღატაკების ხარჯზე. სოფლად ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი სოციალიზმის ეკონომიკური ბაზა, მაგრამ სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებას შემდეგ მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა და პარტიამაც წამოაყენა ლოზუნგი: „ვაცხადოთ კოლმეურნეობები ბოლშევიკური — კოლმეურნეობები კი შეძლებული", ეს კი სულ სხვა რამეს ნიშნავდა, ვინემ ბუხარინის ლოზუნგი. ასეთი რამ პარტიამ არ აპატია 20-ინი წლის ვაი-სოციალისტებს, მით უმეტესად არ ეპატიება ეს 70-ინი წლების ვაი-სოციალისტებს. ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის ანბანური ჭეშმარიტების არცოდნა.

ს. ციკოლია.
სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.
სოხუმი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორს ამხ. დ. ჯაველიშვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე კონსტანტინე ლორთქიფანიძის შესანიშნავი ნარკვევი იყო გამოქვეყნებული, „რა მოხდა აბაშაში", ნარკვევი საუკეთესო სახელმძღვანელო დოკუმენტია პარტიულ სამეურნეო დარგში მომუშავე ადამიანებისთვის — მუშაობაში არსებული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მე, როგორც მკითხველს, მინდა ხაზი გავუსვა ნარკვევის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ჩემი აზრით, ეს ნარკვევი პარტიულმა კომიტეტმა უნდა განიხილონ ადგილებზე, ადგილობრივი მდგომარეობის გაანალიზებით და დაფვრილებით გაიცნონ მშრომელებს.

დ. ჯაველიანი.
დაბა მესტია.

დიდად პატივცემულო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის „კომუნისტის" მეშვეობით მადლობა გვინდა გადაუხადოთ გამორჩენილ მწერალს, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ხაქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ქართული სიფიცის ქრონიკებისათვის „რა მოხდა აბაშაში".

აღნიშნულ ნარკვევში ჩამოთვლილი ფაქტები მეტყველებად იყო გავრცელებული ქალაქად თუ სოფლად ჩვენი რესპუბლიკის რაიონების მეურნეობების ცალკეულ უბნებზე უხერხო, უყაირათო, უდარდელი, უსუსური და უპასუხისმგებელი ხელმძღვანელების მიერ.

ამის რამდენიმე მაგალითს ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცხოვრებიდან მოგიყვანთ.

ყვარლის რაიონში სტალინის სახელობის კოლმეურნეობა 1945-46 წლამდე ერთ-ერთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობად თვლიდნდა. საჭირო იყო ყველა ღონისძიების გატარება და ყველა რეზერვის ამოქმედება და კოლმეურნეობის ფეხზე წაყოლეცება.

ეს ახლა მოხდა, რასაც დიდად შეუწყო ხელი ნაკვეთების ინდივიდუალურმა გაპიროვნებამ და ამის შედეგად მატერიალური წახალისების მეთოდის დანერგვამ.

კოლმეურნეობა 1927 წლიდან რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში ჰიდგა. სწორედ ამ წარმატებას მიუძღვნა მწერალმა გრიგოლ ჩიქოვანმა ნარკვევი „გმირის ბჭა", გადადებული იქნა კინოფაფინალი, რომელიც უამბობდა მაყურებელს კოლმეურნეობის შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისა და შრომოლის დღეებზე. კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი დაჯილდოდან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. კოლმეურნე გლეხობის თავდადებული შრომის შედეგად იქნებოდა უხვი სასოფლო სამეურნეო პროდუქტები და ნედლეულთა მრეწველობისთვის, უფრო მტკიცდებოდა მატერიალური წახალისების ფორმები ყველა შრომატევად კულტურებში, იზრდებოდა მიწის ნაყიერიერი და ერთიანული, თანდათან მცირდებოდა უქნარებისა და ზარმაცების რიცხვი.

ეს მზიანი დღე კოლმეურნეობის ცხოვრებაში დიდხანს არ გაგრძელებულა.

ორმოცდაათთან წლებში რაიონში შეიცვალა ხელმძღვანელობა. ახალმა მესვეურებმა რატომღაც უფულებელსვეს. შემოქმედებითი შრომის მატერიალური წახალისების წესი. ისინი ამ ღონისძიებას „ანტისაკოლმეურნეო ღონისძიებად თვლიდნენ“, ათანაბრებდნენ კერძო საკუთრების ფორმასთან — ეძახდნენ საიკარო წესს. არაფრად ეთვლებოდათ ამ გზით წინა წლებში გაზრდილი დოვლათი, ხოლო ნატურალური პრემიის გაცემას თვლიდნენ საკოლმეურნეო დოვლათის განიავებად, შრომადღის საერთო ღირებულების შემცირებად. ამ ნიადაგზე გვიწერდნენ პარტიულ ხასიათს პირად საქმეში შეტანით (ისლეთი პირადი პარტიული საქმე სკკ ყვარლის რაიკომში).

თანდათან არ ცხრებოდა დევნის სხვადასხვა მეთოდები და ხერხები. ბევრი ალმაშფოთებელი ამბავი შეიძლება გაიხსენოს კაცმა, მაგრამ ალარ გავაგრძელებთ. ანალოგიური ფაქტები მრავლადაა მოყვანილი ქრონიკებში „რა მოხდა აბაშაში“.

„აბაშაში ნანახი და გაგონილი ერთხელ კიდევ ადასტურებს ყველაზე დიდ სიმართლეს ამ ქვეყნად, — შეუქმენი ადამიანს პატიოსანი შრომის პირობები და მერე ნახე მისი მკლავის მაგლი და სიკეთე“...

საკარიელოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმ ნაბიჯი წლების შემდეგ სწორედ ასეთი შრომის პირობები შეუქმნა ქართველ კაცს და რა ხვავი დააყენა ამ შრომამ, ეს ყველაზე მკაფიოდ შრომის წახალისების აბაშურმა წესმა გამოავლინა.

ჩვენ, ვეტერანებს, ეკვი არ გვეპარება, რომ ისე, როგორც საკარიელელს სხვა რაიონული პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, აგრეთვე ჩვენი რაიონის ხელმძღვანელებიც გულში ჩაიკრავენ ალნიშნულ ნაშრომს, ფარ-თოდ ვაფიცებენ კარს აბაშურ გამოცდილებას, ყველა შრომატევად კულტურაში პროდუქციის წარმოების გასადიდებლად, როგორც შრომითი რესურსების გამოყენების ნორმერ პირველ რეზერვს, მეათე და შუმდგომი ხუთწლიანი გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სიკო გუჯიაშვილი.

სოციალისტური შრომის გმირი.

სოხუმის ეთნოზუთოვანი კულტურების საცდელი სადგურის ყვარლის საერდენი პუნქტის ვაგეგ.

ერმილე ბაბაშელი.

ლენინის ორდენოსანი. ყვარლის „ენინმმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

დიდად კაბინეტეფულო, ძვირფასო კონსულტანტნო!

დაგელოცოთ მარჯვენა, იცოცხლეთ მრავალჟამიერ ამ დიდი სიამოვნების გამო, რაც ჩვენ მეთხეველებმა მივიღეთ ქართული სოფლის ქრონიკების წაკითხვით, — „რა მოხდა აბაშაში“.

მხატვრული ნარკვევი ბევრი წამიკითხავს, მაგრამ ასე მომხიბვლელად დაწერილი, ასე გრძნობის ამაღლებულად, რომ ყოველი გაზეთი „კოშონსტანის“ ასალი ნომრის მოლებას მოუთმენლად ველოდი, მეტი არ მახსოვს.

ნარკვევის ზემოქმედება უდავოდ განაპირობა თხრობის სისადავემ. ამბავის სასუფველ ასპექტში გადაკრამ და რაც მთავარია. ტკბილმა ქართულმა ენამ, რომელსაც თქვენ ასე სრულყოფილად ფლობთ.

მკითხველი თვითონ ლებულობს მონაწილეობას მოქმედებაში, თვითონვე მოლაკუნობს ამ დიდი საქმის წარმართვაში, განიცდის და აღელვებს საქმის წარმატებით დაგვიჩვენებენა.

ადამიანთა სახეები თვალწინ გვიდგას ჩვენი ნაცნობი ალალი მშრომელი ადამიანები. ვიხილეთ ხელმძღვანელის უთავგადასავლო ძალღონე ვაუნახეგრეზია, მაგრამ როგორც კი ბოლება დამჭდარმა, ეროვნულ ნაკვეთ ნაკვეთ ამაყო ხელი, კაცის სიტყვა და საქმე, ქვაზე მაგარი გახდა და ფასი დაიდგა: ადამიანებსაც იმედი მიეცათ, გაბალისდენ, საერთო საქმისადმი სიმკაცეცე მოეშალათ და თავდადება, მეთხველის თან დაჰყვება შრომისმოყვარე აბაშელი კოლმეურნეების სიწმინდით სავე სახეები.

რაიკომის ახალი მიფოსის თანმიმდევრული, დამპყრობელი ხელმძღვანელობა ადამიანებთან ურთიერთობის ახალი ფორმები და მეთოდები ფუნდამენტალურ საკითხების გადაწყვეტაში. კაცრეანის წარმართვაში, — ადამი

ლი მინდობილი საქმისადმი, სიყვარული ადამიანისა, მისი ბედნიერებისათვის ბრძოლა. (რად ღირს მეელძის საუბარი კარელ გრიგოლიასთან, შუამავლებელი და გულთამხრეველელ!)

ნამდვილი ხელმძღვანელი ადამიანის სიყვარულის გარეშე არ არსებობს! დასამახსოვრებელია „დანის პირზე მავალი კაცი“, კარელ გრიგოლია. სიტყვის დიდი ოსტატის კალმით ნაძერწი მისი სახე „რომლის ცოდვების ზურჯნის ძირი არ უჩანს.“ თქვენ ბრწყინვალედ დაგიტეხ ადამიანის გარდაქმნის ნათელი, მაგრამ მართებული სურათი. და ეს იმგვარად დაიხატა, რომ მკითხველსაც გვხდის თანამონაწილედ იმ სულიერი ძვრისა და გარდაქმნისა, რაც ამ კაცში მოხდა. ვის შეუძლია დიდი სიხარულის გარეშე წაიკითხოს და მოისმინოს რაიონის სპპატკომ დაფის წინ მდგარი „მაღალმდგალი, ბობრი პირისახის“ კაცი და მისი გულის ჩივილი. „ამა გულზე ხელი დაიდე და მითხარი, ჩემი სურათი ამ დაფაზე არ უნდა იყოს? რატომ დამწყვეტეთ გული თქვე კაი ადამიანებო?“ ანდა „რად მინდა ცარიელი ქონება, თუ ამისთანა ხალხში არ გამრეკენ.!“ ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში გრიგოლია დიახაც ახალი დადებითი ტიპია, ზურგი რომ შეუქცევია ძველი „ცოდვებისათვის“ და ახლა გულით უკისრია საერო სახალხო საქმისათვის ბრძოლა, შრომის დიდება და სიყვარული.

მოთხრობა „ერა მოხდა ამაშში“ უდიდად ეპოკალური და როგორ დამაჯერებლად მხარში უდგას დღევანდელობას!

ამაშა. თქვენ შეიყვარეთ ხალხს. გეთხრათ მართალი, გულში მეც ადმერა სურვილი, მეცხოვრა ამაშაში.

ნიკო მანჯგალაძე

თბილისი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს

მინდა მადლობა მოგახსენოთ თქვენ კ. ლორთქიფანიძის „ქართული სოფლის ქრონიკების“ გამოქვეყნებისათვის. მინდა აგრეთვე დიდი მადლობა ვუძღვნა ბატონ კონსტანტინეს ამ მეტად სასარგებლო და საჭირო ნარკვევისათვის. ის რაც ამაშაში მოხდა და გაკეთდა, საჭიროა და სასარგებლო ჩვენი ხალხისათვის. აქ დაფასდა გლეხის შრომა, ბატონი დასდეს მის ალალ ოფლს, ამან შეგვმაცა ძალა, შეგვაძლებინა შეუძლებელი.

მე მჯოგე კაცი ვარ. პირუტყვის სიყვარულმა ბევრი წინააღმდეგობაც დამაძლევინა, ბევრი სიმწარე მანახა, მაგრამ უფრო დიდ სიხარულსაც მაზიარა. მიყვარს საერთოდ პირუტყვი, მაგრამ მათში კვარაცხელიას ჯიშს ყოველთვის გამოვარჩევ. გამახარა პატივცემული მწერლის მიერ ამ ჯიშის შექმნამ. იქნებ არ იქნებ ცუდი რომ ამ ჯიშის საქონელი ზუგიერთ ფერმებში საცდელად აღგიგენოთ.

ნანდაზმულობამ მიწია, მაგრამ ჩემი პატარა შრომის ასე „შეფასებამ“ გამამხნევა, რა დამლლის, რა ძალა დამიდგება წინ!

მადლობა თქვენ, მადლობა ბატონ კონსტანტინეს ჩვენი შრომის მალალი შეფასებისათვის.

ევგენი თურაძი.

ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი.

ამაშა. სოფელი გაუწყენარი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს

გაზეთი „კომუნისტი“ ჩვენი საყვარელი გაზეთია, რადგან სიხარული ვიგრძენი, როცა „კომუნისტის“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ქართული სოფლის ქრონიკები. ამ ნაწარმოებში ხომ მთელი სიცხადით და სწორად ასახულია ამაშელთა შრომითი საქმიანობა, გამოელინებულია წინათ არსებული ნაკლოვანებანი და განზოგადებულია ის წარმატებანი, რასაც ჩვენმა რაიონმა მიაღწია უკანასკნელ ოთხ წელიწადში.

ამ დიდმა შეფასებამ, მე როგორც ვლეხკაცს, კიდევ უფრო დიდი სტიმული მომცა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

მადლობა ბატონ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასეთი კარგი ნარკვევის დაწერისათვის და მადლობა თქვენი გაზეთის კოლეკეგივს, რომელმაც გამოაქვეყნა ეს ნაწარმოები.

ნოე ბოკუჩავა,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

▣ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს, პატივცემულ კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის

პატივცემულო კონსტანტინე, მომწონს თქვენი გაბედული და ნიჭიერთა მქადაგებელი ნაწარმოები „რა მოხდა ამაშაში,“ ქართული სოფლის ჭირვარამზე და მის მომავალზე.

ნამდვილად მადლობის ღირსი ხართ, ასეთი აუკარა გაბედული ნამიჯისათვის.

განა ახალი ამაშური მეთოდი სოფლის ცხოვრების საფუძველი არ უნდა ყოფილიყო თავიდანვე? ნუთუ ყველასათვის ნათელი არ არის, რომ თუ სოფელი მდიდარია, ქალაქიც მაძღარია.

მაშ, ვინ არიან ის ვაი-სოციალისტები, რომ ქადაგებენ ნივთიერი წახალისების ამაშური წესი სოციალიზმის გზიდან გადასვევა არისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირქით, აბაშურმა მეთოდმა, შეიძლება დიდი რევოლუციური პროგრესი შეიტანოს სოფლის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, როგორც ჩვენს "რეწსაუნგლისში", ისევე მთელს კავშირში.

გიორგი ჯინჭარაძე
თბილისი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორს
აპაჩ. დ. მგელაშვილს!

აბაშელი გლეხი სინინდის დიდი მოყვარული იყო ყოველთვის, ეს კარგი ტრადიცია ამჟამადაც გრძელდება. მიხარია, რომ ჩვენს მშრომელებმა აღადგინეს სინინდის მოვლა-მოყვანის მდიდარი გამოცდილება. იგი წინ წასწიეს. სამოცდაათ წელს კარგა ხანია გადავიდა და ასეთი მოსავლის მოწმე არასოდეს არ ვყოფილვარ. ეხლა ძნელია დასახელო მოწინავე. წელს ისეთი სინინდელია, ალბათ საშუალოდ 50 ცენტნერს გადააჭარბებს. ამ წარმატებებში დიდი წვლილი პარტიის დახმარებისა, ეხლა მეტი ტექნიკა ვგვაქვს, მეტი სასუქები, მაგრამ მატერიალური სტიმულირების ახალმა წესმა დიდი საქმე გააკეთა.

ჩვენს რაიონში მომხდარ სიახლეებზეა ლაპარაკი კ. ლორთქიფანიძის ნარკვევში „რა მოხდა აბაშაში". იქ ყველაფერი სწორად და ნათლადაა თქმული. ამ ნაშრომის გამოქვეყნებისათვის მინდა მადლობა გამოვთქვა თქვენს მიმართ, ასევე მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიმართაც.

იპანე ხოფტარია,
სოციალისტური შრომის გმირი,

დიდად კატივცემულო გატონო გურამ!

უგულითადესად გილოცავთ თქვენი ღვაწლის, ბოლშევიკური პარტიულობისათვის თქვენი და თქვენი თანამებრძოლების თავდადებული ბრძოლის საყოველთაოდ აღიარებას. „გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ნაწარმოებში, რომელიც შეუნელებელი და მძაფრი ინტერესით იკითხება, ნათლად გამოიკვეთა მაღალადმიანური სახე ჩვენი გმირი თანამედროვისა, ჩვენი დროის კომუნისტ-რევოლუციონერისა, ლიც იმდენად შთამბეჭდავია, რომ პარტიული მუშაკის იდეალურ ნიმუშად იქცა ჩემთვის და სხვა მრავალთათვის.

მერაბ ხუციშვილი,
თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტისა და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების სტუდენტი.

პატივცემულ გურამ მგელაძეს

ამ დღეებში დიდი ყურადღებით წავიკითხე „გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილების სერია, რომლის ავტორია კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე თქვენი გამდიდული ნაბიჯით გამოწვეულმა წარმატებებმა აბაშის რაიონში. სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ბევრი იწერებოდა პირადი დაინტერესების ლენინურ პრინციპზე. მაგრამ პრაქტიკაში იმის განხორციელებას ყველა თავს არიდებდა — აბაშის რაიკომის ახალმა მიიერომ კი საქმის ღრმად შესწავლის შემდეგ პრაქტიკულად განახორციელა შრომის დამატებითი საზღაურის გამოყენება და მიიღწია სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის 4-5 ჯერ გადიდებას, რითაც აბაშის სახელმოხვეჭილ სიმინდის ჯიშებს „აბაშის თეთრი" და „აბაშის ყვითელს" აღუდგინეთ მამაპაპური ღირსება. ამას ქვია პარტიული ხელმძღვანელის შემოქმედებითი ძალის გამოვლინება, ახალმა ხელმძღვანელობამ ეს ყველაფერი გააკეთა ადგილობრივი მოსახლეობის დარაზმვითა და ხალხის წინაშე ნდობის მოპოვებით.

ეს აღიარება, რაც თქვენ დაიმახსოვრეთ აბაშის რაიონის მოსახლეობაში, ყველა ქართველისათვის გასახარებელია, ხოლო პირადად ჩემთვის, სოფლის მეურნეობის ძველი მუშაკისათვის — მით უმეტესად.

რომანოზ ჯობავა,
სოციალისტური შრომის გმირი.
სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

კრიტიკოსი ჯანსუღ ღვინჯილია მუშაობს წიგნზე, რომელიც მთლიანად ეძღვნება თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის მწვავე საკითხებს. ავტორი ცდილობს კონკრეტული ფაქტებით გააანალიზოს ყველა ის არსებითი ნაკლი და ღირსება, რაც სალიტერატურო კრიტიკას ახასიათებს. გთავაზობთ ამ წიგნის შესავალ ნაწილს.

ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

მიედინება მეოცე საუკუნის სულიერი ცხოვრება დაძაბული, ნერვიული რიტმით. მასშტაბები უსაზღვროდ გაფართოდა, შინაარსი საგრძნობლად გალრმავდა. აქეს ჩვენს დროს თავისი სინამდვილე — განსხვავებული სხვა დროის სინამდვილისაგან, გადიტანა დიდი ტრავმა, ჩახეგა გარემომცველის თვალიაუწვდენ სიღრმეს და იწვნია ამ შეხვედრის მკაცრი გამოცდა. თავისთავადმა, მხოლოდ მისმა კუთვნილმა სინამდვილემ გაუღრმავა შინაარსი მსოფლიოს სულიერ ცხოვრებას, ამოიზარდა ამ ნიადაგიდან რიტმიც და ფორმაც.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ინფორმაციებისა და მასობრივი კომუნიკაციების მომძლავრებაზე. ინფორმაციების ნიაღვარი უკეალოდ არ გადადის. მსოფლიოს სულიერი კულტურის ოკეანე მეტი ინტენსივობით მოძრაობს ეროვნული კულტურის კალაპოტში, მისი ვეებერთელა ტალღები უფრო ხშირად სტემრობენ აქამდე შშეიდად დაუუდებული ჯებრებს.

დანარჩენი ქვეყნიერების სულიერი ცხოვრება მუდამ ოკეანედ აღიქმებოდა, მაგრამ ! ქართული კულტურას, მის მწერლობას არასდროს არ აკრთობდა ოკეანის სიღრმე და სიდიადე. დაინტერესებული თვალი აქ მუდამ აწუდებოდა განუმორებელს, შეულახველს, თავისთავადს, აწყდებოდა დიდს და ძმლავრ დინებას, რომელიც ოკეანის სიღრმეში არასდროს არ იკარგებოდა, თუ საერთოდ იპოვიდა გზას ოკეანეში გასასვლელად.

წინამდებარე წერილი არ არის სიმშვიდისათვის გამიზნული და ზომიერების გრძნობაზე საუბარი შესავალშიეე, ყოველგვარი დაზეერვის გარეშე შეიძლება დაიწყოს.

მაგრამ სანამ წიგნის თემას უშუალოდ შეეხებოდე, უნდა ერთი საკითხისაკენ მივაბრუნო მკითხველის გულისყური: ჩვენს ყველა სერიოზულ საფეკრალს, ცხოვრების რიმელ სფეროსაც არ უნდა გულისხმობდეს იგი, აქვს თავისი დიდი მიზანი და იმ მიზნის წინაშე პასუხისმგებლობა ანიჭებს მას წონას. პასუხისმგებლობაც და მიზანიც ჩვენი საფეკრალისა საკუთარი ქვეყნის სამსახურში დგას მუდამ და მათი გადასახედის სიმაღლეზეა დამოკიდებული, რა სიერცეებს მოეელება ერის გონიერი თვალი. ამიტომ ჩვენი ფიქრების, მიზნისა და პასუხისმგებლობის ერძნობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორ განიცდი საკუთარ ქვეყანას. ამ განცდის სიცხოველე ამოძრავებს ჯარს, ამაღლებს მიზანს და აალმასებს პასუხისმგებლობას.

საქართველო არ არის პატარა ქვეყანა

სათაურს შეიძლება ახლდეს მოულოდნელობის განცდა. საქართველო პატარა ქვეყანაა — დღეს სხვა შინაარსი შეიძინა ამ სიტყვებმა.

მაგრამ მანამდეც, საუკუნეების სიღრმეში, დრო და დრო — ზოგჯერ ხანგრძლივ, ზოგჯერ ხანმოკლედ ქართველი ეა�n გონის ირტერიას გასდევდა დამთრგუნველი შეგრძნება სიტყვებისა „ერთი მუშა ქართველები", „ჩვენი პატა-

რა კუთხე". ამ სიტყვებს კიდეც ჰქონდა საფუძველი, კიდეც არ ჰქონდა საფუძველი. მაგრამ სანამ სულის ხვეულებში მოხმიანე აზრს წარსულს მოვუჩჩერკედეთ, მანამ მის დღევანდელ არსს უნდა ითქვას.

მე აუცილებლად მიმაჩნია სიტყვების — საქართველო პატარა ქვეყანაა — შინაარსთან დაპირისპირება. არ არის იგი მხოლოდ პირობითი, უწყინარი ფრაზა, ფრაზა, რომელსაც ზემოქმედების უნარი ჰქონდეს დაკარგული. იგი კონცეფციად გამკვრიგდა ჩვენს ფიქრებში, ე. ი. ჩვენს ხასიათშიც მოკალთებული, თუ შეიძლება ასე ითქვას. სისხლში გაგვიჯდა და თავისი შინაარსის შესაფერის ნაყოფს ისხამს. ფიზიკური, გარეგნული მასშტაბების გათვალისწინებით პირობითად პატარა ქვეყნებად იხსენიება საბერძნეთი, პორტუგალია, ბელგია, ავსტრია, იუგოსლავია, ბოლანდია, ნორვეგია... ხვალ-ზეგ შეიძლება პატარა ქვეყნებად მოიხსენონ ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია... მაგრამ არ შეიძლება ასეთი დახასიათება პირობითობის შინაარსს გასცილდეს. ნამდვილი საზომები დიდი ერების რიგში, — ცივილიზებული, კულტურული ერების რიგში აყენებენ არა ტერიტორიის სივრცითვითა და რიცხვმრავლობით გამორჩეულ ქვეყნებს, არამედ სწორედ სულიერი კულტურის სიღრმითა და მშვენებით ცნობილ ხალხებს.

ტექნიკის უსაზღვრო განვითარებამ ერთვავრად შეარბილა სივრცის გრანდიოზულობის გაცდენა. და, რაც მთავარია, მანვე უფრო მეტი წონა შესძინა სულიერი კულტურის საწყოს. მან დაუბრუნა თავისი შინაარსი ქვეყნების ნამდვილ სიდიადეს და მოითხოვა მისთვის ანგარიშის გაწევა. იგი ხვალ უფრო გაფართოებულით თვალთახედვით დააკვირდება სივრცეებისა და ფიზიკური ნაშენებისაგან დამოუკიდებელ სიორძეებს და დაგვარწმუნებს ნამდვილი საზომების ღირებულებაში. ამ ტენდენციის ძმლავრ მაჯისცემას ალბათ ყველა ვგრძნობთ და მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია დღეს ჩვენს ფიქრებში მოკალთებულ კონკეფციასთან დაპირისპირება. რამდენი არ უნდა ვილაპარაკოთ საქართველოს კულტურის სიმაღლეზე, მის მიღწევებსა და ბედნიერ მომავალზე, ეს კონკეფცია მაინც ცოცხლობს და ჩვენც სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება იგი. მიეეჩვიეთ და შევეგუეთ მის არსებობას. გაგვიშინაურდა და ერთგვარი სილამაზეც კი ახლავს ჩვენს თვალში. მით უმეტეს, რომ რამდენი რამის გამართლება შეგვიძლია მისი წყალობით: „რა უნდა გვექნა ერთ მუჭა ქართველებს". „პატარა საქართველოს რა არ გადახდენია", „ჩვენ, პატარა ხალხს შვილებს, ალბათ, ვევასტება", „იმ დიდ მეჯლისზე პატარა საქართველოს სახელიც ისმოდა"—

„გამკვრიგეულ კონკეფციას — საქართველო პატარა ქვეყანაა — ჭირდება გაცნობიერება და ფუძეგადება. ამის შემენებამ უკანასკნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონ ჩიქოვანს ცნობილი ლექსი „ვინა სთქვა". ეს იყო პოეტურ ენაზე გამოთქმული შინაგანი პროტესტის გრძნობა. მაგრამ რაც პოეტმა ლექსის სტრიქონებში ნაგულისხმევ აღმაფრენის ანდო, მეტი გულისყურითა და გამოწულოლოდ განსხრეკეას მოითხოვს. იგი საჭიროებს ბოლომდე გაცნობიერებას აზრისას, რომელიც ერის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ყოველი უჯრედით განიცდება, **განიცდება—ეს არის საგულისხმო. ერის ორგანიზმი, ყოველი ჩვენთაგანის არსება იმ განცდით დამუხტული ცოცხლობს, ცხოვრობს, იღვწის და ქმნის. ყოველ მათგანს — სიცოცხლესაც, ცხოვრებასაც, მოღვაწეობასაც და შექმნასაც ამძიმებს ამ განცდის ტვირთი. დიახ, იგი სიმძიმეა, რადგან სიპატარავის მოკრძალება და რიდი ახლავს ასპარეზზე გამოსელამდეც და ასპარეზზე გამოსულის შემდეგაც. გულსა და გონებას ღიღრავს აზრი, რომ შენ ქმნი, მაგრამ იგი შექმნილი გაურკვევლად ხანგრძლივი დროით მხოლოდ შენსავე სიპატარავის ფარგლებშია დიდი.**

არადა ნამდვილი სიდიადის შეგრძნებაც არ ისვენებს. წონასწორა ფიქრმა ხელოვნებამ — პოეზიამ და ხუთრთამოძოვრეზამ სათავე დაუდო სულიერი ცხოვრების პროცესს, შემდეგ კი ალმართა ისეთი სიმაღლეები, რომელთა გვერდით ქრება განცდა სიპატარავისა. არადა, ის სიმაღლეები მოითხოვენ პასუხს, ერის ცხოვრებაში თვალუწვდენი მთავრეზეთაგან რომ გადაქმიულან და სიერცის სადავეები ჩაუბეოდეთ, ისინი მოითხოვენ მოვიცილოთ „ერთი მუჭა ქართველობის", „პატარა ქვეყნის შვილობის" კონკეფცია ფიქრიდან და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დავიმუტოთ. მეარ მინდა მაკორი იგულისხმის ბოლო წონადადებებში მკითხველმა. ეკაცრი, მშვიდი გულის ძეერიდან მინდა ალქვეს აუცილებლობის შინაარსი. არც სიმონ ჩიქოვანის ლექსის სათქმელია მხოლოდ მათოსიდან ამოზრდილი. იგი შინაგანი პროტესტის წაიღიდან წამოსული ვანცხადებთ. პოეტს არ სურს ერთი წუთითაც კი შეურიგდეს სიპატარავის, როგორც ცნების, განცდის. ლექსის პათოსი კატეგორიულია — საეკუნეების განმავლობაში ქართველი კაცისაგან ამ საკითხზე ნაფიქრალის მწკრივე დასცეა თითქოს წერტილი პოეზიაში.

და მიუხედავად უძველესი ძრეზისა, ამ საკითხზე საუბარს მაინც ახლავს გულუბრყვილობის ილუზია. იქნება ამიტომაც შემართა პოეტმა ლექსს როგორც ფორმას საწუხარის გამოსახატავად. როდესაც ირგვლივ რვაასი, ექვსასი,

ჯანსუდ ღვინჯილია
ზეციერების ბრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკაში

სამასი, ორას მილიონიანი ერები მოძრაობენ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გარანდიოზული მასშტაბებით, იქნება მართლაც გულუბრყვილოობა იყოს სიპატრიოტის განცდისადმი დაპირისპირება აქ, ჩვენში, ხუთ მილიონიან ქეყანაში. მაგრამ მე პირიქით მეჩვენება, მეჩვენება, რომ ერთი სოციოლოგის განცხადება, „მომავალი პოლიტიკური ბრძოლების არენა მე წარმომიდგენია ორი სპილოს შერკინების ადგილად, სადაც პატარა ცხოველები უნდა ეცადონ, რომელიმე სპილოს ფეხი არ დაადგასო“ სწორედ სიდიდე-სიპატრიოტის საზომების გადაფასების შინაარსს გამოხატავს „პატარა ქეყანების“ სასარგებლოდ. იგი გამოხატავს კარზე მომდგარ პროცესსაც ერის სულიერი ძალების გადდგაბებისასს. ქართველ ხალხს აქვს საერთო მიზანი, კაცობრიობის უკეთესი მომავლის აშენებას რომ ეულისხმობს. ეს მისი კონკრეტული მიზანია არის, მაგრამ საერთო მიზანი ჩვენი ერის თვითგამოხატვა საყოფრივ საქართველოს სისტეზორიცეულ მიზნად ივარაუდება. ყოველ ერს უკანასკნელ ნიუანსამდე ჰქონია შეცნობილი თავისი მიზანი, მხოლოდ ამის შემდეგ თუ განლაგებდა იგი თავის სულიერ და ფიზიკურ ძალებს მიზნის მისაღწევად.

იწუვება დღემდე უცნობე ინტენსიური სულიერი თანაცხოვრების დიდი ხანა მსოფლიოში. ურთიერთგაგებანა და სალოცვის ფორმები დასაამეთვე მოქმედებენენ. მაგრამ გრეხსთვისაც ნათელი უნდა იყოს, რომ ურთიერთობის შინაარსი მაქსიმალურად იცვლება ჩვენს თვალწინ, იცვლება ინტენსიურობის ხარჯზე. და საყუთარი ბუნების განვითარება და გამოვლენა ამ ურთიერთობის გარემოცვაში ან უდიდესი ბედნიერებაა, ან ვამოუსწორებელი უბედურების მომტანი იქნება. ბედნიერებისა მაშინ, თუ ერი საკუთარ ენერგიას შესაფერისი კალაპოტით ვატარებს, უბედურებისა, თუ სულიერი ცხოვრების ციტადელს ვერ ინგებს და ძველ სიმაღლეზე დარჩენილ ჯეზრებსაღა შეგებებს მოზდევებულ ტალღებს. მსოფლიო მშვიდობა და ძმურ ოჯახში სხვებთან ერთად კაცობრობის მომავლის შენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულ გარანტიას თავისთავად და მაღალი კულტურის შექმნისას. როდესაც საკუთარი კონკრეტული წვლილის ბაკნობიერება გაუძღვება ცხოვრებას, მაშინ, ბუნებრივია, რეალურად იქნება შესაძლებელი ეპოქის სულიერ-ფიზიკურ ბალანსებზე. მაშინ დაიდება ფასი ჩვენთვის მშვიდობის გარანტიასაც და საერთოდ ყოველგვარ პირობას.

ფრიდ, საბედნიეროდ, თვით ამა თუ იმ ქეყანის სიდიდე-სიპატრიოტიზმზე ლაპარაკს მიანიშნებ გულუბრყვილობის შინაარსი. მან სულიერი ცხოვრების ხარისხს გადაულოცა უპირატესობა და თავის მზრივ მოითხოვა კიდეც ამ სულიერი ცხოვრების მაქსიმალური მოწესრიგება.

ჩვენ გვქონია და გვაქვს გაზვიადებული წარმოდგენა კულტურულ მემკვიდრეობაზე. ამ გაზვიადებას აქვს რეალური საფუძველი. წინაპრებმა მართლაც დავვიტოვეს დიდი საგანძური, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, გაზვიადებას პირზე ხელი არ აეფფროთო და კეთილშობილურ უკმაოობას გრძნობას გზა არ გვეუხსნათ. სწორედ დიდი წინაპრების მასშტაბები და შინაგანად დაგრეული შემოქმედებითი პოტენციალ გვაყალებს დროს შესატყვისად ეაორმავებდეთ ერისაგან გასატან კვალს ცხოვრების დიდ მიზდორზე.

ამ დიდი მიზნის გზაზე გვეღობება ჩვენ სისლეში გამყოდარი სიპატრიოტიზ შეგრძნება და, ეფიქრობ, არ ვიქნები შემცდარი თუ ვიტყვი, რომ ჩვენნ თავისაკან დიდი პროცესის შესატყვის შრომას კი არ მოვითხოვთ, არამედ ვეფფრებით „პატარა და მარგალიტი საქართველოს“ ზუოგს და მხართეძოზე წამოწოლილნი თვლებს განვაგრძობთ. გვეჩვენება, თითქოს შესაქმნელი შევქმენით და დღეკანდელ დღეს ისაა გვეკალება, მოვითხოვოთ მსოფლიოსაკან ამ დიადის დადასება. თუმცა არა მგონია წარსულის კულტურის მსოფლიოსათვის დანახვების აკადემიური ფორმები გვქონდეს დაეგნილი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ერის სულიერი ენერგიის შესატყვეის და საკადრის პროცესს ვერ ეანალეუნთ, თითქოს უაზრობად მივიჩნევთ „დიდი“ ერების სულიერ ცხოვრებასთან ჭიდილს თუ გაკიბრებას და... ისევ „ერთი მუჭა ქართველობის“ დალოცვილ ფილოსოფიას ეფფრებით.

გავიხსენოთ, რამდენი რამ ეწერება შელახულ ტრადიციებზე, დამახინჯებულ ჩვეულებზე, ვისი აზრი არ ჩაერია ამ გულისმომკვლელი სინამდვილის ასახსნელად. აქაც გამოტეხს სიპატრიოტის განცდის საშინა კონკეფცია. მკცხარად დავასკვნით, თითქოს დროის შესატყვისად იმ ტრადიციულ განვითარება არ იყოს საჭირო. თითქოს ყველაფერი წარსულში შევქმენით და ჩვენი ხალხის ფანტაზიას ტრადიციებს სეფრობი მეტი გაოვეება არ ჭირდებოდეს. იქ, წარსულში, სულ უმჯობესი ფორმის მონახვეაზე იხარჯებოდა ხალხის ენერგია. აქ კი, განვითარებულ და განათლებულ დროის გარემოცვაში, რატომღაც ჩვენი ხალხის ფანტაზიამ ვერ შეძლო დროისათვის იმ ტრადიციულის დიდებული გაგრძელება შეეთავაზებინა, პირიქით, დაამახინჯა და საშინელებას დაამგვანა ნაცადი ფორმები. ისეთ საშინელებას, რომლის ჩვეულებრივმა განფეენილობამ ტრადიციის ოდინდელი ფორმების სილამაზეც კი დაიყენა ეჭვის ქვეშ. ჩვენ უცხოს გასათვალებლად და სულზე დასამყნობად გვგემზადეთ, ხოლო საკუთარი სულის სიღრმიდან ამოზრდილი მცენარეები კი გადაგვეროთ. იმ უცხო ფორმებიდან ბევრი, რაც ცხოვრების წესად ვაქციეთ, ზერელე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა
NATIONAL LIBRARY OF GEORGIA

კვირვების დროსაც კი ვერ მალავს თავის სიღარიბეს. მაინც მიგიღეთ და გვეზიდავს. აქაც ვამოტეს სიპატრიოტის განცდა, იგი თრგუნავს სითამამეს, რომლის ძალითაც შეიძენს საკუთარი ტრადიციის მშვენიერი ფორმები გათანადროოულო და თვით შესთავაზო კაცობრიობის დღევანდელ ცხოვრებას; იგი სიამოვნებით მიიღებდა ბევრ მთავანს, თუკი თანადროულობის ელფერით იქნებოდა დამუშტულია... არა და არა! ჩვენ თითქოს კინოფილმებიდან, ტელევიზორის ეკრანიდან, უცხოეთში მოგზაურობიდან მოზღვავებული შთაბეჭდილებები გვითრგუნავს საკუთარი ღირსების გრძნობას და ფანტაზიის ძალსაც... და აზრადაც არ მოგვდის, რომ თვით შეგვიძლია თანამედროვე ტრადიციი შეკვმნით, ტრადიცია, რომელიც ქართული იქნება. ტანსაცმელი, რომელიც ქართული იქნება, ჩვენი, რომელიც ქართული იქნება. არ ვამბობ, რომ ყველა ძველფასი თვისება დავკარგეთ, ამისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ბევრი რამ დავკარგეთ. უფრო მთავარი ის არის, რომ ახალი, დღევანდელი, ქართული ვერ მივაწოდეთ ჯერ ჩვენს ცხოვრებას, შემდეგ სხვებს. არის თუ არა ეს შინაგანი ღირსების დაძინების ნიშანი, როცა შემმნილის არენაზე გატანისა ვეშინია, როდესაც ქვემოდან შესცილინენ მალლებს.

ქართული კულტურის, ყირმოდ, ლიტერატურას, სულ უფრო ცხადად ემჩნევა მსოფლიო სტანდარტებთან გათანაბრების სურვილი, ეროვნის ენება და ძალების მობილიზება სწორედ სიპატრიოტის განცდის გადასალახავად. ეს არის სასიამოვნო ტენდენცია, მომძლავრებული და ანგარიშგასაწევი სუნთქვა სულიერი ცხოვრების სიღრმიდან რომ მოიწევა. ამ პრობლემისაკენ გულისყურის მიბრუნების საფუძველიც ის არის. სხვავვარად სიპატრიოტის ფენომენზე სიტყვის ჩამოგდებას არც ღენბოდა აზრი. იგი მაშინ მართლაც ჩაიძირებოდა გულუბრყვილოობის ქსოვილში.

საქართველოს სიპატრიოტზე ფიქრს წარსულში კიდეც ჰქონდა ფ კიდეკიდ არ ჰქონდა საფუძველი.

ეს ფრაზა თითქოს აღოგიკერია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. საკმარისია დაკვირვებით „გაისიგრძეგანო“ ქართული ხალხის ისტორია, რომ ზემოთქმულის სიზუსტეს იწამო. სპარსელებთან — ვახტანგ გორგასლის დროს, მურვან ყრუს არაბებთან, თურქ-სელჯუკებთან დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით, — თბილისის განთავისუფლებისას, დიდგორის ომში, ქვეყნის საზღვრების კიდევ უფრო გფფართოებისას დემეტრე მეფის და გიორგი მესამის დროს, თამარ მეფის ხანაში — ბასიანისა და შამქორის ძლევამოსილ ბრძოლებში; თემურლენგთან გაფფთრებული წინააღმდეგობისას, მარტყოფისა და მარაბდის ომებში ბაგრატ III-ის ხელმძღვანელობით... ქართველ ხალხს ერთი წამითაც არ ფუნ[illegible]ია... ქართველ ხალხს ერთი წამითაც არ ფუნ[illegible]ია... ეროვნული სიპატრიოტის განცდა. იგი იბრძოდა საკუთარი ღირსებისა და ძალის შეკრებებით. ზოგჯერ მარტდგებოდა, მაგრამ შინაგანად უძლეველი, მოუტეხელი იყო. იცოდა, მონობა არ ეკადრებოდა და არც უნდა შეჰპეგებოდა. ასეთ დროს წუთითაც არ დასჭირვებია „ერთი მეფე ქართველობის“ ზურგს ამოფფარებოდა. ჩამთავლილ ბრძოლებს არ უკვირთ მასშტაბი არც ერთი დიდი ომისა, რაც კი მეტრამეტე საუკუნემდე ყაცობრობის გარდახდენია. ეს იყო ომები, რომლებშიც ორმოცდათ, სამოც, ოთხმოც, ას, ორას, ოთხას ათასიანი არმიებით მოსულ მტერს შეჰგებენია საქართველო. მარტო დიდგორის ომის მასშტაბი კმარა სანიმუშოდ. ვის ეცალა, ვინ დაუშვებდა ფიქრში პატარა ქვეყნის შვილობით ნაგულისხმევ შიშს. ქართველმა ხალმბა გასაქცევი გზა ჩაიხერგა და მოსალოდნელი დამარცხების გასამართლებლად არა და არ დაუგულვებია ცხობილი ფრაზის შინაარსი, მაშინ არც ჩაიხერგოდა გასაქცევ გზას. საწუთროს ბრისნაგ მოელენებთან პირისპირ გავიდა და საკუთარი ღირსების შეგრძნებამ და შინაგანმა შემართებამ გაამარჯვებინა იმ დროისთვის იმჟამთა მასშტაბის ომში. იგივე შეიძლება ითქვას ზემოთ ჩამოთვლილი დიდი ომების შესახებაც. უკეთესია ყველაზე და მათთან ერთად ნაგულისხმევი სახელოვანი ბრძოლების მშვენიერებე ზედ ითქვას, რომ საქართველო არ გასულა ველზე საკუთარი სიპატრიოტის ეკრძნობი. ვერც გაიმარჯვებდა იგი, ამ განცდით თუ ექნებოდა სისხლძარღვები დამძიმებული და დაძაბუნებული. ეს, ამ დროს არ ჰქონდა არავითარი საფუძველი სიპატრიოტის განცდას. არც მაშინ ჰქონია საფუძველი, როდესაც იწერებოდა „შუშანიკის წამება“, „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“, „ბარათაშვილის, „ეროვნ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, „ალაკი წერეთლის, „ეიაფშაველის, „ალაკაძეონის კოლოსალური პოეტური სამყაროო, „ეროდესაც იწერებოდა „სიბრძნე სიცოცხლისა“, „სიტყვის კონა“, „კალმასობა“, „დედა-ენა“, დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, კოსტანტინე გამსახურდიას ღირსეული პროზა. როდესაც მოყოლებული ჯვრის მონასტრით, იგებოდა ხელთუქმნელი ხუროთმოძღვრული ნიმუშები, ისატებოდა უშშეენიერესი ფრესკები, როდესაც გაუტეხლობის ნიშნად საქართველოს მთაგრეხილებზე იჭაქვე-

ჯანანულ ფეიფიშვილია
ზეზეიერიგის გრძელობა თანავდგრეგი ქართულ კრიტიკაში

ბოდა ცხენ-კოშკების მშკრივი... ამ დროს საქართველოს არ აწუხებდა სიპატრიოტის განცდა.

ილიას სამაგალითო პოლიტიკა კი სულ სხვა მიზნს ემსახურებოდა. ილიას ბანკი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც უმნიშვნელოვანესი ეროვნული დაწესებულება, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართველი ხალხის ცხოვრების მშვიდობიან გარდაქმნას და ყველა წოდების ეკონომიური აღორძინებას. ილიასთვის თავდაზღვაუოობის ინტერესები არ იყო მთავარი და არსებითი; იგი მთელი ქართველი ერის, პირველ რიგში კი ერის მწარმოებელი ნაწილის, — გლეხობის ინტერესებიდან ამოდიოდა. ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი საპროგრამო მუხლი. ამ პროგრამის ფილტრი კი ილიას ეროვნული ინტერესების ფილტად მიაჩნდა და ცხადია ამის არავის ამბრტებდა. ეროვნული ინტერესების დიდი ქომაგი, არა თუ რომელიმე პიროვნებას, არამედ საკუთარ სიცოცხლესაც კი გასწირავდა ოვალი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ამის ნათელი მაგალითები ხომ მრავალდ გვხვდება ილიას ცხოვრების დიდ გზაზე. ეი, ძირითადად, ის აზრი რაც გატარებული იყო ჩვენს წერილში, რომლის არსებობა ი. ასათიანს „დავიწყდა“. ჩანს აქ პირადი მტრობა ილიასა მაჩაბლისადმი? ცხადია, არა.

რომ ილია იგ. მაჩაბლისადმი ობიექტური იყო, ამის ნათელსაყოფად ი. ასათიანს მოაქვს ამონაწერი 1896 წლის „ივერიაში“ დაბეჭდილი ხელოვნებერული ბიბლიოგრაფიული წერილიდან, რომელშიც „იულიოს კეისარს“ მაჩაბლისეული თარგმანის მაღალ შეფასებაა მოცემული და გვიჩვენებს: ამ წერილის არსებობა არ შეიძლებოდა არ სეოდნოდა ილ. ჭავჭავაძეს, ეს კი იმის მიუუსებელია, რომ „სამანკო ბრძოლის ქნარ“ დღეგმნიც კი ილია ი. მაჩაბლის ნიშს, მის თითრგმნერობის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა“. ისეთი სამოგმანო მასალის მოტანას ის არ აჯობებდა, რომ ჩაეხედა თვით ილიას ხსნულებებში ან ჩვენს წერილში, სადაც გარკვევით ეწერდით: მაჩაბლისადმი „ილიას ობიექტურობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მას არასოდეს არ ეარეუყია ი. მაჩაბლის უდიდესი დამსახურება შექსპირის ქართულად ამეტყველებაში. ი. მაჩაბლის მიერ „ჰამლეტის“ თარგმანის მაღალი შეფასება, რაც ილიამ მოგვცა, მისი ტალის ვეარგანის ერთ-ერთი ბრწყინვალე მარგალიტია“.

თუ რაოდენ სწორად ესმის ი. ასათიანს საქართველოს სიზოგადოებრივი აზრის ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის და ეროვნული კარჩაკეტილობის საკითხების ილ. ასათიანისეული

მაგალითად: თუ „ივ. მაჩაბელი მონაწილეობას არ მიიღებდა ისეთ საქმეში, რაც ეროვნულ ქართველი, რაც ირას არგებდა საქართველოსა“ (ეგალისმბაი ფუხაბარების საკითხი), იგი ეროვნული კარჩაკეტილობის მომხრედ მოინათლებოდა.

პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის და ეროვნული კარჩაკეტილობის საკითხებზე ასე ჰაი-ბარად მსჯელობა არ შეიძლება. ინტერნაციონალიზმის გრძნობის სიმეცრეზე ეარკვევა ქართველ სამოციანელს ბრალს ვერ დადებმ, მაგრამ იყო რიგი საკითხებისა, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში, იმავე ინტერნაციონალური გრძნობიდან გამომდინარე, პირველ რიგში პატრიოტიზმის გრძნობის საფუძველზე წყდებოდა.

ი. ასათიანს რომ ჩაეხედა ნ. ნიკოლაძის, აკ. წერეთლის, ს. მესხის, ი. გოგებაშვილის ტომეულებში, ან თუნდაც ილიას მეათე ტომში, იქ იგი მრავალ წერილს ნახავდა, რომლებშიც საკმაოდ ნათელი და სწორი შეხედულებანი განვითარებული ინტერნაციონალიზმის შესახებ, მაგრამ აქვეა ეურაკეული წერილები, რომელნიც საღ პატრიოტულ გრძნობაზედ მიუთითებენ და ოდნავადაც არ გულისხმობენ ეროვნულ კარჩაკეტილობას.

მაგალითად: 1897 წელს ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა კუნძულ კრიტისზე აჯანყება მოაზღვინეს ოურქების ბარბაროსული მაყრამელთან წინააღმდეგ. ამის გამო პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა გადაწყვიტეს თანაგრძნობის წერილი გიეგზავნონ ათინელი სტუდენტებისათვის, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ვერ გბედეს, ვიდრე ქართველი ავტორიტეტული პირების აზრსა და რჩევას არ მოისმენენენ. ამ მიზნით მათ წერილი გამოუგზავნეს ილ. ჭავჭავაძეს გ. წერეთელს და სხვებს.

ილ. ჭავჭავაძეს ნათლად განსჭვრეტა მოსალოდნელი საფრთხე: აღვილი შესაძლებელი იყო ამ წერილს ქართველ სტუდენტთა ვარიცხვა მოჰყოლოდა, რაც უდიდესი დანაკლისი იქნებოდა საქართველოსათვის. ამიტომ ილიამ წერილობითვე უპასუხა ქართველ სტუდენტობას: „რაკი პატივი დამდვეთ და ჩემი აზრი მოგთხოვეთ, არ შეგიძლიან ამ ცოვს ანგარიშს არ მივცეთ თავი და ჩემი გულის ნადები არ მოგახსენოთ ჯეელოდ: ჩვენი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზე ჩვენთვის უფრო საფეკრველი და საზრუნველი. აქ არავის ძრახვას და საყვედურს ნუ შეგიტანენ ბეთ... თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებთან, რა ხართ თქვენ, უმაღლესი სწავლისათვის გადახვეწილი ქართველნი ჩვენი ქვეყნისათვის. მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამყარებული, ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენ ხართ... ისწავეთო, ცოდნა შეიძინეთო, მარტო სწავლა-ცოდნის შეალეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ღელნი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმალით ეპატრონეთ თქვენდა მოსავ ქვეყანასა“...

უდავოა, ი. ასათიანს რომ ეს სტრიქონები ამოეკითხა, ი. ჭავჭავაძეს ეროვნული კარჩაკეტილობის ვიწრო ბუდეში მოათავსებდა და უეჭვნას დასცემდა.

ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევარს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ თუ ასათიანს, განუნებულად გამოეკიდება ამა თუ იმ მოაზროვნის ცალკეულ დებულებას, შეიძლება იქ ბევრი ურთიერთ საწინააღმდეგო თეორიები „აღმოაჩინოს“, ამიტომ, პირველყოვლისა საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ მოაზროვნის მოძღვრების არსს, მოვახდინოთ მათი მთავარი იდეების კლასიფიკაცია, ყოველივე ეს განვიხილოთ მთლიანობაში კონკრეტულ ისტორიულ გეოგრაფიასთან დაკავშირებით, წინ წამოვწიოთ მთავარი, ძირითადი და ამ თვალსაზრისით დავალაგოთ მოაზროვნის შეხედულებათა მთელი სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მრუდე სარკეში წარმოვაღგენთ მოაზროვნეთა მსოფლმხედველობას ან საზოგადოებრივი აზრის განვითარების ცალკეულ მომენტს, როგორც ეს ი. ასათიანს დაემართა.

ი. ასათიანის წერილში სხვა მცდარი მოსაზრებანიც გვხვდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი წერილის ის ადგილები, რომელნიც მწარალ ვახტანგ ჭელიძის და ოთარ ჩხეიძის შეხედულებებს ეხებიან, მაგრამ აქ სიტყვა მათთვის დავგვითმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კალანდაძე

სიტყვა მძლეველ აბზელი მელიმონაკმს

„ცისკრის“ სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია თ. წიფლიანიძის წერილი ჩვენს რომანზე „მწვანე შტო“. მისი შეფასება არც ერთ ობიექტურ მკითხველს არ გაუკვირდება. ესეც არ იყოს, ავტორს რა უფლება აქვს, ვინმეს დაუშალოს, საკუთარი აზრი იქონიოს ნაწარმოებზე. ბოლოს და ბოლოს, ჯერ ისეთი არაფერი არაფერი შეუქმნია, რომ ყველას მოსწონებოდეს. „მწვანე შტო“ კი დიახაც ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ყველას არ უნდა მოსწონებოდეს. ის კი ალბათ ეიცოდით, და მიზანიც ეს იყო, რომ ზოგიერთის შერწუნება გამოეწვია, რათა ხელოვნულად ჩაჰფიქრებოდნენ თავიანთი ცხოვრების აკვარეს. სამწუხაროდ, ამ წერილში გაუგებობამა და არაობიექტური შეფასება ეპიგრაფოდაც იწყება. ავტორი მე მომაწერს „დიალოგების“ ერთ-ერთ მონაწილის სიგანგებოდ დამახასიათებელ აზრს. სინამდვილეში ჩვენს „გემოვნების კრიტიკაში“ აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული, ამასთან, არა ერთგან არის მითითებული, რომ „დიალოგის“ მონაწილე კრიტიკოსი სხვა პერსონაჟებთან პოლემიკისას, ლაბრიუერს ემყარება.

ეს ს

ინტერესებს სიტუაციების, ეპიზოდების, ხასიათების ტონი, მათი მიზნობრივი დანიშნულება.

ან კი, რა მხატვრული ანალიზი მოეთხოვოთ წერილს, რომელიც უფრო პასკელს ჰგავს, ანრიმეტიკული ანგარიშით რომ იწყება და მთავრდება. თითქოს არითმეტიკის სახელმძღვანელოს განეხილავსო, მთელი ბეთლეჰემი ბუღალტრიაზე დაეხარკავს, მოეშარკვებია საანგარიშო ფიგურებზე. ამიწუწუნს, რამდენი წლისაა დოროთე, სალომე, ციცინო, მაყვალი და ა. შ.

როგორ წარმოვიდგინოთ არათუ ისეთი ლიტერატორის, არამედ ისეთი საშუალო მკითხველის არსებობაც კი, რომელსაც ლიტერატურისა და ხელოვნების პირობითობაზე არაფერი გაგებინოს? ეს წიგნიკაც რომ ვუთხრათ, ლედი მაკბეტ ერთ მოქმედებაში ჰყავს ბავშვები, მეორეში კი ირკვევა, რომ ბავშვები არ ჰყავს, უთუოდ იტყვის, ეს რა ბულშაფწყენ მწერალი ყოფილა შექსპირი. მისი აზრით, არსებითია არა ესთეტიკურ-ლიტერატურული პრინციპები, არამედ არითმეტიკულ-ბუღალტერული მაჩვენებლები. დასაწყისში დიდი ყულმოდგენებით არკვევს, რომ მამეკა ორმოცდახუთ წლისაა და არა ოცდახუთმეტის. პირდაპირ გაოცებული რჩებიო, და შრომატევადი სამუშაო ჩატარებია ამ სფეროში. დიეუშვათ, რომ მომდევნო გამოცემაში გიგასწორეთ ეს არითმეტიკული შეცდომები, მაშასადამე, არავითარი ნაკლიც აღარ დარჩება. ბევრი კარგი, და სუსტი ნაწრომი წაგვიკითხავს, მაგრამ პირველად ვნახეთ, რომ ნაწარმოების განხილვა-შეფასების ერთადერთ საშუალად არითმეტიკულ-ბუღალტერული მეთოდი იყოს გამოყენებული. ეს მეტისმეტად იოლი მეთოდი, რომლითაც ყველას შეუძლია (განსაკუთრებით, მოანგარიშეებს) ორ დღეში დაეუფლონ „კრიტიკის" საიდუმლოებას. განუზომელია ავტორის აღტაცება, როცა „დადგენს", რომ დოროთე „სალომეზე ვერ დაკორწინდებოდა, რადგან საცოლე მაშინ სამი წლისა იქნებოდა". ისიც აღარ ინტერესებს, რომ ავტორი კი არ ამბობს ამას, არამედ ტრაგიმრებული პერსონაჟი ბოდავს. ერთი ოროტრიალითაა გამოთვლილი, რომ გაბრიელ ცხრა ვაჟი კი არ ჰყოლია, არამედ შვიდი. თითქოს საკალკულეტორო იყო, მწერალს ჩამოეთვალა ცხრა შვილიდან რომელი სად და როგორ მოკვდა. სიტუაცია კი მოითხოვეს, ნწერალმა მხოლოდ ისინი ჩამოთვალოს, რომელნიც ომებში დაიღუპნენ და მკითხველი თვითონ მიხვდაო, რომ დანარჩენნი სხვადასხვა მიზეზით გარდაიცვალნენ, ავტორი კი საკუთარ მიუხვედრელობას ზარზეიმით ამთავრებს: „ცხრა მეტია შვიდზე"! ციცინოს ასაკის გამოანგარიშებას მოჰყვება თვითმკაფიოდ ლაზღანდარობა: „ომის პერიოდში ქვეყანას სასმელ-საჭმელი უჭირდა, ამიტომ იქნება, ციცინო ტანად არ გაზრდილიყო, თორემ ასაკი, როგორც მშვიდობიან წლებში, ისე მოემატებოდა."

პერსონაჟთა ასაკის გაუთავებელი მიმტებლობა-გამოკლებას მოსდევს მათი ოჯახური შემადგენლობა-გასავლის ანგარიში, რათა გამოარკვიოს, მდიდარი იყენენ თუ ღარიბი დოროთე, კიკეტია, მაყვალი და ა. შ. სასატყო ადგილი ეთმობა აგრეთვე ბინის ქირის გამოანგარიშებას. თ. წიგნიკინის სიტყვით რომ ვთქვეთ: „გაუნათლებლობა რომ არ დასწამონ", აქაოდ უყურადღებოდ არც ქონია, ფიზიკას, ტექნიკას, მანქანის „სტარტერს", ქუსლს და კოკს შორის განსხვავებას სტოვებს. რომაში ნათქვამია, ოქრო ზომ ოქროა — სიმტკიცისათვის გარკვეული პროცენტით, მკონი, რკინას ურეკენო. ავტორს არ გაგებია, რომ ექ სიტყვა ადამიანის ხასიათის მოქნილობაზეა, არც ის ინტერესებს, რომ ამის გაცხარებული პერსონაჟი ამბობს, ალარც „მკონი" ახსენდება, მისთვის უმთავრესი ტექნიკური მხარეა და გაიძახის, მწერალს ოქრის დამუშავების ტექნიკა არ სცოდნიაო. აღშფოთების გამოთქვამს, რომ რომანის პერსონაჟები უნებისრთვიდ ტიხარს აკეთებენ, სამედიცინო შინაგანაწესს არღვევენ (სალომემ მომაკვდავ შვილთან საავადმყოფოში დარჩენა როგორ გაბედაო) და ა. შ.

დიდი აუტზაურია იმის გამო, რომ სალომემ შვილის ავადმყოფობის დროს (15 წლის წინათ!) საოჯახო ნივთები გაყიდა და ახლა საიდან აქვს სკამები და მაგიდებიო! ასეთ ბულმოდგინე გამამაქებელს კორექტურული შეცდომები და ტექნიკური დეფექტები რას გამორჩეზოდა! ამ ვითარებაში ღიმილის მომგვრელია გაკვირვება, სიღრმეში შესვლა ვერ მოვახერხე ნაწარმოების აზრისა და სიბრძნის გასაგებადაო.

რა სიბრძნე და სიღრმე უნდა იპოვოს იმ პირმა, რომელსაც ჰგონია რომ მხატვრულ ნაწარმოებში ყველაფერი ოქმის სიზუსტით უნდა იყოს გადმოცემული. ვინც თითოეული სიტყვისთვის სრულ ბუღალტერულ ანგარიშს მოითხოვს. ვისი ფიქრით, არავითარი ფარული ბაზი, არავითარი ქვეტექსტი არ უნდა იყოს ნაწარმოეზში. აღშფოთებულია, რატომ ზუსტად არ მოახსენებენ, რა მოხდა ოთახში, როცა დედამ ცისანა გარეწეულთან მარტო დატოვა. რატომ ერთმანეთს არ ჰკვანან დოროთე, მამეკა, სალომე, ცისანა, მაყვალი, შატალია და ა. შ. რატომაა ამ რომანში აღწერილი ისეთი ამბები, რომლებიც ჭამდე არსად არ წუოკითხავს. რას ნიშნავს გობრომიძის, ეს „უფფლო ოჯახი".

ყველაფერი, რაც ესთეტიკურ-ლიტერატურული მეთოდით ხელოვნების ღირსებად ითვლება, არითმეტიკულ-ბუღალტერული მეთოდით მიეტმეველი ცოდვაა. გამოდის, რომ მწერალს უფლება არ აქვს დახატოს უარყოფითი პერსონაჟები, მეშჩანობის ბათოლეგია. მკაცრად

ალექსანდრე კალანდაძე
სიტყვა ეძლევა აბული მელიმონაძეს

გეტყვნენ, რომ სალმე, შატულია, გერანდელი და სხვანი იდეალურ არსებებად არ გამოვიყვანეთ. ამ მორალისტურ თვალსაზრისთან რა მოსატანია რეალიური, ცოცხალსინესტური რეგალიენტი! ასში რომ ერთი მეთხველი ასე ფიქრობდეს, რა ეშველებოდა მაშინ ლიტერატურასა და ხელოვნებას!

თ. წიფლიანეს ჰგონია, რომ ხელოვნებაში დამაჯერებლობას ის განსაზღვრავს, პირადად მას გადახდენია თუ არა ცხოვრებაში ესა თუ ის შემთხვევა. ისიც არ სჯერა, რომ მამეკა და ცისანა ფეხით ჩამოდიან ფუნიკულიორიდან, ანა იმას ვიღა დაიჯერებს, რომ „კაცია ადამიანის“. ხანდაზმული გმირები ბუზგნის ითვლიან და გულიგარი ხანძარს „უზრდელი“ სიშფაღებით აკრობს! ამ რეშენით, ლუარსაბ თათქარიძის ყოველი სტატეა ფეთი ილიას სიტყვა და საქმეა, გმირის სისუფლეა მეჩრილი სისუფლეა.

რომანის ბერსონაჟთა ყოველგვარი საქმელოსფერის თ. წიფლიანე მეზრალს აკისრებს პასუხისმგებლობასს: როგორ შეიძლება ღირითე ტრიოფელ! როგორ შეიძლება ქმარი ცოლს სეკეფლეს! ეჩსუბებოდეს! და. ა. შ. ბრალდებას ვეკეკენებს, მამეკან სიდ ფლის ოჯახი რატომ დაჩქეკენთა: ასეთი არითმეტიკით თავიდან ბოლომდე ასხვაფერებს ამახინჯებს რომანს. შატულიას ფიქრს: „რა მოხდა? ბეხეშრება თუ მართლა არ პპრეზს წასელს? შავმა ტატამ ხომ არ გაიცუნესეთ მთ ბოროს!“ წერილის ავტორი ჩვენ მოგვაწერს და „თეფილ ბვერილ ბანძიერზ მიწასთან ვგასწორებს ბის მიერვე გამოგონებელი „ლანამიანეს“ ...ბეფლიწეკეტილი. ღეფანა რომ ზეთოძიანებს: „ხეფივ, რას შვეშ სიმდიდრე!“ ამასაც მწერალს სიტყვად ეცხადებს. ვეტ. ბეკეკა, რომ ეს ზემოძანილი გოზრომიძეკეს სიმდიდრის ინფორმაციი ეკ არ ირის, არამედ ღეფანას ხასიათს ვეიხატავს.

ნაწარმოებში მაყვალი განასხიერებს ბუზოლუნა, მუდამ ეშალეტ, ყველფერით უკმეაფოფილი ალმიანს. რათა მისი ხასიათი მკაფიოდ გამოკვეთნოს, მწერალმა ამს საგანგებოდ მიანჭა განსაკუთრებული ძერიფანი, საამაყო და ეაიაფფანეფი ბრეფეესია: ნოლ კლასის მასწავლებლობა. მაყვალს კი ეხეკ თავის უბედობად მიეჩნევია და მუდამ ბუზოლუნებს, ნოლ კლასის მასწავლებელი ვარო. ავის მოსურნე ავტორი კი ნარბეშეუბრელად აცხადებს: „მწერალი ნოლ კლასს. თვალწეუნებით ინსეენებსო“.

სალიბეს მიერ ცისანასთვის ძერიფანი ნიგოვების გაგზავნა, რომელშიც რთული ოჯახური ურთიერთობაა წარმოჩენილი, ავტორის ფიქრით ფალეი ასაკიერეტი აქნებოდა, თუ მამეკა ამ ნიგოვს უკან დაპრუნებდა. ვერც ამჩნევს, რატომ ეგზაფენია სალიმე და რატომ იყენენ ინეფლეტილი შეეძინათ ეს ნიგოფი.

ცისანა მორიდებით ეკეკეოდა ნერიეულ ღეფას, ეფლიბდა არ გაეღიზიანებინა, მინ დროზე მისულიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მამეკა შეუყვარდა, მოეკლა ღამე დაადგენდა თ. წიფლიეანის ფიქრით, ეს წერილის გულმკვეთრ ბის ბრალია და არა ღეტალი, რომელიც ბაზს უსვამს ქალიშვილის გატაცებას.

წერილის ავტორი ისეთი სახით გეეკითხება, რატომ ღუფანა სატყვის ქალი არააო (ეკრ დ. სკენოდ მამეკას, შემდეგ კი დაუახლოდოდა), ფიქრადაც არ მოსდის, რატომ უნდა იყოს ღუფანა „სიტყვის ქალი“ და რა მხატვრულ ფუნქციას ასრულებს ეს სიტუაცია.

რა მოეთხოვოთ მეეთხეკელს, რომელიც იმ სტრიქონს იკით, იმ წუთს რომ კითხულობს, სხვას ეერაფერს ხედავს?! რომელსაც მხატვრულ განზოგადებაზე წარმოდგენაც არ გაანნია? თავს არიეთარ ძალას არ ატანს, რათა ჩაზედეს რომ ნაწარმოებში მამეკას. სიღარიბე კი არაა არსებითი, არამედ ცოლქმრული ერთგულება, ოჯახური თავდადება, ცხოვრების წინააღმდეგობათა სარეთო. ძალთ დაძლევა, ერთად ცხოვრების ეპპანები და, ამ იდეის წარმოსაჩენად, ავტორს გაზვიადების უფლებაც აქვს.

მეეთხეელ ეუთუფ ეკეკრის, ასეთ შეკითხვებს რა სერიოზულ ინგარიშს ეუნეკო. მართლაც, რა უნდა ელაპარაკო მას, ეისაც ჰგონია, რომმთავარია, რატომ მიდის ინეიენრი კაცი გაგონების გადმოსატვირთად, და არა აქედან გამიმდინარე დამკვიდრების, პატიოსნების პათოსი, ბედთან ჭიდილის, დაბრკოლებათა გადალახვის სულისკვეთება.

ინტონაციის არავითარი შეგრძნება! ერთგან ნათქვამია, ახანთის რეალიაზე სიცილ-ხარხარი ატყდაო. თ. წიფლეკიეს ესეკ პირდაპირი მნიშვნელობით გაუვიდა და მხიარულად დაგვაინა: დაეეხოცეთ სიცილითო! სინამდვილეში მწერალი აქ დასცინის ის პირეს, რომელიც ასეთ ეკეპილი „ხეფრობაზე“ ხარხარეკენ, მაშასადამე, სატირაა და ავტორი ამ სულელურ სიცილ-ხარხარს კი არ ეეურთებეა, არამედ ამეჩაფ ოდგებს. მაყვალი ეეფდენა ცისანასა და მამეკას მათი მიხამართის გასაგებად, შემდეგ კი, ისე უპირავს თავი, ვითომ არ ეეოფეს, სად ცხოვრობენ ისინი. წერილის ავტორი ამასაც მწერლის მეხსიერების სისუსტით ხსნის.

პერსონაჟთა საქციელი, მისი წარმოდგენით, რაღაც მხატვრულ ფუნქციას კი არ ემსახურება, არამედ ეორიგინალი მსჯელობის მასალაა. იქ, სადაც ავტორი მეშჩნიკურ ურთიერთობებს კიცხავს, ეინიანობას, პათოლოგიურ კაპრიზებს სარკასტულად ამხელს, თ. წიფლეკიეს მხოლოდ ოლანმნი წყლის შესხმას და ჭუკეკინი ვეფროს თავზე. გადმოპიქეკვებს ხელავს. სერიოზული პოზით კითხულობს, ასეთი უბრალოდ რომგარ იქნება, ცოლი ქმარს ჭუკეკინ ვეფროს ასხამსო, — თითქოს, ყოველივე ეს სწორედ უზრდელობისა და გარყვნილების აღმოსაფხვრელად, ზნეობის განსაწმენდად არ იყოს გამოგონილი.

რატომ უნდა გაგვკვირდეს ეს სასწაულ-

ები, ბოლოსდაბოლოს, წერილის ავტორს ხომ რომანის შინაარსი არ აინტერესებს, თითოეულ პერსონაჟში ვიღაც მისთვის ნაცნობ კონკრეტულ პირს გულისხმობს და პერსონაჟების მიმართ დამოკიდებულებაც ასეთი სიმპათია-ანტიპათიით განისაზღვრება. ზოგი მთავარის დასახელებასაც არ ერიდება. ბადრიკოს სასით მწერალმა ერთი „დიდად ნიჭიერი კრიტიკოსი“ გამოიგონა, უდარდელად აცხადებს. მწერალმა ეს წიგნიც მისი ზრახით დაწერო. (თუმცა, არსებობს ურაკეი დოკუმენტები, რომ „მწვანე შტო“ მის მიერ ნაგულისხმევი სტრიქონების დაბეჭდვამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწერა). მთელი მსჯელობა ეშაყარება იმ სიცრუეს, თითქოს, ტარსანიძე თვით მწერალი იყოს, ხოლო ბადრი ბეკეურაძე ის „დიდად ნიჭიერი კრიტიკოსი“. არავითარი სხვა განზოგადება ადარ სჭირდება. სრულებით არ აწუხებს, რომ ამ მონაჭორით ცილს სწამებს ავტორსაც და ეითმიდა პროტტიკიებსაც. რაკი დარწმუნებულია, რომ „მწვანე შტომ“ ცალკეულ პირებს შეურცხყოფა მიაყენა, სასიბეული, დასადგენი, შესაფასებელი აღარაფერი: ისეთივე ფანატიკური თავგანმოდგენით იცავს ბადრი ბეკეურაძეს, როგორც რომანში ავული მეღიმნისაკენ იცავს. ეს წერილიც „მწვანე შტოზე“ ავული მეღიმნისაძის შთაბეჭდილებებს გამოხატავს. ამის მიხედვით ყველაფერი თანამიმდევრულად ლაგდება. რაკი საჭიროდ არ ჩაუთვლია დაფარა: „ჩემი სიმპათიები ბეკეურაძის მხარეზეაო“, ამით მამეკასა და ცისანასაც დამოდგებულებაც ნათლად განისაზღვრა. მამეკა საზიზღრია, რადგან ბადრიკოს საცოლე წაართვა. ამას ისიც ემატება, რომ რამდენჯერმე ავული მელიმნისაქესაც ცხენი-პირი ჩაუმტვრია. არც ცისანა ვარგა, რადგან ბადრიკოს უღალატა. გრძელდება და გრძელდება წერილ-წერილი ჭორაობა. რაკა ვასაკვირია, რომ წერილი თავიდან ბოლოამდე ცისანასა და მამეკასადმი მძღოლარებითაა ვამსჭვალული.

აკაკი, რომელიც წერდა: „ფუერთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოო“ და ალია, რომელიც ამბობდა: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!. ყველა ყრუი, ყველა ცრუი... ცელლუტი და მანკიერი“, — ავტორის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ბედნიერი იქნებოდნენ. ნეგატიური მოვლენებისა და პერსონაჟების სატირულ-გროტესკული ასახვა, მისი აზრით, დამაინთადგი ცინიკური დამოკიდებულებაა, თითქოს, ეს კეთილ საქმეს უფრო არ ეშასტურებოდეს. ვერ გაუგია, რომ მწერლის სიმკაცრე ანსაცილის, ბიბოსნის, კიკეშიას და მათ მსგავსთა მიმართ ადამიანთადმი ულმობლობას კი არ ნიშნავს, არამედ იმ მანკიერებათადმი (ბიუროკრატიზმი, მოხსეებელობა, უმეცრება, მეშჩანობა და სხვ.) შეურიგებლობას, რომლებსაც ისინი განასახიერებენ.

მოლიანად შეკოწიწებულია „ბრალდებები „მწვანე შტოს“ ქალთა სახეებზე. აქაც ავტორს ამოუგლეჯია წინადადებები და ცდილობს მოგვაჩვენოს, თითქოს რომანის პერსონაჟნი ქალები უზნეო და უამქნილნი არიან.

აბა, თქვენ რეი, „მწვანე შტოს“ ქალთა ტიპების რა განხილვა იქნება, თუ ეს ერთ სტუდიასაც ვერ გამიტეტებ ცისანას, ოთონას, ბაბინეს, თეკლეს, ციცინოს და სხვათა მოსახსენებლად. ის კი არა, ძალლონეს არ დაზოგავ, დაავიწყო მეკთხველს მათი კაეკალობა. თუ მეკთხველისთვის თვალის ასახვევად განკაუს ასტეხს: „ეი „მწვანე შტოს“ ქალთა გალერეაო.“ თუ უარყოფთან პერსონაჟებში არ დაინახავ ავტორის ეუღლტეველს, თუ არ შეეცდები ამოიღო მწერლის პოზიცია, შეამჩნიო დადებითი იდეალი.

თ. წიფლიაძე ისწრაფვის დაამახინჯოს რომანის სინამდვილე და გააყალბოს ჭეშმარიტება. როკა ეოყო წამოიძახეს, ეს რა თამაში ახალგაზრდობა წამოგიდგა, ამასც ჩვენს დანაშაულად თვლის: „გალეწილია ახალგაზრდა თაობა!“.

წერილის ავტორი უმეცრეს შესაძლებლობასაც არ უაზვეს ხელიდან. კიკეშიას ცოლი ათი წლით უმცროსია ქმარზე, — ეს საშინელებაა. თეონა თავის ტოლ შეგობარს კაპეკი — ესეც საშინელებაა. (მოატუეა საქმრო). მსხვერპლს, გარეწრისაგან მოტაეტებულ თეონას, უზნეო, მატაეარა ქალაშვილად აცხადებს.

რაოდენ ტენდენციური უნდა ყოფილიყო, რომ არ შეეგნინა ბაბინეს და თეონას ტატოანანი, მშრომელი ოჯახი!

რათა „მწვანე შტო“ პორნოგრაფიეულ ნაწარმოებად წარმოესახა, წერილის ავტორს არ დაუზოგავს არც დრო, არც ფურცლები, არც გამოცდილება. საკანონად ხაზი გასეკვამს აქეთ იქიდან ამოაგლეჯილი ადგილებისთვის.

ძველი წარმოსადგენია მეკთხეკი, რომელსაც კარ ესმოდეს, რა მნიშვნელობა აქვს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ადგილს, ისაა, თუ სად, რა სიტეაციაში, რა ფსიქოლოგიეურ გარემოში, თანამშდევრობის როგორი სიზუსტეთაა გადმოცე�eული და შემზადებული არათუ ყოველი ეპიზოდი, არამედ თითეოეული სიტყვა, მცირე ნიუანსიც კი. წერილის ავტორის შეთოდით რომ აქეთ-იქიდან ამოგლეჯილი ადგილები, „მწვანე შტო“ კი არა, მთელი ლიტერატურა და ხელოვნება ჯოჯოხეთად მოგვეჩვენებოდა.

არა ერთგან დავსწრებივარ ჩემი რომანის განხილეკას, არა ერთი და ორი წერილი მიმიღია, არა ერთი და ორი რეცენზია დაიწერა, მაგრამ მის პორნოგრაფეულობაზე არავის სიტყვა არ დასადგენია. ეს იმიტომ, რომ ყოველ მეკეკერძიელ, პატიოსან მკითხველს ესმის, რომ აქ პი-

ალექსანდრე ქალანდაძე
სიტყვა ემლეკა აგული ბელიმნაკაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნოგრაფია არაფერ შუაშია, ნაწარმოების მთავარ გმირთა მძიმე ბედია წარმოჩენილი ოჯახურმა ვითარებამ, ხელოვნების საკითხებში პრინციპიელმა პოზიციამ მამეკასა და ცისანას შორის დროებითი, მაგრამ მწველი კონფლიქტი გამოიწვია, კალამიტიდან ამოაგდო ისინი. ტრამვიმრეულ მდგომარეობაში ორივე იმნეკეა, მამეკა ღრმა გაცნობიერების გარეშე უახლოვდება დუდანას, რომელიც მის მთელ თავის ქალურ მომხიბვლელობას სთავაზობს, მაგრამ სწორად ეს მომენტი იქცევა გამოფხიზლების ბიძგად, ჭეშმარიტი, შინაარსიანი ცოლქრაული კაპრიზის გამარჯვებად, მეუღლეობის ზეიმად. ყველა ხვდება, რომ აქ მთავარია არა მამეკასა და დუდანას ენებანი, არამედ ერთგულების იდეა, რომელსაც აქტიური ეროვნულ-საზოგადოებრივი ფუნქციია ეკისრება. მთელი მიზანი ამ სცენისა ისაა, რომ გამოავლინოს, ერთის მხრივ, დუდანას მეშინაური ხასიათი, ხოლო, მეორეს მხრივ, მამეკას უმწიკვლო სიყვარული ცისანასადმი. გვიჩვენოს, რომ ჭეშმარიტი გრძნობა უძლეველია და განსაცდელი არ აშინებს.

მაგრამ რას ვიკლავთ თავს შეგონებით? ხომ დავრწმუნდით, რომ წერილის ავტორს ლიტერატურაში ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით ესმის. „მწველ შტოს" ძირითადი პრობლემა შემოქმედის ბედი, ხუროთმოძღვრების, ხელოვნების ფსიქოლოგია, ამიტომ, ოდა მძიმე დავალება უკისრია, ამაზედაც ხომ რაღაც უნდა ეთქვა და ამასაც ქართველ არქიტექტორების წინაშე ჩვენი დაბეზღებით იწყებს: „არქიტექტორთა სახელისნაში დრიქტორიდან დაწყებული ლაბორანტამდე ყველა გაუნათლებელი, გიჟი და უნიჭოა". ასეც რომ იყოს, ვითომ, რა დანაშაული იქნებოდა?! მწერალს რომ მხატვრული მიზნის შესაბამისად, ასეთი მიკროსამყაროო მოეწყო, ვითომ, რა მოხდებოდა? განა ხელოვნებისა და ლიტერატურის მიზანი ის არაა, რომ შეგვაყვაროს, რაც ძვირფასია. და შეგვაძულოს, რაც საზიზღარია? განა ორივე ეს მხარე ერთ მიზანს არ ემსახურება? ახლა ვიკითხოთ, მართლა ყველა გაუნათლებელი და უნამუსოა არქიტექტორულ სახელოსნოში? მამეკა, ცისანა, ანზორლავა, კანეკეშვილი, ახრასია, ბოლოს და ბოლოს, მთელი კოლექტივი, პარტორგანიზაცია, რომლებშიც არაერთხელ იხსნეს და გზაზე დააყენეს ტარსანიძე, გაუნათლებელი და უნიჭოა, თუ ჯანსაღი და წონასწორს უნარიანი? ბოლოს ხომ საერთო შემოქმედებითი ძალით ჰკიდებენ ხელს დიდმნიშვნელოვან მშენებლობას? წერილის ავტორს ჯგინია, რაკი ანზორლავა ინვირნია და არა არქიტექტორი, დადებით გმირად აღარ ჩაითვლება.

თ. წიგნოვაძე აქ ორ საყალბეს მიმპარავს. თითქოს, მე სახელმძღვანელოდ გამეხადოს რეინერ ბენეშის „ახალი ბრუტალიზმი" და, ჩემს გმირებს უჭირდეთ ხუროთმოძღვრებაზე ,ბრალ. ფესვიანი მსჯელობა.

იმის დასამტკიცებლად, რომ პერსონაჟებნი ხუროთმოძღვრებაზე საუბარი უჭირთ, წერილის ავტორს კურიოზული სამუთი მოჰყავს: ხშირად პოეზიაზე მსჯელობენო. თითქოს პოეზიაზე მსჯელობა უცხო იყოს სხვა დარგის ადამიანებისათვის, ამასთან ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ „წმველ შტოში" ხუროთმოძღვრებაზე მსჯელობანი ვერ შეამჩნიოს, მთ ხომ მთელი თავები ეთმობა, რომლებშიც ახალი შეხედულებებიცაა გამოთქმული.

დავანებთო თავი ყველაფერს, განა წარმოსადგენია, რომ არათუ საგანგებოდ ხუროთმოძღვრებაზე მსჯელობისას, არამედ, საერთოდ „მწველ შტოზე" ორიოდე სიტყვის წარმოთქმისას, კაცს დაავიწყდეს „ცისფერი კანკოს" სიუჟეტური ხაზი, რომელიც ცენტრალურ ღერძად გასდევს რომანს და ემსახურება როგორც თვითმყოფი, ეროვნული ხელოვნების იდეას, ისე მთავარ პერსონაჟთა ხასიათის ჩვენებას. კარგი, დავუშვათ, რომ ვერაფერი შეელია და არაფერსაც არ ემსახურება, ვისაც ამ ნაწარმოების ავკარგიანობაზე ლაპარაკი გადაუწყვეტია, მაინც ხომ ვალდებულია ამ მთავრის უმთავრესსაც შეეხოს?! თუ არც ეს გააკეთა, მაშინ რა უფლება ჰქონდა, რომანის შესახებ ეხმ ამოეღო? რომანის მთელ არქიტექტურულ კონცეფციას ხომ ეროვნული წოდიდან და ავტორის სულის შორეული სიღრმეებიდან მომდინარე ეს ამბავი კარნახობს.

„მწველ შტო" იწყება და მთავრდება დიდი სამამულო ომის მოყოლებით. ყველა ეპიზოდში, თითოეულ ხასიათში, სიტუაციაში, ყველა პერსონაჟში გადაშეუვეტი მნიშვნელობით ირეკლება ომის ფიზიკური, მატერიალური და სულიერ-ფსიქოლოგიური შედეგები. ლიტერატურულმა კრიტიკამ აღნიშნა, რომ რომანის იდეა ჩვენი ხალხის რევოლუციური ტრადიციებისადმი, დიდი სამამულო ომის ტრადიციებისადმი სისტხორციელი ერთგულებაა. შესაძლოა, ხარისხზე იდავონ, მაგრამ ამ წიგნს მტერიც ვერ წაართმევს დიდი სამამულო ომის რომანტიკას, ომის მონაწილეთადმი უსათუოს გრძნობებს, ფრონტელ ურთიერთობათა სითბოს. აქ დოკუმენტური სიმართლითაა საუბარი რუს, უკრაინელ თანამებრძოლებზე, პოლონელ და გერმანელ ანტიფაშისტებზე, რუს და უკრაინელ კავალერიელებზე, საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალურ ძმობაზე.

„მწველ შტოში" გარკვეულთა გადმოცემული მამეკა ტარსანიძის ბიოგრაფია: დაკრული ტყედ ჩავრდა. რუს მეგობართა დახმარებით მალე პარტიზანებს შეუერთდა. მათი დავალებით მტრის ზურგში შეაღწია: პატიოსნად იბრძოლა. მერმე ფრონტზე გამარჯვებით დასრულა ომი. ასეთია რომანის სინამდვილე. ვინც ამ რომანის ვანხილვა-შეფასებას აპირებს, ზუ-

ნებრივია, ამ სინამდვილიდან უნდა ამოვიდეს. მაგრამ თ. წიფწიფაძე ასე როდი იქცევა, საჭიროდ აღარ მიიჩნია იმის დამალვა, რომ მას მამუკა ტარსაძიე კი არ ინტერესებს, არამედ აღელვსანდრე კალანდაძე. ლიტერატუროულ ანალიზს კი არ ისახავს მიზნად, არამედ ჩვენს გაწყენინებას. „ომბადახდელ მწერალს უფრო ეცოდინება, — უკვე ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე იცხადებს ის, — იმ ქარიეკსლიან დღეებში მტრის შუნდირგადაცმული კაცის გულშიც რა ეცებსო ტრიალებდა: ვის სპობდა და ვინი თანამდგომიც იყო!“ არა ჯერზეთ? ძნელი დასაჯერებელია. მაგრამ გადაშალეთ მანნე ეკონომიის 148-ე გვერდი.

მეთხეელმა განსაჯოს, რამდენად ეთიკური, გაუთავებლად „ეგრმანელ ოფიცერს“ უწოდებენენ ამ პერსონაჟს, რომლის პოლიტიკური სახე და მდგომარეობა ზუსტადაა განსაზღვრული ნაწარმოებში.

რაკი „სიფხიზლის“ მტრეთით ეს სიყალბე ჩაიდინა, იმედი რჩება, რომ რომანის იმ პერსონაჟების მიმართ, რომლებიც ტუვედ არ ყოფილან, მაინც გამოიჩენს სითბოსა და პატივისცემას. მაგრამ ნურას უკაცრავად!

ჩვეულებრივ სათმარ თავდადებას, რომლის მსგავსია იმ ქარიშხლან დღეებში ყოველ წუთს ხდებოდა („ავტომატის ჯერი დაეკარეს“), წერილის ავტორი სარკასტულად „ქრისტეს საწყალულს“ უწოდებს, რადგან ეს „თვითმკვლელობას ულრიდა“: ვანა ომში, ფუცილებლობის დროს, ყველა გმირული საქციელი „თვითმკვლელობასო“ არ ულრიდა!? ამიტომ ჭკვიანი თავდადება და თავგანწირვაა.

ცინიზმს აღწევს წერილის ავტორის გულგრილობა მინდელის მიმართ. ნუთუ, მინდელზე, რიაღმასკომის თავმჯდომარეზე. სლეპაკოვად და ომის სხვა მონაწილეებზე კეთილგანწყობილი მეთხეელი სხვას ვერას იპოვის ამ რომანში?! და აქაც ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ? ბოლოს, და ბოლოს, წმინდანებს ხომ ადამიანთა მოკრძალება და პატივისცემა ჭმნის.

რაკი ასეთ გაფაციცებულ თვალსაც გასჭირვებია რომაში ნაკლოვანებების აღმოჩენა (თუმცა, რამდენჯერმე წაიკითხეო, ირწმუნება) კრიტიკოსი თვითმქმედებას შედგომია — ჩვენს მაგვრად თხზავს, აკეთებს ცალკეულ ადგილებს, ეპიზოდებს, სტატეა-გამოთქმებს და თავისი ნახელავისთვის ჩვენგან მოითხოვს პასუხს. ასეთი ფორმაშობილია სამი თეფშისა და დანა-ჩანგლის ამბავი, ბინის გარემონტების, გრძელი საცვლების, აღმასკომის წესდებისა, ოთახის გადატხერის და მისთანანი.

თ. წიფწიფაძე რომანიდან ამონაწერებში უცერემონიოდ ჩაუმატებია „ყუჯზე მიეკანილი“, „ტუნტრუკა“, „ამ ინერშინის“, „ზეზოლინგზე“, „ქალის გაჩდაში“, „ამ დილიდან“, „დასაკენტლონ“, „ოდაცაში“, „ზენთვის დაპრრა ნაყიდი და უნდა გაისტუმრო“ და ეინ მოთვლის კიდევ. არაკართველის მიერ წამოსროლილი სტატეებს: „ასეთმა ლარჩებმა უნდა ცხოვრობენ დნენ ამ ოქრო მიწაზეო“, ჩემს ეროვნულ-ეთიკურ დიმად აცხადებს. საქმე იქამდე მიდის, რომ როცა მამუკა ადრე გაზაფხულზე პატარა ზეოს მოწყვეტის, ამას რაღაც სადისტურ აქტად მიიჩნევს და მთელ გვერდზე ციხიკუთად ეროთბა.

რა თქმა უნდა, ყველა ზარსა და ოხუნჯობას ვერ გამოვუდგებით, მაგრამ ლიტერატურა სადღაა?

საკვირველია, რა გულახდილობას იჩენს ამ ბრიე წერილის ავტორი. უკანასკნელის ნინა გვერდზე უდარდელად აცხადებს: „ცალმხრივად, კერძოდ არითმეტიკის განხრით განვთავრებული რომ არ ვეგონო, ერთ-ორ მწერალურ შეცდომაზეც მიეფთითებ“.

ოროოდე ბაზაკაც. უკანასკნელ გვერდსაც მივუახლოვდით. მაგრამ ლიტერატურა მაინც არ ჩანს. ალარც ზარის მოსაფები დარჩა რამე. იწყება ისევ გეომეტრიული, ქიმიური, ტექნიკური და, რაც მთავარია, არითმეტიკულ-ბუღალტრული ანგარიშების შემაკამებელი ეტაპი: რამდენი წლისაა ზატუელი, ციცინო, ირსებობდა თუ არა იმ დროს ნოლ კოსაი...

ერთი სიტყვთ, ეს სფერო მისი საყვარელი სფეროა და აქ თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. შეიძლება იფიქროთ, რომ თ. წიფწიფაძე ამას ჩვენს გასაპრაზებლად აკეთებს. ჩვენც ვცადეთ ასე გვეფიქრა, მაგრამ ვაი, რომ მისი ნაწერი არც ამ ვარაუდის შესაძლებლობას სტოვებს. თვითონვე განსაჯეთ, რა ლიტერატურული ანალიზი უნდა მოაძდინოს კაცმა, რომელსაც სენტიმენტალური სტლის ნიმუშად ასეთი მაგალითი მოაჯავს: მესაზე დღეს ორი თეფში, ორი დანაჩანგალი, კოუზი, ქიქა, ვედრო იყოდეს“.

იმას კი არ ვამტკიცებ, რომ „მწვანე ზეოს“ არავითარი ნაკლი არა აქვს და ჭეშმარიტ კრიტიკას მისი შემჩნევა არ შეუძლია, არამედ იმას, რომ რომანის დისკრედიტირებისათვის საკმარისი არაა ციტატების ამოგლეჯა, ხაზგასმა და შორისდებულები.

წარმოუდგენელია ასეთი წერილის ავტორი ქმაყოფილი დარჩენილიყო თავისი ნახელავით. ამის საბუთი ისაა, რომ სახიფათო ნაბიჯი უკანასკნელ გვერდზეც გადაუდგამს და ლიტერატურული უმწეობის საკომპენსაციოდ სერიოზულ დანაშაულსაც არ მორიდებია. „მწვანე ზეოზე“ ბევრი დადებითი, მეტიც: აღფრთოვანებული რეცენზია დაიბეჭდა, — აცხადებს თ. წიფწიფაძე — კრიტიკოსები ერომანეთს ეკიბრებოდნენ რომანის შეკებაში... ასეთი აღტაცება მუდამ გადაჭარბებული და უსაიმოვნოა. გამორჩენის სუნი ასდის... აქაც დაახლოებით ასეა!“ იქნება, ისიც გვითხრას, ვის გულისხმობს ათობით რეცენზენტთაგან, რომელთა უმრავლესობას ავტორი დღემდე არც კი იცნობს.

რაღა დაგვრჩა ამ პასკვილიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან:

რაკი ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია არ აპირებს მწერალ ალექსანდრე კალანდაძისა და კრიტიკოს თამაზ წივწივაძეს შორის წამოჭრილი დისკუსიის საგანგებო შეჯამებას, მას საჭიროდ მიიჩნია, მკითხველს მიაწოდოს რამდენიმე განმარტება იმ ზოგიერთი უზუსტობის გამო, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს პატივცემული მწერლის პასუხში.

მაგალითად:

ალ. კალანდაძე წერს: „ავტორს (წერილის ავტორს თ. წივწივაძეს). სამი ილეთი გამოუყენებია რომანის „მოსარკულებლად“: 1. გამოუტოვებია არსებითი სიუჟეტური ხაზები და მოვლენები, 2. თვითონ დაუმატებია, რაც მოსურვებია, 3. დაუმახინჯებია და გადაუკეთებია დანარჩენი“.

ავტორი ვალდებული ვერ იქნება, არც საჟურნალო წერილის მოცულობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ნაწარმოები განხილულ იქნას პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე. ბოლო ორი პუნქტი სიმართლეს არ შეეფერება!

ალ. კალანდაძე: თ. წივწივაძეს „მთელი პათოსი ბუღალტერიაზე დაუხარჯავს, მიუმარჯვებია საანგარიში და გულმოდგინედ ამოწმებს, რამდენი წლისაა... ციცინო, მაყვალა და ა. შ.“

თ. წივწივაძის წერილში მაყვალას ასაკზე, ეჭერთოდ, სიტყვა არაა ნახსენები. ავტორს არც ციცინოს წლოვანება აინტერესებს, იგი წერდა: ბავშვს, რომელიც 1944 წლის აპრილში ერთი წლისა იყო, 1945 წლის მაისამდე წლოვანება აუცილებლად მოემატებოდა: „ომის პერიოდში ქვეყანას სასმელ-საჭმელი უჭირდა, ამიტომ, იქნება, ციცინო ტანად არ გაზრდილიყო, თორემ ასაკი, როგორც მშვიდობიან წლებში, ისე მოემატებოდა“.

ალ. კალანდაძე: „პერსონაჟთა ასაკის გაუთვალებელ მიმატება-გამოკლებას მოსდევს მათი ოჯახური შემოსავალ — გასავლის ანგარიში, რათა გამოარკვიოს, მდიდარი იყვნენ თუ ღარიბი დოროთე: კოკეტი, მაყვალა და ა. შ.“.

თ. წივწივაძის წერილში ლაპარაკი არაა კოკეტიასა და მაყვალას საყოფაცხოვრებო პირობებზე.

ალ. კალანდაძე: „ეს. წივწივაძის სიტყვით, რომ ვთქვათ: „გაუნათლებლობა რომ არ დასწამონ...“.

სადან მოაქვს ეს ფრაზა მწერალს, გაურკვეველია. თ. წივწივაძის წერილში ასეთი წინადადება არ გვხვდება.

ალ. კალანდაძე: „განუზომელია ავტორის აღტაცება, როცა „დადგენს“, რომ დოროთე „სალომეზე ვერ დაქორწინდებოდა, რადგან საცოლე მაში ნაი წლისა იქნებოდა“.

თ. წივწივაძე წერდა: „მწერლის არითმეტიკით ასე გამოდის, დოროთეს როცა საცოლე შეეყვარებია, სატრფო მაში, არც მეტი, არც ნაკლები, დამადებული არ ყოფილა! საინტერესო შემთხვევაა!“

ალ. კალანდაძე: „ამ ვითარებაში ღიმილის მომგვრელია გაკვირვება, სილრმეში შესვლა ვერ მოვახერხე ნაწარმოების აზრისა და ნიბრძნის გასაგებადო“.

თ. წივწივაძე სხვას ამბობდა: „თითქმის მთელი წიგნი ისეა დაწერილი, სანთლით რომ ეძებო, სიბრძნეს და სილრმეს ნაკლებად წაწყდები“.

ალ. კალანდაძე: თ. წივწივაძე „აღშფოთებას გამოთქვამს, რომ რომანის პერსონაჟები უნებურადვოდ ტიხარს აკეთებენ, სამედიცინო შინაგანაწესს არღვევენ (სალომემ მომაკვდავ შვილთან საავადმყოფოში დარჩენა როგორ. გაგიდეთ) და ა. შ.“

მწერალს ამის გამო არ ედავებიდნენ: „სალომემ მომაკვდავ შვილთან საავადმყოფოში დარჩენა როგორ გაგიდეთ“. თ. წივწივაძე წერდა: „ქალბატონ სალომეს „საკაბში ცემენტის ილტაკენ ეძინა“, რომ მბრძანებს მწერალი, მართალი არაა. ავადმყოფი შვილის დედას, თუკი სურვილი ექნებოდა, შეეძლო სახლში ჯაჭვახმფლსაც ეარა, მაგრამ საავადმყოფო სახელმწიფო დაწესებულებაა და იქ სამედიცინო განაწესს დარღვევის უფლებას არავის მისცემენ“!

ალ. კალანდაძე: „რომანან პერონიაეთა ყოველგვარი საქციელისთვის თ. წიგ-
წიგაძე მწერალს აკისრებს პასუხისმგებლობას: როგორ შეიძლება დოროთე ტერიდენ-
გორ შეიძლება ქმარი ცოლს სცემდეს!..“

თ. წიგნიგაძე მწერალს ხხვა რამის გამო საყვედურობდა, კერძოდ: დედამ საკუთარი შვილი უცნო მამაკაცს ლოგინში ძალად რომ შეუწყვინა!

ალ. კალანდაძე: „მართლაც რა უნდა ელაპარაკო მას, ვისაც ჩგონია, რომ მთავარია, რატომ მიდის ინფინერი კაცი ვაგონებიან გადმოსაგერთოვაზე“...

კრიტიკული წერილის ავტორს ამგვარი გაკვირვება არსად გამოუთქვამს.

ალ. კალანდაძე: „თ. წიგნიგაძე ისწრაფვის დაამახინჯოს რომანის სინამდვილე და გაიაღლობს ეეშმარიტება. როცა ეოფო წამოიძახებს, ეს რა თამამი ახალგაზრდობა წამოვიდაო, ამასაც ჩვენს დანაშაულად თვლის: „გალეწილია ახალგაზრდა თაობა!“

ახეთი ფრაზა: „გალეწილია ახალგაზრდა თაობა!“ თ. წიგნიგაძის წერილში არაა, სადაც-
დან მოაქვს იგი პატივცემულ მწერალს, ძნელი სათქმელია.

ალ. კალანდაძე „ითის დასამტკიცებლად, რომ პერსონაეეს ხუროთმოძღვრებაზე საუბარი უკირო, წერილის ავტორს კურიოზული საბუთი მოაყვანს: ზნირად პიეზიაზე მსჯელობენო. თითქოს პიეზიაზე მსჯელობა უცნო იეოს, სხვა დარგის ადამიანებისათვის“.

თ. წიგნიგაძე წერდა: „პატიეცემული მწერალი არქიტექტორთა და მშენებელთა ცხოვრებას ნაკლებად იცნობს; ახლეე ნაკლები ცოდნა გააჩნია ხელოვნების ამ დარგში... მაშინაც კი, როცა აუცილებელია ხუროთმოძღვრებაზე საუბარი, ავტორი არქიტექტურული ცნობიერებიდან ამოკითხული ცოდნის მარაგითა და ზერელე ინფორმაციების მოწოდებით კმაყოფილდება... ეტყობა, მწერალს, რომანის წინასიტყვაობის მომზადების მომენტში, ხელთ ჰქონია ინგლისელი ავტორის რეინერ ბენენის „ახალი ბრუტალიზმი“. რომანის პერსონაეების თეორიული ცოდნის მარაგი არქიტექტურაში თითქმის მილიანად ამ წიგნიდანაა ამოკრეფილი“.

ალ. კალანდაძე: „ჩვეულებრივ ხაომარ თავდადებას, რომელი მსგავსიც იმ ქარიშხლიან დღეებში ყოველ წუთს ხდებოდა („ავტომატის ჯერი დაეკარეს“), წერილის ავტორი სარკასტულად „ქრისტეს ხსნაეულებს“ უწოდებს, რადგან ეს „თვითმკვლელობას უდრიდა“: ვანა ომში, აუცილებლობის დროს, ყველა ამგვარული საქციელი „თვითმკვლელობას“ არ უდრიდა!?“

რედაქციას საკმაოდ მიაჩნია, მკითხველს აუწყოს: თ. წიგნიგაძე აქ არაფერ შუაშია, მან, უბრალოდ, რომანიდან მწერლის ციტატა გადმოიწერა: „ტყვია რომ გაეთავდა „ფაუსტი“ (ტარსანიძე, თ. წ.) აქ შემართული რევოლვერით გაეკქანა ფანდარმებისა�, რომელებსაც მან ავტომატის ჯერი დაეკარეს (ეს, როგორც ცნობილია, თვითმკვლელობას უდრის!..) მეორე დღეს „ფაუსტი“ პოზნანში დაბრუნდა“.

ალბათ, შემამჩნევდით, პატივცემულ მწერალს საკუთარი ნათქვამი „ეს, როგორც ცნობილია, თვითმკვლელობას უდრის!..“ თ. წიგნიგაძისთვის მიეწერია, შემდეგ სამაბი რომ ჰქონოდა, გიეკეწნა: „ვანა ომში, აუცილებლობის დროს, ყველა ამგვარული საქციელი „თვითმკვლელობას“ არ უდრიდა!?“

ალ. კალანდაძე: „ცინიზმს აღწევს წერილის ავტორის გულგრილობა მინდელის მიმართ“.

თ. წიგნიგაძე წერდა: „მწერალს... მინდელის ბიოგრაფია ისეთი დეტალით შეუსწავლია, რომ ამ ყველაზე სერიოზულ პასაეს, ავტორის სურვილის საწინააღმდეგოდ, ირონიული ელფერი გადაპკრავს!

„ომის პირველი წუთიდან უკანასკნელ წუთამდე ცეცხლის ხაზზე იმყოფებოდა. ხაზლვარზე დაიწყო და პრაღაში დაასრულა. ბოჰემიაში ცალი ხელით, ცალი ფეხით და ცალი თვალით მოეძო�d კავალერისტებს“.

გაოცებული მკითხველი გვეტყვის, თქვე უღმერთოებო, საცოდავებას სად მიუდიხართ, ცალხელა, ცალფეხა, ცალთვალა კაცი ცხენზე რომ შესვიდ და ცალ ხელში თოფი, ადვილი და ხმალი ერთად დაეკერინეთო“.

ალ. კალანდაძე: „კრიტიკოსი თვითმოკმეფდას შედგომია — ჩვენს მაგიერად თხზავს, აკეთებს ცალკეულ ადგილებს, ეპიზოდებს, სიტყვა-გამოთქმებს და თავისი ნახელავთან-ერთად ჩვენგან მოითხოვს პასუხს... თ. წიგნიგაძეს რომანიდან ამონაწერებში უცერემონიოდ ჩაუშატებია „ეუუუზე მიეკანალი“, „ტუნტრუკა“, „ამ ეერიანის“ „შეზლოგიზზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემული მწერლის განცხადება მართალი არაა. კრიტიკოსს რომანში არადეკორატიული უმატებია, წერილში სამწუხაროდ, აქა-იქ, კორექტურა გაპარულა. მაგალითად: „ამ იერიშის“ ნაცვლად, უნდა იყოს: „ამ იერიშს“...

კორექტურის თაობაზე რედაქცია ბოდიშს უხდის მწერალს.

ალ. კალანდაძე: „წერილის ავტორს ხომ რომანის შინაარსი არ აინტერესებს, თითოეულ პერსონაჟში ვიღაც მისთვის ნაცნობ კონკრეტულ პირს გულისხმობს და პერსონაჟების მიმართ დამოკიდებულებასაც ასეთი სიმპათია-ანტიპათიით განისაზღვრება. ზოგი მათგანის დახასიათებასაც არ ერიდება. ბადრიკოს სახით მწერალმა ერთი „დიდად ნიჭიერი კრიტიკოსი“ გამოიყვანო, უდარდელად აცხადებს. მწერალმა ეს წიგნიც მისი შერით დაწერაო. (თუმცა, არსებობს ურყევი დოკუმენტები, რომ „მწვანე შტო“ მის მიერ ნაგულისხმევი სტრიქონების დაბეჭდვამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწერა“.

თ. წიფწიფაძე წერდა: „რომანის პერსონაჟი ბადრი ბეკურაძე ავტორს არახიმპათიურად დაუხატავს. ვერავინ შეედავება, მისი საქმეა! მაგრამ ამკარად უტაქტოდ მოიქცა, როცა ამ პერსონაჟს წარმოთქმევინა ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული სიტყვა, რომელიც ერთ დიდად ნიჭიერ კრიტიკოსს ეკუთვნის.

აქ, ეტყობა, მარტივი შურისძიების ჟანრთან გვაქვს საქმე! მწერლობის კანონებით ამ ფაქტს ახსნა ჭირს!“

წერილში მითითებული არ იყო ის წინადადებები, რომლებიც „ნიჭიერ კრიტიკოსს“ ეკუთვნოდა. ამიტომ ძნელი ახახსნელია, როგორ ამოიცნო მწერალმა! ხოლო განცხადება — არსებობს ურყევი დოკუმენტები, რომ „მწვანე შტო“ მის მიერ ნაგულისხმევი სტრიქონების დაბეჭდვამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწერაო — იმის დასტურია, რომ რომანიდან „ის ნაგულისხმევი სტრიქონები“ იმ „დიდად ნიჭიერ კრიტიკოსს“ გადმოუწერია“!

ალ. კალანდაძე: „ავტორი მე მომაწერს“ დიალოგების ერთ-ერთი მონაწილის საგანგებოდ დამახინჯებულ აზრს... არა ერთგან არის მითითებული, რომ „დიალოგის“ მონაწილე კრიტიკოსი სხვა პერსონაჟებთან პოლემიკისას, ლაბრიუერს ემყარება“.

ქვემოთ მკითხველს მივაწვდი „დიალოგის“ მონაწილე კრიტიკოსის“ რამდენიმე აზრს, რომლებიც, არა გვგონია, ლაბრიუერს ეკუთვნოდეს:

„მილოსი, ალბათ, გაგაგონიათ. კარგა დაჭიმაჩებული კრიტიკოსი გახლავთ. ბევრჯერ აქნილეს ქართული ენის უცოდინარობაში“.

„ჩვენს კრიტიკაში მუდამ ბოგინობდა პროვინციული ესთეტიზმი... განა ამით არ უნდა აიხსნას, რომ გენიალური ანონიმის უკვდავი შედევრი „არსენას ლექსი“ დღემდე არაა ღირსეულად დაფასებული... რატომ არ ვცნობთ მის უდიდეს როლს ახალი ქართული ენის დამკვიდრებაში!“

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია არ უარყოფს, რომ თვით თამაზ წიფწიფაძის წერილში იყო გადაჭარბებანი და ზოგჯერ ლიტერატურული ეთიკის ნორმების ერთგვარი დარღვევაც კი. მაგრამ რაკი პატივცემული ალ. კალანდაძის წრამდებარე პასუხი სწორედ ამ ნაკლისადმი მიძღვნილი, ჩვენ ამავე თემაზე საუბარს ადარ გავაგრძელებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირა. იუმორი. პაროდია

ბაკურ მელია

ორი ახლო მეგობარი,
მოპოეტო ორი ჯორი —
ჭირვეულნი, ეჭვიანნი,
ჭურში მსხდომნი, უნიჭონი
შეიყარნენ! შეარჩიეს
ერთი მყუდრო კორიდორი.
შენიღბული შური-შურით,
ხელნაწერთა შარიშურით
წაუკითხეს ერთურთს ლექსნი —
„უმსგავსო და შორი-შორი“.
ამტკიცებდნენ: ჩვენა ვართო
გენიოსთა ტოლნი, სწორნი!
იმათ ლექსებს ჩვენი სჯობსო!
ჯიუტობდა ორი ჯორი!
ამ შეხვედრის საბოლოო
შედეგია ნოლით ნოლი!

მისი დღე და მოსწრება
შეხვედრებზე ეხეტა!
ბოლოს ღმერთსაც შეკვედრა,
მომიწყვეო შეხვედრა!

ლექსები აქვს „ეო-მეო“,
თუ ბიჭი ხარ, ეომეო!

ხარ კირკიტოსი კბენიალური,
შენგან არასდროს მტკენია გული!

სკეპტიკოსმა პოეტმა თქვა: „სამზეო
დიდი-დიდი, შევაფასო „სამზეო“.

ჩამქრალი გაქვს სტრიქონი,
უნიჭობის სტრიქონინით,
მაინც არ მოიშალე
სხვებზე ქილიკ-ქირქილი!

ლოთპოეტის პოეზია
„კაესი“ და „ოესია“.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

მწერალთა კავშირის წევრობის მაძიებელმა პოეტებმა ზუსტი და ამომწურავი პასუხები უნდა გასცენ შემდეგ კითხვებზე:

1. სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?
2. წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
3. ვარდსა რად უქმენ კართა სარაზი?
4. სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
5. გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქაცებული?
6. ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღეცხოს, და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?
7. როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?
8. სადა ხარ, ჩემო სულიკო?
9. ვინა, ვინ არი კაი ყმა?
10. რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმადა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე?
12. მსურს გავფრინდე, მაგრამ სათ, რომელ მხარეში?
13. რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს? ვინ გაიგებს შენს ძახილს? ძახილს ვინ დაიჯერებს?
14. ნეტა ეხლა სადა ხარ და რომელსა მხარესა?
15. რა ამოძრავებს კიპარისის ტანს, ჩემი შრიალი ხაიდან არი?
16. ეხლა რად მეცნობ შრიალი თქვენი, როგორც ტირილი და საყვედური?
17. რისთვის გამზარდა დედამ, რისთვის მეტყოდა ნანას?
18. ვინასაკვი თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
19. თუ ჩაგიფლია ხარაჩანინასკენ, დაკვირვებიხარ ამ ქუჩებს კარგად?
20. ნეტავ, სადა აქვს კმ ზვარებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი?
21. წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა, ნეტავი რაა?
22. ეს თოვლია, თუ მინიმომ დააფეთა მტრედები?
23. რასა ჰყვირიან ირმები ყორან-მთის ყარიაიხა?
24. რომელ მერანზე მოფრინდი, რომელ მჭროლელი რაშითა?
25. რა ხაჭიროა ლეკსისთვის ტაში?
26. ვის გასცქერი, ვის მოელი, ვუელი ვისთვის გტკივა?
27. ქარილში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა ხიმცირე მიხი?
28. რატომ, რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი? რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?
29. შენ გინახავს სვანეთი, შემოხილი მწვანეთი?
30. ეს ხისხეი არის, თუ მარილა ყაჯარების ცეცხლია?
31. ეს გაფრენილი ფაფარი თუ მშობლიური ნისლია? ვისია ცხრა ბიდური, ცხრა დარაბტული ვისია?
32. შემოდგომის ქარი ქრის, თუ გაზაფხულის დარია?
33. ია განგებამ დახატა, თუ ფიროსმანის ყალამმა?
34. რომელი ტოვეს თავის ხამკვიდროს ძეძვის რტოებზე? რომელი ჩიტი?
35. წვიმა არ არი! ხაბას კაბა დაუსველია რამ? თოვლი არ არი! ხაბას თავი გაუთეთრა რამ? ყინვა არ არი! სულხან-ხაბას აკანკალებს რა? რამ დააველა? რამ დაოფორა? რა აკანკალებს?
36. აქ რომ ბიეი თამაშობდა, ნეტავ ახლა სად არი?
37. რას ვეძებ ნეტა, რა დამიკარგავს?
38. ვინ გაახარა, ანდა ვინ დარგო იმქვეყნიური ხილი ხხვავარი?

წმხატი ჯემალ ლოლუასი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი ხაავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-44-78, მთ. რედაქტორის მოადგილე — 73-26-22, მდივანი — 72-26-35, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ციხერის“ დამატება — 72-17-01, ხაორეკტირო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 15. 11. 77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 1. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თბ.ბანი 15,35. შეკვ. № 3370. უე 00607. ტირაჟი 32.050.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236